

644
1962/5

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՊԱՐԿԱՆԱԿԱՆ
ՊԵՏԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

Օրացույց

3

მაცნე

ლიტერატურულ-მხატვრული და
 საზოგადოებრივ-პოლიტიკური
 შურონალი
 საქართველოს ალკვ. ბ-სა და
 მწერალთა კავშირის ორგანო



შინაჯარი

5688

3

ნ. ღუმბაძე — მე ვხედავ მზეს (რომანი. დასასრული)	3
ბ. ბერულავა — უბის წიგნიდან (ლექსები)	48
მ. აბრამიშვილი — ლექსები	51
რ. ბატანიშვილი — ჩვენი უკანასკნელი თამაში (რომანი)	53
ფ. ინანოკოშვილი — იულიუს ფუიკს (ლექსი. თარგმნა ვ. ჯავახიძემ)	74
ი. ჩაღნავილი — ცხოვრების ზღურბლზე (რომანი. გაგრძელება)	75
მ. ძვლივიძე — ლექსები	85
ფ. ფორჩხიძე — გალაკტიონს (ლექსი)	87
ბ. პაპუაშვილი — ერესტო (მოთხრობა)	88
ე. სხვამძე — ლექსები	91
ლ. შალვაშვილი — ლექსები	93
ა. აბულაშვილი — ლექსები	94
ნ. ბანჯელი — ლეილი და მაჯნუნი (პოემა. თარგმნა მ. თოდუამ)	95

ჩვენი აღამიანები

ბ. ზელიძე — ღვაწლმოსილი მწერალი	98
ლ. გოთუა — ფიქრები თოქის კიბეზე	101

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

დ. მაისურაძე — ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი	110
ს. შილაბიძე — სიმონ ჩიქოვანი (დასასრული)	117
კ. ბახტარაძე — გრიგოლ აბაშიძის შემოქმედება	125
ა. აღამია — გიორგი ნატროშვილის მოთხრობები	
ბ. იმედაშვილი — მწერალი და ჯარისკაცი	

1962

მარტი

გამომცემლობა

“საბჭოთა მწერალი“



ფ. ზარნიძე — „უთავო მხედარი“ ქართულად...	141
შ. ზაღრაძე — „ქართლის ცხოვრების“ უძველესი სარედაქციო შენიშვნის შესახებ	144



ხელოვნება

ბ. ჯაფარიძე — ქართული ზღაპრების შესანიშნავი დამსურათებელი	147
---	-----

ყოველი მხრიდან

ქრინია —	154
----------	-----



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:


რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, რ. მეტრეველი, გ. შატბერაშვილი,
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/III-62 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვეთა № 216. უე 03657. ქალაქის ზომა 70x108. ტირაჟი 6.500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფიკამოცემლობის ბეჭდვითა სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



მე ვხეივან ეზეს

ნახატი ჯემალ ლოლუასი

რომანი

ტრიუმფალური შეტევა

მართალია, სამხედროს მასწავლებელს სისხლს ვუშრობდით, მაგრამ ამ პატარა კაცმა თავი ისე შეგვაყვარა, სიხარულით ცას ვეწიეთ, როდესაც ჩვენი კლასის დამრიგებლად დანიშნეს. ახლა იგი როგორც საკუთარ შვილებს, ისე გვიჯავრდებოდა, გვიყვიროდა, ხანდახან ალიყურსაც გვაჭმევდა, და ხმის ჩახლეჩამდე იბრძოდა პედსაბჭოზე, თუ რომელიმე ჩვენთაგანის სკოლიდან გარიცხვის საკითხი იდგა.

არ ყოფილა შემთხვევა, ლევან მასწავლებელს რომელიმე მოსწავლის მშობელი დაეზარებინოს სკოლაში შვილის ცუდი საქციელისათვის.

— აქ მე ვარ თქვენი მშობელი, ან დაგზოცავთ, ან კაცებად გამოგიყვანთ! — ყვიროდა და მაგიდაზე ისე მაგრად ურტყამდა მუშტს, მერე ერთი კვირა ველარ შლიდა. მისი გაკვეთილები მაინც ყველა გაკვეთილს გვერჩევნა, იმიტომ, რომ ლევან მასწავლებელს სუფსის ჭალაში გაყვავდით სამეცადინოდ. გავეყოფდა ორ მოსისხლე ბანაკად — გერმანელებად და წითლებად, გოგოებს სანიტრებად ნიშნავდა, ორთავე ბანაკის შტაბის უფროსად თვითონ დგებოდა და იყო ქრისტეს ტირილი, ძმათა სისხლის ღერა, სანგრებში ჩახტომა, ყურების ახლეჩა, კოპების დასმა, სუფსის ხან ერთი ნაპირის აღება „ვამას“ ძახილითა და „დაგვენდის“ ღრიალით, ხან მეორესი. მე გერმანელების სარდალი ვიყავი ყოველთვის და თუ ვინმე ჩია, ჭირიანი და გლახაკი იყო, ყველა ჩემს ასეულში



იყრიდა თავს, იმიტომ რომ ჩვენ, გერმანელებს, არ უნდა გაგვემარჯვა; სამაგიეროდ, ყველა ვაჟაკი, და მოსული ბიჭი თავაწყვეტილი ნოდარა თავას ასეულში იყო. ისინი, როგორც წითლები, მუდამ იმარჯვებდნენ. ასე რომ მთელი ჩემი ბავშვობა, ვიდრე ნამდვილი ომი არ გათავდა, ხან ტყვე ვიყავი, ხან დაჭრილი. ხან შონე, ხან ჯაშუში, ხან დივერსანტი და ხან მკვდარი.

დღეს ისევ დაიღვრება ძმათა სისხლი. პირველი ორი გაკვეთილი სამხედრო გვაქვს და ომი გარდუვალა. ომის შემდეგ, თუ ვინმე გადავრჩით ცოცხალი, კოლმეურნეობაში უნდა წავიდეთ და ქალებს ჩაის კრეფაში მივეხმაროთ.

მაისია ახლა. მტკაველზე აუყრია ყლორტი ბუჩქებს და ვერ ასწრებენ ქალები კრეფას; ჩვენ რომ არ მივეხმაროთ, გაოხრდება ეს ჩვენი მარჩინალი მცენარე, გადაყრუვდება, გადაშფიდება და გათავდა...

ყოველ წელს გავყავართ მოსწავლეები ჩაის საკრეფად და ჩვენც ყოველ წელს სიხარულით გავრბივართ პლანტაციებში, ცალკე იმის სიხარულით, რომ ფრონტს ვეხმარებით, ხოლო ცალკე იმის სიხარულით, რომ შრომადღებებს გვიწერენ. კიდევ აქვს ჩვენს სიხარულს ერთი პატარა მიზეზი: ჩაის კრეფა რაა, უღელში შევებმევით ხარებივით და მთელ სუფსის ჭალას გადავხნავთ, ოღონდ სწავლა ნუ იქნება.

ორ რიგად დაწყობილები მივაბიჯებთ სუფსის ჭალაში.

გოგოები არეულად მოდიან, ხატია მოჰყავთ, ხატია რაღაცას ყვება, გოგოები ხმამაღლა კარკაცებენ.

— ერთი, ორი, სამი; ერთი, ორი, სამი... — გვითვლის ლევან მასწავლებელი და გვერდზე მოგვეყვება. ხანდახან წაიკუნტრუმებს, ფეხს აგვიწყობს და ისევ გვითვლის:

— ერთი, ორი, სამი, მამალაძე, აუწყევე ფეხი! ერთი, ორი, სამი, კალანდაძე, აწიე თავი! — ახლა წინ გადაგვირბენს ლევან მასწავლებელი, სახით ჩვენსკენ დგება, უკულმა მიაბიჯებს და გვახსენებს.

— სამწყობრო ნაბიჯივით! — ჩვენ ფეხებს, რაც შეგვიძლია, მაღლა ვწევთ და გამეტებით ვურტყამთ მიწას.

— არწივები ხართ, ნამდვილი არწივები, აბა, სიმღერა...

მტერს რომ გულში მოხვდება,
მებრძოლს გაუხარდება,
... მაშინ აკაკანდება,
ვარალალო,
ჩვენი ტყვიამფრქვევები.

ვიწყებ მე...

მაშინ აკაკანდება,
ვარალალო... —

იტაცებენ ჩემს ხმას ბიჭები და გუგუნებს სუფსის ჭალა, — მივდივართ ლევან მასწავლებლის არწივები ზოგი მამის, ზოგი ძმის, ზოგი ბიძის გამოწვევით შარვლებისა და ხალათების ფართხუნით. მივაპარტყუნებთ ზოგი წულას, ზოგი კალოშს, ზოგი ქალამანს, ზოგი ფეხშიშველა ფეხს სუფსის ჭალის გრილ სილაზე; პირდაფჩენილები ვყლაპავთ დილის ოხშივარში არეული მიწის საოცრად გემრიელსა და სასიამოვნო მტვერს და ხმის ჩახლეჩამდე ვბღავით:

... მაშინ აკაკანდება,
ვარალალო,
ჩვენი ტყვიამფრქვევები...



— ჯგუფოოო... — გააგრძელა ლევან მასწავლებელმა, ჩვენ ზარტყუნს მოვუმატეთ, — სდექ, ერთი, ორი! — ჩვენ ადგილზე გავქვავდით.
 — მარცხნისააყენ! — ჩვენ შემოეტრიალდით ზოგი მარჯვნივ, ზოგი მარცხნივ.

— ვაი თქვენს პატრონს უბედურს, თავისუფლად და დაიშალეთ აწი! — თქვა ლევან მასწავლებელმა და დაჯდა კაკლის ჩრდილში. ხუთწუთიანი შესვენების შემდეგ ლევან მასწავლებელი ადგა:

— დღევანდელი ბრძოლის ამოცანა ასეთია: გერმანელები გამაგრდნენ ვოლგის მარცხენა ნაპირზე, — ხელი გამოიშვირა ჯერ ჩემკენ, მერე სუფსისკენ, — თქვენი ამოცანაა, — ახლა ხელი ნოდარა თავასკენ გაიშვირა, — ამოავდოთ გერმანელი დამპყრობლები სანგრებიდან, ჩაებათ მათთან ხელჩართულ ბრძოლაში, გაანადგუროთ, ნარჩენები გარეკოთ ვოლგის მარჯვენა ნაპირზე, მიყვეთ კვალდაკვალ, არ აცალოთ ჩასანგრება და სდიოთ სამოცი კილომეტრი უკუქცეულ მტერს.

— სამოცი ბევრია, მასწავლებელო! — შეეშინდა ნოდარა თავას.

— ნუ გეშინია, მაგდენს ვერც ჩვენ ვირბენთ, — დავამშვიდე მე.

— გოგოებო, საველე პოსპიტალი აქ იქნება, ნივეზის ძირში. ხატია, შენ მთავარი ექიმი იქნები, ნატაშა, კაკანო, თინა — მოწყალეების დები. ათ საათსა და ნულ-ნულ წუთზე ვიწყებ იერიშს.

ლევან მასწავლებელმა მაჯის სიმსხო ჯაჭვებით დაბმული, ურმის თვალვით საათი ამოათრია შარვლის ჯიბიდან, დახედა, ყურთან გაიხაჭუნა, ხელი ჩაიქნია, საათი ისევ ჯიბეში ჩაიდო და განაგრძო:

— სოსო მამულაძე, წაიყვანე შენი არმია და განლაგდით ვოლგის პირას, სანგარში.

— წავიყვანო, თორემ არ დალეწონ ყველაფერი, რა არმიაა ეს გალღეტილები?.. მათხოვეთ დღეს, მასწავლებელო, ნოდარია თავა და მაგათ დედას ვუტიოებ.

— ლაპარაკი! ნოდარ კალანდაძე, დაიკავე შენი ადგილი ზევით სანგარში!

— არ მინდა, მასწავლებელო, ერთხელ ჩვენ ვიქნებით წითლები, რა მოხდება? — შევეხვეწე მასწავლებელს.

— ცოტა ხანს მოიცადე და ისე დაგაწითლებთ და დაგალურჯებთ. პატრონმა ვერ გიცნოთ, — გაიკრიჭა ნოდარა თავა.

— რას გვაწვალებთ, თქვე მათხოვრებო, ბარემ დაგვენბდით და გათავდება ყველაფერი, — მირჩია თამაზ ქერქაძემ.

— ვნახოთ! — ეთქვი მე და სანგრისაკენ წავიყვანე ჩემი არმია. ნოდარამაც წაიყვანა თავისი არმია.

მე სანგრის პირას განვალაგე ჯარისკაცები და მივმართე ისტორიული სიტყვით:

— ჯარისკაცებო და ოფიცრებო, თქვენ დგახართ დიდი ისტორიული მოვლენის წინაშე. დღეს თქვენ უნდა დაუმტკიცოთ ნოდარია თავას, რომ თქვენ არა ხართ ტილიანები, მშინებები და გლახაკები. თქვენს წინ არის მდიდარი სუფსის ქალა, თავისი მაისის ბლებითა და უზარმაზარი საივანობო მსხლით, რომელიც, მართალია, ჯერ მკვახება, მაგრამ მაინც იქმება, გუშინ გავსინჯე. თქვენ გშოთ, გწყურიათ და ტანთ არ გაცვიათ, თუ მოიგებთ ამ მძიმე ბრძოლას, მე თქვენ შეგმოსავთ, გაგაძლობთ და დაგაპურებთ. თუ წაგებთ ამ ბრძოლას, მაშინ გველის სირცხვილი, ტყვეობა, და გაყინულ სუფსაში ბანაობა, გეყურებათ?

— გვეყურება! — ამოიკენესა ჯარმა.

— ახიკეთ აბა ახლა გოროხები და ჩაძვერით სანგარში! — ჯარი ჩასანგრდა.

ეტყობოდა, წითლებიც ჩასანგრდნენ, რადგან არც ერთი აღარ ჩანდა და ლევან მასწავლებელმა ნიშანი მოგვცა, დაიწყეთო. პოზიცია ღია იყო, ხელის-გულივით გაშლილ ქალაში არც ერთი ბუჩქი არ იზრდებოდა, მხოლოდ დიდ-რონი კაკლები იდგა ჩვენს შორის მეჩხრად გაფანტული. სამარისებური სი-ჩუმე ჩამოვარდა. ჩვენ ხის თოფების ლულები დავასვენეთ სანგრის წინ მიწაყრილზე, გვერდით გოროხები შემოვიწყვეთ ყუმბარებივით და გავინაბეთ. მოწინააღმდეგის ბანაკიდან პირველი ნოდარა თავა ამოძვრა, მერე ხელი დაუქ-ნია თავისიანებს, — გამომყევითო და ხოხვით დაიძრა ჩვენკენ. მისი თავი ვეებერთელა კვახივით მოგორავდა ქალაში.

— მაგის თავს მაინც არ ავაცილებ... — თქვა ოტია კალანდაძემ და დიდი გოროხი მოამზადა.

— უჩემოდ არ ესროლოთ! — გავეცი ბრძანება.

— თუ ადვენ, მერე ვეღარ შევაჩერებთ, ახლავე დავხოცოთ ჯობია! — თქვა სოლომონ ქლენტმა.

— ჯერ ვერ მიგწვდებით, ახლოს მოვუშვავთ, — თქვა რომეო ჭანუყვაძემ.

მოწინააღმდეგე გვიახლოვდებოდა. ვიცოდი, მათ ხოხვით არ შეეძლოთ თითო გოროხზე მეტის წამოღება, ამიტომ პირველი იერიშის მოგერიების იმედი მქონდა.

— არ იჩქაროთ, ბიჭებო, ტყვია-წამალი არ ეყოფათ. მე რომ გეტყვით, მაშინ ისროლეთ, არ გაბედოთ და არ გამოეყიდოთ, თორემ ხელჩართულ ბრძო-ლაში ჩვენ მაგათი მომრევი არ ვართ. — გავაფრთხილე ბიჭები.

— ვაშაა! — დაიბღავლა უცებ ნოდარია თავამ, წამოხტა და აწყვეტილი მოზვერვივით გამოქანდა ჩვენკენ. მას მთელი ჯარი აყვა, მორბოდნენ წელში მოხრილები, ზიგზაგებით.

— ვაშაა! — ისევ იბღავლა ნოდარია თავამ.

— ზახრუშაა! — ვეღარ მოითმინა ოტია კალანდაძემ და ყუმბარა მთელი ძალით გადაისროლა მოწინააღმდეგისაკენ. მარილივით დაიფშვნა გოროხი ნოდარას თავზე. მას თოფა გაუვარდა ხელიდან, ადგილიდან მოწყდა და კუნძივით გაგორდა მიწაზე.

— ცეცხლი! — ვიკვივლე მე. გოროხების სეტყვა წავიდა მტრის მიმართუ-ლებით.

ჯარი შეკრთა და მიწას გაეკრა, მერე ფორთხვით გაბრუნდა უკან და ისევ სანგრებში ჩაძვრა.

— ნოდარია თავა, აღარ გაბედოთ ამოდრომა, თორემ დავხოცავთ ყვე-ლას! — გავძახე მე.

— ახლა შემახედა მაგის შუბლისათვის და მომკლა მერე, — ინატრა ოტია კალანდაძემ.

— თუ ჩავვიგდეს ხელში, გავფცქენიან ლეღვივით, — თქვა ელუარდა ჯაბუამ.

— არავითარი პანიკა! — დავაბრიალე თვალები.

— ცოფიანი ძაღლივითაა ახლა მაგი გახელებული და დავგვკამს ყვე-ლას, — გამაფრთხილა კაყურა გაგუამ.

— ვისაც ეშინია, აგერ თეთრი დროშა და გადავიდეს, — ვთქვი და ცხვირ-სახოცი ამოვიღე ჯიბიდან.



— სოსოია მამალაძე, დაგვებდით გირჩევნია! — გაისმა უცებ წითლებს სანგრიდან.

— რომელი ხარ, ამოდი ზევით, თუ ვაჟაკი ხარ! — გავძახე და სანგრიდან ამოვძვერი.

— მე ვარ, გურამა თავბერიძე! — დაიძახა მტერიმა და მთელი ტანით ამოიმართა.

— მეორე თავგასიებული სადაა? — გავძახე მე.

— რომელი?

— მთლათ უფროსი!

— აგერ ვარ და გირჩევნია ჩაგვბარდე ცოცხლად, სამამდე ვითვლი, მერე გადმოვდივარ ხელჩართულში, — დაიძახა ნოდარამ და ისიც ამოიმართა მთელი ტანით სანგრიდან.

— დედიშენის შვილი ხარ და გაბედავ! — გავძახე მე. ნოდარამ რალაც ბრძანება გასცა, მთელი მისი ჯარი ამოძვრა და სანგრის გასწვრივ დადგა.

— ამოდით, ბიჭებო, და გოროხები მოამზადეთ! — გავეცი მეც ბრძანება. ბიჭები ამოვიდნენ და აქეთ-იქით ამომიდგნენ გვერდში.

— მგონი ვიღუბებით! — წაიშინა თავში ხელი რომეო ჭანუყვაძემ.

— ერთი! — დაიწყო თვლა ნოდარა თავამ.

— გაგიწყრა ღმერთი!

— ორი!

— შეგაჭამე დამპალი ღორი!

— ორნახევარი!.. — შეგვიცოდა ნოდარა თავამ, ჩემს რიგებში ჩურჩული ატყდა.

— სოსოია, გადმოდი ჩვენს მხარეზე, სანამ დროა! — დამიძახა თამაზა ქერქაძემ.

— ვერ ვუღალატებ ამხანაგებს!

— გადმოდი და გაპატიებთ.

— რა მჭირს შენი საპატიებელი, უბედურო!

— გადმოდი, სოსოია მამალაძე, ჩვენკენ, თუ არ მოგეწონოს, ისევ გადადი!

— დაგვებდი აბა, ტყვეებს კარაქს და თეთრ პურს ვაჭმევთ, ასე ვართ, ა, კისრამდე! — დამიძახა ნოდარამ და ნიკაპის ქვემოთ ხელი გაისვა.

— გეტყობათ, გეტყობათ, კიბი ხერხემალზე რომ გაქვთ აკრული.

— სამი! — დაიღრიალა ნოდარამ, მერე „ვაშაო“ და დაიძრა უძლეველი არმია ჩვენკენ.

— ცეცხლი! — ისევ ვიკივლე მე. სამი გოროხი დაიფშენა ერთად ნოდარას თავზე, მაგრამ მისი და მისი ვადარეული ჯარის გაჩერება აღარ შეიძლებოდა.

— ვაშა! — ღრიალებდნენ ისინი და ისე დაგვიახლოვდნენ, უკვე ვხედავდი მათ ანთებულ თვალებს.

— ვაიმე! — იბღავლა ჩემს რიგებში ვილაცამ და ყველაფერი აირია ერთმანეთში: მოგვერდი, კვანტი, პანდური, პწკენა, ჩქმეტა, შეფურთხება, გოროხის დაფშენა თავზე, ისევ კვანტი და ისევ პანდური, დაიწყო ხელჩართული ბრძოლა.

— რას შვებები, ბიჭო!

— მასწავლებლო, ყური!

— შარვალში ხელი, მამაჩემისა!

— პლენი ხარ!

- მკვდარი ვარ, მკვდარი!
- აწიე ხელი!
- ჩამოუშვი ჯოხი და ავწევ!..
- დაყარე იარაღი!..
- სად მაქვს იარაღი?!
- დატოვე სახელო, შე უპატრონო!..
- ამ ვირიშვილს მართლა გერმანელი ვგონივარ!
- სახეში ნუ მაფურთხებ!
- გამიშვი აბა ცხვირში ხელი!
- ეს ვინ ყოფილა, კაციო, მართლა მკლავე?!

მერე ყველაფერი დაწყნარდა, მხოლოდ მძიმე ქშენა ისმოდა. მე ორი კაცი მიმათრევდა შტაბისაკენ ფეხებით, დემორალიზებული ჩემი ჯარი კი ხელემაწეული მოაბიჯებდა ჩემს გვერდით.

მიმიყვანეს და დამაგდეს ლევან მასწავლებლის ფეხებთან.

— ამხანაგო შტაბის უფროსო! — გამოეჭიმა მასწავლებელს ნოდარა თავა, — თქვენი ბრძანება შესრულებულია, მოწინააღმდეგის ჯარი განადგურებულია, ვოლგის მარცხენა ნაპირი აღებულია, ჩვენი ჯარი განაგრძობს ტრიუმფალურ მარშს დასავლეთისაკენ. მსხვერპლი თითქმის არ არის. ტყვედ ჩავიგდეთ გერმანელი გენერალი სოსოია მამალაძე, აგერ აგდი!

— სოსოია, ისევ ტყვე ხარ, შე გაჭირვებულო? — მკითხა ხატიამ. ყველამ გაიცინა.

გამეცინა მეც. ავდექი და შარვლის ბერტყვა დავიწყე.

— დაისვენეთ ახლა, ბიჭებო, ნახევარი საათი და მერე ჰაიდა კოლმეურნეობაში.

ჩვენ ყოყინით გავექანეთ სუფსისაკენ და მოწყურებული ნახირივით შევცვივდით ცივ წყალში. ნახევარი საათის შემდეგ ყველანი ჩრდილში ვიწეკით უხმოდ და ზღაპარივით ლამაზ და ლურჯ ცას შევცქეროდით. ლევან მასწავლებელიც გულადმა იწვა და ნებივრად აბოლებდა პაპიროსს „ტემპს“. მისი თამბაქოს სუნი სამოდ გვიღიტინებდა ცხვირში. ჩვენ ფართოდ ვბერავდით ნესტოებს და ღრმად ვისუნთქავდით ჰაერს; ალბათ ყველას გეჭონდა თუთუნის, მაგრამ პაპიროსს ომის ღროს სულ სხვა ეშხი და გემო ჰქონდა. ოცნება იყო ჩვენთვის პაპიროსი და ახლა, როდესაც ეს პაპიროსი ასე ახლო იყო, სულ ორი ფეხის ნაბიჯზე, ვერც ერთი ვერ ვბედავდით ავმდგარიყავით და გვეთხოვა მასწავლებლისათვის ერთი ღერი, რომ თითო-თითო ნაფაზი დაგვეტყა და შემდეგ მთელი წელიწადი გვეტრახება, — პაპიროსი „ტემპი“ მოვწიეო.

ნოდარა თავამ მიინც ვერ მოითმინა, თვალი ჩამიკრა და მუჯღუტუნე გამკრა — ძილი, თხოვეო. ხელით ვანიშნე: გიყი ხომ არ ხარ-მეთქი, — მიდიო, დამეჯღაჩა ნოდარა და მე გავბედე.

— მასწავლებელო! — დავიწყე მე.

— რა იყო, მამალაძე? — მკითხა მასწავლებელმა და ისეთი ნაფაზი დაარტყა, გული კინაღამ შემიღონდა.

— მასწავლებელო, გამიგონია, სიკვდილმისჯილ კაცს სიკვდილის წინ თხოვნას უსრულებენო, მართალია?

— მართალია! — თქვა მასწავლებელმა ისე, თითქოს ათჯერ მაინც ყოფილიყო სიკვდილმისჯილი.

— მე ხომ ვარ, მასწავლებელო, ტყვე გერმანელი გენერალი?

— კი ხარ!

- ესე იგი, დამხვრეტთ ხომ?
- თუ გამოტყდები, არ დაგხვრეტო! — გაიცინა მასწავლებელმა.
- არ გამოტყდები! — ვთქვი ვაჟკაცურად.
- არა და დაგხვრეტო, — შეიკრა წარბი მასწავლებელმა.
- ჰოდა, სიკვდილის წინ შემისრულეთ ერთი თხოვნა, მასწავლებლო!
- შევესრულოთ? — ჰკითხა მან გამარჯვებული არმიის სარდალს.
- მე მგონი, დიდი სირცხვილი და დიდი სიმდაბლე იქნება ჩვენი მხრიდან, რომ არ შევესრულოთ! — თქვა ნოდარა თავამ მთელი სერიოზულობით.
- თქვი, ბიჭო, რა გინდა? — მოლბა მასწავლებელი.
- ერთი პაპიროსი მოგვეცით, მასწავლებლო, მთელ კლასს, აგერ გავიქცევით და ისე მოვწევთ, თქვენ არც კი დაგანახვებთ, — დავეჯღანე მე.
- მასწავლებელი მოულოდნელობისაგან გაშრა, მერე ერთბაშად აენთო:
- რაო? ვის უბედავთ თქვენ მაგას. მე, ლევან გურიელიძეს, პედაგოგს, ომის ეტერანს, თქვენ, ჩემს მოწაფეებს მოგვეთ პაპიროსი ჩემი ჯიბიდან ამოღებული, ჩემი ხელით, მოგვეთ პაპიროსი, გაგიფუჭოთ ფილტვები, გული, სისხლი?! მითხარით, რომ მეხუმრეთ, თორემ გავგიყდები ეხლა!..
- გეხუმრეთ, მასწავლებლო, მაპატიეთ! — ვთქვი შეშინებულმა და გვერდზე გადავჯექი. მოსწავლეები გაინაბენ. მასწავლებელი ერთხანს ღელავდა, მერე თანდათან დაწყნარდა და ისევ წამოწვა.
- პაპიროსიო, უყურე შენ? მე თქვენ გაჩვენებთ პაპიროსს!..
- მასწავლებლო, — დაიწყო უცებ ხატიამ, რომელიც მთელი საუბრის დროს წყნარად იჯდა და ყურს გვივდებდა, — ჩემს სიცოცხლეში არ გამიკეთებია ასეთი რამ, რასაც ეხლა ვაკეთებ, მე ჯაშუში არ ვარ, მაგრამ ეხლა არ შემიძლია არ გითხრათ: წელან, თქვენ რომ სუფსის პირას ჩაბრძანდით, თქვენი კიტელიდან ბიჭებმა პაპიროსი მოიპარეს და ერთი ღერი თოფის წამლით გატენეს, ჩვენ მაინც არ გვაწვინებდნო; მაგათ ეგონათ, რომ ვერ ვხედავ, ვერც გავიგონებდი.
- გაგიყდი, გოგო? ტყუის, მასწავლებლო! — ვიყვირე მე.
- შეგეშინდა? — თქვა ირონიულად ხატიამ და თვლები დააფახულა.
- ა, მასეა საქმე? — იკითხა მასწავლებელმა და ისე გადმოგვხედა, თვალი ვერ გავუსწორეთ ვერც ერთმა.
- სულელია, გატყუებთ, მასწავლებლო! — თქვა ახლა ნოდარა თავამ.
- თვითონაა სულელი და ტყუის, მასწავლებლო! — გაიმეორა ხატიამ. გაოცებული კლასი პირდაღებული უცქერდა გაკერებულ ხატიას.
- არ დაიძრეთ არც ერთი ადგილიდან, — ჩურჩულით თქვა გაფითრებულმა მასწავლებელმა და ადგა. მივიდა კაკლის ტოტზე ჩამოკიდებულ კიტელთან, ჯიბიდან მთელი კოლოფი „ტემპი“ ამოიღო, გულმოდგინედ დაათვალიერა თვითებული ღერი, ვერაფერი ვერ შეატყო და ხატიას მიუბრუნდა:
- თოფის წამლით დატენეს, არა?
- კი, მასწავლებლო, ჩემი ყურით გავიგონე!
- კარგი, ახა მიყურეთ ახლა მე, — მასწავლებელმა მარჯვნიდან მარცხნივ ჩამოგვიარა, — სოსო მამალაძე, ამოიღე პაპიროსი და მოწიე, — მითხრა მან და კოლოფი გამომიწოდა.
- არ მინდა, მასწავლებლო! — ვუთხარი მე.
- რაო? არ მინდაო? ეხლავე ამოიღე და მოწიე!
- მაფეთქებთ, მასწავლებლო? — გავაფიჩინე ფეხი.
- გეუბნები, ეხლავე მოწიე! — არ მომეშვა მასწავლებელი; ჯანდაბას, ვი-

ფიქრე, თვალებს დავხუჭავ და ისე მოვწევე, დიდი დიდი, ცხვირი შემეტრუსოს. ავიღე პაპიროსი, მოგუჯიდე და ხარბად გავაბოლე.

— იაგო ანთიძე, აილე, ოთარ თავაძე, მოკიდე ხელი, კაყურა გაგუა, თვალი გამისწორე და ისე ამოიდე, ოტია კალანდაძე...

— არ ვეწევი, მასწავლებლო.

— რაო?

— არ ვეწევი, მასწავლებლო, და რა ვქნა?

— რა ქენი და მოწიე, თავი თუ გეცოდება! — ოტიამ გააბოლა და ბეგლარას ძაღლივით დაიწყო ხველება.

— მკლავ, მასწავლებლო? — დაიკვნესა გავუღული ხმით.

მთელ კლასს ჩამოურიგა მასწავლებელმა პაპიროსი, კოლოფში ერთი ღერილა დარჩა. მასწავლებელი მოშორებით დადგა და დაძაბული გვიყურებდა, რომელს ავგიფეთქდებოდა საბედისწერო პაპიროსი პირში.

მთელი კლასი ვაბოლებდით ფრთხილად, ფრთხილად, მაგრამ მაინც გემრიელად. მე პირადად, რომ მოვეკალი ამ პაპიროსს, აღარ ვჩიოდე, რაკი მისი მოწევა მელირსა.

— ნუ ინახებით, მალე! — გვაჩქარებდა მოლოდინად ქცეული მასწავლებელი.

— სულ არ მეჩქარება, სხვათა შორის, — თქვა ოტიამ და ნახად გააბოლა.

— აგაშენა ღმერთმა, მშვენიერი იყო! — თქვა ნოდარა თავამ, ბოლო ღრმა ნაფაზი დაარტყა, თავისუფლად ამოისუნთქა და ნამწვი ბალახებში გადაავლო.

— ჩემსასაც არა უშავდა! — თქვა იაგო ანთიძემ და მანაც გადაავლო ნამწვი.

მას ოთარ თავაძე, რომეო ჭანუყვაძე და სხვები მიყვნენ.

დავრჩით მარტო მე და ოტია კალანდაძე. ოტიამაც მოიშორა ნაღმი, და მთელი კლასი მე შემომჩაჩერდა პირში, მასწავლებელმა მოთმინება დაკარგა, ცარიელ თვალებად იქცა. პაპიროსს დავხედე. ერთი დიდი ნაფაზი და მორჩა, თვალები დავხუჭე; მოგქაჩე წვრილად, ნელა-ნელა და როდესაც პირის ღრუ სასიამოვნო კვამლით ამეგსო, სტვენით გავგზავნე ფილტვებში. თვალები გავხილე და პაპიროსს დავხედე, პაპიროსი აღარ იყო, მთელმა კლასმა ამოიოხრა და მასწავლებელს შეხედა. ჩვენ და მასწავლებელი გაოცებულები შევცქეროდით ერთმანეთს.

— კიდევ დარჩა ერთი ღერი და ამ ბოლო პაპიროსსაც შენ მოსწევე, სოსო მამალაძე, — მითხრა მასწავლებელმა ჩურჩულთ.

— აღარ მინდა, მასწავლებლო, დიდი მადლობელი ვარ, მომკლავს ამდენი ნიკოტინი.

— სოსო მამალაძე... — დაიწყო ისევ მასწავლებელმა.

— ეს ბოლო პაპიროსი თქვენ მოსწიეთ, მასწავლებლო, არ აფეთქდება, — თქვა უცებ ხატიამ. ყველამ ხატიას შეხვდეთ. იგი იდგა კაკლის ძირში და იღიმებოდა.

უცებ ავჩოქოლდით, ჯერ ერთმა დაიფხუჯუნა, მერე მეორემ, მერე ვილაცამ თავი ვერ შეიკავა და ატყდა ხარხარი. დიდხანს ვგორავდით. მასწავლებელი ერთხანს თავს იკავებდა, მერე ვედარ მოითმინა და ისიც ახარხარდა ჩვენთან ერთად.

რომ დავეწყნარდით, მასწავლებელი ხატიასთან მივიდა, ხატიამ იგრძნო მასწავლებლის მოახლოება და სახით მისკენ შემობრუნდა.

— შენ გგონია, ხატია, მე პაპიროსი მენანება მაგათთვის?

— არა, მასწავლებლო, მინდოდა ბიჭებს მოეწიათ, ახლა მაგათ მთელ წელს ეყოფათ სატრაბახოდ, „ტემპი“ მოვწიეთო. მაპატიეთ, ჩემო მასწავლებლო...

მასწავლებელმა ლოყაზე მოუთათუნა ხელი ხატის, მერე მხარზე გადახვია და ნელი ნაბიჯით წაიყვანა გზისკენ.

— მამალაძე, მოაწყვე ჯგუფი და წამოდი! — მითხრა მან.

— ჯგუფოოო, დააადე! — გავეცი განკარგულება. ჯგუფი მოეწყო.

— სწორდით! სმენა! კოლექტივისკენ ნაბიჯით იარ! ერთი, ორი, სამი; ერთი, ორი, სამი!..

მე გავიქეცი და წინ დავუდექი ჯგუფს.

— არწივები ხართ, ბიჭებო, ნამდვილი არწივები. სამწყობრო ნაბიჯით! აბა, სიმღერა, თქვენი ჭირიმე! — და ისევ ატყაპუნდნენ სუფსის ჭალაში ჩვენი წულები, ქალამნები, კალოშები, შიშველი ფეხები. ისევ აფართხუნდნენ მწკრივში მამების თუ ძმების გამონაცვალ ზომაზე დიდი ხალათები და შარვლები და ისევ აგუგუნდა ჭალაში ჩვენი ძლევა მოსილი სიმღერა —

გენაცვალე, რაისაო,
 რა კარგად კრეფ ჩაისაო,
 წროულსაც თუ ვერ გათხოვდი,
 მე წაგიყვან გაისადო...

იმ მაისის ღამით ჩვენმა არმიამ მართლა დაიწყო დიდი შეტევა მთელი ფრონტით და ტრიუმფალური მარშით დაიძრა დასავლეთისაკენ.

ასეთია ცხოვრება

ორმოცდასამი წლის იენისია ახლა. გახურებული ბანაობის, ფეხბურთის, ლელოს, ლახტის, ჩილიკა ჯოხის, გრძელი ვირის, ჭიდაობის და ჯარობის დრო. სკოლიდან დიდი ხანია დაგვიტოვებს, მაგრამ სადაა ლახტი, სადაა ფეხბურთი, ვეღარ იცნობ ჩემს ბიჭებს.

— ბონდოია კუნცხურია, წამოდი, ბიჭო, ლახტი გავახუროთ!

— გაგაყდი, ბიჭო, ყანა მაქვს სამარგლავი!

— ნოდარა თავა, გვეთამაშა ფეხბურთი!

— არ მცალია, შეშა უნდა დაგხეტქო!

— ოტია, გამოიყვანე შენი სახლიკაცები და ვიკიდაოთ საირაოზე!

— ჭიდაობა კი არა, ძლივს დავდივარ, სოსოია.

ვიცოდით ყველამ, კარგად ვიცოდით, რომ ბურთი არ იყო, ვიცოდით, რომ არც ერთს არ გვეცალა ერთმანეთისათვის, არც ერთს არ გვებურთებოდა, არც გვეჭიდავებოდა, მაგრამ მაინც ყოველდღე ვიწვევდით სათამაშოდ ერთმანეთს, მაინც ყოველდღე ვეხვეწებოდით ერთმანეთს ერთი საათით გადაგველო საქმე როგორმე, რომ ის დაკარგული დღეები დაგვებრუნებინა, მაგრამ არაფერი გავწოდოდით. იყო შემთხვევა, შევიკრიბებოდით ხოლმე, გავიყოფოდით, ბურთს ავავლებდით და მერე უცებ ხან ერთს გაახსენდებოდა რალაც, ხან მეორეს, ხან მესამეს, ვმეჩხრდებოდით, ვმეჩხრდებოდით და ვტოვებდით გადახვნას სასწაულით გადარჩენილ მოედანს.

სულ სხვანაირად ვხედავდით ახლა სოფელს, და სოფელიც სხვა თვალით გვიყურებდა.

ერთ დღით მეზობლის ქალი მკაც მოვიდა მამიდასთან და თხოვა:

— ნადი მყავს, ჩემო ქეთევან, და დამახმარე შენი კაცი!

— წაყვევი, მამიდა, — მითხრა მამიდამ და მე წაყვევი მკაცს, როგორც კაცი, როგორც კაცი, ისე ვიმუშავე საღამომდე მაკასთან, კაცივით ვსვი ღვინო, დავფერი და კაცივით დავახველე ჭიშკართან, როდესაც შინ დავბრუნდი, და მე ვიგრძენი, როგორ კაცივით მომიარა მამიდამ იმ ღამით და ზუსტად ისე დამითბილა ფეხები ძილის წინ, როგორც სამუშაოდან დაბრუნებულ და დაღლილ ბაბუას უთბილებდა ხოლმე ბებია.

ორმოცდასამი წლის ივნისის თბილი საღამო იყო. მამიდამ კოდი გადმოაპირქვავა გობზე, გვერდებზე ხელი მოუპარტყუნა და ასწია. გობზე ორი პეშვი ფქვილი ეყარა. მამიდამ ცხელი წყალი დაასხა ზედ და ცალი ხელით ზანტად დაუწყო ზელა, თავჩაღუნული იჯდა გობთან და გაუთავებლად დიდხანს ზელდა ფქვილს, რომელიც თვალეზში შესაყრელად არ ეყოფოდა კაცს. მე დავინახე უცებ, როგორ დაეცა გობზე ჯერ ერთი, შემდეგ მეორე კურცხალი...

— რა გატირებს, მამიდა? — ვკითხე მე, თუმცა მშვენიერად ვიცოდი, რა ატირებდა.

— ესაა, სოსოია, მეტი არ არის, — თქვა მან და ხელისგულით მაჩვენა ცოში.

ხმა არ ამოიღია. მამიდამ თითები ფიქვანით ჩაწურა გობში და მომიბრუნდა:

— თქვი რამე, სოსო ბიჭო, რა ვქნათ?

— ქეთო მასწავლებლო! — დაიძახა ეზოში ხატია.

— მოდი, ხატია! — გავძახე მე, ხატია სამზარეულოში შემოვიდა.

— გამარჯობა თქვენ!

— გავიმარჯოს, ხატია, — თქვა მამიდამ. მე სამფეხი დავუდგი ხატის და დავსვი. მერე ოდაში ავედი და უკანა ოთახში შევედი. დიდხანს ვიდექი საოჯახო სკივრთან. მერე მოვიკიდე ხელი და გაჭირვებით გამოვთორიე გარეთ. სამზარეულოში რომ შევიტანე, მამიდა გაკვირვებისგან ფეხზე წამოდგა.

— რა არის, ბიჭო, ეს? — მკითხა მან.

— ამაში მამაჩემის და დედაჩემის ტანსაცმელი აწყვია!

— მერე?

— მერე, უნდა გავყიდოთ აგი! — ვთქვი მე.

— გავიყდი, ბიჭო? — შეეშინდა მამიდას.

— წავიღებ ამას და ნაბელლაში სიმინდზე გადავცვლი!

— ხატია, ვეყურება, რას ამბობს? — ჰკითხა მამიდამ ხატისა.

— მეყურება! — თქვა ხატია და თავი დააქნია.

— ამას ნაბელლაში წავიღებ და სიმინდზე გადავცვლი, აბა ასე ხომ არ ვიქნებით?

— სოსოია, წაიღე და დადგი იქ, საიდანაც ჩამოიტანე, — თქვა მამიდამ და ხმა ჩაუწყდა.

სკივრს თავი ავხადე და ყელში რაღაც გამეჩხირა. მერე სკივრში ხელი ჩავყავი და მამაჩემის ტყავის ქურჭი ამოვიღე. ყოველ ზაფხულს ამომქონდა სკივრიდან გასაზღვურებლად, მაგრამ არასდროს შორეული, ძალიან შორეული სიყვარულისა და მოკრძალების მეტი არაფერი მიგრძენია ამ ქურჭის მიმართ, ახლა კი შემეშინდა, ისე შემეშინდა ქურჭის, თითქოს ცოცხალ კაცს ძლით ვზღიდი და ისიც მორჩილად და მშვილად მატანდა.

— ამასაც წავიღებ, ამასაც, გესმის შენ? ბატარა აღარ ვარ და ჰკუას ნუ მასწავლი! — ვიყვირე მე და ტუჩები ამიკანკალდა.

— ნუ იზამ, სოსოია მამიდა, მაგას! — მთხოვა მამიდამ.

— წავიღებ, წავიღებ, იტირე რამდენიც გინდა, ამ ჩექმასაც წავიღებ, ამ შარვალსაც, ამ ხალათსაც! — ვყვიროდი და სკივრიდან ვყრიდი ტანსაცმელს. უცებ ხმა ჩამიწყდა... ხალათის ქვევით ორად გაკეცილი ვარდისფერი კაბა იდო. უხმოდ ამოვიღე, გავშალე, მერე ისევ დავკეციე, თავის ადგილზე დავდე, ზევიდან მამის შარვალ-ხალათი დეაფინე და სკივრი დავხურე.

— ჩექმას და ქურქს წავიღებ, მამიდა, მეტს არაფერს, შენ ნუ ტირი. მანახე თავართქილადის ვირს წავიყვან და ქვაბლაში წავიღებ სიმინდზე გადასაცვლელად.

— მამიდა ხმას არ იღებდა.

— ხვალვე წავალ!

— მეც წამოგყვები! — თქვა ხატია და ადგა.

აღრე დილით მე და ხატია მანახე თავართქილადის ეზოში ვიდექით და გაძვალტყავებულ ვირს ზურგს ვუფთოვებდით.

— ვირს დიდი ყურები აქვს, ბიძიებო, მაგრამ კაცის ცოტა ეყურება, ჯიუტია ვირი, მოფერება უნდა, დაყვავება უნდა და ზრდილობიანი მოპყრობა, — გვარიგებდა ჭკუას მანახე და კეხს ადგამდა.

— გადაყვება ახლა შენს ვირს სოსოია, სიყვარულს აუხსნის გზაში! — უთხრა ხატია.

— არ აუხსნის და წიხლიც იცის ვირმა. შენ, ჩემო ბიძია, ვირი ცხენი ხომ არ გგონია, საითაც დაუწრუბუნებ, იქით რომ გამოგყვება?.. არა, ბაბია, ვირმა იცის თავისი ფასი.

— რაც არ უნდა იყოს, მანახე ბიძია, ვირი მაინც ვირია! — ვთქვი მე.

— არაა, ბიძია, მთლათ მასე საქმე, ნაპოლეონმა თურმე ვირებით აიღო ეგვიპტე, შენ ხან ჩემი ბატონი, და ვირებმა შეგვენარჩუნებინეს აგი კავკასია, ზარბაზანი მაგათ აქონდათ თურმე მთაზე და ტყვია-წამალი, აბა ცხენი და მანქანა იქ რას ავიდოდა.

— ახლა ცხენი რომ მოგიყვანონ, არ გაუცვლიდი ამ ვირში? — ვკითხე მე.

— ვირი კი არ ვარ, ბიჭო, ამითაა, სული რომ მიდგას. — გამოიჯავრდა მანახე და ვირს კეხი დაადგა. მე ვირს ბაწარში წავავლე ხელი და ჭიშკრისაკენ დავჭაჩე.

— ორივე ერთად არ დაჯდეთ ზედ, ბიძიებო, რიგრიგობით დაჯექით, თორემ დაფარდება გზაში, თუ გაჯიუტდა, გავაზე დააჯექით, იცოცხლე მაშინ გარეკავს.

— კი, მანახე ბიძია, კი, — დაამშვიდა ხატია.

— გოგო, შენ ამასავით შტერი რომ არ ხარ, კი ვიცე, მაგრამ მამაშენს არა აქვს ჭკუა, ამ გადარეულს რომ გატანს?

— ნუ გეშინია, მანახე ბიძია!

— აბა, ჭკუით იყავით, ესე იგი, ვირის ქირა ერთი ბათმანი სიმინდი ჩემია ხომ?

— კი, მანახე ბიძია!

ბესარიონ ბიძიამ ხვითოსავით ჩამაბარა ხატია, — არ დამლუპოო, მერე თავისი ორპირა ცენტრალი გადამიკიდა მხარზე — იქნებ გაბრიყვდეს ვინმე და მოგცეს სიმინდი შიგო. სოფლის ბოლომდე გამოგვაცილა და იქ იდგა, ვიდრე თვალს არ მივეფარეთ.

ვირი მაშინ ისეთივე უცხო მოვლენა იყო გურიაში, როგორც უცხოელი ტურისტი ჩვენს ქვეყანაში ომამდე. ვადგივართ ნაბელაღვის მტვრიან გზას მე და ხატია და მოგვდევნენ უკან სოფლის ბავშვები ყიყინით. მე მრცხვენია და ვუბლვერ ბავშვებს. ვირს ფეხებზე ჰკიღია, მიღის, მიბაკუნობს და მიაპარტყუნებს უსაშველოდ დიდ ყურებს, ხატია კი ზის კეხზე თამარ დედოფალივით და იღიმება.

— რა უნდათ, სოსოია, შენგან მაგ ბაღნებს, ვირი არ უნახათ? — მეუბნება ხატია.

— შენ მაკლიხარ ახლა, ენას მოუკელი, თორემ დაგაბრუნებ სახლში.

— დავბრუნდები, თუ გინდა?

— იჯექი მანდ და ბევრს ნუ ლაპარაკობ!

— გავჩერებულყავით, სოსოია, ვინმე მოსახლესთან.

— სად უნდა გავჩერდეთ, გოგო, ჩვენს სოფელზე უარესი გაღლეტილი სოფელია.

გავდივართ სოფლიდან და სულს ვითქვამთ.

სალამოს ნაბელაღვი შევედით, პირველსავე მოსახლის კართან გავაჩერე ვირი და ჭიშკარს მივადექი.

— მასპინძლო! — დავიძახე მე. ეზოში ორი მამაკაცი გამოვიდა, ერთი შუახნის, წისქვილის დოლაბივით სახედაკენილი; მეორე — ჩემგელა, ცხვირგაბუშტული ბიჭი.

— მობრძანდით! — თქვა უფროსმა და ჭიშკარი გაალო; ვირი ეზოში ჩავიყვანე, ხატია ჩამოვსვი და გამარჯობა ვთქვი.

— ვინ ხართ თქვენ? — მკითხა ნაყვავილარმა კაცმა.

— ტყავის ქურჭი და ჩექმა გვაქვს, სიმინდზე ვცვლით, ხომ არ გინდათ?

— მაჩვენე! — მითხრა ნაყვავილარმა. მე სურჯინიდან ამოვიღე ტანსაცმელი და ვაჩვენე. ნაყვავილარმა თვლიერება დაუწყო.

— აგი ვირი შენია? — მკითხა ცხვირგაბუშტულმა.

— კი! — ვუთხარი მე.

— აგი გოგო რაია შენი?

— არაფერი!

— მაგასაც ხომ არ ცვლი სიმინდში? — გაიკრიჭა ცხვირგაბუშტული.

— ნუ იკრიჭები და ნუ გადმოგიყრია მაგი ხრონჩები, თორემ გაგაბრტყელებ ცხვირს.

— ვინაა, სოსოია, მაგი? — მკითხა ხატიამ.

— ცხვირია! — ვუთხარი მე ხატიას. ცხვირგაბუშტულმა მხოლოდ ახლა შეატყო ხატიას უსინათლობა.

— აგი გოგო ბრმაია? — მკითხა გაკვირვებულმა.

— ბრმაია, ყრუი კი არაა, შე სულელო! — ვუთხარი მე და ხატიასთან ახლოს მივედი.

— შენ, ბიძია, საჩხუბრად მოდი თუ სავაჭროდ? — მკითხა ნაყვავილარმა.

— ამოულესე პირი ამას, რომ დაუღია საღორის კარივით, და არ ვინჩუბებ, — ვუთხარი მე.

— გაჩერდი, ბიჭო, შენ! — გაუჯავრდა ნაყვავილარი ცხვირგაბუშტულს და მომიბრუნდა, — ბიჭო, ამ გაგანია სიცხეში პალტოს რომ ყიდი, აბრეშუმის ქია ხომ არ ვარ, ჩემი ფეხით შევძერე პარკში.

— თუ არ გინდა, მომეცი აგერ.

- მაინც როგორ ყიდი?
- არ ყყიდი, ორი ფუთი სიმინდი მინდა!
- შენ გადარეული ხომ არ ხარ?
- კი!
- აბა, ერთ ბათმანს მოგცემ.
- ერთი ბათმანი მაგის ჯიბეში ჩაეტევა.
- ჰოდა, გაგივსებ მაგ ჯიბეებს და გავათავოთ ვაჭრობა.
- რა აცვია, სოსოია, მაგ კაცს? — მკითხა ხატია.
- რა აცვია და დახეული პერანგი! — ვუთხარი მე და ნაყვავილარი ავათ-ვალიერ-ჩავათვალაიერ.
- ეცვას, აბა! მომეცი მაგი ქურქი, — მითხრა ხატია და ხელი გამო-მიწოდა. მე ქურქი გადავეცი.
- ჩექმაში რა მოგცე? — მკითხა ისევ ნაყვავილარმა.
- მაგ ჩექმასაც აგივსებთ სიმინდით და დაგვიტოვე, — გაიკრიჭა ისევ ცხვირგაბუშტული.
- მაინც რამდენი გინდა? — არ მომეშვა ნაყვავილარი.
- არაფერი!
- ტყუილა მაძლევ აბა?
- ტყუილა აგერ გყავს აგი ცხვირგასიებული და მაგას მოუარე, — ვუ-თხარი მე და ჩექმა ჩამოვართვი.
- ენას მოუკელი, ბიჭო შენ, თორემ ჩავამხობ ამ ჭაში თავით, ხომ არ გგონია, შენი თოფის მეშინია? — გაბრაზდა ნაყვავილარი.
- წამოდი, სოსოია! — მითხრა ხატია. მე ხატია ვირზე შევსვი და ეზო-დან გადავედი.
- გააჩერე ვირი, სოსოია, ერთ წუთს! — მითხრა ხატია. მე ვირი გავა-ჩერე. ხატია ეზოსკენ მიბრუნდა: — ხომ არ შესულან სახლში? — მკითხა ხატია. მამა-შვილი ეზოში იდგა და ჩვენ გვიყურებდა.
- არა, — ვუთხარი მე.
- ბიძია, ვირს არ იყიდი? — გასძახა ხატია.
- რად მინდა, გოგო, ვირი? — გაუკვირდა ნაყვავილარს.
- ორი ვირი გეყოლება სახლში! — გაუცინა ხატია.
- ნაყვავილარმა პირი დააღო, ცხვირგაბუშტულმა ქვის ძეხნა დაიწყო, მაგ-რამ თოფი რომ გადმოვიღე, თავი დაანება და მამამისის ზურგს ამოეფარა.
- ისევ გავყევით შარას, სოფლის ბოლოში გავედით, ვირმა ნაბიჯს უკლო.
- სად ვართ, სოსოია? — მკითხა ხატია.
- სოფლის ბოლოში, ხატია.
- რა დროა ახლა?
- დაღამდა, ხატია.
- გავჩერდეთ, სოსოია, ვინმესთან, — მითხრა ხატია. მე ბოლო მოსახ-ლის ჭიშკართან გავაჩერე ვირი.
- მასპინძლო! — დავიძახე. ოდის აივანზე კრაქიანი მამაკაცი გამოვიდა.
- რომელი ხარ? — დაიძახა მან.
- სოსოიე ვარ, მამალაძე, — ვუპასუხე.
- რომელი სოსოიე? — გაუკვირდა მასპინძელს.
- რომელი და... რა ვიცი მე... სოსოიე ვარ!
- მობრძანდი! — მიპასუხა მასპინძელმა, ეზოში ჩამოირბინა, ჭიშკართან მოვიდა, ჭრაქი მოგვანათა და გავკვირებულმა აგვათვალაიერ-ჩავათვალაიერა სამათვე.



— ღამის გათენება გვიანდა, ბიძია, — ვუთხარი მე.

— მოდი, ბიძიკო, მობრძანდი, — თქვა მასპინძელმა და ჭიშკარი გააღო.

ჩავედით ეზოში, ხატია ვირიდან ჩამოვსვი და ხელიხელჩაკიდებული წავეყვანე ოდისკენ. მასპინძელი წინ მიგვიძლოდა.

— მობრძანდით, ბიძიებო, მობრძანდით! — ამბობდა იგი და ჭრახვს ხელისგულს აფარებდა, არ ჩამიქრესო.

— ამ ვირს რა ვუყო, ბიძია? — ვკითხე მასპინძელს.

— მოხსენი კეხი და გაუშვი ეზოში, გადალმა ვერ გადავა და დილაშენი ცოტას წაიბალახებს, — მითხრა მასპინძელმა. ვირს კეხი ავხადე, ეზოში გავეუშვი და ხურჯინი მხარზე გადავიკიდე.

— კაკანო, კაკანო ქალო! — გასძახა მასპინძელმა.

— რა იყო, ადამიანო? — გამოვფოფინე და აივანზე თავსაფარწაკრული შუახანს გადაცილებული ქალი.

— სტუმრები მომყავს, კაკანო, და მოგვხედე, თუ ქალი ხარ.

— მობრძანდით, ბატონო! — დაფაცურდა კაკანო და შემოგვეგება.

ოდამი შევედით. ხატია ტახტზე დაესვი და გვერდით მოგუჯგეჭი.

— აქა მშვიდობა! — ვთქვი დაგვიანებით.

— ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგიშალს! — დამლოცა კაკანომ. ოთახში უხერხული ღუმელი ჩამოვარდა. მასპინძლები გაკვირვებულები გვიყურებდნენ და დაჯდომას ვერ ბედავდნენ. ხატია გაღიმებული იჯდა ტახტზე და ალბათ ჩემს დალაპარაკებას ელოდა, მე კი ოთახს ვათვალიერებდი და სულ არ ვფიქრობდი იმაზე, რომ მასპინძლებს ერთი სული ჰქონდათ, როდის გაგებდნენ, ვინ ვიყავით და რა გვინდოდა აქ. ოთახის ორ მოპირდაპირე კუთხეში თითო ტახტი იდგა, ერთზე მე და ხატია ვიჯექით ახლა. ოთახში ტახტების გარდა მაგიდაც იდგა ოთხსკამშემოწყობილი, ბუხართან კიდევ რამდენიმე სამეფხა იდგა და მეტი არაფერი, კედელზე კი უკანასკნელ დილაშენი შეკრულ ჯარისკაცის ხალათში გამოწყობილი გაბრაზებული ვაჟკაცის სურათი ეკიდა. ერთი ვაჟკაცის ორი სურათი ერთ ჩარჩოში. გაკვირვებული ვუყურებდი ამ სურათს და მიკვირდა, რაში დასჭირდათ ამ ადამიანებს ორი, სრულიად ერთნაირი სურათის ერთ ჩარჩოში მოქცევა. და ეს ორჯერ გაბრაზებული ერთი ვაჟკაცი ისე გვიყურებდა მე და ხატიას, თითქოს მის დაუკითხავად არ უნდა შემოვსულიყავით ამ ოთახში.

— ვისი ხართ, ნენა, თქვენ? — გვკითხა უცებ დიასახლისმა.

— ჩვენ, დეიდა, ტანსაცმელი წამოვიღეთ სიმინდზე გადასაცვლელად და დაგვალამდა გზაში. თუ არ გაგიჭირდებათ, გაგათევეით ღამე, — თქვა ხატიამ.

— მოგიკვდეს, შვილო, ჩემი თავი, ღამეს გაათევიებთ კი არა, სულ არ გაგიშობ შინ, ოღონდ აქაურობა მოგეწონოს, — ისევ დაფაცურდა კაკანო.

— რა ტანსაცმელი გაქვთ, ბიძიებო, სიმინდზე გადასაცვლელად? — იკითხა მასპინძელმა. მე ხურჯინი დავუდგი წინ.

— ბაბილო ვაშაყმაძე, მაგის დროა ახლა? მოშიებულება ალბათ ბაღნები! — გაუჯავრდა ცოლი.

— მიხედე მერე, ქალო, საქმეს. მე ხომ არ გამოვაცნობ ჰადს? — უსაყვედურა ბაბილომ და ტანსაცმელს დაუწყო თვალიერება. იგი დიდხანს ათვალიერებდა ქურქს, მერე ჩაიცვა, კედელზე ჩამოკიდებულ სარკეში ჩაიხედა, თავი გადააქნია, გაიხადა და ტახტზე დადო ფრთხილად. ახლა ჩექმას დაუწყო ტრიალი.

— შეიძლება? — მკითხა მან და წულა გაიხადა. თანხმობის ნიშნად თავი დავექნე. ბაბილომ ორთავე ხელისგულზე დაიფურთხა, ფეხი ჩექმაში ჩაყო, მერე ყელი ყურებიდან დაქაჩა და ფეხი ახალთახალ ჩექმაში კალაპოტივით ჩაჯდა.

— აგაშენა ღმერთმა. როგორ ყიდი, ბიძიკო, ამ ჩექმას? — მკითხა და წამოდგა. მარჯვენა ფეხი წინ წამოსწია, ვაჭიმა და ზედ დააცქერდა.

— ერთ ფუთ სიმინდად! — ვუთხარი მე და ხატიას გადავხედე.

— ერთ ფუთ სიმინდად! — გაიმეორა ხატიამ და გაიღიმა.

— ტყვილა, სიმინდი რომ იშოვებოდეს. ჩვენს სოფელს ნაბელლავე ტყუილა კი არ ქვია? იყო წინათ სიმინდი, ბელელიც იყო, ახლა მართლა ნაბელლავე გახდა, — თქვა ბაბილომ და ჩექმის გახდა დაიწყო. კაკანომ ამასობაში შუა ოთახში დაბალი მაგიდა დადგა. პრასის წნილით, ჭყინტი ყველით და ცივი ჭადით გააწყო, მერე ერთი დოქი ღვინო მოიტანა და სუფრასთან მიგვიპატიყა.

— მოდი, შევიღებო, მოშეებული იქნებით, — პატიყი აღარ დავიწყე, ხატიას ხელი მოვკიდე და მაგიდასთან დავსვი. ბაბილო თვალს არ აცილებდა ხატიას, კაკანოს ლოყაზე შემოედო ხელი და სინანულით თავს აქნევდა. ბაბილომ ღვინო დაგვისხა, თვითონაც შეივსო.

— ღმერთო, შენ გვიშველე, — თქვა და დალია. მე ხატიას ჭადი და ყველი გადმოვუღე და ჭიქა ჭიქაზე მივუჯახუნე. ხატიამ ჭიქა აიღო.

— კარგად იყავით სულ! — თქვა მან, ჭიქა გამოცალა და გაიღიმა.

— ვინ ხართ, ბიძიებო, თქვენ? — გვკითხა უცებ ბაბილომ და სასმენად მოემზადა.

— მე სოსო ვარ, მამალაძე, ავი ხატიას! — ვუპასუხე მე.

— რა ხართ ერთმანეთის?

— არაფერი! — ვთქვი მე.

— მეზობლები ვართ, მე და სოსოც ერთ კლასში ვსწავლობთ, — თქვა ხატიამ.

— შენ სწავლობ, ბიძია? — გაუკვირდა ბაბილოს.

— კი, სოსოიას დავყავარ კლასში.

— დიდი ხანია თვალები გტკივა, ბიძიკო? — ჰკითხა ბაბილომ ფრთხილად.

— არ მტკივა, ისე ვერ ვხედავ, თორემ სულ არ მტკივა.

— შევილო, შევილო! — თავი გადაიქნია კაკანომ, — სადაა ღმერთი, თორემ შენისთანა ანგელოსი მზეს და დღის სინათლეს როგორ არ უნდა ხედავდეს! — ხატიას თავი მკერდზე მიიზიდა და თმებზე აკოცა.

— მზეს კი ხედავს ხატია. ექიმმა თქვა, მზეს თუ ხედავს, მოვარჩენო, — ვუთხარი მე.

— მართლა, ბიძიკო? — ჰკითხა ბაბილომ და ღვინო დაასხა.

— კი, მართლა ვხედავ მზეს, ბათუმელმა ექიმმა უთხრა მამაჩემს, მზეს თუ ხედავს, დაუბრუნებ სინათლესო. ომი რომ გათავდებო, წამიყვანს მამა ბათუმში და ოპერაციას გამიკეთებენ, — თქვა ხატიამ და ჭამას შეუდგა.

— რა გქვია შენ, შევილო? — ჰკითხა კაკანომ.

— ხატია!

— მართლა ხატია ხარ, ღმერთმა სიკეთე მოგცეს, შევილო! — დალოცა კაკანომ.

— მაღლობელი ვარ! — უთხრა ხატიამ.

— გაგიმარჯოს, შევილო... ექიმმა თუ თქვა, მოვარჩენს, აბა რას იზამს, ისე ამისიშორეზე როგორ გამოგიშვა დედაშენმა, არ შეეშინდა? — ჰკითხა ბაბილომ და ღვინო დალია.

— დედა, არ მყავს და მამა სოსოიასთან ერთად ყველგან მიწვებს, — თქვა ხატია.

— გეტყობა ძალიან გიყვარს შენი სოსოიე.

— მაგი ყველას უყვარს! — თქვა ხატია.

— ფეხით კი არ მომყავს, ვირზე მიზის! — ვთქვი მე.

— თუ სიმინდი იწოვე, იქითობასაც ხომ ვერ შესვამ, ვერ ზიდავს ამდენს შენი ვირი, — გაიცინა ბაბილომ.

— ფეხით ვივლით, ნელა, მე ფეხით სიარული მირჩევნია, — თქვა ხატია.

— აცალე, ბაბილო, ბაღნებს ჭამა, რაა შე კაცო, რომ დააყარე ამდენი კითხვები, — უსაყვედურა კაკანომ.

— ჭამეთ, ბიძიებო, ჭამეთ, მერე ვილაპარაკოთ, — მოგვიწია ჭადი და ყველი ბაბილომ და ისევ დაასხა ღვინო.

ნავახშმევს ისევ ბაბილომ დაიწყო ლაპარაკი:

— დამიტოვე, ბიძია, აგი ჩექმა, მაგრამ პატარა შეღავათი მომეცი.

— რამდენი შეღავათი მოგცე, ბაბილო ბიძია? — ვკითხე მე.

— უნამუსო არ გეგონო, კი ვიცი მე ამ ჩექმის ფასი, მაგრამ ჭირს ახლა ჭადი, კი იცი შენ მაგი, ჭადი რომ არ ჭირდეს, ამ ოქრო საქონელს არ გაყიდდი, ასე არაა, ხატია ბიძია?

— ასეა, ბაბილო ბიძია! — გაუცინა ხატია.

— ჰოდა, ერთ ბათმან სიმინდს მოგცემ, სოსოია ბიძია.

— ცოტაა ერთი ბათმანი. ერთი ბათმანი სიმინდი მარტო ვირის ქირა უნდა მიეცე მანასეს, — ვთქვი და რატომღაც შემრცხვა.

— ასეთია ცხოვრება, თვალებს გაცეცეხებებსო, შენი რომ არ დაგირჩება, სხვისას გასესხებებებსო, — გამიღეჭსა ბაბილომ.

ხმა არ გამიცია.

— კარგი აბა, ბიძია, ბათმანახევრად მომცემ?

— ქურქსაც თუ იყიდი, კი, — გადავწყვიტე მე.

— ქურქს როგორ მომცემ? — მკითხა ბაბილომ და ისე გადახედა ქურქს, შევატყვე, თვალს სულიც გააყოლა.

— ორ ფუთად.

— აუ! — წამოიძახა ბაბილომ.

— მაგი ქურქი სოსოიეს მამისაა! — თქვა ხატია.

— მერე რამ გაახდევინა ტანზე აგი მამაშენს, ბიჭო? — მკითხა ბაბილომ და ქურქში მკლავი გაუყარა.

— არ გაუხდია! — ვთქვი მე.

— უხმარია?

— არა, ერთჯერ ეცვა, მეტად არა!

— ერთ ფუთს მოგცემ და ვიწმინდებ ამ ზაფხულს, ჯანდაბას ჩემი თავი... — თქვა ბაბილომ. მე თავი ჩაფლუნე. ვერ გადამეწყვიტა, მიმეცა თუ არა.

— მაგი ქურქი და ჩექმა სოსოიეს მამისაა, რომ არ უჭირდეს, სულ არ გაყიდის, ცოტაა ერთი ფუთი! არ ატანდა მამიღამისი და ძალით წამოიღო სოსოიამ, — ბაბილო რალაცას მიხვდა და შემხვდა.

— ჯარში გყავს, ბიძიკო, მამა?

— არა, — ვთქვი მე.

— აბა არ გყავს?

— არ ვიცი...



- დედა?
- არ ვიცი.
- მოიცა, ბიძია, მოიცა, დალაგებით მითხარი, რაშა საქმე?
- მაგის მამა და დედა ოცდაჩვიდმეტ წელში დააპატიმრეს, ახლა მამიდა ზრდის, ქეთო მასწავლებელი, — თქვა ხატია. ბაბილომ თავი დაიქნია. მერე ქურჭი გაიხადა და ფრთხილად დადო ტახტზე.
- ოცდაჩვიდმეტ წელში, აბა? — თქვა მან დუმილის შემდეგ.
- კი, ოცდაჩვიდმეტ წელში, — ვუთხარი მე.
- ღამე წაიყვანეს?
- კი, ღამე.
- ერთად?
- არა, ცალ-ცალკე.
- მერე?
- მერე არაფერი.
- არაფერი არ ისმის?
- არა!
- ვაი დედამისს უბედურს. გახსოვს დედა და მამა, შვილო? — შევეცოდე კაკანოს.
- ლანდად მახსოვს. სულ ლანდად, დედა უფრო კარგად მახსოვს, — ვთქვი მე. მერე ქურჭი ავიღე და დავკეცე, — ჩვენ ხვალ დილით ადრე უნდა წავიდეთ, ბაბილო ბიძია, — ვცადე საუბრის თემის შეცვლა.
- კი, ბიძია, კი, კაკანო, გაუხაზირე ამ ბაღნებს ხუთბათმან ნახევარი სიმიინდი, — კაკანო უხმოდ გავიდა მეორე ოთახში და თან ჩემი ორი ტომარა გაიტანა.
- ძნელია, ბიძიკო, ძნელი, — დაიწყო თავისთვის ბაბილომ, — ბევრი კაცი გაფუჭდა ოცდაჩვიდმეტში. ჩვენი სოფლიდანაც წაიყვანეს ორი კაცი იმ საშინელ დღეებში, გაბრიელა მეწისქვილე და იაკინთე კუნჭულია, მონაგარი-შედ მუშაობდა მაშინ კანტორაში. ღამე წაიყვანეს. დაიკარგნენ მერე... — ბაბილო დადუმდა. მეორე ოთახიდან ისმოდა სიმიინდის მარცვლის სასიამოვნო ჩხრიალი, ეტყობა, კაკანო რწყადა სიმიინდს.
- თოფს არ იყიდი, ბაბილო ბიძია? — ვკითხე უცებ.
- რა მითხარი, ბიძიკო? — ამომხედა ბაბილომ.
- თოფი ხომ არ გინდათ-მეთქი... — ვუთხარი მე.
- თოფი? ჰო, თოფი, თოფი რად მინდა, ბიძია? ამ ომში შაშვი და ჩხართვი გაწყდა, ვის ვესროლო? თუმცა კი მინდა, ნადირმა იცის ჩამოვარდნა ზამთრობით სოფელში, თოფი ყოველთვის საჭიროა, ახლა მაინც, მაგამი რა მოგცეთ, ბიძიებო? — თქვა ბაბილომ, ცენტრალი აიღო, გადახსნა და ლულეებში გახედა. მე არაფერი ვთქვი, ხატისა მოვუჭირე ხელი ხელზე. ეს თოფი ხატისი იყო და მას უნდა გადაეწყვიტა მისი ფასიც.
- კარგი საქონელია, — თქვა ბაბილომ და თოფი დაკეტა.
- ჰე, რამდენი გინდათ მაგ თოფში? — გვკითხა ისევ ბაბილომ.
- არაფერი! — თქვა უცებ ხატია, გაკვირვებისგან პირი დავადე.
- რავე, არ ყიდი? — ჰკითხა ბაბილომ ხატისა.
- არა, ბიძია, არ ვყიდი, ისე ტყუილად გაძლევ, გაჩუქებ, თუ არ დამიწუნებ, — უთხრა ხატია და გაუცინა.
- ჩემი დასაწუნი რა ჰქირს ამას, შენი ჰქირიმე ბიძია, მაგრამ ტყუილა არ



მინდა, გაგიჯავრდებიან შინ — თქვა ბაბილომ, თოფი ააყუდა კედელზე და ხატის თავზე გადაუსვა ხელი.

— აბა, ისე მე არ მინდა, არავინ არ გამიჯავრდება, ჩემია მაგი თოფი და მიჩუქნია, თუ დაიტოვებ, კარგია... — ხატიამ წამწამები ააფახულა: — უთხარი, სოსოია, ჩემი რომაა აგი თოფი და არავინ რომ არ გამიჯავრდება, — მე მივხვდი, ერთი უარიც რომ ეთქვა ბაბილოს, ხატია ბავშვივით აბღავლდებოდა და ბაბილო ბიძიას მუდარის თვალით შევხედე.

— ხატიასია აგი თოფი და გაჩუქა, ბაბილო ბიძია. რომ არ დაიტოვო, ეწყინება ხატიას... — ვთქვი და ხატიას შევხედე, ხატიამ თავი დაიქნია.

— კარგი, ბიძიკო, მადლობელი ვარ, შენ გაეზარდე შენს მამას, — თქვა ბაბილომ და ხატიას ლოყაზე აკოცა. — მოდი, ქალო კაკანო, სად დაიკარგე?.. — გასძახა მან ცოლს. — დაუგე აწი ამ ბაღებს ლოგინი და დააძინე, ნახე ერთი ხატიამ რა თოფი მაჩუქა. ამის ხათრით კი გავა კაცი ტყეში ფირალად.

კაკანო შემოვიდა. ბაბილომ თოფი გაუწოდა.

— გაწიე იქით, ყაძახო, არ გაგივარდეს... — აირიდა მან თოფი და ლოგინების დაგებას შეუდგა. ვიდრე კაკანო ლოგინებს დააგებდა, მე ისევ კედელზე ჩამოკიდებულ გაბრაზებულ ვაჟაკს შევხედე და ისევ გამიკვირდა, რაში დასჭირდა ბაბილოს ერთი კაცის ორი სურათის ერთ ჩარჩოში ჩასმა.

— ბაბილო ბიძია, რა ქვია თქვენს შვილს? — ვკითხე მე. ბაბილომ თავდასწია და სურათს შეხედა ნაღვლიანი ღიმილით, — თქვენი შვილია ალბათ.

— რომლის სახელი გაინტერესებს, ბიძია, შენ?

— დამცინი, ბაბილო ბიძია? — გავიკრიჭე მე.

ბაბილომ გაიღიმა, კეფა მოიფხანა, მერე ჩიბუხი ამოიღო, დიდხანს ტენა ხელისგულზე მოფშვნილი თუთუნით, ჭრაქით მოუკიდა და ისევ სურათს გახედა ლურჯი კვამლიდან.

— ოცი წელიწადი მე თვითონ ვეკითხებოდი, სოსოია ბიძია, რომელს რომელი სახელი გქვიათ-მეთქი, ოცი წელიწადი ორივეს ცემდა დედამისი ერთის ეშმაკობისთვის, არ მოგტყუვდეთ.

— გაუხმა დედათქვენს ხელები, შვილებო! — ამოიხრა კაკანომ.

— ათი წელიწადი სისხლი უშრეს მასწავლებლებს ამ ციგნებმა, ორი მასწავლებელი ცდიდა კლასის სხვადასხვა კუთხეში, ათწლედს რომ ამთავრებდნენ, ერთმა ხუთი მიიღო და მეორემ სამი. ატესტატების შევსების დროს მაინც შეეშალათ. მე და დედამისი ვარჩევდით მარტო, ისიც იმით, რომ ბარძაყზე ტყლიბიანი ნასია უნდა ყოფილიყო და უტყლიბო ბათუა, მაგრამ კლასში შარვალს ხომ არ ჩახდიდნენ? ოცდაშვიდი წუთით უფროსია ნასია ბათუაზე. ორივე ერთ დღეს წაიყვანეს ომში, ბიძიებო, აგი სურათი ომიდან გამომიგზავნეს პირველ თვეს, გავადიდებო, მერე დაიკარგნენ და დაგვლუბეს მე და აგი დედაბერი...

— ღმერთო, შენ გადააშენე ჩვენი დამლუბველი უშვილოდ და უძიროდ, როგორ მიდგას სული ამათ დედას, არ გიკვირთ? — თქვა კაკანომ და თავსახვევის ყურით ცრემლი მოიწმინდა.

— სოსოია, მაინც რომელი რომელია? — მკითხა ხატიამ.

— ერთია ორივე, ხატია!

— ლამაზია?

— კი, ცოტა გაბრაზებულს გადაუღია სურათი.

— შვილო, შვილო, ვინ იცის, როგორ უჭირდათ მაშინ, ვაი დედათქვენს, ახლა სად ხართ, გვიათ ეგება, გწყურიათ, გტკივათ ეგება რამე, სასიკვდილე დედათქვენი კი კიდევაც ჰამს, კიდევაც სვამს და ჰქვა რომ ურტყა თავში, მაინც არ კვდება. — ატირდა კაკანო.

— კარგი ახლა, ქალო! — გაუჯავრდა ბაბილო ცოლს, მერე მე მომიბრუნდა, — ასეა, ბიძიებო, დილიდან საღამომდე, სამი წელია, არ გაუთავდა ცრემლი ამ ჩემი ცოდვით სავსეს, მეც მკლავს და თავსაც იკლავს.

— ვაიმე, შვილებო, დედათქვენის ხელი თუ გაკლიათ ახლა, ერთი გადაძაღვებია თქვენზე თვალი და დამიკრიფა მერე გულზე ხელი, — ისევე განაგრძო კაკანომ. — ვაი თუ ტყვიამ წაგაქციათ სადმე, ჩემო ჯმუხს ბიჭებო... — ტიროდა იგი სახეზე ხელაფარებული.

— კაკანო ბიცოლა, მასე იყო ჩვენს სოფელში მეზობელი სამი წელი დაკარგული და გამოჩნდა, გუშინწინ გამოჩნდა სწორედ... ჩვენ რომ წამოვედით, იმის წინა დღეს... — თქვა უცებ ხატია.

— ბედნიერი დედამისი, რაო, რას იწერება?... — თქვა კაკანომ და თავი ასწია.

— იწერება კი არა, თვითონ ჩამოვიდა, კაკანო ბიცოლა...

— ვისზე ამბობ, ხატია? — ვკითხე მე ვაკვირვებულმა.

— ვისზე და იაკინთე ჯაბუას ბიჭზე, არ გახსოვს, ბიჭო? — თქვა ხატია.

— რაო, შვილო, მერე, შენ თუ ელაპარაკე? — დაინტერესდა ბაბილო.

— რაო და, ცუდადაა ჰიტლერის საქმეო... — დაიწყო ხატია, — ძალიან ცუდად არისო, ჩვენებს რაღაც იარაღი გამოუგონებიათ, ქალის სახელი აქვს „კატუშა“, წვავს თურმე ყველაფერს.

— მაგი მეც გავიგე, მერე, მერე... — აწრიალდა ადგილზე ბაბილო.

— მერე, მოყევი, სოსოია, შენ იქ არ იყავი? არ გახსოვს?... — წამკრა მუჯლუგუნი ხატია. რა უნდა მეთქვა, ვიჯექი პირდაღებული და არ ვიცოდი რა უნდოდა ხატიას. მე არაფერი არ მახსოვდა, მახსოვდა მარტო ის, რომ ამ ერთ თვეში ჩვენს სოფელში არავინ დაბრუნებულა და გუშინწინ სწორედ იაკინთე ჯაბუას ბიჭის დაღუპვის ცნობა მოვიდა.

— თქვი, ბიძია, თუ რამე იცი, შენს გახარებას! — მომიბრუნდა ახლა მე ბაბილო და სმენად იქცა.

— წვავსო ყველაფერსო... — დავიწყე მე, — ახლა ჩვენი თვითმფრინავები ბერლინს ბომბავენო... მალე მერე ფრონტი გაიხსნებაო...

— როდისო, იმ მამაცხონებულმა!.. — წაუვიდა სული ბაბილოს.

— მალეო! — ჩამომართვა სიტყვა ხატია. — ახლა ჩვენს ჯარს არაფერი აკლიაო, კარგად აცვიაო, კარგად ახურავსო, ისეა მოწყობილიო სანგრები, ათასში ერთი კაცი თუ დაიჭრება, სიკვდილით იშვიათად ვინმე მოკვდესო. გარბიან და გარბიან გერმანელებიო... — თქვა სულმოუთქმელად ხატია.

— უბედური დედათქვენი, შვილებო, თუ მიაწიეთ ამ დრომდე ნეტავი?... — თქვა კაკანომ და სურათს შეხედა.

— წერილები რომ არ მოდის, შვილო? — იკითხა ბაბილო.

— წერილების საწერად ვის ცალია ახლა, ბაბილო ბიძია?

— მანამდე თუ დამეხგრა, შვილო ოჯახი? ადრე თუ დავიღუპე, მაშინ რა წყალში ჩაავარდე? — თქვა ბაბილო და ხელი ჩაიქნია უიმედოდ.

— თქვი, სოსოია, კიდევ რა თქვა ვაჟიკომ, არ გახსოვს?

— რაო, ხატია, რა თქვა? — ვკითხე ვედრებით.



— რაო და, ქვეყნის ქართველები იყვნენ ჩვენთანო, მგონი ისიც თქვა, ძმები იყვნენო... — ხატიამ ნერწყვი გადაყლაპა. მე ხახა გამიშრა, ბაბილოს ჩიბუხი აუკანკალდა ხელში, კაკანომ კი დაიჩოქა ხატიას წინ და პირში მიაჩერდა. ხატია ერთხანს დუმდა, კაკანომ კალთაზე დაქაჩა, განაგრძეო, ხატია ადგა.

— ძმები იყვნენო, ხომ, სოსოია? ძმებიო... ვაშლი რომ გავიბია შუაში, ისე გავდნენო ერთმანეთს... — ხატია ისევ გაჩუმდა.

— მერე? — თქვა ჩურჩულით კაკანომ.

— მერე, კარგად იყვნენო, ორდენები ჰქონდათო, ბევრიო, ყველას გვიყვარდაო.

— ტყუპები იყვნენო? — იკითხა ხმის კანკალით ბაბილომ. ხატიამ თავი დაუქნია.

— გვარი! — ამოიკენესა კაკანომ.

— გვარი არ მიკითხია! — თქვა ხატიამ წყნარად.

— სახელები?

— თქვა და არ მახსოვს, შენ არ გახსოვს, სოსოია?.. — ხატიას ხმა ჩაუწყდა.

— არ მახსოვს, ხატია! — ვთქვი მე.

— ცოცხლები თუ არიანო? — იკითხა კაკანომ.

— იმათ რა მოკლავდა, ტყვია არ ეკარებოდათო! — თქვა ხატიამ და დაჯდა.

— წამოვალ შენთან ერთად, შვილო, შემახვედრე ის კაცი! — თხოვა კაკანომ ხატიას და მისი ხელები გულში ჩაიხუტა.

— სოსო, ერთი დღით იყო ჩამოსული, ხომ? — მკითხა ხატიამ დუმილის შემდეგ.

— ერთი დღით, ხატია! — ძლივს ამოვიღე ხმა.

— წასული იქნება, აბა? — დაიკენესა კაკანომ. ხატიამ თავი დაუქნია.

— რა ვქნა ახლა მე? — თქვა კაკანომ და მე შემომხედა.

— კიდე ჩამოვალო, ასე თქვა, მალე ჩამოვალო, — ვთქვი მე.

— რომ არ ჩამოვიდეს?

— წერილს მივწერ და გავიგებ ყველაფერს, კაკანო ბიცოლა! — ვუთხარი და სახე ავარიდე.

— მეცი პატივი, შვილო, ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროს, — შემევედრა კაკანო.

— კი, ბიცოლა!

— ღმერთო, ცოცხლები მყავს აბა ჩემი ბიჭები? ღვთიშობელო, შენი სახელის ჭირიმე. ძმები იყვნენო?.. გავდნენ ერთმანეთს ძალიანო?.. ბევრი ტყუპია ქვეყანაზე, მამაო ზეციერო, და ყველას უცოცხლე, მაგრამ ეს ორი ჩემი ნასიე და ბათუე ჰქენი, — აღაპყრო ხელი კაკანომ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბაბილო ხმას არ იღებდა, და მე მეშინოდა, რომ ეხლა წამოდგებოდა, ხელს წაგვავლებდა და ქუჩაში გავგყრიდა ამ ორ უსინდისო მატყუარას, მაგრამ იგი იჯდა საოცრად მშვიდი, გაღიმებული... თვალს არ აცილებდა ხატიას, ხელები ოდნავ უთრთოდა და მარჯვენა წარბი უთამაშებდა. ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მარტო კაკანოს ჩურჩული ისმოდა, წყნარი, ძალზე წყნარი. ალბათ, ღმერთს სთხოვდა რაღაცას, ხოლო კედლიდან ისევ მიყურებდა ორი გაბრაზებული ვაჟკაცის ორი სურათი, ერთ ჩარჩოში ჩასმული.

— ღმერთო, ამ უფთისნიერი ბავშვის მეტი დასაჩაგრავი ვერავინ ნახე? — თქვა ბოლოს ბაბილომ, მერე ადგა, კაკანოს ხელი მოჰკიდა და გაიყვანა.

— დაიძინეთ ახლა, ბიძებო, ტკბილი ძილი მოგცეთ უფალმა ჩვენ გულის გახარებისათვის, — მერე ისევ გაიღიმა და კარი გაიხურა.

არც მე და არც ხატის არ გვეძინებოდა, ხატია მთხოვა, ეზოში ჩამიყვანეთ. მე ჩავეყვანე, კაკლის ძირში დავსვი და თავი კალთაში ჩავუდე. იენისის თბილი, ძალიან თბილი საღამო იყო. ცა ისე იყო ვარსკვლავებით მოჭედილი, დათვლა არ მოგინდებოდა. ისმოდა ჭრიჭინების გაუთავებელი ჭრიჭინი, მდინარის უხეილი, ბაყაყების ყიყინი და ზედმიწევნით ერთგული, პატიოსანი ძაღლების ყეფა. ჩემს სოფელშიც ზუსტად ასეთი ღამეა ახლა, ასეთივე ჭრიჭინები, ბაყაყები, ძაღლები, ცა, მთვარე და ვარსკვლავები. მამიდაც წევს, ალბათ, ახლა ხის ძირში, უყურებს ამ ცას და ფიქრობს ზუსტად იმას, რასაც მე. რა კარგი იქნებოდა, ცა რომ სარკე იყოს, მაშინ ჩვენ, ვინც ცას ვუყურებთ, დავინახავდით ერთმანეთს. მე დავინახავდი მამიდას, დავინახავდი ჩემს სოფელს, მთელ ქვეყანას დავინახავდი. რამდენ უცნობ კაცს და ჩემს ტოლს დავინახავდი, რამდენი ნაცნობი მეყოლებოდა... მთელ მსოფლიოს გავიცნობდი და მთელი მსოფლიო გამიცნობდა. რა კარგი იქნებოდა, ცა რომ სარკე იყოს. ვნახავდი ქვეყნებს, ამოვირჩევდი ყველაზე კარგ ქვეყანას, ყველაზე კარგ ხალხს და წავიდოდი, ვიმოგზაურებდი, ვნახავდი სად არის ომი, სად სიმშვიდეა; სადაც სიმშვიდეა, ალბათ, ყველას იქ მოუნდებოდა წასვლა, ცა რომ სარკე იყოს... თუმცა, ცა რომ სარკე იყოს, მაშინ ჩვენ ყველანი დავინახავდით ერთმანეთს, ვნახავდით, რომ არა ვართ ისე ცუდები, ჩვენ რომ გვგონია, არაფერი არ გვაქვს საჩხუბარი და ომები აღარ იქნებოდა... ცა რომ სარკე იყოს, ჩვენ დავინახავდით ვის უჭირს ამ ქვეყანაზე, ვის უღბინს, მერე დაღბინებულები წავიდოდნენ გაჭირვებულბთან და მიეხმარებოდნენ... რა კარგი იქნებოდა, ცა რომ სარკე იყოს...

— სოსოია, რას ფიქრობ? — მკითხა ხატია.

— მაგი, ჩემო ხატია, შენ კი არა, მე ვერ გავიგე...

— მაინც, რაზე ფიქრობ, სოსოია?

— ცაზე ვფიქრობ!

— ცაზე რას ფიქრობ?

— ცა რომ სარკე იყოს-მეთქი, ვფიქრობ.

— რად გინდა, ცა რომ სარკე იყოს?

— აგერ თვალში ჩამივარდა რაღაცა და ამოვიღებდი.

— თქვი, სოსოია, რად გინდა?

— ეჰ, ხატია, რომ იცოდე, რა კარგი იქნებოდა, ცა რომ სარკე იყოს... —

ვუთხარი და ისევ ცას დაუწყე ცქერა. ხატია გაჩუმდა.

— თბილი ღამეა ხომ, სოსოია? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— რა იყო, გოგო, იმხელა ტყუილი რომ თქვი, სად წაესულიყავი, არ ვიცოდი!

— ტყუილი არ მითქვამს მე, — თქვა ხატია და ჩემი თავი კალთაში გაისწორა.

— აბა, მართალი იყო, რაც შენ იბუტუტურე?.. მეც რომ ჩამაცივდი, გაიხსენე, გაიხსენეთ.

— არ გახსოვს. ბიჭო, შენ, თორემ ყველაფერი მართალი ვთქვი.

— ხატია, ან შენ ხარ შტერი, ან მე გგონივარ შტერი... შენ გგონია, დაგიჯერა ბაბილომ?

— სოსოია, რომ მეთქვა ბაბილოსათვის, შენი ბიჭები დაილუპნენ-მეთქი, თუ დამიჯერებდა? — მკითხა უცებ ხატია.

— მაგას რატომ დავიჯერებდა, გოგო? — გამიკვირდა მე.

- რატომ არ დამიჯერებდა?
- იმიტომ, რომ ტყუილია!
- აბა, რომ ვუთხარი, ცოცხლებია-მეთქი, იმას დამიჯერებდა?
- მაგიც ხომ ტყუილია?

— ორი ტყუილი არ შეიძლება, სოსოია, ან ერთია ტყუილი, ან მეორეა მართალი. ან ცოცხლებია ის ბიჭები, ან მკვდრები, მკვდრები რომაა, მაგი არ ჯერა ბაბილოს და კაკანოს, მაშინ ის უნდა დაიჯერონ, რომ ცოცხლებია.

— თუ მკვდრებია?

— მე არ მითქვამს, თქვენი შვილები იყვნენ ისინი-მეთქი და ეგონოთ თავისი შვილები, ცუდია მაგი?

— ცუდი რატომია?

— აბა რა გინდა, სოსოია?

— არაფერი, ხატია, არაფერი...

ეგონოთ ბაბილოს და კაკანოს, რომ მათი შვილები ცოცხლები არიან, რაა ცუდი ამაში? არაფერი. მეერ რა, რომ ტყუილია, იქნებ მართალია? თუ მართალია, მაშინ ხომ არის კარგი? კარგია. ამაშია საქმე. ყველა მართალია კარგი? ყველა მართალი როგორ იქნება კარგი? ყველა ტყუილია ცუდი? ყველა ტყუილი რატომია ცუდი? აბა, ხომ ჯობია ცუდ მართალს კარგი ტყუილი? ჯობია. ამაშია საქმე.

— რას ფიქრობ, სოსოია? — ისევ მკითხა ხატია.

— რას, ჩემო ხატია, და ხვალ რომ ჩავალთ შინ და იმ მთვარისხელა ჭადს რომ გამოაცხობს მამიდაჩემი და რომ დავაცხრები ზედ... ამას ვფიქრობ.

— რა ფერისაა ცა, სოსოია?

— ლურჯია ცა, ხატია!

— ლურჯი თვითონ რა ფერია?.. — მკითხა ხატია. დაფიქრდი.

— ლურჯი რა ფერია, ხატია, და ცისფერია... — ავუხსენი ბოლოს.

— ცისფერი ლამაზია?

— ძალიან ლამაზი, „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“, — ხომ გახსოვს?

— ლამაზი როგორია, სოსოია? — არ მომეშვა ხატია.

— ლამაზი? — მე წამოვჯექი და ხატიას დავაცქერდი სახეზე.

— ლამაზია, ხატია, დიდრონი წყლიანი ცისფერი თვალები, შავი წამწამები... — მე ფრთხილად გადავუსვი ხატიას თვალბუხე ხელი, ხატია გაიღიმა, — შავი წარბები, — განვაგრძე მე, — წაბლისფერი თმა, სწორი, პატარა ცხვირი, გაბუტული სქელი ტუჩები, თეთრი კბილები, მრგვალი ნიკაბი, პატარა ყურები, მაღალი ყელი — აი ასეთი, შენ რომ ხარ, ეს არის ლამაზი, გეყურება, ხატია? — დავამთავრე და მხრებზე ხელები დავაწყვე.

— ესე იგი, მე ვარ ლურჯი და ცისფერი?..

მე უიმედოდ ამოვიოხრე.

— შენ როგორი ხარ, სოსოია? — მკითხა ისევ ხატია.

— მე მაიმუნი ვარ.

— მაიმუნი როგორია?

— მი რომ ვარ, ზუსტად ისეთი.

ხატია ხელებით ჩემი სახე მოძებნა.

— თმა რა ფერის გაქვს, სოსოია?

— შავი.

— თვალები შენც დიდი გაქვს და წამწამებიც. შენი თვალები რა ფერისაა,

სოსოია?

— თაფლისფერი.
— ცხვირი სწორი გაქვს და პატარა, ყურებიც პატარა, ნიკაბი მრგვალი ტუჩები სქელი. კბილები?

— კბილები ყველას თეთრი გვაქვს, ხატია.
— შენ ლამაზი ხარ ხომ, სოსოია?
— კიდევ კარგი, რომ ვერ მხედავ, ხატია!
— შენ კი გხედავ, სოსოია, შენ გხედავ... მზეს ვხედავ და მეტს ვერაფერს... — თქვა ხატიამ და ხელები ჩამოუშვა. მე ხატიას მხრებზე ხელი მოვხვიე და ჩემსკენ მოვხიდე, ხატია მორჩილად მომყვა, იგი ოდნავ თრთოდა. მისი თავი კალთაზე დავისვენე, დავინახე და თვალებში ვაკოცე, მერე ტუჩებში, მერე ყელზე, მერე ისევ ტუჩებში და ასე დავრჩით დიდხანს, დიდხანს. თავი რომ ავიღე, ხატია ტიროდა და იღიმებოდა.

— ხატია!

— სუ, სოსოია, სუ!.. — თქვა ჩურჩულით ხატიამ. მე მის ფეხებთან დავწექი გულაღმა და ცას ავხედე. ხატია ჩემკენ დაიხარა, გულზე ყური დამადო და გაინაბა. იგი ალბათ ჩემს გულისცემას უგდებდა ყურს. მე კი მისი ლოყის სითბო მეღვრებოდა სხეულში, ისე როგორც მაშინ, სუფსის პირას, მისი ხელების სითბო. ცა იყო ლურჯი, ლურჯი და ძალიან გავდა ხატიას თვალებს, მე მესმოდა მდინარის შესილი, ჭრიჭინების ჭრიჭინი, ძაღლების ყეფა, მესმოდა ყველაფერი და ვერაფერს ვხედავდი, ვარსკვლავებით მოჭედული ცისა და ხატიას გარდა. ხატია მხოლოდ მზეს და მე ვხვებოდა. ცაც გვხვებოდა ალბათ მე და ხატიას.

*

თვალი რომ გავახილე, ოთახში მკთალი შუქი შემოდიოდა. ფანჯარაში გავიხედე, თინდებოდა. ლოგინიდან წამოვდექი, ჩავიცვი და ხატიას საწოლთან მივედი ფრთხილად. ხატიას ორთავე ხელი ლოყის ქვეშ ამოედო, ტუჩები ოდნავ გაპოზოდა და მშვიდად ეძინა. მკლავზე ხელით შევებე და ოდნავ შევაქანე.

— ხატია! — ხატია შეიშმუშნა.

— ხატია!

— რა იყო, სოსო? — მკითხა და ლოგინზე წამოჯდა.

— წასასვლელი ვართ, ადექი.

— რა დროა ახლა, სოსოია?

— თენდება, ხატია, სადაცაა მზე ამოვა, ადექი, ჩაიცვი, მე წავალ, ვირს კებს დავადგამ მანამდე.

— კარგი!

ეზოში ჩავედი, ვირი ბალახს წიწკნიდა და ყურებს აპარტყუნებდა. ნაღის ძირში მორზე დადებული კეხი ავიღე, ვირს ზურგზე გადავაშხე და მოსართავეები მოვუჭირე. მერე ავირბინე და ოთახში შევედი. ხატია ჩაცმული დამხვდა.

— წამოდი, ხატია!

— რას ჩურჩულებ. ბიჭო? — მკითხა გაკვირვებულმა ხატიამ.

— რას და ძინავთ ბაბილოს და კაკანოს.

— ასე ადრეა?

— ხო.

— გავიპაროთ აბა, არ დავემშვიდობოთ?

— ნუ შევაწუხებთ ახლა, წამოდი, — ხატია გარეთ გამოვიყვანე.

— სირცხვილია, სოსოია!

— არაა სირცხვილი, წამოდი, ის უფრო სირცხვილია, რომ გავადვიდით, —

ეზოში ჩავედით, მერე დავბრუნდი, ტომრები ჩამოვარბენინე ოთახიდან, ერთ-მანეთზე გადავაბი და ვირს გადავკიდე გაჭირვებით.

— აბა, წავედით! — ვთქვი და ხატიას ხელი მოვკიდე.

— პაიტ, თქვე ჯიბვირებო, მიიპარებო? — მოგვესმა უცებ. აივანზე თმა-გაბურძვენილი, წულხევით პერანგის ამარა ბაბილო ბიძია იდგა.

— მომჭერთ თაგი? ასე უჭმელ-უსმელი მიდიხართ? რას იტყვის ხალხი, — თქვა ბაბილომ და თითით დავვემუქრა.

— ბაბილო ბიძია, მაღლობელი ვართ თქვენი, მაგრამ ასე ადრე თუ არ წავედით, დავგვამდება გზაში, — დავეჯღანე ბაბილოს.

— მაგი მართალია, ბიძიებო! — თქვა ბაბილომ და კეფა მოიფხანა.

— წავედით, აბა, ნახვამდის, ბაბილო ბიძია, — ვუთხარი მე.

— მიდიხართ, აბა?

— კი მივდივართ, ბაბილო ბიძია, დიდი მაღლობელი ვართ თქვენი, — გავუმეორე მე.

— მოიცადე, ბიძია, მოიცადე! — თქვა ბაბილომ და ისევ მოიფხანა კეფა. მერე ოთახში შებრუნდა და ცოტახანში გამოვიდა აივანზე. მე თვალები დამიბნელდა: ბაბილოს მკლავებზე ქურქი ეკიდა, ხოლო ხელში ჩექმა ეჭირა. დინჯად ჩამოვიდა კიბეზე და ჩემს წინ დადგა. მე სიტყვის ამოღებას ვერ ვბედავდი, პირი გამშრალი მქონდა და სიკვდილივით მეშინოდა, უცებ ტირილი არ წამცდნოდა.

— ა, ბიძია, აგი ჩექმა! — თქვა და ჩექმა გამომიწოდა. მე ჩექმა ჩამოვართვი და როგორც იქნა ნერწყვი გადავყლაპე. ხატია გაშტერებული იდგა და თვალებს აფახულებდა.

— აგი პალტო! — დააყოლა ბაბილომ და ქურქი კეხზე გადაკიდა.

— აღარ გინდა, ბაბილო ბიძია? — ვკითხე ჩამწყდარი ხმით.

— აღარ მინდა, ბიძია! — თქვა ბაბილომ და თავზე ხელი დამადო. — აღარ მინდა, ბიძია, არც ჩექმა მინდა, არც პალტო, თოფს კი დავიტოვებ, ნაჩუქარია, — თქვა და გაიღიმა.

— რატომ, ბაბილო ბიძია, ძვირია? — ვთქვი და შევატყვე, როგორ დამეღრიცა ქვედა ტუჩი.

— არა, ბიძია, ძვირი როგორაა, მაგრამ აღარ მინდა.

სხვა გზა აღარ მქონდა, შევტრიალდი და კეხიდან ტომრების ჩამოხსნა დავიწყე.

— რას შევბი, ბიჭო? — შეეშინდა ბაბილოს. მე გაკვირვებულმა მოვხედე.

— რას შევბი? — გამიმეორა კითხვა ბაბილომ.

— როგორ რას ვშვებ, არ მინდაო, რომ თქვი?

— მერე, საპალნეს რაზე ხსნი ვირს?

— წაილე შენი სიმიინდი უკან! — ვუთხარი მე.

— არა, ბიძიკო, არა, მომკალი ვილაცამ, მაგი რავე იფიქრე შენ? სიმიინდს კი არ გართმევ უკან, აგი ჩექმა და პალტო წაილე უკან, თორემ სიმიინდი რა შავ ქვად მინდა, მაგას ისე გაძლევი. — მითხრა ბაბილომ და თმები მომჭაჩა, — უყურე, შენ, კაცო, რა იფიქრა?.. — იმეორებდა და ხელს არ მიშვებდა.

— ბაბილო ბიძია...

— რა იყო, ბიძიკო?

— ბაბილო ბიძია... არ მინდა აბა სიმიინდი... მე... მე... მათხოვარი კი არ ვარ!.. — ამოვღეჭე ძლივს და შევატყვე, როგორ მომაწვა სისხლი სახეზე და როგორ გავწითლდი. ბაბილომ ცივად გამიშვა ხელი.

— რაო, რა მითხარი? — მკითხა მან. თავი ჩავდუნე.

— არა, რაო, რა მითხარი? — არ მეშვებოდა ბაბილო, უცებ აფეთქდა, — ჰაიტ, შე მამაძალო, ვის გაუბედე მაგის თქმა, ვინ გასწავლა უფროსებთან მასე ლაპარაკი? მათხოვარიო? მათხოვარი ვიყავი მე, თოფი რომ გამოგართვი? რას ჰქვია მათხოვარი? რაღაც ორი კეკალი სიმინდი მისცეს კაცმა კაცს, მათხოვრობაა მაგი? არ გცოდნია შენ რაა მათხოვარი... გაიგონე, ხატია, რა ანოუვიდა პირიდან? მათხოვარი არ ვარო, გეყურება? — მე თავი ველარ: შევიკავე და ყელში მომდგარ ბლავილს გზა მივეცი. ავტირდი ვალახული ბავშვივით ამხელა მუტრუკი.

— არა, ბიძია, არა არ გრცხვინია, ბიჭო? — მომხვია ხელი ისევ ბაბილომ. — პატარას რომ წამოჩიტდები, მერე შენ თვითონ გამოეწყვე ამასი. მე შენ გეტყვი, არ დაგშვენდება. მერე მესტუმრე, თუ მშვიდობა იქნა, ჩემი ბიჭების ქორწილში, გეყურება? არ დამალალატოთ შენ და ხატიამ. ახლა წადით... მე და ჩემს დედაბერს არ დაგვაფსებს ხუთი ბათმანი სიმინდი, მაგიც რომ არ იყოს, სასიმინდე სახსე მაქვს, ათ წელიწადს ხელი რომ არ გავანძრიო, ათ ოჯახს შევინახავ. ჰაიტ, შე გლახა. სულ ერთია გავვიფუქდებოდა, მაგას დაპებლავდა ერთ კვირაში და ტყუილა უნდა გადამეყარა წყალში... წადით ახლა, ბიძიებო... — თქვა ბაბილომ და ფრთხილად მომიშორა.

— ბაბილო ბიძია! — თქვა ხატიამ და ბაბილოსაკენ წამოვიდა.

— რა იყო, ხატია? — უპასუხა ბაბილომ და ხატიას შეეგება. ხატია ბაბილოს წინ დადგა, მერე ხელებით სახე მოუძებნა. ფეხის წვერებზე წამოიწია, თავისკენ დახარა და მაგრად, მაგრად აკოცა ლოყახე. მე ხატიას ხელი მოვიკიდე და ჭიშკრისაკენ წავიყვანე. ვირი თავისით გავიდა ღია ჭიშკარში და გზას დაადგა.

— არ დამივიწყოთ. ბაღნებო, თუ გექნეთ გზა აქეთ, შემომიარეთ და გამიმხნევეთ აგი დაყრუებული დედაკაცი, — თქვა ბაბილომ და ჭიშკარი დახურა.

— ნახვამდის, ბაბილო ბიძია!..

— ნახვამდის, ბიძიებო!..

ვიდრე თვალს არ მოვეფარეთ, ბაბილო ჭიშკართან იდგა და გვიყურებდა. უხმოდ მივდიოდით მე და ხატია შარახე.

სოფელი თანდათან ილეიძებდა, საკვამურებიდან აქა-იქ უკვე ამოდრიოდა თეთრი კვამლი, მამლები ფრთების დგაფუნითა და ხრინწიანი ხმით აღვიძებდნენ ძილგამტკბარ პატრონებს, წელში გახნილი ძაღლები ზმორებითა და წკავეწკავით უყფდნენ შარახე გულგრილად მობაკუნე ვირს, ჯიქანსასვე ძროხები ბლავილით უხმობდნენ დედაკაცებს. სოფლის შარახე ჩვენთან ერთად ფეხდაფეხ მოაბიჯებდა ალიონი.

სოფლიდან რომ გავედით და სერზე გადავდექით, ხატიამ გამაჩერა.

— რა იყო, ხატია? — ვკითხე მე. ხატიამ არაფერი მიპასუხა, იგი დიდხანს, დიდხანს უცქერდა აღმოსავლეთს.

სურების მთებიდან უზარმაზარი, ყვითელი, ბაჯალლო მზე ამოდრიოდა.

ზრდილობა

საით მიდიხარ, ჩემი სოფლის ბილიკო, რომ უერთდები შარას და მიყვები ამ სუფსის პირს დაღმა; საით მიგყავს ჩემი სოფელი. მე პირველად გნახე შენ, ცოცხალი, მოძრავი, ორმოცდაერთში, მაშინ შენ წახვედი და სად წაიყვანე იმდენი ზღვა ხალხი. სად წაიყვანე ჩემი ხალხი, შარაგზაო. ომში? მერე და, სულ დაღმა ხომ არ მიდიხარ, დალოცვილო, სადღაც ხომ თავდები და ბრუნდები უქან. ჰოლდა, დამიბრუნე ჩემი ხალხი, შარაგზაო, დამიბრუნე მეზობლები, ყვე-



ლაფერი დამბრუნე, რაც წაიღე და რაც წამართვი. მე ვიცი, მეც წამიყვან შენ ერთ მშვენიერ დღეს, წამიყვან დღემა, მაგრამ არა დასაკარგავში, მე ისევ დაებრუნდები, შენ თვითონ დამბრუნებ ადრე თუ გვიან. მე არ მინდა ჩემი ამბავი სხვამ მოიტანოს ამ შარავზით, მე მინდა, ჩემით დაებრუნდე და ვთქვა: ეს მე ვარ, ხალხო. მე მინდა, ასე თქვას ყველამ, ყველა თავისი ფეხით დაბრუნდეს, თუგინდ ყავარჯენებით, მაგრამ მაინც თავისით დაბრუნდეს, და თქვას: ეს მე ვარ, ხალხო, ცუცას ქმარი ვაჟიყო, ეს მე ვარ, ლუკიას კუკურა... გეყურება შენ, შარავზაო? დამბრუნე ყველა, ყველა, ვინც წამართვი ორმოცდაერთში, დამბრუნე ყველა და ყველაფერი. დროა აწი, ორმოცდაოთხი წელია, შარავზაო, ორმოცდაოთხი წელი!



ომიდან დაბრუნებულმა ზაქარია კიდურაძემ ცოლის შერთვაც მოასწრო, ბავშვიც გააჩინა და მოკავშირეთა საპატივცემლოდ რუხველტი დაარქვა თავის თავგასიებულ ბიჭს. დაიწყო ღამეების თევა, მეომრების გადაპატიჟება. ტყუილის და მართალის პირდაფენილი ყურისგდება, გაუთავებელ ამბებში ჩართული, — ჩემი ბიჭი ხომ არ შეგხვედრია, ნენა?...

უკან ბრუნდებოდა ორმოცდაერთ წელში ამ ცუდად მოკირწყლული შარავზით წასული ჩემი სოფელი. იგი ბრუნდებოდა ორდენებით მკერდამშვენებული, დაჭრილი, დაგლეჯილი, სისხლდაკარგული, მაგრამ მაინც ძვალმაგარი, ღონიერი და ძლიერი. იგი ბრუნდებოდა ევროპის უსასრულო შარავზებიდან ჩექმადამტყერილი, თითო-თითო, გაფანტული, იმავე ბილიკით, რომლითაც წავიდა იენისის მცხუნვარე დღეს.

და ეს ბილიკი ახლა მორევში გადაგდებული დიდი ბადის მოსაზიდ თოკს ჰგავდა, რომელსაც ფრთხილად და დაქინებით ეწეოდა თავისკენ მიწაზე ფეხმომავრებული სიცოცხლე.



უკანასკნელი გაკვეთილი მაშიდაჩემის იყო, მან დიდი ასობით დაგვიწერა დაფაზე საკონტროლო წერის თემა: „აკციჰამია ჰიტლერის სახე სამამულო ომის პერიოდის საბჭოთა ლიტერატურაში“, — მერე მოგვიბრუნდა და გაგვაფრთხილა:

— ბავშვებო, დღეს საღამოს ყველანი მოხვალთ სკოლაში. ცენტრიდან ჩამოსულია ლექტორი და წავგიკითხავს ლექციას თემაზე „მორალის, ეთიკისა და ზრდილობის საკითხები“. გასაგებია?

— მარტო უზრდელები მოვიდნენ, მასწავლებლო, თუ ყველა? — ვკითხე მე.

— ყველა! — თქვა მაშიდამ და წიგნი გაშალა. ჩვენ წერას შევუდექით.

რალაც ათიოდე წუთში გავესე ორი ფურცელი ჰიტლერზე წაკითხული სალანძღავი ლექსებითა და მოთხრობებით, ნაწერი წინ დაუვდე მაშიდას, მერე მივიდი, ხელი მოვკიდე ხატისა და პირველები გავედით კლასიდან.

საღამოს მთელი სოფელი სკოლის ეზოში ირეოდა. იყო ყაყანი, ხითხითი, კამათი, ყვირილი და აურზაური. უცებ ხალხი შუაში გაიბო. ეზოში მალალი, ძალზე გამზდარი, ილიაში ყვითელ პორტფელამორილი, თვალემოკუტული, ყბებჩაცვენილი და ლერწამივით ოღნავ მოქანავე თბილისელი ლექტორი

შემოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ქიშვარდის თანხლებით. რადგან კლასში ხალხი არ დაეტია, ტრიბუნა აივანზე გამართეს, მსმენელები კი ეზოში განლაგდნენ გრძელ სკამებზე. ჩვენ, ბავშვებმა, პირდაპირ კონინდარზე მოვიართხეთ ფეხები და სმენად ვიქციეთ.

ლექტორმა პორტფელი გახსნა, დიდხანს ქექა შიგ რაღაც, მერე, როგორც იქნა, მიაგნო, ამოიღო, წინ დაიდო და დაიწყო:

— ამხანაგებო! საზოგადოების განვითარების ისტორია დღემდე ითვლის ხუთ საზოგადოებრივ ფორმაციას, რომლებია ეს ფორმაციები? — გვეითხა მან და გადმოგვხედა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ზრდილობის გულისთვის არ ვუპასუხეთ. — პირველი, — განაგრძო მან, — პირველყოფილი თემური წყობილება, მეორე — მონათმფლობელური წყობილება, მესამე — ფეოდალური, მეოთხე — კაპიტალისტური და...

— სოციალისტური! — შეეშველა ვიღაც.

— სწორია! — დაეთანხმა ლექტორი და განაგრძო: — პირველყოფილი თემური წყობილების დროს, ესე იგი უხსოვარი დროიდან...

— დავიღუპეთ, სოსოია, ძალიან შორიდან დაიწყო, — წამჩიურჩულა ხატამ.

— სუ, თქვე მამაძაღლებო! — გაგვაჩუმეს უკნიდან.

— უხსოვარი დროიდან ადამიანი, მოგვხსენებათ, დადიოდა შიშველი!...

— მთლად შიშველი? — ჰკითხა ვიღაც ზურგს უკან მჯდომმა. ლექტორმა უხერხულად გაიღიმა.

— ლეღვის ფოთოლი ჰქონდა აფარებული! — განუმარტა მეზობელმა შემკითხველს.

— თქვენ წარმოიდგინეთ, სწორედ ასე, რაშიც დედამ შობა... — თქვა ლექტორმა.

— გალაქტიონეს ბაღნები ახლაც მასე დადიან!... — თქვა გერასიმე ბიძიამ.

— შემდეგ ადამიანის ინტელექტუალური განვითარების დროს პროცესებმა, გეოგრაფიულ გარემოსთან შეთანხმებით, შექმსა სამოსი.

— მაგი რაღაც ვერ გავიგე! — თქვა ასალო გულდავაძემ.

— რა ვერ გაიგე, შე უპატრონო, შეცივდა კაცს და ჩაიცვაო! — აუხსნა ბეგლარა მეწისქვილემ.

— კი მაგრამ, როგორ, მაგალითად, რომელი ადრე გაჩნდა — შარვალი თუ ხალათი? — იკითხა ასალო გულდავაძემ.

— მე მგონი, ნიფხავი და პერანგი.

— რატომ, მაგალითად?

— იმიტომ, რომ ნიფხავ-პერანგი შარვალ-ხალათის ქვეშ გვაცვია. ხომ არ შეიძლება ჯერ შარვალ-ხალათი ჩაიცვა და მერე ნიფხავ-პერანგი?

— მაგი მართალია, მაგრამ რამდენია, უნიფხოდ და უპერანგოდ რომ დაიარება ამ ქვეყანაზე?

— დაიარება და უზრდელია? — გაუჯავრდა ბეგლარა ასალოს.

— უზრდელია თუ უნიფხავპერანგო?

— მაგი კიდევ საკითხავია!

— კაცო, აცალეთ ამ კაცს, გაგვაგებინოს, ამ გაგანია ომში და უჭადობაში ასეთი ლექცია განსაკუთრებით გვეჭირდება, თორემ სულ წავედით ხელიდან, — სთხოვა კირილე ჯაბუაძე ასალოს და ბეგლარას.

— ჰიტლერს რომ დღე და ღამე დედას ვაგინებ, მაგი საკითხი როგორ დგას

მცენიერებაში, უზრდელობად ხომ არ ჩამომართმევენ? — არ მოეშვა ლექტორს ასალო გულდავაძე.

— ხმამალა გინება საერთოდ არ ვარგა, მით უმეტეს, ქალებს თუ ეყურება. რას იტყვი თქვენ, ქალებო? — ჰკითხა ბეგლარამ დამსწრე ქალებს.

— გახმა თქვენი ენა! — თქვა შავმა მაშიკომ.

— გულში გინება შეიძლება? — იკითხა მაკარიამ.

— გაჩერდით, ხალხო, სირცხვილია! — თქვა ვილაცამ.

— ვერაფერი ვერ გავიგე, რომელია სირცხვილი, რომელია ზრდილობა... — გაშალა ხელები ასალომ.

— გაუგებარი რაა, მეგობრებო? — გაუკვირდა ლექტორს. — მოხდა ეთიკური და მორალური რევოლუცია! აგნოსტიციზმის რაფინირებულ ასპექტში...

— რა გინდა, ბიძიკო შენ, ვერ გვეტყვი?... — ჰკითხა გამშრალ ლექტორს ვერასიმემ. ლექტორმა უბის ჯიბიდან სუფრისხელა ცხვირსახოცი ამოიღო და ქიშვარდი თავმჯდომარეს შეხედა საწყალი თვალებით. ქიშვარდი წყალი დაუსხა და ჩვენ მოგვმართა:

— ასე არ შეიძლება, ხალხო, ნუ დააბნევთ კაცს, აგიც ადამიანი!

ლექტორმა წყალი მოსვა და ისევ დაიწყო:

— ამხანაგებო, უბრალო ენით რომ ვითხრათ... — და იგი დაწვრილებით მოგვიყვა, როგორ გაჩნდა ზრდილობა ამ ქვეყანაზე, როგორ წამოავდო გამოქვაბულში ქვის სკამზე გამოჭიმული შვილი მამამ, როგორ გაავდო კისრისტეხით გარეთ და როგორ დაჯდა მის ადგილზე, მერე როგორ მიეჩვივნენ ბავშვები უფროსებისათვის ადგილის დათმობას და როგორ გახდნენ ზრდილობიანები, მერე როგორ იცვლებოდა ფორმაციები, როგორ უზრდელდებოდა ადამიანი, მერე როგორ მოხდა რევოლუცია. ბოლოს, ლექტორი ზრდილობის ელემენტარულ ნორმებზე გადავიდა.

— ზრდილობის, მორალის და ეთიკის ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში ქირდება ადამიანს. რა არის ზრდილობა? — დასვა კითხვა ლექტორმა.

— ბოდიში, მარა, მორალი რა არი? — იკითხა ვილაცამ.

— ადამიანი არსებობს მორალური და ამორალური.

— მაგი როგორაა, კაციც შეიძლება იყოს და ქალიც, თუ მარტო კაცი?

— რატომ, რატომ, ქალებიც გვხვდებიან!

— მაგი რაღაცა მორალია, დედის მუცლიდან დაყვება კაცს თუ მერე უნდა შეიძინოს?

— ახლავ მოვახსენებთ: მორალი, როგორც ასეთი, არ ვახლავთ თანდაყოლილი თვისება.

— ზრდილობა?

— ზრდილობაც!

— ეთიკა?

— ეთიკაც!

— გამოდის, რომ ავი-უპატრონო და საწყალი ადამიანი მთლად უზრდელი იბადება ამ ქვეყანაზე, — შეეცოდა ადამიანი მაკარიას.

— დაახლოებით ასეა, — გაიღიმა ლექტორმა.

— მერე, სად უნდა ისწავლო მაგი? — დაინტერესდა მაკარი.

— ამას ცხოვრების დიდი გამოცდილება ასწავლის კაცს.

— მოხუცებმა რა ვქნათ? — იკითხა ასალომ.

— მოხუცებისათვისაა ლექცია, შე უჯიშო, ვერ ხედავ? — უპასუხა ბეგლარამ.

— ეს მორალი მაინც ვერ გავიგე რაა! — თქვა ისევ მაკარიამ.

— მორალი — ეს უფრო ადამიანის პატიოსნების სფეროში შემავალი ატრიბუტია.

— ესე იგი, მაგი უფრო ზრდილობა და პატიოსნება რომ არა აქვს კაცს, იმაზე ნათქვამი?

— დაახლოებით ასეა!

— ახლა ავი მითხარი, მამა თუ უზრდელი ყავს ბალანას და დედაც უზრდელი, ან პირიქით თვითონაა უზრდელი, რა ეშველება მასეთ ოჯახს?

— ახლავე, ბატონო, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ჩანგალი თეფშის მარცხნივ უნდა იდევს და დანა მარჯვნივ, პირმშოს დედის საშობიდან არ დაყვება, მაგრამ შემდგომი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ინტენსიური ნატარების შედეგად შეიძლება ეს ელემენტარული ამბავი ავითვისებინოთ ბავშვს.

— უზრდელობად ნუ ჩამომართმევ, და ერთი შეკითხვა თუ შეიძლება? — აწია ხელი მაკარიამ.

— ბრძანეთ, ბატონო! — დართო ნება ლექტორმა.

— თქვენ რომ ბრძანებთ, ჭამის დროს ჩანგალი მარცხნივ უნდა იდოს და დანა მარჯვნივო, მე დღეს ხელით ვჭამე საჭმელი და ჩემი საქმე როგორ იქნება?

— ხელი თუ დაიბანე? — დაუძახა ვიდაცამ.

— კი!

— საპნით?

— საპნით, რავე ცოლს კი არ ვთხოულობდი! — გაეცინა მაკარიას.

— დაჯექი აბა, უზრდელი ხარ! — მაკარია დაჯდა.

— დატყევა თუ შეიძლება საზოგადოებაში, ბატონო? — არ აცალა ვიდაცამ ლექტორის წინა კითხვაზე პასუხის გაცემა.

— ცხვირს თუ დააცემინებთ საზოგადოებაში, ბოდიში უნდა მოიხადოთ, — დაარიგა ლექტორმა.

— კი მაგრამ, სიცოცხლე და ხეირით, ასე რომ ეუბნებიან?

— თხის კუდიო, ასეც კი ეუბნებიან, შე კაცო, — გაახსენეს შემკითხველს.

— სიმთვრალეში დასლოკინება თუ შეიძლება, ბატონო? — იკითხა ისევ მაკარიამ.

ლექტორმა შეატყო, ხალხი მასხრად მიგდებსო და შეშინებულმა გადახედა ისევ ქიშვარდი თავმჯდომარეს, ქიშვარდი თავმჯდომარემ ზარი გააწკარუნა.

— ხალხო, რა უყავით ზრდილობა, კაცი ზრდილობაზე ლექციას გვიკითხავს და აცალეთ, — იყვირა ქიშვარდით.

ლექტორს ცოტა იმედი მოეცა და სალაპარაკოდ მოემზადა.

— აღარ გვინდა ლექცია. შეკითხვები ჯობია, — თქვა გერასიმე ბიძიამ. ქიშვარდით ლექტორს გადახედა. ლექტორმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— კარგი, აბა, მიეცით შეკითხვები! — დაგვრთო ნება ქიშვარდი თავმჯდომარემ.

— ერთი შეკითხვა, — ისევ აწია ხელი ასალო გუდავაძემ. — კაცს რომ ამბავი არ აინტერესებს და მაინც რომ უყვება კაცი, თუა მაგი უზრდელობა?

— რა თქმა უნდა! — თქვა ლექტორმა. მერე უცებ მიხვდა რა თქვა და იყვირა, — ჩემგან რა ვინდათ, ხალხო... მე დავალბებული მაქვს, ჩემით კი არ

მოვსულვარ და კი არ გვიტხავთ ამ ლექციას, მე... — ლექტორი აღელდა და წყალი მოსვა.

— დაწყნარდი, ბიძიკო, — უთხრა გერასიმე ბიძიამ, — შენი ზრდილობის სწავლება ჩვენ არ გვიწინა, შენ ის გვიტხარი, წუხელ რომ ქარმა ტაროიანი სიმინდი დაგვიფინა მიწაზე, იმას რა ვუყოთ? ვენახი რომ შეუწამლავი გვრჩება, შაბიამანი სად ვიშოვოთ, თორემ ცხვირის დაცემინებაზე სანამ ბოდიშს არ მოგიხდით, მანამდე არაფერი გეტყვინოს შენც და შენს გამომგზავნაც, — გერასიმე დაჯდა. ლექტორი გაშეშებული იდგა და არაფერს ამბობდა.

— ქალაქიდან ხარ, ბიძია, ჩამოსული და ის გვიტხარი, ფრონტი რას შევება, როდის ვათავდება ეს დასაწვავი ომი, სანამდე უნდა ვდიოთ ჰიტლერს? — ჰკითხა ახლა თეოფანე წულაძემ.

— გვიტხარი რამე ისეთი, გულს რომ გაუხარდებო! — შეუძახეს აქეთ-ეჭიდან.

ლექტორი შეცბა.

— გვიტხარი, ჰო, გვიტხარი!

— მე რა უნდა ვიტხარათ, თქვენ ჩემზე უკეთესად იცით... — თქვა მან გაუბედავად.

— ზოგი შენ გვიტხარი, ზოგს ჩვენ გეტყვით. რომ დაგვდგომიხარ აბა თავზე და ამ თავგათეთრებულ ხალხს ჩანგლის ხმარებას გვასწავლი, სირცხვილი არაა?

— არ მაცალეთ, და... — სცადა თავის გამართლება ლექტორმა.

— როგორ ვაცილიდით, ბიძიკო, მაგისტრის გეცალია ახლა ჩვენ? რამე გვიტხარი ისეთი, დაგვამშვიდე, გვანუგეშე, იმედიანი სიტყვა გვიტხარი... — უთხრა ბეგლარამ.

— ფრონტის ამბავი ასეთია, ამხანაგებო, ომი წელს თუ არა, გაისად ვაზაფხულზე მაინც ვათავდება. მორჩა გერმანიის საქმე.

— ვინ აღრე შევა ბერლინში, ჩვენ თუ ამერიკა?

— ჩვენ შევალთ, ჩვენი გაჩერება აღარ შეიძლება აწი!

— რაღაც საშინელი ყუმბარა გამოუგონებიაო ჰიტლერს?

— ტყუილია მაგი, ჩვენისთანა იარაღი არავის აქვს ახლა!

— აგაშენა ღმერთმა, ინგლისი და ამერიკა ხომ არ გვიგანებს, არაა მაგენი სანდო.

— აწი ვერ გვიგანებს, ისე გერმანიის მთელი ჯარი ჩვენკენ აქვს მოყრილი, ამერიკასა და ინგლისს უომრად უთმობს ქალაქებს, ჩვენი შეჩერება უნდა, მაგრამ არ გამოვა!

— მაგი გასაგებია, ისინი ურჩევნია გერმანიას.

— მერე, როგორ იქნება გერმანიის მთავრობის საქმე?

— სასამართლო იქნება მზადდება უკვე მასალა.

— რომ გადავიდენ ამერიკელებთან, რას შობი მერე?

— მოვითხოვთ და გადმოგვცემენ.

— რომ არ გადმოგვცენ?

— რას ქვია, არ გადმოგვცენ? ნუ გეშინიათ, ხალხო, ყველას გადმოგვცემენ, ყველას ბაწარში გავაყოფინებთ თავს, ვინც ჩვენ გაგვამწარა ამ ხუთი წლის მანძილზე, წვეთ-წვეთად ავიღებთ სისხლს, ისევ დავდგებით ფეხზე, ყველას ოჯახში მოვა სიხარული, ნუ გეშინიათ, ამდენს გაუძელით, ხალხო, ქვეყანა გადარით და ცოტაც მოითმინეთ, თქვენი ჰირიმე და დედას ვუტირებთ ყველას, ვინც ფეხი დავადგა გულზე, — ისე გვთხოვა ლექტორმა, თითქოს ჩვენ-

ზე, ამ ასიოდე კაცზე ყოფილიყო ომის ბედი დამოკიდებული და როდესაც გადავხედე წუთის წინ ამრეზილ და ახლა სუნთქვაშეკრულ და სმენად ქცეულ ხალხს, მივხვდი, რომ სწორედ ამ მკაცრ, გულქვა და სათნო ხალხზე იყო დამოკიდებული ომისა და ჩემი ქვეყნის ბედიც.

ლექტორი უცებ დადუმდა, მერე დაჯდა და უხერხულად გაგვიღიმა. ხალხი დუმდა.

— ლექცია დამთავრებულია, — თქვა ქიშვარდი თავმჯდომარემ და ადგა. ხალხი აიშალა. მე ხატია წამოვყენე და აივანთან მივედი.

— შენ რა კარგი ბიჭი ყოფილხარ, ბიძიკო! — ეუბნებოდა გერასიმე ბიძია ლექტორს და მხარზე ხელს ურტყამდა, — ქიშვარდი, ჩემი სტუმრები ხართ ამდღამ ორთავე, შენც, მაკარია, ასალო, შენც...

— რას ბრძანებთ, ბატონო? — ზრდილობიანად იუარა ლექტორმა.

— არავითარი ბატონო, ჩემთან წამოხვალ, ოღონდ საკმელი ხელით უნდა კვამო! — უთხრა გერასიმემ და ლექტორს მკლავში ხელი გაუყარა.

დილამდე ისმორდა გადაბმული კრიმანჭული და გაუთავებელი მრავალყამიერი გერასიმე ბიძიას ეზოდან.

დანაბე შონი!

ისევ გათავდა სიმინდი, ისევ გაცივდა კეცი, არა და რა ახლო იყო დალოცვილი შემოდგომა, ერთი კვირა უნდოდა ჭყინტი სიმინდის შემოსვლას, მეტი არა, და სოფელი ისე ელოდა ამ ერთი კვირის დასასრულს, როგორც დედა ექვსი თვის თავზე ბავშვის კბილის ამოჭრას. ქალები ყოველ დღე ფრჩხილაგდნენ ტაროს ფუჩჩეს, ფრჩხილაგდა მამიდაც, მაგრამ სიმინდი ჯერ რძე იყო, ცარიელი რძე და ცოდვა იყო მისი მოტეხა.

— გადაირბინე, ბიჭო, მინასთან და თხოვე იმ ორშაბათამდე კიდევ გვასესხოს ერთი კოთხო ფქვილი! — მთხოვა მამიდამ.

— ვეღარ წავალ მე, მრცხვენია, წადი და შენ თვითონ თხოვე, — ვუთხარი მამიდას.

— ნე კეცს გავახტრებ მანამდე, ბიჭო! — იბოვა მამიდამ მიზეზი.

— მე გავახტრებ კეცს, — დავივალე ხელად.

— შეშას ვინ მოიტანს? — იბოვა ახალი მიზეზი მამიდამ.

— შეშასაც მე მოვიტან.

— ფოთოლს?

— ფოთოლსაც, — მოვეუქერი მე. მამიდა დაფიქრდა. ვიცოდი, რცხვენოდა მეზობელთან ფქვილისათვის გადასვლა, სიკვდილი იყო მისთვის მისი მოწაფის წმობლისათვის ფქვილის გამორთმევა. მესმოდა ყველაფერი ეს. მაგრამ მინც ვჯიუტობდი, რადგან მეშინოდა, მინას ჩემთვის უარი არ ეთქვა, მამიდას კი, თუკი იგი სადმე მივიდოდა, უარს ვერ ეტყოდნენ და ლუქმას გაუყოფდნენ.

— ბიჭო სოსოია... — დაიწყო მამიდამ.

— არ მთხოვო, მამიდა, არ წავალ, სულ ერთია, — შევაწყვეტინე მამიდას, — მრცხვენია, მრცხვენია, მრცხვენია... გეყურება შენ?

— მე არ მრცხვენია? — მკითხა მამიდამ.

— კი, მაგრამ მე უფრო მრცხვენია! — მამიდამ კოთხო აიღო და ეზოდან გადავიდა. მის მოსვლამდე ლობიდან ოთხი ძველი სარი ამოვაძრე, დავამ-

ტვრიე, ცეცხლი გავაჩაღე და ზედ კეცი გადავამხე. მერე თუნგით მოსახელი წყალი მივუღდი, თხმელის ტოტები დავამტვრიე, ფოთლებიდან გავკრიფე, გობზე დავაწყე და მამიდას დაველოდე. კარი გაიღო, სამხარეულოში მამიდა შემოვიდა, კოთხო გობის გვერდით დადგა და მკლავები დაიკაპიწა.

— რაო, მამიდა, რა გითხრა მინამ? — მამიდამ კოთხო გობზე გადმოაპირ-ქვა და ფქვილის მოსახელად მოემზადა.

— რაო, მამიდა?

— დამისხი წყალი, ბიჭო! — მითხრა მამიდამ. გობზე წყალი დავასხი.

— მაინც რაო, რა გითხრა? — არ მოვეწვი მე. მამიდამ ჯელა დაიწყო.

— კეცი გადმოდგასო სოსოია უსინდისომო! — თქვა მამიდამ. მე კეცი გადმოვღდი.

— კიდე რა გითხრა, მამიდა?

— ფოთოლი დააფინოს კეცხეო!

მამიდამ ცომი აავგორა, მე ფოთოლი დავაფინე კეცზე. მამიდამ დააკრა. მჭადი გემრიელად აშიშინდა, მე იხელა ნერწყვი გადავყლაპე, კინალამ დავიღრჩვი.

— კიდე რა გითხრა, მამიდა?

— კიდე მითხრა, რომ გამოაცხოებ მჭადს, არ აჭამო იმ უსინდისოსო!

მამიდამ კეცს თუნუქი დაახურა და ზედ ცხელი ლაღარი დააყარა.

— შენ რა უთხარი, მამიდა?

— მე ვუთხარი, არ ვაჭმევ-მეთქი.

— იმან რა გითხრა?

— იმან მითხრა, თუ არ გაჩუმდება, მუგუხალი ჩათხარე პირშიო, — მითხრა მამიდამ და ანთებული მუგუხალი ცხვირთან მომიტანა.

გავჩუმდი და კეცს მივუჯექი.

ძნელია, როდესაც გშია, დაკრული კეცის გვერდით ჯდომა. ვუყურებ კეცს და ვფიქრობ, რა ნელა გადის დრო, რა გამოუცხოებელი დაემართა? მამიდაც ამას ფიქრობს, ალბათ, ალბათ კი არა ნამდვილად, მაგრამ არ იმჩნევს. მე სული წამივიდა. თუნუქი ოდნავ ავწვიე და კეცში შევიჭკობტე, კეციდან ცხელი და სასიამოვნო ოსშივარი ამოვარდა.

— აცალე, ბიჭო, გამოცხოება, ცომია ჯერ, — მითხრა მამიდამ.

— რა უჭირს მერე, ინდაურებს და ღორებს ცომით ასუქებენ, — გავიმართლე თავი.

— მარტო შენთვის არ ცხეება მაგი მჭადი, ბიჭო, გადაჯექი იქით, — გამაფრთხილა მამიდამ. მე გადავჯექი. ისევ წაედინა უსაშველო წამები და წუთები, მოთმინების ფილაა აივსო. მამიდამ ველარ გაუძლო ცდუნებას და ახლა თვითონ ასწია თუნუქი.

— აცალე, მამიდა, ცომია ჯერ! — გავიკრიპე მე.

— მადლობა. ღმერთს, გამომცხვარა! — თქვა მამიდამ და ნახევრად ცომი მჭადი არეკა.

მე დაბალი მაგიდა მოვარბენინე, მამიდამ მჭადი მაგიდაზე დადო, დერგიდან ვრთადერთი ყველი ამოიღო და დაამტვრია, მე მაგიდაზე ყველა ამ სიკეთესთან ერთად ერთი ბოთლი ღვინო, პრასი და მარილი დავდგი. მაგიდას მოვუსხედით. მამიდამ მჭადი ცერა თითით ორ ტოლ ნაწილად ჩაამტვრია, მერე ხელში აიღო და გასტეხა. მჭადის ერთი ნახევარი კიდეც შუაში გასტეხა, ერთი მე დამიღო თეფშზე, მეორე თვითონ დაიღო და გაიღიმა, არ ვიცი მე გამიღიმა, თუ მჭადს.



მეც იგივე გავაკეთე, ჩემი არჩივი დავითრიე, ის იყო პირი გავალე, რომ ეზოში ვილაკამ დაახველა მოკრძალებით. მე და მამიდამ ერთად გავიხედეთ ღია კარისაკენ, ეზოში სუფთად წვერგაპარსული, მწვანე, გამოხუნებულ, გერმანულ სამხედრო კიტელში და უზარმაზარ ხის ქოშებში გამოწყობილი, ყბა ყბაში გაცმული, წითური, ლურჯთვალა და წვრილნიკაპიანი გერმანელი იდგა. იგი იღიმებოდა და თავს იქნევდა.

— ნემეც, პლენ! — თქვა მან. ბიჭები ამბობდნენ, რაიონში ორასი ტყვე გერმანელი მოიყვანეს, მშენებლობაზე ამუშავებენო. ზღვა ხალხი დადიოდა მათ სანახავად და ათასი ჰორით დატენილები ბრუნდებოდნენ იქიდან, მაგრამ მე არასდროს წაესულვარ მათ სანახავად. ეს იყო პირველი გერმანელი, რომელიც ჩემს სიცოცხლეში ვნახე და რატომღაც ფეხზე წამოვდექი. ფეხზე წამოდგა მამიდაც.

— გუტენ მორგენ! — თქვა გერმანელმა და ზრდილობიანად დაგვიკრა თავი.

— გერმანელი ტყვეა! — თქვა მამიდამ და უნებურად თმები გაისწორა.

— გუტენ მორგენ! — გაიმეორა გერმანელმა ღიმილით და ისევ დაგვიკრა თავი.

— გუტენ მორგენ! — ვუპასუხე მე და მამიდას შევხედე..

— რა უნდა, სოსოია? — მკითხა შემკრთალმა და დაბნეულმა მამიდამ.

— რა ვიცი, ჯერ გამარჯობის მეტს არაფერს ამბობს და... რა გინდა, ფრიცო? — ვკითხე გერმანელს და ხელი გავუქნიე კითხვის ნიშნად.

— ჰიტლერ კაპუტ! — თქვა გერმანელმა, მერე ხელი რევოლვერს მიამგვანა და საფეთქელთან მიიტანა.

— მაგი ვიცი, ვაზეთს ვკითხულობთ. შენ რა გინდა, ის გვითხარი.

— ნე ფონიმაიუ! — თქვა გერმანელმა და მხრები აიჩიჩა.

— რა გინდა, ფრიცო? — ვკითხე ახლა რუსულად.

— იოჰან, ის ბინ იოჰან! — ფრიცი არ ვარ, იოჰანი ვარო, გამაცნო თავი გერმანელმა და მარჯვენა ხელი გულზე დაიტყაპუნა რამდენჯერმე.

— რა უნდა ამ უპატრონოს, მამიდა? — ვკითხე ახლა მე მამიდას.

— რა ვიცი, ბიჭო? — მხრები აიწურა მამიდამ.

— ჰენდე ხოხ! — ვუთხარი გერმანელს სამხედროს გაკვეთილზე გაზეპირებულ ორი სიტყვა. ვაკვირვებულმა გერმანელმა ხელები ასწია და პირი დააღო.

— ჰიტლერ კაპუტ! — ვუთხარი ახლა მე.

— ჰიტლერ კაპუტ! — სწრაფად დამიდასტურა გერმანელმა ისე, რომ ხელები არ ჩამოუშვია. მე არ ვიცოდი გერმანულად როგორ უნდა მეთქვა, ხელები ჩამოუშვია-მეთქი, მივედი და ძალით ჩამოვამეგბინე ხელები გერმანელს.

— რა გინდა, რა? — ვკითხე ახლა რუსულად.

— ხლებ, ხლებ... — თქვა გერმანელმა.

— აა, შაიი პური გინდა თუ თეთრი? — ვკითხე მე.

— ნე ფონიმაიუ!

— კარაქით და ყველით გინდა თეთრი პური თუ ისე მიირთმევ?

— ხლებ, ბუტერ!

— ა, ბუტერ-ბროტი?

— ბუტერბროტ, ბუტერბროტ, — გაუხარდა გერმანელს.

— ხაჭაპურზე როგორ ხარ? — გავუღიმე მე.

— ნემეც პლენ! — თქვა მან ისევ და გამიღიმა.



— გაგიჭირდათ, ვირიშვილებო? წადი და ჰიტლერი გაქმევს, — ვანიშნე პირზე ხელის მიტანით.

— ჰიტლერ კაპუტ! — უიმედოდ თქვა მან.

— ნწუ, ნწუ, ნწუ, არ გადამრიო! — ვთქვი და სინანულით დავაქნიე თავი. გერმანელი მიხვდა, დამცინისო და ახლა მამიდას მიუბრუნდა.

— ხლებ. ფრაუ, ხლებ... — თქვა გერმანელმა და ტუჩები აუცახცახდა. მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ ტყვე არც მე, არც მამიდას აღარ გვიყურებდა, იგი თვალს არ აცილებდა გაწყობილ სუფრაზე ონშივარავარდნილ მჭადს.

— გაგიყდა ეს კაცი, სადაა საამისო პური და მჭადი? — ვუთხარი მამიდას. მამიდა გაფითრებული იდგა და ხმას არ იღებდა.

— ხლებ, ფრაუ! — გაიმეორა გერმანელმა ისე, რომ მჭადისთვის თვალი არ მოუცილებია. მამიდა უცებ შეტრიალდა, მაგიდასთან მივიდა, თავისი მჭადი აიღო და გერმანელს გამოუტანა.

— ო, დანკე შონ, ფრაუ, დანკე შონ! — თქვა გერმანელმა და აკანკალებული ხელით მჭადი ჩამოართვა. მამიდამ ერთხანს უყურა გერმანელს, როგორ დექავდა ცხელ მჭადს, მერე შევარდა სამზარეულოში. დაავლო ხელი ჩემს მჭადსაც, მეორე ნახევარ მჭადსაც, გამოვიდა, მივარდა გერმანელს და მიაწოდა.

— რას შვები, მამიდა, გაგიყდი? — ვეცი ხელში მამიდას.

— დამანებე თავი, სოსოია! — მომიცილა მამიდამ და ისევ შებრუნდა სამზარეულოში. გაკვირვებული გერმანელი ხან მე მიყურებდა, ხან მამიდას.

— ა, შენ, გერმანელო, ჭყინტი ყველი, ა, შენ ღვინო, ა, შენ ხვალინდელი მჭადი, აილე, აილე, ნუ გეშინია. მართლა გაძლევა... — ატენიდა მამიდა ამ სიმწრით ნაშოვნ ინჯრას გერმანელს და უცებ სიცილი აუვარდა.

— მამიდა! — შემეშინდა მე.

— სუ, სოსოია, მამიდა, სუ, წაიღოს, წაიღოს, კიდე რა გინდა? თქვი, გერმანელო, რა გინდა?... — არ ეშვებოდა მამიდა ტყვეს და სიცილს განაგრძობდა.

— პაპილოს, პაპილოს! — თქვა სახეგაბრწყინებულმა გერმანელმა.

— მიეცი, სოსოია, თუთუნი! — მომიბრუნდა მამიდა.

— არ მაქვს! — მოვუტყერი მე.

— კი მაქვს, სოსოია, ვიცი ჯიბეში მაქვს და მიეცი.

— არ მაქვს! — გავჯიუტდი მე.

— მიეცი, მე შენ გეუბნები, — მოთხრა მამიდამ, მერე ჯიბეში ხელი ჩამიყო, ამომიტრიალა და რაც თუთუნი მქონდა, გერმანელს გაუწოდა.

— აილე, აილე და წადი, აილე ჰო!..

გერმანელს ორთავე ხელი დაკავებული ჰქონდა. მამიდამ მისი ხელით ჩაუყარა ჯიბეში ჩემი თუთუნი.

— წადი ახლა, წადი! — გაუცინა მამიდამ და მსუბუქად ჰკრა ხელი მხარში.

— ო, დანკე შონ, ფრაუ, დანკე შონ!

— წადი, წადი! — მამიდა ხმამალა იცინოდა. მე გაშტერებული ვუცქერდი ჭკოაზე გადასულ მამიდას.

— ხედავ, სოსოია? — მკითხა მამიდამ.

— დანკე შონ! — თქვა გერმანელმა და უკან-უკან დაიხია კიბოსავით.

— წადი, წადი, არაფრის! — უთხრა მამიდამ, მერე მომიბრუნდა, გულში ჩამიკრა და გულამომჯდარი ტირილი აუვარდა. შეშინებული და განცვიფრებული გერმანელი ჩქარი ნაბიჯით გადავიდა ეზოდან.

— მამიდა, რა გატირებს, მამიდა? — ვკითხე მე გერმანელზე უფრო შეშინებულმა.

— არაფერია, სოსოია, არაფერია. ნახე, ბიჭო? — მითხრა მამიდამ და გერმანელისაკენ გაიხედა. ჩვენ შუა ეზოში ვიდექით და ვუცქერდით შუკაში მიმავალ დაფეთებულ ტყვეს, რომელიც მალიმალ უკან იხედებოდა.

მამიდა იცინოდა, ტიროდა, ისევ იცინოდა, ისევ ტიროდა, ცრემლებისგან მთლად სველი ჰქონდა ლაწვები, მაგრამ ცრემლს არ იმშრალებდა და არც მე მიშვებდა ხელს.

— ნახე, სოსოია? — ამ წუთში ვინმეს რომ ენახა მამიდაჩემი, უეჭველად გიყი ეგონებოდა, მაგრამ მე მამიდაჩემის სახეზე ამდენი ბედნიერება არასოდეს მინახავს.

*

ლამეა. ვწევარ ჩემს საწოლზე გულაღმა და ვნატრობ, კარგი სიზმარი დამესიზმროს. მიყვარს სიზმრები, რადგან უსიზმრო ღამით მკვდარი მგონია თავი. მე ასე ვანგარიშობ: დღისით, როდესაც დავდივართ და ვლაპარაკობთ, ვცოცხლობთ, ღამით, როდესაც გვიძინავს და ვერაფერს ვგრძნობთ, მკვდრები ვართ. უბედურია კაცი, რომელსაც სიზმრები არ ესიზმრება, ესე იგი, ის ნახევარ სიცოცხლეს მკვდრად ატარებს, გამოდის, რომ ასეთი კაცი ას წელიწადში ორმოცდაათი წელი მკვდარია, მე კი არა, მე სრული თექვსმეტი წლისა ვარ, რადგან იშვიათად რამე არ დამსიზმრებოდეს. მე ღამითაც ვცხოვრობ, დავდივარ, ვლაპარაკობ, მტკივა, მიხარია, მცივა, მცხელა და სიზმარეული ღამის შემდეგ, ცუდია იგი თუ კარგი, ყოველთვის ბედნიერი ვიღვიძებ. რადგან წუხელიც ვცოცხლობდი. აი, ვწევარ ახლაც და ვნატრობ, კარგი სიზმარი დამესიზმროს, იმიტომ ველაპარაკები მამიდას ყოველ ღამით, რომ სიზმარში მასთან საუბარი გავაგრძელო, მამიდა არასდროს არ მეუბნება ბოლომდე იმას, რასაც ფიქრობს, სიზმარში კი იგი მართალია, თბილია. საყვარელია, მეფერება, მკოცნის, ჭკუას მარიგებს და მეუბნება, რომ ამ ქვეყანაზე ჩემი ფასი არაფერი გააჩნია. მე მინდა ახლაც ველაპარაკო მამიდას, მაგრამ ღღევანდელი ამბის შემდეგ მერიდება, მრცხვენია და მეშინია. ამიტომ ვწევარ თვალღია, ჩემთვის, და უხმოდ ვთხოვ ღმერთს კარგი სიზმარი დამასიზმროს.

— სოსო, ბიჭო!..

— რა იყო, მამიდა?

— გძინავს?

— არა, მამიდა, რა დამაძინებს?

— ხომ ნახე, სოსოია, ის გერმანელი?

— როგორ არ ვნახე, მამიდა, ნეტავ არ მენახა! — ამოვიოხრე მე და კუჭი ამეწვა.

— რძი გათავდა, სოსოია, ომი, გეყურება შენ? — წამოიწია იდაყვებზე მამიდა.

— რას ამბობ, მამიდა, ვინ ვითხრა? — გამიკვირდა მე.

— ომი გათავდა, სოსოია, რაკი იმას ველირსეთ, გერმანელი მათხოვრად მოვიდა და პური გვთხოვა, გათავებულია ომი, გეყურება შენ? — მე ხმა არ ამოვიღე.

— შენ არ გეწყინოს, ბიჭო, სულ რომ გავატანე საკმელი, მაგრამ იმ წუთში, სახლი რომ ეთხოვა, იმასაც მივცემდი.

— კი, მამიდა, მეც მივცემდი.

— მაპატიე, სოსოია მამიდა!

— რას ამბობ, მამიდა!

— შენ არ იცი, ბიჭო, რამხელა ამბავი მოხდა, გერმანელი მოვიდა, მათხოვარი გერმანელი და პური გვთხოვა.

— კი ვიცი, მამიდა, კი.

— ომი გათავდა, სოსოია, ბიჭო, ომი!

— კი გათავდა, მამიდა, — მამიდა დადუმდა. მერე უცებ მკითხა:

— გშია, სოსოია მამიდა?

— არა, მამიდა, სულ არ მშია. შენ?

— არც მე მშია, სოსოია.

— დაიძინე აბა, მამიდა, — მამიდას ხმა არ გაუცია, არც მე მითქვამს რამე. ვიწვეით ასე ჩუმად. მერე გვიან იყივლეს მამლებმა, მე არ მეძინებოდა, ლოგინიდან ავდექი და ფეხაქრეფით მივედი მამიდასთან. მამიდას ეძინა, იგი ილიმებოდა ძილში და მიეხვდი, რომ კარგი სიზმარი ესიზმრებოდა.

მამლებმა ყვირს მოუხშირეს და მე ეზოში გავედი. ოდის სახურავებზე, ლობებზე და ფერდობებზე დნებოდა მსუბუქი, გამჟვირვალე და იისფერი ნისლი.

სოფელში თენდებოდა.

ლანძრობა

გაზაფხულზე სურების მთებზე თოვლი რომ დნება, სუფსა გიყდება. ტოვებს კალაპოტს, იხევს ტანზე ყველაფერს და შიშველი გადარეულივით გადის ჭალაში. ორიოლიბს, ჰქოხს, გლიჯს ასწლოვან ხეებს. შუბლით ეხეთქება ბურჯებს, აზანზარებს ხიდებს და მერე ნაფოტივით მიაქვს საღაღაც ქვევით, მიაქვს გაუფრთხილებელი კაციც და ნადირიც. მერე თანდათან მშვიდდება, წყნარდება, იწმინდება, ბრუნდება თავის საწოლში და ჭალაში ტოვებს უამრავ შეშას და ყანის მაცოცხლებელ შლამს, თითქოსდა იმ მწუხარების საფასურად, რომელიც თავის სიგიჟეში მიაყენა ხალხს. ხალხი მაინც ლოცავს ამ მდინარეს. მაინც უყვარს იგი. ხალხს არ ეშინია სუფსის, ლანძრობის დროს ისინი დგანან ნაპირზე კაცვებით და შეშას იჭერენ, შედიან ამ ცოფიან მდინარეში, ფაცერს ადგამენ და გზაბნეული თევზი ამოყავთ მისი უბიდან. უდგამენ დამბებს, ჯიბირებს, მისივე მოთრიული რიყის ქვით უვსებენ ხახას, აღრჩობენ. ავიწროებენ და ყოველ გაზაფხულზე აკეთებენ ამას ისეთი გულმოდგინებით, თითქოს პირველად აღიდებულყოფს სუფსა. ან საერთოდ არაფერს არ აკეთებენ, დგანან ნაპირზე გაღმა-გამოღმიდან დაღლიავებულები და მშის ჩასკლამდე უყურებენ, რა შეუძლია ამ ლაგამაწყვეტილ და მთასავით აგორებულ ბატარა მდინარეს.

მე, ნოდარა თავას, ოტია კალანდაძეს, კაყურა გაგუას და იავორა ანთიძეს ნაფიცარას ბოლოში გვედგა ფაცერი. ჩვენ ის ყველა ფაცერის თავში დავდგით და ატყდა სოფელში მეთევზეების წივილ-კივილი.

— თქვე ჯიბგირებო, რომ გადამადგით თავზე ეს ფაცერი, მე თქვენი დანაჭერი თევზის შიგანი ვჭამო? გადადგით ბოლოში, თორემ დაგშიგნავთ ყველას, — მოვარდა ბლავილით ბენედიქტე კუტუბიძე.

— აბა, ჩვენ ვჭამოთ შენი თევზის შიგანი? — ჰკითხა ნოდარა თავამ.

— ბიჭო, ნუ გავისიებია თავი და მოხსენი ახლა აგი ფაცერი სანამ გადავრეულვარ.

— სად დავდგათ, ბატონო? — იკითხა ახლა იავომ.

- სადაც გინდათ.
- ავაშენა ღმერთმა, ჩვენ აქ გვინდა! — უპასუხა იაგომ.
- ა, კილო? მე რა ვითხარით თქვენ? — გაუკვირდა ბენედიქტეს.
- რა გინდა, ბენედიქტე ბიძია? — ვკითხე მე.
- ვერ ზვდები, რა მინდა? — ისევ გაუკვირდა ბენედიქტეს, — რა მინდა და. მოხსენით ფაცერი, სანამ დამიჩეხია, და გადაიტანეთ ბოლოში.
- რა დავიჭიროთ მერე ბოლოში?
- ჰირი და სიკვდილი, რა ვიცი მე? რაც გინდათ, ის დაიჭიროთ.
- რას იწყევლები, კაცო, შენ? — მიუბრუნდა ნოდარა თავა.
- ვიწყევლებიო? ამ თავგასიებულს ვერ უყურებთ?
- რატომ ლანძღავ კაცს, მისი გაჭირვება ეყოფა! — შეეცოდა ოტიას ნოდარა.
- შენ ვინ ვკითხავს, ბიჭო?
- რას ქვია, ვინ ვკითხავს, ამხანაგია ჩემი.
- შენისთანა ამხანაგები რომ ჰყავს, იმიტომა მაგის საქმე კარგად. ახიკეთ ახლა თქვენი ნაგავი და გადადიო ბოლოში, — თქვა ბენედიქტემ და თვითონ დაიწყო ჩვენი ბარგის მოგროვება.
- ამხანაგო ბენედიქტე!.. — დაიწყო იაგორა ანთიმეძე.
- ვინაა შენი ამხანაგი, შე ტილი-ნო? — გადაირია ბენედიქტე.
- კაცო, ეს სუფსა შენი ხომ არაა? — ჰკითხა ნოდარა თავამ.
- ჩემია, აბა ვისია, სად იყავი შენ დაბადებული, მე რომ ფაცერს ვდგამდი აქ?
- ჰოდა, გვაცალე ახლა ჩვენც, — შეეხვეწა ნოდარა.
- გელაბარაკებით მე თქვენ, ან გაღმა ვადით, ან ბოლოში ვადადიო.
- კაცო, ეს მდინარე არც შენია, არც ჩემია, აგი მდინარე არის საბუთთა ხელისუფლების და შიგ რომ თევზი დაცურავს, ისიც მისია! — აფუხსენი მე.
- ვის ასწავლი, შე ტვინგაწყალბულო, რაა მთავრობის და რაა ჩემი? — გაშტერდა ბენედიქტე.
- კონსტიტუციაში წერია, რომ ყველას გვაქვს ნადირობის და დასვენების უფლებათ, — დაუსახელა წყარო ნოდარამ.
- მე მასწავლი, ბიჭო, რა წერია კონსტიტუციაში, კაცმა ხუთი კონსტიტუცია გამოვიცვალე?! — მიუბრუნდა ახლა ნოდარას ბენედიქტე.
- ასე წერია და რა ვქნა?.. — სინანულით გაშალა ხელი ნოდარამ.
- რა წერია, ბიჭო, ნოდარია თავგასიებულმა და სოსოია დაღლაჯულმა ბენედიქტე კუტუბიძეს ლუკმა გამოართვას პირშიო?.. — იკითხა ბენედიქტემ.
- მთლად მასე არ წერია, მაგრამ... ორივემ ჰამოსო, წერია, — თქვა ნოდარამ.
- ასე წერია, ხომ? — მოწურა თვალები ბენედიქტემ.
- კი! — დაუქნია თავი ნოდარამ.
- მასე ხომ? — მკითხა ახლა მე.
- კი, მასე წერია, — დავემოწმე ნოდარას.
- ის თუ წერია, უმცროს-უფროსობა იმიტომ გააჩინა ღმერთმა, რომ ზრდილობა და პატიოსნება უნდა ჰქონდეს თქვენისთანა მუტრუყებსო.
- არ გქონია წაკითხული, თორემ მაგი არ წერია.
- არა, ხომ?
- არა!
- ესე იგი, არ წერია?



- არ წერია, ბატონო, და რა ვქნათ ახლა. დავგზოცე! — თქვა იაგომ.
- მაგი არ წერია და ის წერია, რომ თქვენ ჰამოთ და მე გიყუროთ პირში, ხომ?
- ყველას გვეყოფა, ბენედიქტე ბიძია! — გავამხნევე მე.
- არა, მე შენ გეკითხები, არ წერია ხომ? — არ მომეშვა ბენედიქტე.
- არა! — გავჯოუღდი მე.
- არა და მაგას უძახი შენ კონსტიტუციას? — მკითხა ბენედიქტემ. ნაჯახი გამოიძრო ქამრიდან და ფაცერის დასაჩეხად გატრიალდა.
- რაო, რაო? რა თქვა მაგან კონსტიტუციაზე? — იკითხა უცებ ოტია კალანდაძემ. ბენედიქტე ცივად შემობრუნდა:
- რა ვთქვი, ბიჭო?
- რაო, სოსოია, რა თქვა? მაგი რა კონსტიტუციააო? შენ კიდეც, რომ დაგიღია პირი და უგდებ ყურს ამ ამბავს, კომკავშირის კომიტეტის ბიუროს წევრი, — შეუღია ახლა იაგორა ანთიძეს.
- რა ვთქვი, ბიჭო? — გაფითრდა ბენედიქტე.
- რა ვთქვიო? გეყურებათ, ბიჭებო? ხუთი კონსტიტუცია მაქვს გამოცვლილი, აგი რა კონსტიტუციააო, ჩვენი კონსტიტუცია არ მოგწონს შენ? — მოუჭკუტა თვალები ოტიამ ბენედიქტეს.
- შენ ენა გააჩერე, ბიჭო, და მაგი არ მითქვამს მე, — ნერწყვი გადაყლაბა ბენედიქტემ.
- რა არ გითქვამს? — ჰკითხა ნოდარამ. — რომ მოხვედი აქ და ჩემია აგი მდინარეო, და ამას ვიზამო და იმას ვიზამო, გამოგშიგნავთო... შენ ყოფილხარ, ჩემო ბიძია, კერძო მესაკუთრე და მაგენ კაპიტალისტური გადმონაშთი.
- ვის უბედავ, ბიჭო, მაგას? — თქვა ჩურჩულით ბენედიქტემ.
- არ გითქვამს, თუ? — ჩაერია საქმეში იაგო, — იმის მაგივრად, ახლა ომია და ხელი შეგვიწყო ახალგაზრდობას, დამდგარხარ აქ და შეურაცხყოფას გვაყენებ ჩვენც, კონსტიტუციასაც. ყველაფერ ამასთან ერთად თევზის ჰერას გვიშლი, მეტს კი არაფერს აკეთებენ გერმანელი ფაშისტები.
- გადერიეთ, ბაღნებო? — დაიკენესა ბენედიქტემ.
- თქვენნი არ ვიცი, და მე ამ საქმეს ასე არ დავტოვებ, — თქვა ნოდარამ და ფეხსაცმლის ჩაცმა დაიწყო.
- სად მიდიხარ, ბიჭო? — ჰკითხა შეშინებულმა ბენედიქტემ.
- მაგი მე ვიცი! — მოუჩქარა ჩაცმის ნოდარამ.
- რა იცი, ბიჭო, შენ?
- ძალიან გვიყვარხარ, ბენედიქტე ბიძია, მაგრამ კონსტიტუციის გინებას და კაპიტალისტურ გადმონაშთობას ვერ გაპატიებთ, — კატეგორიულად იუარა ოტიამ და ახლა ამანაც დაიწყო ჩაცმა.
- მოიცათ, თქვე მამაძაღლებო, არაფერი არ მითქვამს და ნუ გადამრევთ ახლა.
- მაგას იქ გამოვარკვევთ! — დაემუქრა ნოდარა.
- სად, ბიჭო?
- მაგი მე ვიცი.
- მაჭერიებთ, თქვე უპატრონობო? ღმერთი არ გწამთ? ტყუილს მიგონებთ? — გაგიჟდა ბენედიქტე.
- ოთხი კაცი რომ დაგადგებით პირზე, გვიყარე მერე კაკალი! — უთხრა იაგორამ.
- რა პირით დამადგებით პირზე, თქვე უცხვირპირობო?



— მაგი ჩვენ ვიცით! — თქვა ისევ ნოდარამ.

— ბიჭო, თევზის გულისთვის მლუპავ ჩემს ხელში გაზრდილი ბალანე? — ცრემლი მოადგა ბენედიქტეს, — ამ დამპალი ფაცურისთვის? შენი იყოს აგი თევზიც, აგი ფაცურიც, აგი სუფსაც, მიაღეძი და ხელივე ბორშივით, სანამ ფაშეზე არ გასკდები, — აჩუქა ნოდარას ბენედიქტემ სუფსა.

— დაგვანებებ, აბა, თავს?

— დანებებული არ გაქვს, ორი თავი გამოგივა შიგ! — მაინც უკბინა ბენედიქტემ ნოდარას.

— მაგი არაა შენი საქმე და მოგვეში ახლა! — ვუთხარი მე.

— პატარა ზევით მაინც აიჩოჩეთ, თქვე ქრისტეს ძვალის მტკვერელე-ბო, — გვთხოვა ბენედიქტემ.

— პატარას ავიჩოჩებთ, — დაუპირდით ჩვენ.

— ისე მე ცუდი არაფერი მითქვამს, თქვე მამაძაღლებო, და ენას მოუკლით.

— ა, კიდე?!.. — გაუჯავრდა ოტია.

ბენედიქტემ ნაჯახი მხარზე გაიღო, დიდხანს გვიყურა, მერე გადააფურთხა და წავიდა. ჩვენ თავი ველარ შევიკავეთ და სიცილი აგვივარდა. ბენედიქტე შემობრუნდა.

— რას გავხართ, რას, თქვე ჭინკებო?

— მოდი, ბენედიქტე ბიძია, კარგ თუთუნს მოგაწვევებთ! — დაუძახე მე. ბენედიქტემ კეფა მოიფხანა, ერთხანს იფიქრა, მერე გადაწყვიტა, დაბრუნდა და დაჯდა. მე თუთუნი მივაწოდე. ბენედიქტემ გაახვია და გააბოლა, ჩვენც გავაბოლეთ.

— ბაღნები ხართ თქვენ და არ იცით, — დაიწყო ბენედიქტემ, — ისე, როგორც ტყეს, მდინარესაც მისი კანონი აქვს, სულ ერთია მაგი, სპილოს კლავ თუ ჭინჭრაქას, თევზს იჭერ თუ ვეშაპს. მონადირემ მონადირეს პატივი უნდა სცეს, მონადირე რომ მიაგნებს შენ-შენს და დანიშნავს, მერე სხვამ რომ მოიპაროს ის შენ-შენი, კლავენ იმ კაცს თურმე, აბა! ასეა მაგი. მონადირემ მონადირეს ხელი უნდა შეუწყოს, როგორც ერთის მარჩენალია აგი მდინარე, ისე მე-ორესიც; ორივეს ერთნაირი უფლება აქვს. მე ის კი არ მინდა, თქვენ თევზი არ დაიჭიროთ? თევზს რა გამოლევს მდინარეში? რამდენი ფაცური ღვას ახლა, რომ აყვები, ჩემი ფაცურის ზევით, მაგრამ ყველას ხომ ვერ მოვახსნევინებ! მაგრამ ასე ახლო-ახლო არ გამოვა, ბიძიებო! ნახეთ აბა ჩემს ქვევით ლადიკოს ფაცური რამისიშორეზეა გამართული. ლადიკოს თოფი კი არ უსვრია ჩემთვის? რატომ, აბა, თუ იცით? იმიტომ, რომ არ მივეყარე სათოფეზე. თქვენ? თქვენ თოფს კი არა, ქვას მოგაწვდნით ჩემი ფაცურიდან, არ ვარგა მასე, ბიჭებო... — თქვა ბენედიქტემ და ადგა.

— ახლა ჭკუთ იყავით, არ ჩაგითრიოთ ლანქერმა, თორემ როგორც ჩვენ გვიყვარს თიგზის ხორცი. ისე უყვარს ჩვენი ხორცი თევზსაც. გეყურებათ?.. — ბენედიქტე წავიდა. მერე ჩვენც ავდექით, ბარგი-ბარხნა ავხიკეთ და ფაცური შორს, ზევით, სულ ზევით გადავიტანეთ.

ნაპირზე კარავი გვიდგას. ოტია და იაგო კარავში სხედან, მე და ნოდარა ფაცურზე ვართ ჩაკუტქულები და ველოდებით ლარტყებზე თევზის ამოვარდნას. მოაქვს მღვრიე ტალღას ლაყუჩებდასილული წვერა და ტობი, შემოაგდებს ფაცურზე, მერე მაცდურად გამოეცლება ქვევიდან და ფართხალებს მაჯის სისხო თევზი ჩვენს წინ, სულს დაფავს, შველას ითხოვს, მაგრამ საღ არის

საშველი. ვტაცებთ მე და ნოდარა ხელს ლაყუჩებში და პირდაპირ ნაპირზე ვისვრით.

— შეხედე, სოსოია, შენი ხატია მოვიდა! — მითხრა ნოდარამ. ნაპირისკენ გავიხედე. კარავთან ხატია იდგა და მდინარისკენ იყურებოდა.

— ხატია! — დავუძახე მე. ხატიამ ხელი დამიქნია და რალაც დამიძახა. მდინარის ღრიალში ვერ გავარჩიე, რა უნდოდა.

— რა გინდა, ხატია, რაზე მოდი? — გავძახე ისევ ხატიას, ხატიამ ორთავე ხელი პირთან მოიტანა და რალაც დამიძახა.

— რა უნდა? — ვკითხე ნოდარას.

— რა ვიცი, გადი ნაპირზე.

მე ნაპირზე გავედი.

— რა იყო, ხატია?

— გამარჯობა, სოსოია, — ხელი გამომიწოდა მან.

— ვითომ დღეს არ გინახავარ, კი ვიცი, რატომ მოდი, — ვუსაყვედურე ხატიას და ხელი ჩამოვართვი.

— დამაჭერიე, სოსოია, თევზი!

— არ შეიძლება, ვერ გავიყვან ფაცერზე, არ გვემის, ცა და ქვეყანას რომ მონაგრევეს სუფსა?

— გამიყვანე, სოსოია, და დამაჭერიე თევზი, ჩემი სოსოია, — მთხოვა ხატიამ.

— რა გინდა, გოგო, გავიყდი? — უთხრა ხატიას კარვიდან გამოსულმა ოტიამ.

— დამაჭერიეთ თევზი, თქვე უნამუსოებო! — თქვა ხატიამ და წყენით ტუჩები გაბუტა.

— აგერ, გოგო, რამდენიც გინდა დაჭერილი თევზი! — სავსე კასრი დაუდგა წინ იაგომ.

— მაგი არ მინდა მე! ჩემი ხელით მინდა დავიჭირო!

— წადი, გოგო, შინ!

— არ წავალ! — თქვა ხატიამ და ცხელ ქვიშაზე დაჯდა.

— წამოდი, კარავში მაინც დაჯექი. ტვინი აგიდულდება, — ვთხოვე გაჯი-უტებულ ხატიას.

— არა!

— არა და იჯექი მანდ! — ვუთხარი მე და ფაცერზე ავბრუნდი.

— რა უნდოდა, ბიჭო? — მკითხა ნოდარამ დაბრუნებულს.

— ფაცერზე უნდა გამოსვლა თევზის დასაჭერად! — ვუბასუხე მე.

— გამოიყვანე მერე, რა მოხდა?

— სად გამოიყვანო, ბიჭო, გავიყდი?

— მე გამოიყვანე, აბა! — თქვა ნოდარამ და წამოდგა.

— დაანებე თავი!

— ნუ გეშინია, არ დაგიღრჩობ, — გაიცინა ნოდარამ და ნაპირზე გაირბინა. ორ წუთში ნოდარამ ხატია ფაცერზე გამოიყვანა და გვერდით მოისვა. თევზი არ ჩანდა. ვიჯექით და ველოდით, ნოდარა ფაცერზე შემოცვნილ ნაფოტებსა და ფიჩხებს წყალში ყრიდა, თან ლილინებდა:

ქაშაპმა უთხრა წვერასო,

აუტანიხარ წვერასო...

— სადაა თქვენი თევზი? — გვკითხა ხატიამ.



— აგერ, პატარა საქმეზე გვყავს გაგზავნილი და დაბრუნდებიან ამ შუაღამოს, — თქვა ნოდარამ. თევზი კი არ ჩანდა.

— არ მოგვეჭრა, ბიჭო, თავი? რაღა ახლა გაწყდა? — ვუთხარი მე ნოდარას.

უცებ ტალღამ მკლავის სისხო წვერა შემოაგდო ფაცერზე. მე და ნოდარა ერთად წაიხარეთ მის ასაღებად, წვერამ გაიბრძოლა და პირი იბრუნა ჩქერში, ისევ შემოაგდო ტალღამ და ისევ იბრუნა წვერამ პირი. ვიკადრეთ წყალში შესვლა, დავგორდით ფაცერზე და ძლივს გავაკავეთ გადარეული თევზი. ნოდარამ ოთხივე თითი გაუყარა ლაყუჩებში და ამოათრია.

— შენი იღბალია, ხატია! — უთხრა მან ხატიას და თევზი სულ ახლოს მიუტანა. წვერა აფართხალდა და კული დაჰკრა მკერდზე ხატიას. ხატია დაიჭირა თევზი ორთავე ხელით და გახურებულ ლოყაზე მიიღო.

— უჰ, რა ცივია, სოსოია!

— არ გადააგდო ახლა წყალში მაშინდელივით! — ვთხოვე მე.

— ნუ გეშინია, ამას არ გადავაგდებ! — დამამშვიდა ხატია. მე ისევ მივბრუნდი წყლისკენ. მივბრუნდი და უცებ შუბლი გამიცვიდა, თვალები ამიჭრელდა: სუფსას უზარმაზარი ტოტებდასლეჩილი წაბლის ხე მოჰქონდა პირდაპირ ჩვენს ფაცერზე.

— ნოდარა, ჭოკი! — ვიბღავლე მე. ნოდარა გველნაკბენივით შემოტრიალდა.

— ხატია, აქეთ! — მივვარდი ხატიას, მაგრამ უკვე გვიანი იყო, მე ვიგრძენი საშინელი ბიძგი, გავივინე ძლიერი ლაწანი, მერე ვიგრძენი როგორ ამოვტრიალდი ჰაერში, ჩემს თვალწინ უცებ გამოკრთენ კარვიდან გამოცვნილი ხელგაშლილი და აღრიალებული ბიჭები. მერე უცებ ჩავვარდი სადღაც ბნელ, სველ და საშინლად ცივ ორმოში, სილით ამეგვო პირი, თვალები, ყურები და დაღმა დამაქანა ვეებერთელა ტალღამ. გრძნობა არ დამიკარგეს, მარჯვნივ, მარჯვნივ, მარჯვნივ, — მკარნახობდა ვიღაც თუ რაღაც, — მარჯვნივ დააწევი, ცოტაც, ცოტაც გაუძელი, ბიჭო, სოსოია“. თვალს ვახელ, ვერაფერს ვხედავ, ვყლაპავ წყალს, ეხლა თუ არ ამოვისუნთქე, ფილტვები გამისკდება. ჩქარა, ჩქარა, ჯანდაბას, აღარ შემიძლია, გინდა დავიღრჩო, მაინც უნდა ჩავისუნთქო. უცებ გავარჩიე შეშინებული ბიჭები... ისინი ნაპირზე გარბოდნენ და რაღაცას ყვიროდნენ... ნეტა რა აყვირებთ ამ სულელებს, ვერ ხედავენ, რომ ამოვედი?

— ჰეი, აქეთ, ბიჭებო, აქეთ, აგერ ვარ, აგერ! — ცყვირი და მე თვითონ არ მესმის, მერე უცებ ყურებში გაწყდა რაღაც, ჯერ მდინარის ღრიალი გავიგონე, მერე საკუთარი გულის ძგერა და ბოლოს...

— ხატიაა! ხატიაა! ხა-ტი-ა-აა!! — გაუთავებელი ზარი.

— ხატიაა! — კიოდნენ ბიჭები და მისდევდნენ ნაპირს.

— ხატიაა! — ვთქვი და დავჯექი. მერე აღარ მახსოვს, როგორ გავჩნდი ბიჭებთან. მახსოვს მხოლოდ, როგორ მკავებდნენ ნოდარა და ნაპირზე მოცვნილი ხალხი, როგორ მიათრევედა ხატიას სუფსა და როგორ ვერ ბედავდა ამ უცილო სიკვდილში ფეხის შედგმას ვერავინ. მერე ყველამ დავინახეთ. როგორ გადმოვარდა მეორე ნაპირიდან ვიღაც, როგორ გადაეშვა სუფსაში ტანროგორ გადმოვარდა მეორე ნაპირიდან ვიღაც, როგორ გადაეშვა სუფსაში ტანგაუხდელი. ხან მალავდა ტალღა, ხან ისევ გამოაჩენდა, იგი ძლიერი მხარულით მისდევდა ხატიას. ბოლოს, როგორც იქნა, დაეწია და მხარზე შეიგდო. სკოლამდე ათრია ხატია და ის კაცი სუფსამ. სკოლასთან იმ კაცმა აჯობა მდინარეს, ფორთხვით ამოვიდა ნაპირზე და სილაზე გულადმა დასვენებულ ხა-



ტიას გულზე ყური დაადო, მერე ხელში აიყვანა პატარა ბავშვივით, ბარბაროს შვიყვანა სკოლის ეზოში და მოლზე დაასვენა. მთელი სოფელი გარს შემოეხვია ხატისა და მის გადამრჩენელს. იგი ცალ მუხლზე დაჩოქილი ხელოვნურად ასუნთქებდა ხატისა, მე მის გვერდით დავიჩოქე. მან ირიბად გამომხედა, ჩემს წინ დათიკო ბრივადირი იყო. ხმა არ ამოუღია, განაგრძობდა თავის საქმეს. დიდხანს და დინჯად. დათიკომ ახლა საფეთქლების ზელა დაუწყო ხატისა.

— ხატია! — ვთქვი მე. ხატია ხმას არ იღებდა.

— ხატია! ხატია! — გავიმეორე მე. ხატის წამწამები ოდნავ შეირხა, მერე თვალი გაახილა და ჩუმად, ძალიან ჩუმად, ალბათ მართო ჩემს გასაგონად თქვა:

— სოსოია!

— ცოცხალია? — იკითხა ვიღაცამ ხალხიდან.

— ცოცხალია! — თქვა დათიკომ და მთელი ტანით აიძვრა.

ხალხში ჩურჩულმა ქარივით გაიქროლა და უცებ ეს ზღვა ხალხი, როგორც ერთი, ისე დამუნჯდა.

დათიკო შუა წრეში გავიდა და დადგა, გამხდარი, წვერგაუპარსავი, თვლებდასისხლიანებული და ტანსაცმელშემოგლეჯილი. მან ხალხს მოავლო თვალი. მერე ყველას სათითაოდ და ვისაც იგი შეხედავდა, ყველა უკან იხევდა, უხერხულად იშმუნებოდა და თავს ხრიდა. დათიკო იდგა და ელოდა, როდის ამოიღებდა სოფელი ხმას, მაგრამ მისი სოფელი სდუმდა, როგორც სამარე და მე შემეშინდა ამ დუმის ისე, როგორც ომის დაწყების პირველ დღეს შემეშინდა მისი. დათიკო კიდევ დიდხანს ელოდა, მაგრამ ხალხი დამუნჯდა, მაშინ დათიკომ მოიგლიჯა ქამარზე თასპით დაბმული რევოლვერი, მიწაზე დააგდო და მორჩილად ჩამოუშვა ხელები. ხალხი ისევ სდუმდა.

— ამოიღეთ, ხალხო, ხმა! — თქვა დათიკომ მუდარითა და ხმის კანკალით. ხალხი ხმას არ იღებდა.

— გამოდი, ვალოდია, და დამიჭირე, ხომ ხარ უშიშროების მუშაკი, გამოდი, რას უყურებ, დაყრილი მაქვს იარაღი! — მიუბრუნდა იგი ვალოდია ჯაშუს.

ვალოდია გამოვიდა წრიდან და დათიკოს პირდაპირ დადგა. ხალხი განიხაბა. ხალხი ელოდა რაღაც უბედურებას, სროლას, დაპატიმრებას, ყვირილს, შერცხვენას, ტირილს და მოხდა რაღაც უფრო უარესი, საშინელი და წარმოუდგენელი: ვალოდია ჯაშუ შეტრიალდა და ისე გავიდა სკოლის ეზოდან, უკან არ მოუხედავს. დათიკო გაფითრდა, ყბა მოენგრა.

— ბაღრია, შენ რაღას უყურებ, გამოდი და ამიყვანე პატიმრობაში, აღარ შემიძლია მეტი, კაცი არ ხარ? — მიუბრუნდა იგი ბაღრია თავართქილაძეს. მაგრამ ბაღრია უკვე გადიოდა სკოლის ეზოდან.

— ხალხო! — დაიკვნესა დათიკომ და ხალხმა გააკეთა იგივე, რაც ვალოდიამ და ბაღრიამ, ისინი თავჩაქინდრულები, უხმოდ, თითო-თითოდ გადიოდნენ წრიდან და სტოვებდნენ შუა მინდორში ქრისტეს გლახასავით ვედრებად დავარდნილ დათიკოს.

მერე მან თვლებზე აიფარა ხელები, მუხლებზე დაეცა და ბავშვივით აქვითინდა. მე ვუყურებდი დათიკოს და ვფიქრობდი, რა ბედნიერი იყო ამ წუთში ხატია. რომ ვერ ხედავდა, როგორ ტიროდა იგი და როგორ ხდებოდა თანდათან ეს მთასავით ვეებერთელა კაცი მუშტისხელა.

— შეგიძლია, ხატია, წამოსვლა? — ვკითხე მე ხატისა.

— კი შემიძლია, სოსოია! — მითხრა მან და წამოდგა. მე ხელი მოვხვეწე წელზე და ფრთხილად წაიყვანე ეზოდან. დათიკოს რომ ჩავუარეთ, ხატია გაჩერდა.

დათიკომ ცრემლიანი თვალებით ამოგვხედა.

— რა ვქნა ახლა მე, სოსოია? — მკითხა მან.

— არ ვიცი, დათიკო!

— არც შენ იცი, ბიჭო? — მე თავი ჩავლუნე. დათიკო წამოდგა და გზას გახედა. გზაზე არავინ იყო. იგი მთვრალივით გავიდა ეზოდან. ჭიშკართან შეჩერდა და ისევ მკითხა:

— სად წავიდე ახლა მე, სოსოია? — მე არ ვიცოდი, სად უნდა წასულიყო დათიკო და არაფერი არ ვუპასუხე. მაშინ დათიკომ ხელი ჩაიჭინა, შეტრიალდა და წავიდა...

დიღხანს მიდიოდა იგი თავჩაღუნული. გზაჯვარედინთან რომ მივიდა, გაჩერდა, ცოტახანს იდგა, მაგრამ ტყისკენ აღარ ვაღაუხვევია, პირდაპირ დააღდა მთავარ თემშარას და წავიდა, ალბათ, თვითონაც არ იცოდა საით.

სუფსას ღრიალით მოჰქონდა ხე და მიწა, სოფლის შარაზე ზარების სქარუნით მობლაოდა ნახირი. იქ, სადღაც შორს, საითაც დათიკო თვალს მიეფარა, მზე ზანტად ჩადიოდა.

მე მხელავთ, ხალხო!..

გამარჯობა, ბეჟანა! მე ვარ, შენი სოსოია. ხომ არ მემღწერი, ჩემო ბეჟანა? რამდენი ხანია შენთან არ ვყოფილვარ. აგერ გვირა ამოსულა, მაგრამ ეხლავე გავწმინდავ. ამ ჯვარსაც გავმართავ და სკამსაც შევღებავ, შენ ნუ გეშინია. ჩემამდე არავინ ყოფილა შენთან? თუმცა ვინ იქნებოდა, უყურე, ხატის ასკილს ყვაილი გამოუღია და გაცვენია კიდევაც, რამდენი დრო გასულა. ჰაუ, რა ამბები მაქვს, ბეჟანა, შენთვის სათქმელი, რომ იცოდე, არც კი ვიცი, საიდან დავიწყო. მოიცა, ამ ბარდს მოვთხრი და ყველაფერს მოგიყვები. ომი გათავდა, ბეჟანა, ომი. ველარ იცნობ ჩვენს სოფელს, ქვეყნის ხალხი დაბრუნდა, გერასიმეს ბიჭი დაბრუნდა, ნინიჩქას ბიჭი დაბრუნდა, მინას ევგენი დაბრუნდა, ნოდარას მამა დაბრუნდა, ოტიას მამაც დაბრუნდა, ცალფეხა დაბრუნდა, ბეჟანა, მაგრამ მაგის ფეხს ვინ უყურებს, ვის უნდა მაგის ფეხი. ლუკაიას კუკურა არ დაბრუნდა, ბეჟანა, არც შავი მაშვიკოს მალხაზა, ბევრი არ დაბრუნდა და მაინც ვერ იცნობ, ბეჟანა, ჩვენს სოფელს, ახლა მარილიც იწოვება და მჭადიც. შენს მერე ათი ქორწილი იყო, ბეჟანა, ათივეზე დამპატიეხს და ღვინოს მაძალებდნენ დიდი კაცოვით. გოგია ცერცვაძე ხომ გახსოვს? ათი შვილის მამაა, იგიც დაბრუნდა და მისმა ცოლმა თალიკომ მეთერთმეტე ბავშვი გააჩინა, შუქრია. ასეთი არაფერი მინახავს, ბეჟანა, მოკვდები სიცილით რომ გაიგო, ეს მელოვინე ქალი კორკიმელზე იყო გასული, მშობიარობა რომ დაეწყო. ხეზე კინხამ დაბადა ბავშვი. გეყურება შენ? ძლივს მიუსწრეს. ზეწარი გაუფიქრეს ხის ძირში, მაგრამ მოასწრო ჩამოსვლა. გოგიამ უთხრა: რას ჩამოდიოდი, შე ქალო, ბარემ კორკიმელზე მოგემშობიარებია და გიღლით ჩამოგეშვაო. იმ ბავშვს შუქრია კი დაარქვეს, მაგრამ მე მაინც კორკიმელას ვეძახი. ხომაა სასაცილო, ბეჟანა? კორკიმელაც კარგი სახელია არა? ჩემი შერქმეულია. კიდევ ცამეტი ბავშვი გაჩნდა შენს მერე და შვიდის ნათლია მე ვარ, ბეჟანა. ერთი ამბავი მოხდა კიდევ, ბეჟანა, ვიცი გაგიხარდება. ხატია მამამისმა ბათუმში წაიყვანა ექიმთან,

ოპერაციას გაუქმებენ და თვალი აეხილება. მერე? მერე შენ ხომ იცი, ბეჟანა, მე როგორ მიყვარს ხატია? ცოლად მოვიყვან, აბა რას ვიზამ. დიდ ქორწილს გადავიხდი. მერე მეც მიყოლება შვილი და მისი ნათლია სხვა იქნება... რომ არ-აეხილოს თვალი? მაშიდაც მავას მეკითხება, ბეჟანა, ყოველ ღამე მეკითხება. შენ გგონია არ მოვიყვან? მაინც მოვიყვან, ბეჟანა, მაინც, არ შეიძლება ხატის ცხოვრება უჩემოდ. არც ჩემი ცხოვრება შეიძლება უმისოდ. შენც ხომ გიყვარდა ვიღაცა მინადორა, ბეჟანა? ჰოდა, მეც მიყვარს ჩემი ხატია. მაშიდა-ჩემსაც უყვარს ვიღაცა. აბა რატომ ეკითხება კოწია ფოსტალიონს ყოველდღე, წერილი ხომ არ არისო? რატომ ხვდება მანქანებს? ვიღაცას ელოდება. შენ კი იცი, ბეჟანა, ვის ელოდება, მაგრამ ისიც ხომ იცი, რომ არ დაბრუნდება ის?... მეც ველოდები ახლა ხატის, ჰოდა, სულ ერთია ჩემთვის, როგორ დაბრუნდება. ერთიც ვნახოთ, აახილა ხატიამ თვალი და არ მოვეწონე, რას იტყვი შენ, ბეჟანა? თუმცა მაშიდაჩემი კი მეუბნება, გაიზარდო, დავაყვავდიო, დამშვენდიო, ვეღარ გცნობო, მაგრამ რა ვიცი... არა, ხატის არ შეიძლება რომ არ მოვეწონო. ხატიამ იცის, როგორიც ვარ, ხატია მხედავს მე, თვითონ მითხრა. მე უკვე კაცი ვარ, წელს ათი კლასი დავამთავრე, მერე უმაღლესში შევალ, ვისწავლი, ექიმი გავხდები და ჩემი ხელით ავუხეღ თვალებს, ახლა თუ არ აეხილა. გესმის, ბეჟანა?

— ვის ელაპარაკები, ბიჭო, გაგიჟდი? — მკითხა ვიღაცამ ზურგს უკან. მე შემოგტრიალდი და გერასიმე ბიძია დავინახე.

— გამარჯობა, გერასიმე ბიძია!

— გაგიმარჯოს. რას აკეთებ აქ?

— არაფერს. ისე გამოვიარე!

— ჩადი აბა ფოსტაში, ბესარიონი და ხატია ჩამოვიდნენ! — მითხრა გერასიმე ბიძიამ და ლოყაზე ხელი მოჰითათუნა.

— მერე? — ვკითხე მე და სუნთქვა შემეკრა.

— წადი, ბიძია, და შეეგებე. გაიქეცი, გაიქეცი!... — გერასიმეს სიტყვის თქმა აღარ დავამთავრებინე, მოვწყდი ადგილიდან და თავქვე დავეშვი.

მალე, სოსოია ბიჭო, მალე, აქედან შორსაა, ასე გადაჭერი გზა, მოკლედ გადადი, ღმერთო, შენი ჭირიმე... მალე, სოსოია, მალე... მივრბივარ, ყურები მიწივის, გული გასკდომაზეა, ხელები მიბუყდება, მუხლები მეკეცება, არ დაჯდე, ბიჭო, რა დროს დაჯდომავ... ამ ორმოს თუ გადაახტები, სოსოია, ხატია ავალახელილი დაგხვდება... გადავახტი, ღმერთო, შენი ჭირიმე... ახლა ამ ორმოს, ამასაც გადავახტი. ახლა იმ ხემდე თუ მიივრბენ სულმოუთქმელად, ხატია თვალახელილი დაგხვდება, ცოტაც, ცოტაც, ცოტაც, კიდევ ერთი ნაბიჯი...

მივირბინე, ღმერთო, შენი ჭირიმე, ახლა თუ ორმოცდაათამდე დიითვლი სულმოუთქმელად, ხატია თვალახელილი იქნება: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი, თორმეტი... ოცი... ოცდაათი... ორმოცი... ორმოცდაერთი, ორმოცდაორი, ორმოცდასამი, ორმოცდაოთხი... ო, რა ძნელია... ორმოცდახუთი...

— ხატიაა! — ჩემს ყვირილზე ბესარიონი და ხატია გაჩერდნენ. მე გულამომჯდარმა მივირბინე მათთან და გავჩერდი. დიდხანს ხმას ვერ ვიღებდი.

— სოსო! — თქვა წყნარად ხატიამ. მე ხატის შევხედე. ხატია თეთრი იყო, როგორც ქალაღი. იგი სადღაც, ჩემს იქით იყურებოდა დიდრონი, ცისფერი თვალებით და იღიმებოდა.

— ბესარიონ ბიძია! — ბესარიონი თავჩალუნული იდგა.

— რაო, ბესარიონ ბიძია? — ბესარიონი ხმას არ იღებდა.

— ხატია!

— გაისად გაზაფხულზე ჩამოიყვანე, წელს არ შეიძლებაო! — თქვა ხატიამ, ღმერთო, რა იქნებოდა, ორმოცდაათამდე რომ დამეთვალა, გავიფიქრე მე. მერე ყელში მომდგარი ცრემლები გადავყლაპე და პირზე ხელი ავიფარე, ტირილი რომ არ დამეწყო.

— რას შეგები, სოსო, როგორ ხარ? — მკითხა ხატიამ. მე მივედი ხატიასთან, ხელი მოვხვიე და ლოყაზე ვაკოცე. ბესარიონ ბიძიამ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, გამშრალ თვალებში ამოსვა, დაახველა და წავიდა.

— როგორ ხარ, სოსოია ბიჭო? — გამიმეორა ხატიამ კითხვა და გამიღიმა.

— ნუ გეშინია, ხატია, გაისად ხომ ავიხელს თვალს? — ვუთხარი მე ხატიას და საფეთქლებზე ხელი გადავუსვი.

ხატიას თვალები ნუშივით დაუწვრილდა და ასე ღვთისობებზე ლამაზი გახდა.

— გაისადო, სოსოია! — თქვა ხატიამ.

— ნუ გეშინია, ხატია!

— არ მეშინია, სოსო!

— იმან თუ არ ავიხილა. მე ავიხელ, ხატია, დედას გეფიცები, ავიხელ.

— ვიცი, სოსოია.

— თუ გინდა არ ავიხილოს, რა მოხდა მერე. მე ხომ მხედავ?

— შენ კი გხედავ, სოსოია.

— აბა, მეტი რა გინდა, ხატია?

— მეტი არაფერი.

საით მიდიხარ შენ, ჩემი სოფლის შარავზაო, და საით მიგყავს ჩემი სოფელი. გახსოვს? ერთ ღღეს შენ წამართვი ყველაფერი, რაც გამაჩნდა ამ ქვეყანაზე. მე გთხოვე მაშინ, შარავზაო, და შენ დამიბრუნე, რაც შეგეძლო. და მე მადლიერი ვარ შენი. ახლა დადგა დრო ჩვენც წავიყვანო — მე და ხატია, წავიყვანო და გვაჩვენო, სად თავდები, და თუ სადმე თავდები, ჩვენ არ გაგათავებთ შენ. ვივლით ასე უსასრულოდ ხელიხელჩაკიდებული. შენ აღარ მოიტან ჩვენს ამბებს სოფელში სამკუთხა წერილებითა და ნაბეჭდი მისამართებით, ჩვენ დავბრუნდებით ჩვენი ფეხით. პირს ვიზამთ აღმოსაგლეითი, დავესწრებით ბაჯაღლო მზის ამოსვლას და მაშინ ხატია იტყვის ხმამაღლა:

— ეს მე ვარ, ხატია, ხალხო, მე გხედავთ თქვენ...



საქართველოს
საზოგადოებრივი
წიგნობის ეროვნული ცენტრი

უბის წიგნიდან

პით სანათური...

კაცი ხანდახან ბურუსში მიდის
და გზას მიიკვლევს ხელის ფათურით.
მის წინ სივრცეა და სქელი ბინდი, —
არც ჩირაღდანი, არც სანათური!

მიწა ჰგონია ტაძრის ნანგრევი,
თვალი სველი აქვს, გული — დამცხრალი.
სადა ხარ მაშინ... რად იკარგები,
როგორც ყანაში პურის მარცვალი.

თითქოს დაეხშო სამზგოს კარი,
თითქოს მის ბარბაცს ქვეყანა ხედავს,
წამით არ ესმის სიცოცხლის ზარის
და ნაფოტივით მიჰყვება სევდას.

...კაცი ხანდახან ბურუსში მიდის,
როგორც იტყვიან, ხელის ფათურით.
სადა ხარ მაშინ, რომ გასკრა ბინდი
და წინ გაუძღვე, ვით სანათური!

თქვენი გულები

როგორ ფეთქავენ თქვენი გულები,
როცა ონაერობთ, როგორც ზაფხულები!
გაზაფხულივით ანთებულები
ცეცხლსა და გრიგალს ეთამაშებით!

ჩუმაღ... ამ ქვეყნად ჯერ კიდევ დადის
შხამნარევი და შშიშარა შური.

თან დაგდევთ, როგორც მშვიერი ლანდი,
 და უმწეობის არსობის პური.

არც სიყვარული, არც სიძულვილი, —
 არ გააჩნია არცერთი განცდა!
 უბრალო არის მისი სურვილი:
 არ შეამჩნიოს კეთილი კაცთა...

კარგია თქვენი შორიშორ ყოფნა,
 მაგრამ გულეები... თქვენი გულეები...
 და წმინდად იწვით ამ წუთისოფლად,
 ვითარ სანთლები ანთებულეები.

იყო და არა იყო რა...

ქეთევან ნადირაძის ხსოვნას

— ეს წააწერეთ საფლავს ჩემსას! — მუდარით, რიდიტ
 სთქვი და ამოთქმაც ანდერძისა ვერ მოასწარი,
 წახველ, საოცრად ლმობიერი, კეთილი, მშვიდი,
 ფერმილეული, ფიქრში დამწვარი.

არ დაგცდენია საყვედური და სამღურავი,
 ყველას შეუნდე წყენა მცირე და უნებური,
 საქართველოში ნულარ ფიქრობს ამას ნურავინ. —
 არა ყოფილხარ არავისთან დაუბრებული.

წინაშე შენდა შეკრთა სენი ცივი და გულქვა,
 მგონია თვითონ დაიწყევლა თვისი გაჩენა!
 სიკვდილის შემდეგ სულის შენის ელვამ და შუქმა
 გაგალამაზა, გაგანათლა და დაგამშვენა!

თბილისის ტრფიალს დედასავით დაგხვდა ხაშური
 და შიშნეულად დაგაფარა კალთა მშობელი.
 შენთა დობილთა და ძმობილთა ცრემლის ნაჟური
 წარიღე, ვითარ მეგობრობის სამადლობელი.

დაო კეთილო, მე სიჩუმე მერჩია სრული,
 სიჩუმე, ზოგჯერ ნამსხვრევებად რომ აქცევს კლდესაც,
 მაგრამ უეცრად ნატყვიარზე გამეხსნა წყლული
 და... ეს ტკივილი აღმომხდა ლექსად!

ძველი ფანტაზია

მას არ ენახა უდაბნო ცხელი,
 უსაზღვროების ცივი სამეფო,
 შუა-აზიის ქვიშნარი ვრცელი,
 სადაც მრავალჯერ ფეხი ჩაგეფლო.

და უამბობდი უდაბნოს ამბავს...

გისმენდა ვაჟი, როგორც გრიგალი!
ოთახში სიციხის დადგა თარეში,
პაპანაჭება დადგა იმგვარი,
რომ წაგეკიდათ ცეცხლი თვალებში.

მყის დატრიალდა უდაბნოს ქარი,
აბოლდა ქვეშა, როგორც ბუხარი.
ხმამალლა რეკდა დუმილის ზარი
და ირწეოდა მიწა მდულარი.

იყო ცეცხლი და არ იყო წყალი!
არ იყო ხსნა და შველა არსაით,
ბორგავდი, როგორც ძუ-ვეფხვი მწყრალი
და უღმობელი მიწისძვრასავით.

ამო შიშინით იწვოდა კვარი,
ელვის სავალი დარჩა მეხამდე,
რომ კართან შენი გამოჩნდა ქმარი,
როგორც მეხანძრე...

შენ განავრძობდი უდაბნოს ზღაპარს!

სიზმარი

მე რუსთაველზე მივდიოდი აუჩქარებლად,
როცა შრიალით ჩამიარეს ტურფა ქალეზმა.

მაღლა სარკმლები შეარხია მათმა სიცილმა,
ნე კი თითქოსდა ამა ქვეყნის არა ვიცი რა,

არც მიმიხედავს... მხოლოდ მაშინ მეცვალა ფერი,
როცა გამზირზე შევამჩნიე გოროზი მტერი.

შეეკრთი, შევშინდი, ავცახცახდი, დავხარე თავი,
მარჯვენის ნაცვლად თითქოს მქონდა გამხმარი მკლავი.

ველარ ვიცანი იქვე მდგარი ჩემი ძმობილი, —
უმადურთაგან უსამართლოდ უარყოფილი.

უცნობს და ნაცნობს შევლიმოდი, თავს დაბლა ვხრიდი,
ენადანშული, კმაყოფილი, გულგრილი, მშვიდი.

კაცს და არაკაცს ხელს ართმევდა ხელი სამიწე.
...მადლობა ღმერთო, რომ დროულად გამომალვიძე!



მადრი პოეტები

უძლიო ლამე

უძლიო ლამე...
სუნტქვაშეკრული
ყურს ვუგდებ ჩემი
შვილების სუნტქვას.
სულს ასე სწადდა,
გულს ასე სურდა—
ვარ ყვაილებით
კალთაშემკული.
მკერდს ტალღასავით
რომ შეეხალე,
გულო, საგულეს

ველარ ეტევი?
ასეთი შფოთვით
ლამეს ტეხავენ
მხოლოდ დედები
და პოეტები.
მხოლოდ დედები და პოეტები
ეგებებიან ასე
განთიადს.
გულს მარად ცეცხლის
ალი ედება—
ანთია, ანთია და...
ანთია.

მიყვარხარ

აბრილი!
მერცხლების
მოფრენის დრო-ჟამი;
ატმების ცეცხლი — ვით
წითელი დროშები.
აბრილი! ყვაილი
ნიავით ნაფურცილი;
გულო, შენ რას უცდი—
სული ცად გაჭრილა.
ისეთი სიანლით
კაშკაშებს ახლა მზე,

ყველას და ყველაფერს
ვუღიმი საღამზე.
რის სევდა-ნაღველი!
ცა ისე ლურჯია...
ვილაცა არ მღერის —
მუნჯია, მუნჯია.
ხარხარებს მთის წყარო,
ჩვენც ავყვეთ მის ხარხარს, —
ვინ გითხრა მძულხარო?
მიყვარხარ, მიყვარხარ.





„ჩვენი უკანასკნელი თამაზი“.

ნახტი ზ. ნიჟარაძისა

აოსგომ ბაქანიშვილი

მკენი ყვენსენი თქეუნი

რომანი

1

რუხი, ორსართულიანი სახლი ბაზრის უკან იდგა. ბაზრიდან ხმადაბალი გუგუნი ისმოდა. სოღანლუღელი თათრები და ხაშმელი კახელები რუსულად ვეპტებოდნენ ერთმანეთს, ჩოჩქოლებდნენ.

ოთხკუთხა, ხორკლიანი ქვით ნაგები სახლი გაწვილებული მაკლერივით იდგა. სახლის აქეთ ტრამვაი მიხრივინებდა, გაკრიალებულ-გაბზინებული მანქანები დასრიალებდნენ.

მოედანგადაღმა რკინიგზის სადგური იყო, ლოკომოტივები ბოხი ხმით ყვიროდნენ, ვაგონები დგანდგარებდნენ და ჯახუნობდნენ.

აქ გაირბინა ჩემმა ბავშვობამ. ამ ორსართულიან სახლში ჰქონდა ჩვენს ოჯახს ერთი პატარა ოთახი, რომელიც ვიწრო და ბნელ ტალანში გამოდიოდა. ტალანში რამდენიმე ოჯახის ფეხი ირეოდა.

მაგონდება თავი — მოკლეშარკლიანი, ცინგლიანი ბიჭი, რომელსაც ქეციანი ძაღლებისა ეშინოდა, გონებაში კი ასთავიან დევებს ებრძოდა.

დაუდგრომელი ბავშვები დილიდან საღამომდე ეზოში ვთამაშობდით, მეზობლების ბაღ-ბოსტნებში ვიპარებოდით, გაზაფხულზე მკვახე ტყემლით ვიჭრიდით კბილს, ზაფხულში — ჭერმით ვიბერებოდით.

მაგონდება — ბინძური, წვიმისა და კანალიზაციის წყლით დატბორილი ეზო, აქოთებული სანაგვე, მრეცხავი დედაკაცების ჭორი და ჩხუბი, მთვრალი გამვლელების ღრიანცელი — ყოველივე ის, რითაც ცნობილია დიდი ქალაქის გარეუბანი.

ახლა, ამ ადგილიდან, ნათლულიდან, განიერი და ნათელი მოსკოვის პროსპექტი იწყება, ტრამვაი შუაში ამალელებულ ბექობზე შეუსკუბებიათ, ქუჩაში ნალხი წყნარად და უხმაუროდ მიდის, სადგურიდან რაღაც უცნაური დვრინისა და სიმშვიდის განწყობილება მოცუტრავს.

ხუთი წლისა ვიყავი, როცა ჩენი ოჯახი სოფლიდან ქალაქს გადმოსახლდა ბებია სოფელში დარჩა ჩურჩხელებთან და ტკბილ მოგონებებთან ერთად.

მამა იმ დროს ფანატიკურად თავგანწირული კომკავშირელი იყო და, რა თქმა უნდა, არ ეცალა ოჯახისათვის. ის დედას „ამხანაგს“ ეძახდა და არა ნანას. დედა ამას ვერ იტანდა. ამიტომ ისინი ხშირად ჩხუბობდნენ. მერე გაბრაზებულები მთელი საღამო ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს. დასამშვიდებლად მამა ლენინის ლურჯყდიან ტომებს კითხულობდა, დედა — „ტრისტანსა და იზოლდას“. დილით მამა ისევ გარბოდა ახალი და ახალი უჯრედების ჩამოსაყალიბებლად, დედა ბავშვების მოვლა-პატრონობით იყო გართული და მშობლებს საღამომდე ერთმანეთისათვის აღარ ეცალათ.

მამა შინ იშვიათად მოდიოდა. ხან კულაკებს ებრძოდა, ხან მიტიხეგებზე სიტყვას ამბობდა, ხან თბილისში გზავნიდნენ რაღაც კურსებზე „კვალიფიკაციის ასამაღლებლად“. როცა თბილისში ჩამოვედით, მერე სოფლის საქმეები გამოუჩნდა მამას.

ყოველი ასეთი მოგზაურობისას მამა წერილებს იწერებოდა. დედაც პასუხობდა. მამის წერილს ჩვენ ოჯახთან ერთად მთელი უბანი კითხულობდა. წერილში ამოკითხულ ახალ ამბავს სულ სხვა ძალა და მნიშვნელობა ენიჭებოდა. ყურმოკრული თუ გზად გაგონილი ყველას მოკლეფეხა ტყუილად ახ დედაკაცურ ჭორად მიაჩნდა, წერილში დაწერილი კი — უმაღლეს ჰეშმ რიტებად. მაგალითად, თუ მამა იწერებოდა, ხელფასს ოჯახისათვის ვიზოგავ და ცუდად ვიკვებებიო — მთელ უბანში ხმა გავარდებოდა — არჩილ სანებლიძე იწერება, მალე შიმშილობა დაიწყებო.

მამა სულ მივლინებაშია, „შორეულ“ ან „ახლო“ მშენებლობაზეა, შინ კი არ არის. მე მამას მისი წერილებიდან ვიცნობ. დედაც იძულებულია თავისი ქალური ჭირვეულობა თუ ეჭვი, ჩვენზე ზრუნვა თუ ოჯახის გასაჭირი იმ წერილებში გადაიტანოს, რომელიც მამის წერილების პასუხად იწერება.

ის, ძველი წერილები, ახლაც წმიდათაწმიდა განძია ჩვენს ოჯახში და ყველაზე საუკეთესო და უხიფათო ალაგას — მშენახველი სალაროს წიგნაკთან და სინათლის ქირის ქვითრებთან ერთად ინახება.

2

10 სექტემბერი, 1961 წ.

გამარჯობა, ნანა!

გუშინ ჩამოვედით ქუთაისში, გუშინდლამდე სულ სამშენებლო ობიექტებზე ვიყავი, ენგურჰესის მშენებლობა თუმცა უკვე ოფიციალურად დაიწყო, მაგრამ ჯერ მისასვლელი გზები გაგვყავს და მშენებელთა შტატებს ვაკომპლექტებთ.

თქვენ როგორა ხართ, ოთარისგან წერილი მივიღე, აქ იმიტომ მომწერა, რომ ტელეფონით დავრეკე ლენინგრადში და ვთხოვე ეცნობებინა თავისი საქმეები. ხომ იცი, ნანა, რა ჯიუტი და კერპია ჩენი უფროსი ვაჟიშვილი: როგორც იქნა ამოთქვა, ატლანტიკის ოკეანეში მივიღივარ სპეციალური დავალებით. ზუსტად ასე იწერება — „ატლანტიკის ოკეანე“, თითქოს ვერის ბაზარი იყოს. შენ ახლა იტყვი, რამე რომ დაემართოს, წადი მერე და იმ ოკეანეში ეძიეო. რა ვქნა, ნანა, სამხედრო მეზღვაური ჩვენ არ გვეკუთვნის, ის ქვეყნის შეილია და რასაც უბრძანებენ, უნდა შეასრულოს. ასე გავიზარდეთ ჩვენ, მიუ-

ხედავდ იმისა, რომ სამხედროები არ ვიყავით, ამ შეგნებით ვზრდიდით შტაბში და ახლა ყოველგვარ განსაცდელს უნდა გავუძლოთ.

ნატასა და ბიძინას ამბავი მაფიქრებს. მე ვვარძობ, ბიძინას გული აქვს აცრუებული ოჯახზე, რალაც ჭია უხის მაგ ბიქს გულში და მოსვენებას არ აძლევს. დღე და ღამე რომ მეჩიხინებოდი, ცალკე გავუშვათ, დამოუკიდებლად იცხოვრონ, იქნება მაშინ უფრო გაუგონ ერთმანეთსო, აი ბატონო, გავუშვით ცალკე და რა მოვიმკეთ? ბიძინა დაბერებული მეჩვენება, ნატაც სულ თვალ-ცრემლიანია. ღმერთო ჩემო, ჩვენს შვილებს რა შეუხინდა ასეთი, რომ სულ აწეწილი აქვთ ოჯახი!..

მე თბილი საცვლები გამომიგზავნე ამანათით და ის გერმანული სამართებელი, კამოდის მარცხენა უჯრაში რომ დევს; წამოსვლისას არ წამოვიღე, ვითომ გავუფრთხილდი, ახლა კი სასტიკად ვნანობ.

გივის რუსთავში მივწერ წერილს, იმ ოდესეულ ფიდეღმანთან, თუ ასე ძალიან უნდა, ხელი მოაწეროს, მოისვენოს და ჩვენც მოგვასვენოს.

ქუთაისში ყორა შემხვდა, გადარია, რომ გაიგო ჩემი აქ ყოფნა. სადილად წავედი, ბევრს მეხვეწა. ღამეც ჩვენთან იყავით, მაგრამ არ დაერჩი. ხომ იცი, ცოტა უცნაურები არიან ეგენი. ერთ ღამეს დარჩები და მერე მთელი საგვარეულო მოგადგება თბილისში ორი თვით.

მე ძირითადად სასადილოში ვჭამ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დილაობით ვსადილობ... სადილობის დროს იქ ისეთი დარდიმანდი ხალხი იყრის თავს, რომ სირცხვილიცაა ჩემი „მენიუთი“ მათთან გამოჩენა.

კარგად იყავი, ნანა, პოლიკლინიკაში თუ იყავი წნევის გასასინჯად? აქ ერთ სოფელში მითხრეს, ბროწეულის წვენი უხდებოა ძალიან. რამდენიმე ბროწეული უნდა გაწურო და ერთი ღვინის ჭიქა წვენი ყოველ დილას უხმობე დალიო. აბა, თავს გაუფრთხილდი და ნუ გეშინიან.

არჩილი

18 სექტემბერი

ჩემო არჩილი!

შემიძლია მოგილოცო მესამე რძალი, ნეტავ ეს მაინც იყოს ღვთისნიერი აღმანიანი. გვიმ გუშინ მოაწერა ხელი. გვარი შენც იცი ჩვენი რძლისა, სახელი კი სიმა რქმევია. ვუთხარი გივის, მოიყვანე და მაჩვენე-მეთქი. რძალმა შემომითვალა: სანამ გივი დაპირებულ საქორწილო კაბას არ მიყიდის, იქამდე ვერ განახავთო. ღმერთო ჩემო, ამ საწყალმა დედამთილებმა რა დაეუშავეთ ქვეყანას ისეთი, რომ რძლებს ჩვენი დანახვაც კი არ უნდათ! რაში მჭირდება მისი კაბა, მე კაბა კი არ უნდა მენახა, არამედ აღმანიანი. ამას შენ გამიგებ მხოლოდ, არჩილი, გივი ისეთ „მორალს“ მიკითხავს „ახალ თაობასა“ და ჩვენს, ე. ი. მე და შენს „დახავსებულ ტრადიციებზე“, რომ ხანდახან ეჭვი მეპარება: ნუთუ ასეთი უგულო მე გავზარდე? რა ვქნა, ალბათ ბედი ყოფილა. მე ახალგაზრდობაში, კარგად იცი, არა მწამდა ბედი და სხვა ჯანდაბა, მაგრამ ახლა, სიბერეში, ყველაფერი ვიწამე. რა ვქნათ, ჩემო არჩილი, როცა მეგონა შვილები დავზარდეთ, წესიერები და პატიოსნები, დავაოჯახეთ და ახლა შვილიშვილებში გავიხარებთ-მეთქი, ყველამ ხელი მკრა და გამექცა. განა დედ-მამა მარტო იქამდე უნდოდათ, სანამ თვითონ ხელფასს არ იღებდნენ და ჩვენ ვინახავდით? განა ამ საძაგელ ფულის ანგარიშს გარდა დღევანდელ დედაშვილობაში სხვა არაფერი



არ უნდა იყოს? მაშ რისთვის ვიკლავდით თავს, რისთვის გავტეხეთ მილიონი ლამე, თუ ბოლოს მარტო დავრჩებოდით? ვილას ვუყუროთ ახლა, დაცარიელებულ კედლებს და მათი ბავშვობის მოგონებას? ო, რა შეუბრალებელი არიან ზოგჯერ შვილები და როგორ სტანჯავენ მშობლებს. ამ ცოლებმა მაინც სულ გადამირიეს გვრიტივით ბიჭები. ერთს ჩემი „დახავსებული ტრადიციები“ აღარ მოსწონს, მეორე მეუბნება: რალა დროს შენი სამსახურია, დაჯექი და შვილიშვილები გაზარდო, მესამე ატლანტიკის ოკეანეში ისე მიდის, რომ დედას არც კი მაგებინებს, მაშინ, როცა თავის დაბანვის დროსაც „დედას“ გაიძახოდა. ეს რა გვემართება, არჩილ? იქნებ ჩვენი ბრალია ყველაფერი? იქნებ ჩვენ მართლა სხვა თაობა ვართ, სხვანაირად უნდა გავგეზარდა შვილები? ჩვენ ჩვენებურად ვზრდიდით, ისინი მაინც იმათებური გამოვიდნენ. მესმის, ახლა სხვა დროა. ახლა აღარ შეიძლება ფეოდალური ოჯახები იყოს, დედაბუდიანად ყველამ ერთ ჭერქვეშ ვიცხოვროთ და ერთად ვჭამოთ პური. საამისო არც ბინა აქვს ვინმეს, არც დრო და არც საშუალება. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ დედაშვილობა აღარ არის? რომ ერთი ტკბილი სიტყვა აღარ უნდა გითხრან? სულ თავის უკმაყოფილებაზე და წვრილმან დარდებზე უნდა იწუწუნონ და ერთხელ არა მკითხონ: დედა, ხომ არ დაიძალე, დედა, თეატრში წავიდეთ, დედა, კვირა დღე ერთად გავატაროთ! არა, არჩილ, გინდა ჩამორჩენილი დამიძახე და გინდა მეშჩანკა, მე ასეთი დედაშვილობა არა მწამს. სკოლაში იმოდენა ბავშვებს ვუყურობ, მოვალ შინ და ცარიელ კედლებს შევცქერი. ძნელია. ძალზე ძნელი. თურმე შვილები რომ დაოჯახდებიან და დაგეფანტებიან აქეთ-იქით, მაშინ დედა უნდა მოკვდეს, აღარ ხარ საჭირო... ჰო, სწორედ ამას ვგრძნობ, რომ აღარა ვარ „საჭირო“, თითქოს მე ყოველთვის ანგარშით მიყურებდნენ და ახლა, როცა დავბერდი და მათ აღარ ვჭირდები, ძველი ნავთის ლამპასავით გადამაგდეს...

ეჰ, დიდი დარღია, ჩემო არჩილ, ეს ყველაფერი შენ ჩემზე უკეთ იცი, მაგრამ შენ თუ არ შემოგჩივლე, სხვას ვილას ვუთხრა, ვინ დამრჩენია ქვეყანაზე შენს გარდა!

საცვლები და სამართებელი გამოვიგზავნე, ხორცის ქადაც გამოვიგზავნე, შენ ხომ ძალიან გიყვარდა ერთ დროს ჩემი გამომცხვარი ქალები...

ჩემო არჩილ, მანდ სასადილოში ფულს ძალიან ნუ დაზოგავ, ხანდახან ღვინოც დალიე, ვისთვის გინდა ეგ ფული, შვილებს ჩვენ აღარ ვჭირდებით...

კარგად იყავი, ჩემო ტკბილო ქმარო, არ იღარდო და არ ინერვიულო. მადლობა ღმერთს, რომ ყველანი ჯანმრთელადა ვართ.

შენი ნანა.

3

ბაზრიდან არა წყდება გნიასი. სოდანლულელ თათრებს მწვანილი უკვე გაუყიდათ, მაგრამ ხაშმელი კახელები არ ეხსნებიან მუშტრებს. დახლქვემოთ ჭაჭით საესე ჩარექიანი მიუფარებიან, ყვითელკოყრებიან მუჰაში „ფეხიან“ ტიქას სჭყლეტენ და გულში მჯიღს იცემენ.

— ეგრე გავმწარდე ოჯახში, თუ ამ არაყში მავნე ხელი ერიოს. შე დლოცვილო, განა მართლა გაწყდა პატიოსანი ხალხი! ე რალაც ერთი ტიკტორა არაყი განა ამაშენებს!

— ჯაჰვს არ იკიდებს, ჯაჰვს, — ეუბნება გლესხ სოლიდური ღიბის მქონე, წითური კაცი, რომელსაც ტილოს ფრენჩხა და „აზიატსკებზე“ ემჩნევა, ნოქარი უნდა იყოს.



— არაყი ეგ არი და შენ გინდა ჯაჭვი მოაკიდებინე და გინდა... — ხაშ-მელი დიდი ვაჭირვებით იკავებს თავს, ამ წუნკალი მუშტრის დედ-მამის საფლავზე რომ არ გაიარ-გამოიაროს.

— დაასხი, ჩვენი ძმა, ასი გრამი, — მოადგა დახლს მაწანწალა. კახელმა ახედ-დახედა.

— რალა დავისხა, მამაცხონებულო, ქუყივითა ხარ გამობრუყული.

— დაასხი, თორე გადაგაბრუნებ!

მილიციელის სასტვენის ხმას ორთქლმავლის მოკლე, მკვეთრი შეკვივლება ფარავს. სადგურიდან ჩამიჩუმი არ ისმის. ეს-ეს არის გავიდა „თელავი-თბილისი“. ბაქანი პირწმინდად არის მოსუფთავებული. ქურთი მეეზოვე გულმოდგინედ უფხაკუნებს გალელულ ცოცხს.

სადგურის მორიგე დინჯად და სერიოზულად დგას სადგურის რესტორნის წინ და ელოდება მიპატიჟებას. წითელ ცხვირს ვაცივით აცმაცუნებს.

სპილენძის დიდი ზარი ჯერ კიდევ გუგუნებს. წასული მატარებლის ბორბლების ხმა და მისი მიმქრალი ქლირალი ერთად წყდება.

წყლის გამყიდველი ქუჭყიან ჭიქებს რეცხავს, სიროპს იპარავს და მის ნაცვლად ლიმონადს ამატებს.

ახალგაზრდა, შექინქლული მებუფეტე, რომელსაც უკვე მოუსწრია გასუქება, ბუზებს იგერიებს. ვიტრინაში თავმომწონედ დაულაგებია დამქნარი ბოლოკი, დაობებული ყველი და შოთი პურის ნატეხი. მუშტარს მაინც ვერ იზიდავს. ამით გაგულსებული ზის და მგელივით იდმურძლება.

„სოიუზპეჩატის“ კიოსკში ძველ გაზეთებს ჰყიდიან. გამყიდველი თავჩაქინდრული ზის და წინდას კემსავს: დღეს დილით ფეხი დაადგეს ტრამვაიში და „თვალი წაუვიდა“.

კედლის გაზეთი ობლად მიყუყულა. ვიდაც მგზავრი „იუმორის კუთხეს“ კითხულობს და გულიანად ხარხარებს. აფერუმ, კედლის გაზეთო!

აქა-იქ ლოზუნგებია გაკრული. როცა ლოზუნგებს მზე ცერად უყურებს, მაშინ გარკვევით ჩანს, რომ ისინი გადმობრუნებულია და მეორე მხარესაც წერია რალაც. მაგრამ იმ გადაბრუნებულ წარწერას ყავლი გასვლია.

დარბაზში დგას ნავთისა და ნახერხის სუნი. ამის მიუხედავად მგზავრები ნელ-ნელა იკრიბებიან ჩახუთულ დარბაზში. სანამ „პასადკა“ არ იქნება, ბაქანზე გასვლის ნება არა აქვთ. ისინიც სხედან და ელიან ამ „პასადკას“, როგორც ქრისტეს დაბადებას.

დარბაზის კართან, რომელიც ბაქანზე გადის, დამარილებული ქაშაყივით გამხდარი კაცი დგას და ავტორიტეტულად ბღავის: „ჯერ პასადკა არ არი! მაიცადე რა, დედის მუცელში ცხრა თვე გასძელი და აქ ათი ნიმუტი ველარ გაგიძლია“!

მოგონებებს ნელა ეხდება ფარდა. ამ მოგონებებში შეუსვენებლივ ქშინავს მძიმე ორთქლმავალი, ხანდახან როყოოდ ისმის მისი შეძახილი და მაშინ ყველაფერი — ქუჩის ხმაური, ბაზრის გნისი თუ მოსარეცხე დედაკაცების ხორხოცი — ყველაფერი იფარება ამ მგრგვინავი ხმით, ყველაფერი პატარა და უმწეო ჩანს მასთან შედარებით, საოცრად უმნიშვნელო.

ახლაც, გავიგებ თუ არა ამ ჩემი ძველი მეგობრის ძახილს, სულს ტვინით მოეშვება ხოლმე, მზად ვარ სიხარულისაგან ვიყვირო მარტო იმის შეგნებითაც კი, რომ შეგიძლია ჩაჯდე მატარებელში და ეს ვეება ორთქლ-ნავალი სულ რამდენიმე საათში მოგაშორებს ყველაფერს. რაც ასე გიწეწავს ნერვებს, წაგიყვანს სულ სხვაგან, სხვა ადამიანებთან, სხვა ვარემოში, სადაც ხელახლა (ვინ იცის მერამდენედ) დაიწყებ ცხოვრებას. არც მანქანა, არც გემი და არც თვითმფრინავი არ იწვევს იმ დაუოკებელი სრბოლის გრძნობას, რასაც იწვევს მატარებელი. ამიტომ ყოველთვის სიყვარულით ვუსმენდი მათ დინჯ ქშენასა და უსიტყვო მასლაათს.

მაგონდება პირველი თუ მეორე კლასის მოსწავლე, პირყვითელი ბავშვი, თეთრი გაქათმებული ხალათით, იმდენად წესიერი, რომ საათობით შეეძლო ჯდომა სურათებიანი წიგნით ხელში ან მოზრდილი ადამიანივით ყურის დაგდება, როცა უფროსები თავიანთ გასაჭირს შესჩიოდნენ.

ჩვენი ოთახის ერთი ფანჯარა ქუჩაში გამოდიოდა, ამ ფანჯრიდან ჩანდა ნახევარი სადგური. ორთქლმავლების ხან ცხვირი და ხან კული. ამ ფანჯრიდან ჩანდა ტრამვაის გაჩერებაც, სახურავჩანგრეული საპირფარეო და ხიდქვეშა გვირაბი, საიდანაც ხანდახან გადარეული ღვარცოფი მოვარდებოდა ხოლმე.

კომუნალური ბინა შეიძლება იმდენად ვიწრო არ იყო, ოღონდ ბევრი ხალხი ტრიალებდა და ამიტომ ყველაფერი პატარა და მოუხერხებელი ჩანდა.

ჩვენი ოთახის გვერდით ცხოვრობდნენ გურაბანიძეები. მათი ვაჟი ორი თუ სამი წლით იყო ჩემზე უფროსი. ჩვენ, რომ იტყვიან, კარის მეზობლები ვიყავით და ერთმანეთში გაყოფილი არაფერი გვქონდა. მე და ის, გურაბანიძეების ბიჭი, ერთად ვთამაშობდით, ერთი ყელსახვევით დავდიოდით სკოლაში, სადილადაც ხშირად ერთად ვიყავით.

გურაბანიძეების პირდაპირ ქირიები ცხოვრობდნენ, უშვილო ცოლ-ქმარი — ისინი თხუთმეტი წელი დაქორწილებულნი იყვნენ, მაგრამ მემკვიდრე არ უჩანდათ, ამის მიუხედავად არ ჰკარგავდნენ იმედს.

5

არჩილის წერილები მიწერილი საავადმყოფოში ნანას
 ავადმყოფობის დროს.

25 მარტი, 1959 წ.

ნანა, გენაცვალე!

როგორა ხარ! მე დღეს შემავგიანდა მოსვლა. ბინის საკითხზე დავდივარ, ჩვენი ძველი სახლი როგორც იქნა დაანგრიეს და მგონი ბინას ვეძიებ ვეძიებ.

გიგზავნი ვაშლს, კარაქს, კვერცხებს. მომწერე როგორა ხარ, ნუ ნერვიულობ, ყველაფერი მალე გაივლის. ჩვენ ყველანი კარგადა ვართ.

რა მოგიტანო? რა დაგჭირდება?

შენი არჩილი.

28 მარტი

ნანა!

როგორა ხარ? მოგიტანე ღვიძლი და ქართული პური. თავს გაუფრთხილდი. მე დღეს, როგორც ყოველთვის, ბევრი საქმეები მაქვს. კარგად და ჯანმრთელად იყავი.

გკოცნი. შენი არჩილი.

1 აპრილი

ნანა!

როგორა ხარ, წუხელ ვერ მოვედი, საპროექტოში საქმე მქონდა და გვიანობამდე შევჩვი. ძალიან ბევრი ვიმუშავე, ერთიანად დამტვრეული ვარ. საღამოს მოგიტან წიწილას. შემწვარი გინდა თუ მოხარშული?

სიცხე ხომ აღარა გაქვს? ჭამე რაც შეგიძლია ბევრი და ნოყიერად, რათა სისხლი აღიდგინო. მომწერე ჯანმრთელობის მდგომარეობა. რა გჭირდება, რა მოგიტანო? მომვლელებს ფული მიეცი, ნუ მოგეხათრება და თამამად მოსთხოვე მოვლა. ყურძნის წვენი მოგიტანო თუ არა? ხვალ რომელი საათისთვის მოვიდე? ყოჩაღად იყავი. ჩვენზე ნუ იღარდებ. ბავშვები კარგად არიან.

შენი არჩილი

5 აპრილი

ნანა, გენაცვალე!

წამლებს რატომ არა სვამ? რატომ ჯიუტობ? მომწერე შენი მდგომარეობა. გიგზავნი წიგნებს და ახალ გაზეთებს.

შენი პატარა სიცხე მაფიქრებს. სანამ სულ არ გაგივლის და ექიმები არ გიტყვიან წადიო, არ გამოეწერო. როცა სულ კარგად იქნები, მაშინ მოითხოვე გამოწერა. მე ვფიქრობ, ეს ერთი კვირის შემდეგ იქნება, არ გეგონოს, რომ შენი მალე გამოსვლა არ მინდოდეს. ქალები სიბერეში უფრო ეჭვიანები ხდებიან... პირიქით, წუთებს ვითვლი, მაგრამ შენი ჯანმრთელობისათვის ასე უკეთესია.

ბინის საქმე ცოტა გაჭიანურდა. ვნახოთ რა იქნება.

ყველაფერი დაწვრილებით მომწერე, შენ მგონი რალაცას მიმალავ.

ჩვენები კარგად არიან, კვირას ალბათ ყველანი გნახავთ.

შენი არჩილი

6

ქირების ქვემოთ, პირველ სართულში ცხოვრობდა მექისე ჰასანა, დღენიადაგ ხის ქოშებს რომ დააბაკუნებდა და შავი ხელები ცხელი წყლისაგან სულ თეთრად რომ ჰქონდა დაშაშრული. ამ ჰასანას ჰყავდა ერთი ქალიშვილი, რომელსაც ყველანი ხანუმას ვეძახდით. ხანუმა ჩვენ ხშირად გვირეცხავდა ხოლმე იატაკს ან სარეცხს.

ერთ დღეს, ჩვეულებრივ, ხანუმა ჩვენთან სარეცხს რეცხდა. შინ ჩემ გარდა არავინ იყო. ხანუმას ბლუზა გაეხადა და უაზღუდო მკერდი უჩანდა პერანგში. ხანუმას ძუძუები ოდნავ შემწიფებული ფორთოხლებივით ეწყობებოდა.

კაბის კალთები აეკეცა, ალბათ იმიტომ რომ არ დასველებოდა და მკერი-

ვი, ქუჭყიანი მუხლები მოუჩანდა. სახესა და კისერზე ოფლი გადასდიოდა, მაგრამ ხანუმა არ აქცევდა ამას ყურადღებას, ჩქარობდა საქმის მოთავებას, რადგან ქვემოდან უკვე დიდიხანია ისმოდა ხის ქოშების ბაკუნი. ჰასანა მოსულიყო და სადილს ელოდა.

მე შორიასლო ვიდექი ხანუმასთან და მალულად ვუთვალთვალე. ჩემდა უნებურად მთელი სხეულით ვთრთოდი, საოცრად მინდოდა იმ ფორთოხლებისათვის ხელი წამეგლო.

ხანუმამ იგრძნო ჩემი დაყინებული მზერა და ეშმაკურად გაიცინა.

— რას მომჩერებხარ, ბიჭო, კინო კი არა ვარ.

მე ფარულად უკვე წაყიბული მქონდა რამდენიმე ბულვარული რომანი და ამიტომ გაბედულად ვუთხარი:

— შენ ჩემი დედოფალი ხარ!

ხანუმამ გაიცინა.

— შენ კი მეფე, არა?

— მე მეფე არა ვარ, ხანუმ, მაგრამ შენთვის...

— რა ჩემთვის? — ხითხითებდა ხანუმა. — რა, მითხარი? — და საპნიანი ხელი სახეზე მომისვა.

ჩემი პათოსი საპნის ბუშტივით გაქრა. თვალეში ცრემლი წამომეძალა. თავი შევიკავე და ახლა უკვე ჯიბრით ვუთხარი:

— იცოდე, მოგიტაცებ!

— იპ, შენი მოტაცებული...

— ნუ დამცინი, ხანუმ, განა აღარ გავიზრდები!

— რა გაიზრდები, ვნახოთ.

ეს ძალიან შორეული იმედი იყო. უკანიდან მივეპარე და წელზე ორივე ხელი მოვხვიე.

— რას სულელობ, ბიძინა, გამიშვი ხელი, — თქვა ხანუმამ.

მე უფრო მაგრად მოუჭირე ხელები და მის გაოფლილ ზურგს სახით მივეკარი.

— ბიძინა, ხელი განიშვი, თორემ გატყენ!

„როგორ მოერევა ქალი კაცს? კაცი ყოველთვის ღონიერია!“ — ვიმშვიდებდი თავს.

— ბიძინა!

ხმა აღარ გავციე.

— ბიძინა!

უფრო მივეხუტე.

მამინ, ერთი კალმახივით შეიბზრიალა ხანუმამ ჩემი მკლავების სალტეში და პირდაპირ დამიდგა.

— ახლაც არ გამიშვებ? — მითხრა დაქანებით.

— არა, — ვთქვი ხმადაბლა და ალბათ ისეთი სიყვარულით, რომ ხანუმას სიმივით დაჭიმული სხეული ერთბაშად მოეშვა და მოლბა.

— არა, ჩემო დედოფალო, — გავიმეორე ოცნებით და ყელთან ცხელი ძუძუები რომ ვიგრძენი, კინაღამ სული შემეხუთა.

— აი შენ! — გაანჩხლდა უცებ ხანუმა და სილა გამაწნა.

მე ლეკვივით მივევარდი მის საპნიან ხელებს და თავდავიწყებით დავეწყე კოცნა.

— რას შვრები, ბიძინა, შე სულელო...

ქვემოდან ისმოდა ჰასანას ხის ქოშების ბაკუნი.

ფეხზე ძლივსდა ვიდექი და მაღალ ხანუმას თითქმის გულზე ვყავდი ტეპული.

რომ ნახა ხანუმამ, არ ვეხსენებოდი, ფრთხილად მოიცილა ჩემი ხელები. კარი ჩაკეტა, მომიბრუნდა და ისეთი თვალებით შემომხედა, რომ შემეშინდა. მის თვალებში უკვე დასრულებული ქალი იჯდა. მე, უცოდველი ბავშვი, რომელიც ზღაპრებისა, წაკითხულისა და პირველად განცდილი სიყვარულის ბურანში დავცურავდი, ბაჭიასავით გამოვჩნდი ამ ატეხილ გოგოსთან.

უცბათ ორივე ხელი მტაცა ხანუმამ, მომხვია და ისეთი გაშმაგებული კოცნა დამიწყო, რომ მთელი სახე ამეწვა. მე აღარ მსიამოვნებდა ეს კოცნა, საპნის სუნიც თვალებს მახუჭინებდა, გაოფლილი სხეულის სიმძიმეც მაქცევდა და მზად ვიყავი დამეყვირა, გამიშვი-მეთქი, მაგრამ ხანუმას ჩემი დარდი აღარა ჰქონდა. წამაქცია, მთელი სხეულით დამაწვა და ასე დავიწყეთ კოტრიალი იატაკზე. ჩემი თეთრად გაქათქათებული ხალათი დაისვარა და ორგან გაიხა კიდევ. ხანუმა ქშინავდა, მეხვეოდა, მჩქმეტდა, გულში მიკრავდა. სადამდეც შემეძლო ვითმინე, მერე ავსლუქუნდი. ხანუმა ისევ მკოცნიდა, მაგრამ იმ ცეცხლით აღარ, როგორც წედან. როცა ჩემმა ცრემლებმა შეაწუხეს, ადგა. ხელი მკრა, კუთხეში მიმაგდო და ზიზლით მომაყოლა:

— ლაწირაკო!

მერე კარი გააღო. სარეცხი მიაფუჩეჩა, ჭუჭყიანი წყალი გადაღვარა, ოთახი მილაგა და ჩემი ხალათიც გარეცხა. თან დამარიგა, დედას უთხარი, ეზოში წავიქეცი-თქო.

ხანუმა წავიდა. ის უკვე აღარ იყო ჩემი დედოფალი. მას ისევ უდიოდა საპნისა და ჭუჭყის სუნი და მკერდშიც ფორთოხლები აღარ ეწყა.

მალე მიწყდა ქვემოდან ჰასანას ქოშების ბაკუნი.

მამა-შვილი სადილად დასხდნენ.

დაღლილი და დალილაგებული იატაკზე დაჯგექი და სადამომდე მწარედ გტიროდი. ალბათ აქ დაიმსხვრა ჩემი ყველაზე სპეტაკი ოცნება.

7

ჩვენი სახლიდან ორი გაჩერება რომ გაგვევლოთ ტრამვაით, თავს ამოყოფდით „შავ სოფელში“, სადაც ახალბედები ჩირობდნენ სახლს. ჩვენც გვქონდა იქ სახლი, ოთარის ახსოვს, ჩემს უფროს ძმას, მე კი ისეთი პატარა ვიყავი, რომ ვერ მომიგონებია.

შავი სოფელი სადგურის უბანთან შედარებით მართლაც სოფელი იყო. ჩვენ თუ მხოლოდ ქათმები და ღორები გვყავდა, იქ ძროხები და ცხვრის ფარებიც ჰყავდათ, გადაიყვანდნენ მოშიშვლებულ მინდვრებზე და აძოვებდნენ

ჩვენი კლასიდან ბევრი ცხოვრობდა შავ სოფელში და კვირაობით მათთან ბურთის სათამაშოდ წასვლა დიდი ბედნიერება იყო ჩემთვის. ჩვენი კლასის ბიჭებიდან ყველაზე მეტად გურამისთან ვამხანაგობდი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სახლში ბიცოლას მეტი არავინ ჰყავდა და ჩვენც თავისუფლად

ვგრძნობდით თავს, მეორეც — გურამს დაუსრულებლად შეეძლო საინტერესო რამაშების გამოგონება.

გურამის სახლი არაფრით არ განირჩეოდა სხვა სახლებისაგან. ნახერხით ამოვსებული ფიცრის კედლები ნაკელში არეული თიხით იყო შელესილი და მერე თეთრად შეფეთქილი. საკმაოდ მოზრდილ ოთახში ორი საწოლი იდგა, ყოველთვის ძალიან სუფთად და ლამაზად გაწყობილი. გურამს და მის ბიცილას, რომელსაც ტერეზა ერქვა, რატომღაც იმ საწოლებში არ ეძინათ. ერთხელ დამინტერესა და ვკითხე გურამს, სად გძინავთ-მეთქი. მას მომიგო, ტახტზე მე და ბიცილას ერთად გვძინავსო. გამიკვირდა, რადგან მე არასოდეს არ დავწოლილვარ სხვასთან და გურამი, რომელიც თავის ასაკთან შედარებით ორჯერ დიდი იყო და კლასშიც ბიჭები ამიტომ ვეძახდით „წობეს“, როგორ წვებოდა თავის ბიცილასთან? რაც შეეხება ტერეზას, მას მინც და მაინც არ ეტყობოდა ბიცილობა, გურამზე სულ ხუთი წლით იყო უფროსი. მისი ქმარი, გურამის ბიძა ციხეში იჯდა ქურდობისათვის. გურამს, როგორც ობოლს, ბიძამისი ზრდიდა და ახლა, როცა ის დაიჭირეს, ეს მოვალეობა ტერეზამ იკისრა.

გურამთან ჩვენი კლასელებიდან კიდევ ორი ბიჭი დადიოდა — ვანიჩკა, რომელსაც ზედმეტ სახელად „ლამაზოს“ ვეძახდით და გურგენა. ვანიჩკა და გურგენა კარგ მოწაფეებად ითვლებოდნენ სკოლაში. ვანიჩკა ფრიადოსანი იყო, ხოლო გურგენას უწყსობა არავის გაუგონია.

ბოლოხანს ვანიჩკა და გურგენა ერიდებოდნენ გურამისთან მოსვლას, მეც გამაგონეს „ბადლეციაო“ გურამი. ვერ გამეგო რატომ ემღუროდნენ ბიჭები გურამს, მას ხომ სული არა შურდა ამხანაგებისათვის, საიდანღაც ნაშოვნ ფულსაც აძლევდა და საერთოდ, ყოველნაირად ხელს უწყობდა და ეხმარებოდა მათ.

შემოდგომის პირს, როცა დღეები დამოკლდა და გარეთ უკვე ციოდა, მე და გურამი სულ უფრო ხშირად გამოვდიოდით ეზოში და საათობით ვიდუქით სიცივეში აბუზულები. ბიცილასთან წყვილ-წყვილად შედიოდნენ ქალები და კაცები, თითო საათობით იკეტებოდნენ და მერე რატომღაც დარცხვენილები და გაწითლებულები გამოდიოდნენ. ტერეზამ ნელ-ნელა შეგვაჩვია ამას, მერე ყარაულობა დაგვავალა, მე ეზოს კართან უნდა ვმდგარიყავი, გურამი — ქუჩის კუთხეში და სტვენით გვეცნობებინა ბიცილასათვის საექვო ხალხის გამოჩენა.

გურამი მიბღვეროდა და მემუქრებოდა, სადმე თუ დაგვდენია ჩვენი ამბავი „ნაწლაკებს ხელში დაგაჭერინებო“. მე არ ვიცოდი ეს როგორ უნდა მომხდარიყო, ამიტომ ძალიან საშინელი რამ მეგონა. მაგრამ ფუქი გამოდგა ჩემი სიფრთხილე. ნოემბრის ერთ ორშაბათს, როცა ყველანი ჩვეულებისამებრ სკოლაში მივედით, გურამი არ მოსულა. არ მოსულა არც მეორე დღეს. სანამ მასწავლებელი გაგვგზავნიდა ამბის გასაგებად — მილციიდან შეგვატყობინეს, რომ გურამისათვის სამართებლით ყელი გამოეჭრა ტერეზას და თავათ მიმალულიყო.



ბავშვებს მეზი დაგვეცა. ვილაცა კაცი მოვიდა სკოლაში, დირექტორის კაბინეტში ჩვენი კლასის მოსწავლეები სათითაოდ შეჰყავდა და ეკითხებოდა „როგორი ბიჭი იყო გურამით“. ვანიჩკამ და გურგენამ გამაფრთხილეს, გურამი მართალია „პადლეცი“ იყო, მაგრამ მისი ბიცილა „სტერვა“ გამოდგაო. მე არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავ, ამ ორი სიტყვიდან რომელი ამერჩია. ვანიჩკასათვის რომ მეკითხა, არც ეს მინდოდა, რადგან სულ ჩემს გულუბრყვილობას დასცილოდნენ. დიდ გასაჭირში ჩავვარდი. ჭირის ოფლი გადამდიოდა. მეგონა, მხოლოდ ჩემ სიტყვაზე იყო დამოკიდებული ყველაფერი და მეც, რაღაცაში დამნაშავე ვიყავი. სათითაოდ შევიდნენ გურგენა და ვანიჩკა, კარგახანს იყვნენ და ბოლოს გაწითლებულები გამოვიდნენ. რაც არ ვიცით რა უნდა გვეთქვაო, — გაიძახოდნენ ისინი.

ჩემი რიგი რომ მოვიდა, ისე მიკანკალებდა მუხლები და ისეთი გაფითრებული ვიყავი, თითქოს ჩემთვის დაებრალებინოთ ყველაფერი. იმ უცნობმა კაცმა, მკვახე ჭერამივით გამწვანებული რომ დამინახა, დირექტორის უთხრა: „ამ ღლაპმა რა უნდა იცოდესო“ და გარეთ გამომავდო. მეგონა ახლად დავიბადე. შეშინებული მაინც ვცახტახებდი და არ მეგონა, თუ გადაერჩი. რა სულელები არიან ზოგჯერ უფროსები! მე, რომელსაც ყველაზე მეტის თქმა შემეძლო, არაფერი მკითხეს.

8

10 ივლისი, 1956 წ.

ჩემო ნანა!

როგორ მენატრები, რომ იცოდე! სულ შენ და ბავშვები მიდგხართ თვალწინ. სულ თქვენზე ვფიქრობ. ვეცდები თქვენი ყველა დავალება შევასრულო.

პროექტზე ჩემი კოლეგები მუშაობენ. ვნახოთ რა გამოვა. შეიძლება სამი დღე შემავიანდეს. ყოველ შემთხვევაში ჩამოვალ თხუთმეტისათვის.

ნანა, გენაცვალე, წერილს ნულარ მოიწერები, არ მომისწრებს. შენი ამანათი მივიღე, ძალიან გამიხარდა და შევწუხდი კიდევ, რათ გინდოდა. თუმცა... შენ მაინც ძველი ხარ, ჩემო საყვარელო გოგო, ჩამოვალ და აგოწწავ მაგ თმებს, ისე გააკოცებ სულ ელეთელეთი დაგემართოს. შე საძაგელო, რატომ მიყვარხარ ასე, ძილში თუ ღვიძილში შენ მაგონდები, უცნაური ქრუანტელი მივლის, თითქოს გუშინდელი შეუღლებულნი ვიყოთ. ვრწმუნდები, რომ ნამდვილი სიყვარული ცოლ-ქმარში ათეული წლების შემდეგ იღვიძებს. მოკლედ, მე შეყვარებული ვარ, და ვერ წარმომიდგენია ისეთ მახლობლებში როგორც ჩვენა ვართ, რა შეიძლება იყოს სიყვარულის გარდა. გახსოვს წამოსვლის წინ როგორ დავმორდიო? შენ რატომღაც დღემდე გეჩვენება, რომ მე დარდებს სხვას ვუზიარებ, არა გენაცვალე, ჩემთვის ცოლ-შვილზე საყვარელი, წმინდა და დიადი, არაფერი არ არის ამქვეყნად.

ათასჯერ გეტყვი რომ მიყვარხარ, იცოდე ძალიან რომ გამაბრაზო — რაც მე ვერ წარმომიდგენია, მაინც მიყვარხარ, მიყვარხარ სულელურად, რაღაც ფანტაზიებით, ჰო, ჰო, ნუ იცინი დღეს მე ბავშვებით ვსულელობ, ისევე როგორც ამ ოცდაათი წლის წინ. მაგრამ მე არ შემძლიან სხვანაირად. მთელი სიცოცხლე რასაც ვგრძნობდი იმას გეუბნებოდი და ვერც ახლა მოგატყუებ.

ეგ პაატა ზომ ღმერთად იქცა ჩემთვის! არ მეგონა თუ შეილიშვილი ასეთი საყვარელი იქნებოდა. არ ვიცი რატომ და ძალიან გულჩვილი გაეხდი. ბავშვებს ვუყუარებ და მინდა მტრედებოვით დაეუგურგურო, მათ შემხედვარს წმინდანი მგონია თავი — რა შესძლებია სიყვარულს! ტყუილად კი არ არის ნათქვამი — სიყვარული აგვამალვებსო!

საქმეებზე არაფერს — გწერ. ჩამოვალ და გიამბობ. აქ ჩვეულებრივი წვრილმანი ინტრიგებია. მომიკითხე ბავშვები, ნატა.

გკოცნი! ვწერ ამ სიტყვას და ვღუნდები, ძარღვები მითრთის.

ჩემო პატარა გოგო, ჩემო სიცოცხლე!

არჩილი.

12 ივლისი

ჩემო არჩილ!

მივიღე შენი წერილი. ჩემმა პასუხმა, როგორც მწერ, შეიძლება არ მოგისწროს, მაგრამ არ შემძლია არ მოგწერო. ბედნიერი ვარ.

ნანა

9

გურამის დაღუპვიდან სულ ორი კვირა იყო გასული, რომ კლასში დიდი ფაცაფუტით დაგვიწყეს მომზადება საქალაქო ოლიმპიადაზე გასასვლელად. რიგიანი სიმღერა და ცეკვა არავინ არ ვიცოდით, მაგრამ როგორც კი ოლიმპიადების „სეზონი“ დადგებოდა, ყველა მომღერლობაზე და მოცეკვავეობაზე სდებდა თავს, რადგან ოლიმპიადის მონაწილეთათვის ერთგვარი შეღავათები იყო დაწესებული სკოლაში: შეეძლოთ კვირაში ორი გაკვეთილის გაცდენა, ჩონხა-ახალუხს ხანდახან შინაც ატანდნენ, რითაც თვითეულ ჩვენთაგანს უნდოდა მეზობლებისათვის თვალები ეჭყეტინებინა და, კვირაობით უფასოდ მიჰყავდათ ზოოპარკში. არ ვიცი, ჩვენმა მასწავლებლებმა სხვა გასართობი არ იცოდნენ თუ ზოოპარკის ბილეთი ყველაზე იაფი იყო, მახსოვს, იმ წლებში, ყოველ კვირა ვტკებოდი ბეჭემოტებისა და მაიმუნების ცქერით. მე ცეკვა არ მეხერხებოდა, სიმღერაშიც მაინცა და მაინც თავს ვერ გამოვიდებდი, მაგრამ სამაგიეროდ გაზეიბებული მქონდა ერთი ლექსი, რომელსაც ყოველ წელს ჩვენი ხელმძღვანელი ბოლოს უცვლიდა: მაგალითად, თუ წინა წელს ლექსს ასე ვამთავრებდი: „საქართველო დღეს შესრულდა ჩვიდმეტი წლის“,

წელს უნდა მეთქვა: „საქართველო დღეს შესრულდა თვრამეტი წლის“. არ ვიცი, თანდათან უფრო ცუდად ვკითხულობდი თუ მსმენელები მიმიხედნენ ეშმაკობას, ყოველ წელს სულ უფრო ნაკლებ ტაშს მიკრავდნენ და ბოლოს სიცილიც კი დამაყარეს.

მთელ ამ ოლიმპიადებზე ყველაზე გამოჩენილი პიროვნება იყო მეშვიდეკლასელი გეურქა, რომელიც უზადლო მედლოედ ითვლებოდა სკოლაში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ გეურქასათვის ტაში არ დაეკრათ, მისი უბრალო გამოჩენაც კი სცენაზე ისეთ გამოცოცხლებას იწვევდა, ცუდადაც რომ დაეკრა, ამას უკვე აღარავინ დაეძებდა, მინც ტაშითა და ვაშათი გააცილებდნენ.

გეურქა თერძის შვილი იყო, პირზე სულ ხელოსნობა და ჰამქარი ეკერა. განუყრელად თან დაჰქონდა ილიაში ამოჩრილი დოლი და თავის ნათქვამს სააღლუმო ტუშსაც მიაყოლებდა ხოლმე. ამიტომ, როცა ბიჭებს უნდოდათ დოლის დაკვრა და გართობა, შეუჩნდებოდნენ გეურქას, აღარ მოასვენებდნენ თავსატეხი შეკითხვებითა და გამოცანებით.

— გეურქ, ამბობენ მამაშენმა ცალი თვალი ლომბარღში დააგირავაო.

— ჩემისთანა ბემურაზის შემხედავი მაშ რას იზამდა!

და თავის ნათქვამს ტუშს მიაყოლებდა.

გეურქამ იეთიმ გურჯის ლექსები ზეპირად იცოდა. პირველად მისგან მოვისმინე:

ზამთრის ყინვა არ მაშინებს,
 შენ რომ გხედავ, მაშინ მცივა,
 მე ჭამა-სმა აღარ მახსოვს,
 შენი სიყვარული მშვივა.

მე ვერ გამეგო სიყვარულის მოშვიება როგორ შეიძლებოდა, სიყვარული ხომ ყველი და პური არ იყო. მაგრამ ჩემი ბუნებრივი მორიდებულობის გამო შეკითხვას ვერ ვებედავდი, მით უმეტეს ვერ ვუბედავდი გეურქას, რომელიც თავგანწირვით მღეროდა

კარგად იცი, შენთვის ვიწვი,
 ვით თონეში ხმელი თივა,
 გაიციენ, თან მაციენ,
 ეს ჭრილობა შენგან მტკივა.

ეს ცოტა ვასაგები იყო ჩემთვის, მაგრამ გეურქა უტბად შეაბრუნებდა ყბას, დოლსაც ნეკი თითით დაუწყებდა კენკვას და კვლავ გამოცანასავით იტყოდა:

კარგი იყო, არ გამეცნე თავიდან,
 შუა წყალში გადამაგდე ნავიდან.

მახსოვს, ერთხელ წყლით საგსე აბაზანაში ფეხი მომიცდა და ზღართან მივიღე. მაშინ ცურვა არ ვიცოდი და კინაღამ დავიღრჩე. ამიტომ წარ-



მოდგენილი მქონდა შუა წყალში ნავიდან გადაგდება როგორი უბედურება უნდა ყოფილიყო და მეც იმ ვილაც, უცნობ მტერს, რომელმაც წყალში გადა-
მაგლო, გეურქასთან ერთად შევბლაოდი:

ჩემი გული შენ დაკოდე, დახიე,
ხელებს ითბობ, ცეცხლის ალში გამხვიე.
დამიმონე, შენი შიშით ვკანკალებ,
მომერიე, ვიხარინ, ხარხარებ...

ბიჭები საიდუმლოდ ამბობდნენ — გეურქა რამდენიმეჯერ ხოჯევანქზე
ვნახეთ, პანაშვიდებზე უკრავდაო, მაგრამ მე რატომღაც, ამ ხმებისა არ მჯე-
როლა. თუმცა გეურქას გამოუღეველად ჰქონდა „სატირებელი“ სიმღერები.

რად არ ფიქრობ, უნდა მოკვდე,
შავი მიწა გელისა,
ბოლოს უნდა კერძი გახდე,
მატლი, ჭიანჭველისა,
ეგ თვალები შეგექმნება
საჭმლად ხვლიკი, გველისა...

ასეთ რამეზე მაყრიალებდა და მზად ვიყავ გეურქასათვის მეთხოვა, შეე-
წყვიტა სიმღერა, მაგრამ როგორც ჩემი ყველა ამხანაგი, მეც ვაქაცობაზე
ვდებდი თავს და დიდ გმირობად მიმაჩნდა ამდაგვარი სიმღერების ბოლომდე
შოსმენა. თუმცა გეურქასაც არ უყვარდა სამგლოვიარო მოტივი და მალე
ისევ სიყვარულის ხმაზე არაკრაკდებოდა ხოლმე.

ახალ ტანჯვის გზაზე წაველ,
საჩივლელად ცაში აველ,
სიყვარულის ზღვაში შაველ,
ვიღუპები, ვეღარ გაველ.

ბიჭები სკოლის უკან ბნელ და ნესტიან ქუჩაზე ვიყავით ხოლმე მოყუჩე-
ბული და ჩვენი სიმღერა და გნიასი თავისუფლად აღწევდა ნახევრად დან-
გრეულ სასაბილომდე, საიდანაც სანაცვლოდ მთვრალი ხელოსნების გინება,
ლულაქაბაბის, ნიგრის, ხაშისა და არყის სუნი გამოდიოდა. მთვრალი ხელოს-
ნები ყოველთვის მოხარულნი იყვნენ ჩვენი სიმღერისა; ხშირად გეურქას და-
უძახებდნენ, არაყს დააღვივებდნენ და ისიც ყბას რომ დააღებდა, საღამომ-
დე ღრიალებდა შეუჩერებლივ. მაგრამ მე ვამჩნევდი, არყის დაღვევის მერე
გეურქას ხმა ისე აღარ რეკდა და მასში ხრინწი ერეოდა. ეს ჩვენ მაინცა და
მაინც არ გვადარდებდა, გვალბიზიანებდა უფრო ნიგრისა და ლულაქაბაბის
სუნი და თვალცრემლიანი ვნატობდით ჩვენც გეურქასავით შეგვძლებოდა
სიმღერა ან დაკრა, რა ბედნიერი ვიქნებოდით მაშინ! ერთხელ გეურქას
ვთხოვეთ, სამიკიტნოში რომ დაუძახებდნენ, ჩვენი თავიც წაეყვანა და ეთქვა,

ამათ გარეშე ვერ ვიმღერებ, „ხმა არ მეყოფაო“. ორ დღეს გასჭრა ჩვენმა ოინმა, მერე ყველანი კინწისკვრით გამოგვყარეს.

ჩვენ უკვე ჩუმჩუმად ვაცეცებდით თვალებს და გოგოებს ვჩქმეტდით მკლავებზე. ეს იყო რაღაც გაუგებარი ლტოლვა ჩვენი სიცელქისა, რაღაც შეუგრძნობი სურვილი გოგონებთან სიახლოვისა, რაც ზოგიერთებმა მთელი სისრულით ვიცოდით, ხოლო ზოგიერთს ჯერ ისევ წმინდა და სპეტაკი წარმოდგენა ჰქონდა. გეურქას კი საკმარისი იყო კაბისათვის თვალი მოეკრა, ხმას აუმაღლებდა და ასჯერ გაღებულ ბაიათს წაუმღერებდა ნივრითა და ხაშით შეზავებულს. საწყალი იეთიმ გურჯი გეურქას ხელში!

ლალ-ზურმუხტი, ფირუზი ხარ,
ქვეყანას თვალად უზიხარ,
ედემის თაფლის ბუზი ხარ,
ლამაზებში ჯვრის ტუზი ხარ.
მთელი სამყაროს ფასი ხარ,
სხივით პლანეტა, მარსი ხარ,
ბულბულისთვის მაისი ხარ,
თუ არ ჩემი მაშ, ვისი ხარ?
შენთვის ვგალობ, მიცან ხმაზე,
აღარა ვარ კაცი ჭკვაზე,
მარტო შენ ხარ მიწა-ცაზე,
მოჩვენება პლანეტაზე.
ჩემო ხატო, ჩემო ღმერთო,
შენ სურათზე სანთლად ვენტო,
გთხოვ, წყალობა გაიმეტო,
ლამაზების პრეზიდენტო.

მანც რა საყვარელი და მიუწვდომლად კარგი იყო ჩვენთვის გეურქას სიმღერა. რა მარჯვედ აბრუნებდა დოლს, რა ყოჩაღად არაკუნებდა თითებს და მჭექარე ხმით აზანზარებდა ნესტიან ქუჩებს და არყით დამხრჩვალ დახლებს. მართალია ასე საოცრად ვტანჯავდით იეთიმ გურჯსა და პოეზიას, მაგრამ პირველად სწორედ გეურქამ გაგვაგებინა შოლტივით მოქნეული სტრიქონი —

ერთი მითხარ, ვისი ენით წახდი,
ჩემი იყავ, სხვისი რატომ გახდი.

და ახლა, როცა ზოგჯერ თვით ნამდვილი სიყვარულიც კი, პროვინციალური ეგზოტიკა გვგონია, გავიხსენებთ ხოლმე ჩვენი უბნის ბიჭები გეურქას და ოხვრით ვიტყვი ბავშვობაში ფიცით დამღერებულს:

გულში გქონდეს ცოტა სიბრაღული,
გაიხსენე ძველი სიყვარული!

ხოლო როცა პიკასოზე და გოგენზე, ჰემინგუეიზე და კაფკაზე, ალუბლებზე და ბლოკის ლექსებზე საუბრით დავიღლებით, ხმადაბლა, ჩურჩულით მოვიგონებთ დიდი ხნის წინ, თბილისის ძველ უბანში, მედოლე გეურქას მიერ დამღერებულ და სიყვარულზე სწორუპოვრად ნათქვამ კენესას

მე ახალი დარდი მიყიდია,
 წყალში ვღგვეარ, ცეცხლი მიყიდია!

ეს სტრიქონები ისევე უბრალოა, როგორც ავლაბრისა და ხოჯევანქის ოღროზოღრო, და ისევე საყვარელი, როგორც მხოლოდ თბილისელი პოეტის ნათქვამი შეიძლება იყოს.

10

მამა სულ მივლინებაშია, დედა — სამსახურში, ამიტომ მე ხშირად ვიყავი დეიდებთან, რომლებიც მგონი თბილისის დაარსებიდან ქალაქში ცხოვრობდნენ. ახლა, ალბათ ჩემ ბავშვობას რომ ვიგონებ, ძალაუვნებურად ნაზ ფერებში მეჩვენება ყველაფერი, მაშინ კი თვითელი მისვლა დეიდებთან ჩემი სატანჯველი იყო.

... ოთახში სიჩუმეა. ყრუ კედლებს ძველი, ალაგ-ალაგ დამსკდარი ჰერი თავზე სარქველივით დაუხურავთ, მისი სიმძიმით შეწუხებულნი გატრუნულან და თავისი დუმილით საათის მონოტონურ წიკწიკს ახშობენ. სქელ ფარდებს ვიწრო ფანჯრები დაუბნელებია, სინათლე ჭუჭრუტანებიდან ძლივს მოიპარება და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ოთახი კი არ იყოს, არამედ ძალიან ღრმა და ბნელი ჰის ფსკერი. იატაკზე გაცვეთილი ნოსებია გაფენილი, მათი დაძონძილი კუთხეები დიასახლისის მახვილ თვალს სავარძლებით დაუფარავს. როილის პირდაპირ დგას პატარა საწერი მაგიდა; კედელზე დიდი სურათი ჰყიდა ქართულად თავდახურული ქალისა და ჩოხა-ახალუნში გამოწყობილ, უღვამდაფანჩულ კაცისა. მის დაბლა, ყავისფერ, ბუზებისაგან შებღალულ ჩარჩოში გაყვითლებული ქალადიდან, რევოლუციამდელი შლიაპითა და შესაფერისად გაკრეჭილი თმით ახალგაზრდა ქალი იყურება. სურათს გულსაბამად ერთი ასეთი სტრიქონი აქვს ჩაკერებული:

И жизнь торопится и чувствовать спешит!

ჩანს, ამ მღწოდებას უდიდესი ცეცხლითა და დელვით ესწრაფვოდა სურათზე გამოხატული ქალი, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ბედი ყოველთვის გაუღიმებდა და ახალგაზრდობა თოვლის გუნდასავით არ შემოადნებოდა ხელში.

ოთახში სიჩუმეა. ძირგავარდნილ სავარძლებში შინაბერები სხედან. ისინი არ საუბრობენ. ტურები მტკიცედ მოუკუმავთ, თვალები მიუღულიათ და სთვლემენ.

სათქმელი აღარაფერი აქვთ. ერთმანეთს სულიან-ხორციანად იცნობენ. სამოცი წელია ერთ ოთახში ცხოვრობენ. დილით ერთად სვამენ ჩაის, მერე სამსახურში მიდიან. საღამოს ბრუნდებიან, სადილობენ და მერე შუალამემდე სავარძლებში სთვლემენ.

ცოტა იცხოვრეს. ბევრს იგონებენ. წუწუნებენ. დრო და დრო ჩაჩუმდებიან. ხანდახან, გაურკვეველად რაღაცას წაიღუდუნებენ. მერე ისევ ღრმასა და უძირო თვლელაში იძირებიან.

სიჩუმეა და თვლემა. ოთახი სავსეა ნივთებით. მოზარნიშებული სურები, ფიროსმანის ნახატები, ვანო სარაჯიშვილის ვეება სურათი, ფარდები, წიგნები, სავარძლები და... ორი ადამიანი.

ღორამ დაიკვნესა. ალბათ ჩაეძინა და ცუდი რამ ეზმანა. თვალები მოიფშვინტა. დაფანტული, უაზრო, გამოჩირჩხული მზერით ოთახი მოსერა. კვლავ თავი ჩაჰკიდა და ჩაყვინთა. ერთხანს ასე იყო ძილსა თუ ღვიძილში, მერე ტუჩებიდან ყინულის ნაგლეჯივით მოსწყვიტა:

— მართლაც, უბედური ვარ!

თათიამ წამოიხედა. ოთახი დაკვირვებით მოათვალიერა. დას დააშტერდა და მოწყალეხასავით მიუგო:

— ვინ არის დამნაშავე?

ღორამ ამოიხორა. გამშრალ, ფისოსავით მოლოკვილ ტუჩებზე ენის წვერი მოისვა, გულმხურვალედ ჩაიკვიტკვიტა.

ოთახში კვლავ სიჩუმეა და თვლემა. დგას ნაფტალინის სუნი. ცეცხლმოკიდებული გული იწვის, მაგრამ ვერ დამწვარა და ეს მოურჩენლობის, დაუმთავრებლობის გრძნობა სულს აშფოთებს. არ არსებულ ბედნიერებაში დაუსრულებელ მენუეტს ცეკვავს ორი შინაბერას გატეხილი ლანდი.

მათი ახალგაზრდობა წიგნში ჩადებულ დამქნარი ყვავილივით დავიწყებულია. ერთ დროს მათ ათქვირებული სხეული, აფუებული მკერდი და სავსე თქმობები ჰქონდათ. ერთ დროს მათი ძუძუები აზღუდს ხეტქავდა, ახლა რომ საცოდავად გალეულან, დაბატარავებულან, დაჩამიჩებულან.

თათია მაღალი იყო და მკერდსავსე. ღორა უფრო მომცრო ტანისა, მაგრამ დახვეწილი, ნატიფი ნაკეთებით. თვითეულს შეეძლო თავის დროზე გათხოვება, ცოტა გულს რომ დაჰკითხებოდა და ცივი ანგარიში დაევიწყებინა. მათ გულში ჩაიკლეს ყველაფერი, რაც ოდესღაც ძილს უფრთხოვდა, მოსვენებას უკარგავდა, რასაც სიყვარული ერქვა. უძარღვო, ცარიელი გული მათ ნელსაცხებლის მოღლილი სურნელებით გაბერეს. წლების მანძილზე ჩინებულად შეისწავლეს სხვათა გული. ანკეს ყველა წამოეგებოდა — მოხუცი თუ ახალგაზრდა, ფილოსოფოსი თუ კომერსანტი. თავათ ამ თამაშით ერთობოდნენ. ახალი შთაბეჭდილებანი და ნაირნაირი სურათები უფრო ახარებდათ. ამიტომ არაფერს არ ერიდებოდნენ.

დროს კი თავისი მიჰქონდა. ათქვირებული სხეული დამდნარ სანთელივით იღვენთებოდა. აფუებული მკერდი მჩატდებოდა, მკვრივი თქმობები ღონ-



დღოვდებოდა. თმამ, თავდაპირველად ყველა საღებავი შეიფერა, მაგრამ ახლა, კოსმეტიკას უკუმოქმედება დაეწყო: თმა ჯიუტობდა, არცერთ ფერს აღარ იღებდა, ახლოდან რომ შეგეხედათ შინაბერათა თავი პანტერას თავს მოგაგონებდათ: ალაგ შავი იყო, ალაგ თეთრი და ალაგ ყავისფერი. მიუხედავად იმისა, რომ შინაბერები დიდი წვალებით დაეუფლნენ ისეთ სიცილს რომ სახის კანი უძრავი დარჩენოდათ, გადატყეცილი ლოყები მაინც დაიფუყა, ნაოჭის მარაო მთელ სახეს გადაეფარა.

ღამე თათია და დორა უბალიშოდ იძინებდნენ, რათა ზურგს სიბერის კუზი ნაკლებად დამჩნეოდა. პირს ძილის წინ იბანდნენ, ცდილობდნენ ჰაერზე დიდხანს ყოფილიყვნენ, სადილად თითო ჭიქა წითელი ღვინო გადაეკრათ, რათა სახეზე ფერი დასდებოდათ. მაგრამ სიბერეს არაფერი შველოდა. ყველა წამალი უძლური იყო. დროს ძარღვების ცეცხლი წაეღო და დამკვნარ გულში ცივი ნაცარი დაეტოვებინა. ამ გულს ველარაფერი ვააცოცხლებდა და გამხიარულებდა.

ბავშვები დიდხანია უკვე „ბეზიას“ ეძახდნენ. ტროლეიბუსების მძღოლები წინა კარიდან ასვლას სთავაზობდნენ. მგზავრები იმ სკამს უთმობდნენ, სადაც ასე გულგასახეთქად ეწერა: „ინვალიდებისა და ბავშვებისათვის“.

წინათ ისინი ბევრს საუბრობდნენ. ასეთი პაექრობის დროს თვითეული ცდილობდა მოწინააღმდეგე დაეჯახნა. ახლა — დუმოილს არჩევდნენ. ყველა ნაცნობი ათასჯერ მაინც გასწიეს და გამოსწიეს, თავიანთ თარგზე გამოსჭრეს და შეეკრეს. სხვა რაღა უნდა ეთქვათ? და, ისინიც გაჩუმდნენ.

თავიანთ უბედობას ერთმანეთს აბრალებდნენ. მერე ტიროდნენ და დარდს კვლავ ერთიმეორეს შესჩიოდნენ.

ქედმაღლობამ ყველასაგან გარიყვა გამოიწვია. გაუთხოვრობამ — წიწკიანი ენა. წყალწაღებული ხავსს ეჭიდება, შინაბერა — ძველ ანეგლოტს.

კვლავ სიჩუმეა. დრო ძნელად იწურება. მართალია ყველაფერი დაგვილდასუფთავებულია, მაგრამ მაინცა დგას მტერისა, შეხუთული ჰაერისა და სიძველის სუნი.

ერთადერთი ცოცხალი რამ ამ ოთახებში ფიროსმანის სურათებია. თითქოს საკმარისია, წელში წნელივით გაღრეცილმა კინტომ თავისი წითელ-ყვითლად მოქარგული არღანი ამოაბრუნოს, გაცვეთილი „პენსა“ შემოსძახოს, გულსაკლავად დაიპრიჭინოს, რომ ფიროსმანის მიერ დახატულმა მდიდარმა და ღარიბმა მოქალაქეებმა ქამრიდან ბაღდადი შემოიხსნან, თავი დახარონ, მხრებში მოიწყურონ და „ბაღდადური“ ჩამოუარონ.

საწერ მაგიდაზე გამწკრივებულ წიგნებს არავინ ფურცლავს. ისინი დიდი ხანია დავიწყების ბურუსმა გააღწო. თათია და დორა მათ ათასში ერთხელ იგონებენ. ნაცნობი წიგნები ძველ ჭრილობებს უღვიძებთ. თვითეულ ფურცელშემოგლეჯილ რომანთან მათი პირადი რომანია გადაწეული. ამიტომ არჩევენ ქალაქის ქრონიკა იკითხონ საღამოს გაზეთში. წაყითხულს ერთ ყალიბში სდებენ. მათ სხვანაირად არ შეუძლიათ. ეს ჩვევა წლებმა მოიტანა.

თვითეული ნივთი თავის მარტობას ჩივის. ადამიანები სავარძლებად ქცეულან. ისინი მარტობას გაუერთიანებია და ახლა ერთმანეთს ავსებენ — ადამიანები და ნივთები.



გული დაავადმყოფდა. დარდმა ასე იცის. ჯერ მიყუჩებულია, ჩრდილს ეფარება და ადამიანს თავის ძალას არ აგრძნობინებს, მაგრამ როცა ჟამი მოატანს, ახტალასავით ამოვარდება.

ხალისი შეიფერვლა. ამოა თავწყვეტა. ადამიანი იძულებულია ბედისწერის ეტლს ბორბლებქვეშ ჩაუვარდეს.

თათიაც ჩაუვარდა. უყვარდა — ვერ გათხოვდა. ელოდა — დაივიწყეს. დანადვლა, ჩაიწვა, ჩაიფუტქა.

სიყვარული დრომ წაიღო. ფერადი მოგონება და მწარე სინანული დაკარგულ სიტყვობებს ვერ დააბრუნებდა. გული გატყდა. ამან ერთბაშად მოშალა თათია.

ახლა მისთვის სულერთი იყო. იდარდა — არაფერი გამოვიდა. ისიც გაჩუმდა, მიიღუშა, მისავათდა.

ახლა ჩუმად იყო. როგორც სავარძელი — იდგა და სდუმდა.

თათია მარტოობამ შექაპა. ერჩინა სულ მარტო ყოფილიყო, ვიდრე დასთან. მაშინ თავის დარდს თავისუფლად კედლებს მაინც ეტყოდა. ახლა კი ვის უთხრას, დორას?

დორას საკუთარი ცეცხლი სწვავდა. იგი დის ბედნიერებას შეეწირა. მან, რატომღაც თავიდანვე ასე გადასწყვიტა: თათია მასზე მეტად სათუთი და გასაფრთხილებელი იყო. დორამ თავი დაივიწყა და დღენიდაც მხოლოდ თათიას გოგლიმოგლი, კურორტი, შოკოლადი და პირამიდონი ესმოდა...

ახალგაზრდობა თვალსა და ხელს შუა ჭიამაიასავით გაფრინდა. კარზე სიბერე აკაკუნებდა...

თათია არქივში მუშაობდა. თავდავიწყებამდე უყვარდა მას ხავსმოკიდებული, ცივი კედლები, რამდენიმე სართულად შეკოკოლავებული თაროები და მტვრიანი, ჩაყვითლებული „საქმეები“. თათიას ამ არქივის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოედგინა. დაუფარავ სიხარულს ჰგვრიდა, როცა ასკინკლა კიბეზე შედგებოდა, მტვრიან თაროებზე ხელს ააფათურებდა, დიდი წვალების შერე დაობებულ, ნესტისაგან შექმულ „საქმეს“ ვადმოიღებდა, თავის სამფეხა მაგიდასთან მიიტანდა, ბებერ, მაგრამ იხტიბარაუტეხავ კატასავით მიუცუცქდებოდა და ნისკარტა ცხვირს შიგ ჩაპყოფდა.

სიამოვნებისაგან გადაიბადრებოდა ხოლმე თუ მომსვლელი რევოლუციამდე მომხდარი „საქმის“ დამოწმებას ან მოძებნას სთხოვდა. სიხარულით გულადანცქალებული თაროებზე ციყვივით აცოცდებოდა, ორთავიანი არწივის შტამბით დალუქულ ქაღალდს მოსძებნიდა და მეტისმეტი აღელვებისაგან ჩამქვანარ ქუთუთოდან სიმინდის მარცვალავით გამოიღებდა ცრემლს.

ძველი, დაფუტურობებული მაგიდა კი ჭრაქუნებდა. თათია სიბრაზისაგან ლამის ცრემლად დაღვრილიყო. ხანდახან, დალილი, თვალეებს დახუჭავდა და მაგიდის ჭრაქუნს ყურს მიუგდებდა. ეჩვენებოდა, რომ ეს უგულო ხის ყუთი ადამიანად ქცეულიყო, ცეცხლოვან ვაჟაკად... თათიაც მაგიდას მთელი სხეულით ეკვროდა და ასეთ წუთებში ყველაფერი ავიწყდებოდა.

სიძველეში, ნესტში და შმორში თათია თავისი ახალგაზრდობის დაკარგულ ნაპერწკლებს ჰკრეფდა, რაღაც უთქმელსა და დამალულს ეძებდა... აქ იგი თავის ტაფაში იწვოდა, აქ ხომ ყველას შესანიშნავად ესმოდა „ოლგინსკაია“, „ბებუთოვი“, „სობორო“...

თათია ჩასთვლემდა და ამ თვლემასა და უძირო დვრინში წარმოიდგენდა თავს ახალგაზრდად, ნორჩსა და სალუქს, ყვავილებში მოკისკისეს... წარმოიდ-



გენდა და გულჩათუთქული აქვითინდებოდა, ნაბარევე ცრემლს ჩაულაპავდა და ისევ მიეცემოდა თვლემას, გაბრუებული და გულმოკლული.

დორა შემნახველ სალაროში მუშაობდა მოლარედ. დორას არასოდეს არითმეტიკა არ ჰყვარებია, ფული იშვიათად ჰქონდა, მაგრამ მაინც, ბედისა თუ შემთხვევის წყალობით, იძულებული იყო, მთელი სიცოცხლე სხვისი ფული ეთვალა და უფერული დღეები ჩუმ ოხვრაში გაეტარებინა.

დღეები კი საოცრად ჰკავდა ერთმანეთს. ზამთარ-ზაფხულ თითქოს ერთნაირად თენდებოდა და ღამდებოდა, დორა დანიშნულ საათზე სალაროში მიდიოდა და ფულს ითვლიდა. ტიხარს, რომელიც მას მომსვლელი ხალხისაგან ჰყოფდა, პატარა საჭურეტელს შეხსნიდა და სტაფილოსავით წაგრძელებულ ცხვირს გამოჰყოფდა. იცოდა, მას არაფერს ეკითხებოდნენ, მას მხოლოდ გამოწერილი ჩეკის მიხედვით ფული უნდა გაეცა... ამით გაგულსებული მოლარე კლიენტებს საათობით ალოდინებდა და ბოლოს, კუთვნილ თანხას, დიდი მოწყალებასავით მიუგდებდა. ამ წუთებში დორას თავი ძალიან ბედნიერი ეგონა...

ხელფასის მიღების ხანი რომ მოატანდა, უცნაურად აწრილდებოდა. ახალთახალ მანეთიანებს გულმოდგინედ შეარჩევდა, ნაწიბურებს გაუსწორებდა და ბაფთით შეკრავდა. ამ ფულს უცნაური ძალა ჰქონდა. იქნებ იმიტომ რომ ის საკუთარი იყო და დაძაბული შრომის საფასური. დორა მას მთელი თვე ელოდა. ათას გეგმას ადგენდა, მაგრამ როცა უამი ჩამოდგებოდა, ძალიან უძნელდებოდა ეს გულდაგულ შერჩეული მანეთიანები დაეხარჯა. „გაუთვალისწინებელი“ ხარჯებიდან მე წიგნის საყიდელ ან თეატრში წასასვლელ ფულს მომცემდა და თვითონ თეატრის ხსენებაზე, ისე გულსაკლავად ამოიოხრებდა, თითქოს ამ ოხვრას მთავარი სული უნდა ამოაყოლოსო. „ეხ, ის დრო წავიდა, — ფიქრობდა დორა, — როცა კავალრები ჩვენთვის საკუთარ ლოქას იღებდნენ და შოკოლადით სავსე კოლოფის გვერდით ყვავილების თაიგულს გვახვედრებდნენ... ახლანდელმა ყმაწვილებმა ყველაფერი გააუბრალოვეს, ქალიშვილების პატივისცემა აღარ იციან“...

დორა გაანდობდა დას თავის ფიქრებს, თათია წაუტირებდა და მერე ორივენი სუფრას მიუსხდებოდნენ. ისე ჩუმად ისადილებდნენ, თითქოს რაღაც დანაშაული ჩაუდენიათ და ახლა, ამ სიჩუმით უნდა გამოისყიდონო.

ნასადილევი და მოთენთილები სავარძლებში ჩასხდებოდნენ და მალე ძილისაგან სახემორღვეულები ჩასთვლემდნენ.

ღამე დორას კვნესა ისმოდა. თათია დაუტყვედა, ნუ მალვიძებო. წელკავისაგან დაგრეხილი დორა ფლასუნით წამოდგებოდა და გაოფლილი, აცახკახებული ხელით ვალერიანის წვეთებს დალევდა...

17 თებერვალი 1950 წ.

ნანა!

გამარჯობა, როგორა ხარ, როგორ არიან ბავშვები. რატომღაც თქვენმა წერილმა დაიგვიანა და შევეშფოთდი, ვინმე ავად ხომ არ არის-მეთქი. ოთარი უფრო მაქცევს ყურადღებას, თქვენ კი რატომღაც დამივიწყეთ. ალბათ გაიგებდით, ოთარი მომავალ წელს დაამთავრებს ლენინგრადის სამხედრო სას-



წავლებელს. მისი წარმატებანი ძალიან მახარებს, მაგრამ მეორე ცოლიც რომ მიატოვა ეს უკვე ვერაფრით ველარ ამიხსნია. ჩემდამი მოწერილ ერთ-ერთ წერილში ასეთი სტრიქონი აქვს: „ყველა პორტში მყავს ქალებიო“. არ ვიცი, მეც ვიყავი ჯარში, სხვა და სხვა ფრონტებზე, მაგრამ ასეთი რამ ფიქრადაც არ მომსვლია. ოთარის თუ მეზღვაურობა იმიტომ უნდოდა, რომ ყველა პორტში თითო ცოლი მიეტოვებინა, კარგად ყოფილა მამ მისი საქმე. მოკლედ, არ ვიცი როგორ მოვიქცე, წერილი მივწერე, დავარიგე, მაგრამ ამხელა კაცს ხომ არა ვცემ? ვიფიქრე ლენინგრადს წავსულიყავი, მაგრამ თავი შევიკავე, ბოლოს და ბოლოს, დღეს თუ ხვალ გემის კაპიტანი იქნება და ხომ არ შევარცხვენ!

ბიძინას და გივის ამბავი მომწერე. ბიძინამ რა გადასწყვიტა, ისევ სამხატვრო აკადემია აქვს ახირებული? ვერ იქნა და ეგ ბიჭი ვერ მოვიდა ჰქუაზე. ჩვენ დროში პროფესია ყველაფერს უდრის. რა პროფესიაა მხატვრობა, მთელი სიცოცხლე გულგახეთქილი უნდა ელოდეს, მოუწონებენ თუ დაუწუნებენ ნახატს. მე რომ მაგის ალავას ვიყო, გეოლოგი ან ისევ ინჟინერი გავხდებოდი, ხომ იცი, სპეციალისტის დიპლომს ყველგან ერთი გასავეალი აქვს. თანაც მე არ ვიცი, ეგ როგორი მხატვარი იქნება. შემოქმედს, ჩემი აზრით, დიდი ბოგრაფია უნდა ჰქონდეს, ეგ თავის სკოლის ამხანაგებისა და ჩვენი ეზოს მეზობლების მეტს არავის იცნობს. პირდაპირ საოცარია, დღევანდელ მწერლებსა და მხატვრებს თავიანთი სამზარეულოს მეტი არაფერი უნახავთ და რისი იმედით აპირებენ მუშაობას. მე მუხისა და შთაგონებისა ნაკლებად მჯერა, შთაგონება მაშინ არის მდიდარი, როცა შთაბეჭდილებანი ბევრია. ბიძინა თუ მაინცა და მაინც მხატვრად არის დაბადებული, პროფესიულ დაოსტატებას ყოველთვის შესძლებს, მაგან ახლა ისეთი სპეციალობა უნდა შეიძინოს, რომ ქვეყანა ნახოს, ცხოვრებას საქმით გაეცნოს, თვალი გაახილოს, რომ იტყვიან მთა და ბარი შეაჯეროს და მერე ჩაუჯდეს მოლბერტს. ისე, ჩემი აზრით, არა ღირს ამ საქმის დაწყება, თორემ თავისი ბავშვობის შთაბეჭდილებებს ერთ-ორ სურათში ამოსწორავს და მერე მიეცემა მელანქოლიასა და სასოწარკვეთას, არ ვურჩევ აკადემიას. ჯერ მაგან „ცხოვრების აკადემია“ დაამთავროს და მერე ვნახოთ. თუ არ გაუნელდა ინტერესი ფერებისადმი, თუ არ მოასვენა სათქმელმა და მაინც დაიწყო მუშაობა, აი ის იქნება ნამდვილი ხელოვნება! ახლა კი ეგ ახალგაზრდული გატაცებაა და სხვა არაფერი. ასე უთხარი ჩემგან.

გივი ყოველთვის ჩემი პროფესიის მოტრფიალე იყო და ეჭვი არ მეპარება. რომ ინჟინერი გამოვა. მხოლოდ მშენებლის სპეციალობას არ ვურჩევ. ბევრი წაწალი უნდა. ხომ ხედავ, ჩემი სიცოცხლე სულ წერილებში გადავახურდავე და ოჯახში ვერაგზით ფეხი ვერ მოვიკიდე. გივის მეტალურგიას ვურჩევ. უფრო მყარი საქმეა. მეტალურგია ყოველდღე არ შენდება და არც ორი კვირისთვის ამენებენ. მეტალურგია — საუკუნის საქმეა.

ჯანმრთელად იყავი, ნანა. იმედი მაქვს სკოლაში ყველაფერი ჩინებულად არის. ველი პასუხს.

არჩილი.

P. S. მალე დაიწყება მსოფლიოში უდიდესი, ვოლგის ელსადგურის მშენებლობა. მე, ჯერჯერობით ბეტონის სამუშაოებს ვხელმძღვანელობ.

ნანამ არჩილის ამ წერილზე არ უპასუხა და ერთი კვირა თვალცრემლიანი დადიოდა სკოლაში.

(გაგრძელება იქნება)



შოგუა იანოკოპალო

იულიუს ფუჩიკს

ბრწყინავდი, როგორც მწვერვალი,
ჩაქრი ვარსკვლავის დარად,
მაგრამ სტრიქონი ელვარე
ჩვენთან იცოცხლებს მარად.

შუქს სესხულობდი ელვისგან
და უკვდავ წიგნებს სწერდი,
სამარადისოდ ჩვენი ხარ,
თავდადებული ჩვენთვის.

იბრძოდა ციხის წყვილიაღში
და დასცინოდა სიკვდილს
შენი სიცოცხლე დიადი,
შენი ცხოვრება დიდი.

უნამგლოდ მკიდი მტრის თავებს,
თავთავებივით მკიდი,
ბარი არ გქონდა, ხეს რგავდი,
რომ გამოეღო კვირტი.

რომ გაეხარათ ყვავილებს,
პეშვით ჩაყარე თესლი,
და ახლა, სადაც გავივლით,
შენი სახელი გვესმის.

ამხედრებულმა უცხენოდ —
მტარვალს აგემე რისხვა,
დაგვაძმობილა უცხონი
ერთად დაღვრილმა სისხლმა.

იდიდებს შენი დიდება,
დიდო მესიტყვევ ხვალის,
შენს ღიმილს გავუფრთხილდებით,
როგორც საყვარელ ყვავილს.

თარგმნა ვახტანგ ჯავახიძემ



იოჰან ჩაქუნაძე

სხოკრების ზეიპობა

რომანი

თავი მეცხრე

ბარტორგანიზაციის მდივნის კაბინეტი ხალხით ივსებოდა. გურამი ოთახის ბოლოში იჯდა და გივი ივანისელთან საუბრობდა. ექვსი საათი შესრულდა. დრო იყო საქმეს შესდგომოდნენ.

გურამმა ხალხს თვალი გადაავლო.

— გიორგი არ ჩანს, ხომ არ იცით, სად იქნება?

ხმას არავინ იღებდა. გურამმა ტელეფონის ყურმილს წამოავლო ხელი, დირექტორთან დარეკა.

— ამხანაგო გიორგი, ბიუროს ვიწყებთ, თქვენ გელოდებით.

მცირე ხნის შემდეგ ოთახის კარი გაიღო და დირექტორი შემოვიდა. სკამი კედლისკენ მისწია და ჩამოჯდა.

— ბიუროს სხდომას გახსნილად ვაცხადებ. დღის წესრიგში ერთი საკითხია, კადრებთან მუშაობა. სხვა წინადადება ხომ არ იქნება? — იკითხა გურამმა.

— დამტკიცდეს.

— მაშინ ნება მომეცით, გაგაცნოთ ფაბრიკის კადრებთან მუშაობის მდგომარეობა, — დაიწყო კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გივი ივანისელმა: — მე შევეცდები დაწვრილებით გაგაცნოთ ყველაფერი: ამ ბოლო დროს ბევრი მუშა წავიდა ფაბრიკიდან. სამწუხაროა, რომ გათავისუფლებული მუშების უმრავლესობა ახალგაზრდები არიან, — გულისტკივილით თქვა გივიმ — ახალგაზრდობასთან ცუდად ვმუშაობთ. არც კომკავშირის ორგანიზაციაა მართალი.

— თავის მოკატუნება გაფუჭებულ საქმეს არა შევლის, — შეესიტყვა გივის დირექტორი.

— რა თქმა უნდა, — განაგრძო გივიმ, — მაგრამ კომკავშირის ორგანიზაციამ რა უნდა იღონოს, როდესაც ფაბრიკაში საერთოდ არ აფასებენ ადამიანის შრომას. მთელი ამ ხნის განმავლობაში არცერთხელ არ გაცემულა წამახალისებელი ჯილდო, გამომუშაებამ საგრძნობლად იკლო, მაშინ, როდესაც სხვა ფაბრიკებში სულ სხვანაირი მდგომარეობაა. ამიტომ ახალგაზრდობა იქ მიდის, სადაც აფასებენ.

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 2.



— როგორც გატყობ, შენც ადვილად შეეღვევი ჩვენს ფაბრიკას? — ჩაერია ღირექტორი.

— ყველა ერთნაირი ნებისყოფისა როდია. ზოგს ისე ჰგონია, რომ ვინაიდან ფაბრიკაში დღესდღეობით ჩამორჩენა გვაქვს, ყოველთვის ასეთი მდგომარეობა გვექნება. ისინი ახალგაზრდები არიან და არ გაგიკვირდეთ, თუ ცხოვრების გამოცდილება არა აქვთ.

— თქვენ რა უნდა მასწავლოთ? — ველარ მოითმინა ღირექტორმა.

— მე თქვენ არაფერს არ გასწავლით, ამხანაგო გიორგი, მხოლოდ ზოგიერთ ნაკლოვან მხარეებზე მოგახსენებთ, — მშვიდად უპასუხა გვიმ.

— კიდევ ერთი გარემოება უწყობს ხელს ფაბრიკის ჩამორჩენას: სამწუხაროა, რომ დღემდე ფაბრიკის მუშებისათვის ერთი საერთო საცხოვრებელი ბინაც კი არა გვაქვს, — თქვა ბოლოს გვიმ.

გურამი წამოდგა.

— ვის სურს აზრი გამოთქვას? — იკითხა მან.

— ხვალ მთელ ფაბრიკას ეცოდინება ვინ ვისზე რა სთქვა და ვაი მისი დედის ბრალი მერე... — წამოიძახა ვილაცამ ოთახის კუთხეში.

— მე ლაპარაკი არ მეხერხება, მაგრამ გავებდავ და ორიოდ სიტყვას მაინც ვიტყვი, — წამოდგა ნესტორი, — დიდი ხანია ამ ფაბრიკაში ვმუშაობ და ასე გაბედულად ჯერ არ გვილაპარაკია, ერთი მეორისა გვეშინია. აი, უშანგი რომ არის, ვითომ რაო, მომმარაგებელი რომაა, ჩემზე მეტი ხელფასი რითი აქვს, რომ ასე კარგად ცხოვრობს? მაგისტანები ცოტა როდი გვირევიან, უნდა შევამოწმოთ მათი შემოსავლის წყარო.

კარგა ხანს კამათობდნენ. მთელი საღამო უძრავად იჯდა ღირექტორი. ყველაზე უფრო იმან ატყინა გული, შვანგირაძე რომ უხსენა ნესტორმა. არავის შეჰკამათებია, რასაც მეტს იტყვის კაცი, მეტ კუდებს გამოაბამენო და გულში ჩაიკლა მისი ვაბიაბრუება.

ბიუროს სხდომა დამთავრდა.

გურამი ის იყო ტრამვაიში აპირებდა ასვლას, რომ ვილაცამ მკლავში მოჰკიდა ხელი, მოტრიალდა, ნესტორი ამოსდგომოდა გვერდში.

— გურამ!

გურამი ტროტუარზე გადაჰყვა ნესტორს.

— გადაეწყვიტე ერთი საინტერესო ამბავი მოგიყვე.

გურამმა გაოცებით შეხედა ნესტორს.

— ჩვენი მომმარაგებელი საექვო კაცია, ისეთი ჭორებიც დადის, თითქოს ღირექტორის ახლობელიც იყოს. მარიფათს უქებენ, კარგი ბინებიც წამოუკიმავეს. ყველაფრის თქმა შეიძლებოდა ბიუროზე.

გურამი შეიშმუნა. არ ესიამოვნა უშანგიზე ლაპარაკი, თუმცა ნესტორთან არაფერი შეიმჩნია.

— ჭორების აყოლა რას გვარგებს ნესტორ, რაიმე საბუთი ხომ უნდა გექონდეს.

— საბუთი? იმხელა სასახლე საბუთი არ არის?

— ვნახოთ, აჩქარება არ ივარგებს.

— მე აქეთ გავუხვევ, ნახვამდის, — დაემშვიდობა ნესტორი გურამს და მოსახვევში მიიშალა.

გურამი ჩააფიქრა ნესტორის სიტყვებმა. შვანგირაძის სასახლე თვალწინ წარმოუდგა.

— გურამს გაუმარჯოს! — მოესმა მოულოდნელად.

- გურამი შეჩერდა.
- რამხელა კაცი გაიზარდე, შემთხვევით რომ არ გამეგო არჩილის ბიჭიო, ვერც გიცნობდი, — უშანგიმ მკლავში ხელი გამოსდო და ბულვარს გაჰყენენ:
 - მშობლები ხომ კარგად გყავს?
 - გმადლობთ, კარგად არიან.
 - ხუთი წელი მინც იქნება სოფელში აღარ ვყოფილვარ, შენ თუ დაიარები?
 - ვიყავი, — მიუგო გურამმა — ესტატეც ვნახე, ძალიან სწუხს თქვენს უნახაობას.
 - საწყალი ბერკაცი, მარტობით გაწვალდა, — სინანულით წარმოთქვა უშანგიმ — ხომ არ ავადმყოფობს?
 - ყოჩაღად გამოიყურება, ეგ კი არის თვალეზს უჩივის.
 - ამ დღეებში აუცილებლად ჩავალ, მივხედავ.
 - გაუხარდება თქვენი ნახვა.
 - მიხარია, ფაბრიკაში რომ გაფასებენ. ერთი მიწაწყლის ხალხი ვართ... — სხვა თემაზე გადაიტანა უშანგიმ საუბარი.
 - ისეთი არაფერი გამიკეთებია, ქების ღირსი ვიყო.
 - რატომაც არა? ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, მომავალი წინა გაქვს... ოღონდ ცხოვრება უნდა ისწავლო.
- გურამი ვერ მიუხედა, შვანგირაძე ცხოვრების როგორ სწავლაზე ელაპარაკებოდა. კმაყოფილი იყო უშანგისთან შეხვედრით, არც თუ ისე უსიამოვნო კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა.
- ეთერი როგორ არის? — იკითხა გურამმა ბოლოს.
 - სწავლობს. არ გამიგონა, რა მისი საქმეა საინჟინრო ფაკულტეტი, თავნებაა, თავისი გაიტანა.
 - რითია ურიგო მისი არჩევანი?
 - ქალისთვის სამედიცინოს გარდა არაფერი მწამს. სინდისს გეფიცები, ერთი შეიღის ყოლა წამებაა, ვინძლო შენც ჩემსავით არ გაბრიყვდე.
 - მაგაზე არც მიფიქრია, — გაეღიმა გურამს.
 - ნუ დავივიწყებთ ერთმანეთს, სახლში შემომიარე, არ მოგერიდოს, — უშანგი გურამს გამოეთხოვა და სწრაფი ნაბიჯით გადაჰრა ქუჩა.
- ამინდი შეიცვალა. მოწმენდილი ცა ღრუბლებმა დაფარა, ჩამობნელდა, მალე შხაპუნა წვიმა წამოვიდა. გურამს აინუნშიაც არ ჩაუგდია ამინდის შეცვლა, მიდიოდა და გული მიუმღეროდა.

თავი მეთექვსმეტი

გიორგის პარტბიუროს სხდომის შემდეგ დასანახავად შესჯავრდა გურამი. გული იმიტომ უფრო მისდიოდა, რომ ეს „თითის სიგარძე ღლაპი“, როგორც თვითონ უწოდა, ისე გაკადნიერდა, — საქვეყნოდ ჰკუას ასწავლიდა გამოცდილსა და ჰკუადაბრძენებულ ადამიანს. ახლა რაღა ეშველებოდა და პარტბიუროს მომავალი არჩევნების დროს კი გადაწყვეტილი ჰქონდა გურამი გაეშავებინა. მერე ადვილი იქნებოდა მისი მთლად მოშორებაც. ასე ფიქრობდა დირექტორი და გეგმასაც აწყობდა.

— ჩქარა მიხვდები, ვისთანაც გაქვს საქმე, — გულში იქაღნიდა.



— სახელი უნდა გაუტეხო, ნღობა უნდა დაუქარგო მუშებში, მერე ყველაფერი თავისით აეწყობა, — არიგებდა ალექსი დირექტორს.

— თქმა ადვილია, მაგრამ...

— არ მეგონა, ასე პატარა ამბავი თუ გაგიძნელდებოდა, — აქეზებდა ალექსი.

— შენ სიტყვას ანგარიშს გაუწევინ, უნდა დაუმტკიცო, რომ მუშებს იბირებს, დირექტორობა უნდა.

დირექტორს ხელები ზურგსუკან დაეწყო და ოთახში ბოლთას სცემდა.

— ვითომ ტყუილია თუ?

— მეც მაგას მოგახსენებთ, — ბუხჩალტერის ხმაში ბრაზმა იელვა.

— ალექსი, ველარ ვიტან მაგ კაცს. ან ეგ ბიჭი უნდა მოშორდეს ფაბრიკას, ან — მე...

— ღმერთმა ნუ მომასწროს მაგ ამბავს, რას ბრძანებთ?

— ძალიან კარგი, მომწონს შენი ერთგულება და თუ კაცი ვარ...

— არ გინდათ მაგაზე ლაპარაკი, ოღონდ მტერმა არ გაიხაროს და... —

ალექსიმ მორჩილად დახარა თავი.

— გიორგი, — ალექსიმ საჩვენებელი თითი საფეთქელზე მიიღო, — გავონდება ალბათ ჯონდი ჭანტურია, მაგრად მოსცხეს თურმე კომკავშირის კრებაზე. გივი ივანისელზე ნაწყენი უნდა იყოს.

— მერე რა გინდა მაგით რომ თქვა?

— ამჟამად ერთ საამქროში მუშაობენ.

— მუშაობენ და იმუშაონ, თავში ქვა უხლიათ ორთავეს.

— ჯონდი თავმოყვარე ყმაწვილია.

— რისი თქმა გინდა?

— თინა ლამაზი გოგონაა, გივის უყვარს, მგონი არც ჯონდი უნდა იყოს გულგრილად, დავებმართოთ ჯონდის და ვაქორწინოთ თინაზე.

დირექტორმა იმწამსვე ალლო აულო ბუხჩალტერის ნათქვამს.

— ჭანტურია ახლავე გამოგზავნე ჩემთან.

ალექსი გატრიალდა და უხმაუროდ გავიდა.

ჭანტურიამ კარი მორიდებით შეაღო და შესვლის ნებართვა ითხოვა.

— ჯონდის გაუმარჯოს! — კარებში შეეგება დირექტორი.

ჯონდი გააოცა დირექტორის გულთბილმა შეხვედრამ.

— დაჯექი! — გიორგიმ სკამი მიუდგა, თვითონ სავარძელში ჩაჯდა.

— საქმეები როგორ მიდის?

— სამუშაოს თავს ვართმევ.

— ხომ არ დაცოლშვილდი?

ჯონდიმ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— რატომ აგვიანებ, დროა ოჯახს მოეკიდო, პატარა ხომ აღარა ხარ.

— ჯერ მაგაზე არ ვფიქრობ, უბინაობაც ხელს მიშლის.

— დავებმართებით, ოღონდაც შენ ივაქაყაცე და ერთი ლაზათიანი ქორწილი გვაჭამე.

— ბარემ ქორწილი კი იქნება, მაგრამ...

— ხომ გითხარი შენ გადაწყვიტე, და ბინის ამბავი მე მომანდევ.

ჯონდის დირექტორის სიტყვებზე გაელშია.

— იქნებ ვერავეინ შეარჩიე?

ჯონდიმ თავი ჩაჰკიდა.

— ფაბრიკაში ბევრი კარგი გოგონაა, ნუთუ ერთიც არ მოგწონს?

ჯონდი შეერთა და აწრიალდა.
— თინას არა უშავს, ლამაზი გოგოა, სხვა უკეთესი არავინ მეგულება შენთვის.

— არაფერი გამოვა.

— ვაჟკაცი არ უნდა მოეშვას ქალს, თუ ერთხელ გაივლებ გულში, კიდევ უნდა შეისრულო წადილი, — დამტკბარ დათაფლული ხმით ელაპარაკებოდა ღირექტორი.

— მიუტარებელია.

— ყველა ქალი ერთნაირია, თითქოს გეწინააღმდეგებიან, გულში კი სხვას ფიქრობენ.

ჯონდი გაწითლდა.

— რაო, მართლა გააკიცხეს კომკავშირის კრებაზე? — უცებ შეცვალა სალაპარაკო თემა ღირექტორმა.

— დიახ.

— სირცხვილია, სადღაც ახალგაზრდა ბიჭებმა ერთმანეთთან იკინკლავეს და ეს კრების მსჯელობის საგნად აქციეს.

— მკაცრად მომექცენ, — ძლივს წაილაპარაკა ჯონდომ, აი თურმე რა ყოფილა, ღირექტორი არაფრად აგდებს იმ ამბავს, იმათ კი საქვეყნოდ ბოდიში მოახდევინეს.

ჯონდი წამოდგა და წასასვლელად მოემზადა.

— აბა შენ იცი, ქორწილს ნუ დააგვიანებ...

— ვეცდები, — ჯონდი კარს მიუახლოვდა.

— მოიცა! — მოესმა ჯონდის ღირექტორის ხმა და უკან შეტრიალდა.

— იყოჩაღე და მალე დაგაწინაურებ კიდევ.

ჯონდომ მადლობის ნიშნად თავი უხერხულად დაუქნია ღირექტორს.

თავი მეთერთმეტი

აგურით ნაგები ორსართულიანი შენობა საზეიმოდ იყო გაჩირაღდნებულს. სადარბაზო ოთახში სტუმრები სავარძლებში ისხდნენ და მუსაიფით ერთობოდნენ. შუა ხნის მამაკაცი, რომელიც მორგევით კისერს ძლივს აბრუნებდა, კამათლებს აგორებდა და თანაც ისე შეჰყვირებდა „დღუშაში“, გენაცვალეო, რომ ძალაუვნებურად იქცევადა ყურადღებას. წინ ფაბრიკის ღირექტორი ეჯდა. იგი არ ლელავდა, სათვალეს ხშირად ისწორებდა და დამცინავი ღიმილით შესცქეროდა უიღბლო მოთამაშეს.

შვანგირაძეების წვეულებაზე მოხვედრა ბევრისათვის სანატრელი გამხდარიყო. ზოგს ის უფრო აინტერესებდა, ენახათ სიმდიდრით განთქმული ოჯახი, მოჩუქურთმებული კიბე, ფართო აივანი, დიდი და ნათელი ოთახები. ეზოში ატენური ჯიშის ატამი მწკრივად იყო ჩარიგებული, შიგა და შიგ ვარდის ბუჩქებიც ერია და იქვე შაბიამნით შეწამლული ფოთლებიდან კახური საფერავის მსხვილი, სავსე მტევნები მაცდუნებლად იცქირებოდა, ხოლო ბაღის შუაგულში ჭილით მოქსოვილი სკამებით გაყოფილი ფანჯატური მოჩანდა.

სადარბაზო ოთახი კარგად მოზრდილ კლუბს არ ჩამოუვარდებოდა. ჰერზე საგანგებოდ ნაშოვნნი, ორმოცნათურიანი ბროლის ჭალი ეკიდა.

სპილოსძვლისფერ როიალთან მაღალი, ოქროსფერთმიანი და ცისფერ-



თვალემა ქალი იდგა, იგი მარათი ივრილებდა ფერმკრთალ სახეს და მწვევად ულიმოდა წინ მდგომ ვაქს.

ცოტა მოშორებით, რამდენიმე საკმოდ ჩასუქებული მანდილოსანი იჯდა. ერთი შეხედვით ასე ორმოცდაათ წელს გადაცილებულები იყვნენ.

— კარტი მოიტანეთ! — მოითხოვა გიორგიმ.

საერაძელში ჩამჯდარი პატარა ჩია კაცი ძლივს სწვდებოდა მაგიდას. მის წინ მაღალი და გამხდარი გიორგი იჯდა. ღირექტორს სახეზე დამცინავი იერი დასთამაშებდა, მოუთმენლად ელოდა ალექსის და როცა მან მორიგი კარტი მოითხოვა, ჩაიხიხითა.

— დაიწვი! — წამოიძახა და მაგიდის შუაგულში დაყრილ ფულს მისწვდა.

— დღეს ღმერთი გწყალობთ, ბატონო გიორგი, — ჩაილაპარაკა ალექსი და შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

— არ გაღარიბდები, ბუხალტერო! — ჩაიცინა გიორგიმ და კარტი გვერდით მჯდომ უშანგის გადააწოდა.

— ბანკი! — დაიძახა უშანგიმ და გიორგის მოჭუტულ თვალებს შეხედა.

— ოპო!

— ჩემია, — დარწმუნებულმა გიორგიმ ფული მიიხვეტა.

უშანგი წამოდგა, პარტნიორს მოშორდა და ფანჯარასთან მივიდა.

— რაო, უშანგი, რას ჩამოყარე ყურები? — გიორგი მიუახლოვდა — ნუთუ წანაგებმა ჩაგაფიქრა?

უშანგის გაეცინა და ლოყები საგულდაგულოდ დაკეცილ პურის ცომს დაეძსგავსა.

— სახლი მინდა ავიშენო, უშანგი, იქნებ დამეხმარო.

უშანგი ჩაფიქრდა.

— შენთვის არაფერს დავინანებ, მიწა რა არის, მაგაზე როგორ გაწყენინებ, მაგრამ უხერხულია, ღირექტორი ხარ, ერთად ვმუშაობთ და აბა მითხარი, ხალხი რას იტყვის?

გიორგი მიუხვდა უშანგის.

— ჰკვიანი კაცი ხარ, უშანგი, წინდახედული.

უშანგიმ თავისუფლად ამოისუნთქა.

ღირექტორმა ჩაახველა, პაპიროსს მოუკიდა, არ ჩქარობდა. თვალი მოავლო ეზოს, თითქოს უნდოდა უფრო მეტად დარწმუნებულიყო, ხომ არ სცდებოდა არჩევანში.

— სწორი ხარ, უშანგი, — ცოტახანს დადუმდა, პაპიროსი მოქაჩა და განაგრძო — ჩემი ბიძაშვილი ყოჩალი ბიჭია, იმის სახელზე ავაშენებ.

უშანგი კინალამ ადგილზე შეხტა. არ ელოდა ღირექტორის ასეთ წინადადებას.

— სირცხვილია, ღირექტორს საკუთარი სახლი არა ჰქონდეს, ნამდვილად სირცხვილია, — გიორგი წყნარად ლაპარაკობდა.

— შე კაცო, ამ პატარა საქმის გამო როგორ გაწყენინებ, — ძალდატანებულ ღიმილით წარმოსთქვა უშანგიმ და მოსაუბრეს ისე გაშორდა, მისთვის აღარ შეუხედავს.

მალე ოთახში მხიარულება გაჩაღდა. ნაირნაირი საკმელ-სასმელი მადან უღვიძებდა ყველას. ჩოფურა, ქერათმინი, დაბალი ტანის ალექსი ქათმის ბარკალს მისწვდა, არც სხვები ჩამორჩნენ, ხმაური მალე მიწყდა.

უშანგიმ თვალი მოავლო სტუმრებს, მერე ღირექტორს შეხედა.

— გიორგი, იმედი მაქვს პატივს დამდებთ და დღეს ტოლუმბაშოში უფრო არ მეტყვი.

ოთახის კარი გაიღო და ეთერი შემოვიდა. იგი სუფრას მიუახლოვდა, თეფშზე დაწყობილი ცვრიანი წვადები გადაწოდა თამადას.

— ჰო-ო-ო! — შესძახა თამადამ და თავისი წვრილი დამცინავი თვალები ველარ მოაშორა ეთერს. ტუჩები უშრებოდა. რამოდენიმეჯერ ნერწყვით დაისველა, მერე კი ხარბად ეძგერა მწვადს, რომელსაც ნაკვერჩხლების გემო დაჰკრავდა.

— მიირთვით, ბატონო გიორგი, უშანგის ოჯახში საჰემელ-სასმელი ამ წელიწადს არ დაილევა, მიირთვით! — მიუბრუნდა ახლა სხევებს უშანგი, თუმცა კარგად ხედავდა, უთხოვნელადაც კარგად მიირთმევდნენ სტუმრები.

— ეთერ, ჩემი სადღეგრძელო არ გინდა შესვა? — გიორგიმ სასმისი მიაწოდა ქალს.

ეთერი შემოტრიალდა, მორცხვი ღიმილით ჩამოართვა გიორგის ჭიქა და ოდნავ მოსვა. გიორგიმ თვალები მოჰუტა, ერთხანს დუმდა და ეთერის ლერწამით აზიდულ ტანს უტიფრად ათვალიერებდა.

ჩაფიქრებული იჯდა თამადა, ჭიქას ხელში ატრიალებდა, მის გრძელ გამხდარ სახეს დამცინავი იერი დაჰკრავდა. ბოლოს, გიორგიმ შვანგირაძეს შეხედა, უშანგი თავჩალუნული იჯდა.

„მამა მძორია“, — ფიქრობდა გიორგი — „მაგრამ ეს გოგო ლამაზია“.

— ნება მომეცით, წავიდე, — გიორგი წამოდგა.

ვასო უმადურიძე ადგილიდან წამოხტა:

— უდღეგრძელებელს როგორ გაგიშვებთ.

— ჩვენ კარგად ვიცით, რომ უთქვენოდ ჩირადაც არ ვღირვართ, ჩვენს სიცოცხლეს რა ფასი აქვს თუ კი საყვარელ გიორგის ვერ გამოვადგებით!

— ის მეტიჩარა რომ არ იყო, ყველაფერი უკეთესად იქნებოდა, — მიაშველა ალექსიმ სიტყვა.

— თქვენ ხართ ისეთი ადამიანი, რომლისთვისაც სიცოცხლის განწირვა ცოტაა, — განაგრძო ისევ ვასომ, — მისი ასავალ-დასავალი არავინ იცის, იმაზე ფიქრიც არა ღირს, მაგრამ ერთი რამ მაწუხებს...

გიორგი ჩუმად იდგა და გულისყურით უსმენდა სადღეგრძელოს.

ვასო აღაფრთოვანა ჩამოვარდნილმა სიჩუმემ. ღირექტორიც გულმოდგინედ უსმენდა, მეტი არც არაფერი უნდოდა, ბედნიერად გრძნობდა თავს, — ის ჯობევაზერტილი, თქვენს ადგილს უმიზნებს... — ჭიქა გამოცალა და სკამზე დავარდა.

— საყვარელო გიორგი, — დაიწყო ახლა ალექსიმ — ჩემს მიმართ ისეთი გულკეთილი ბრძანდებით, რომ ხანდახან მრცხვენივ კიდევ. და ვფიქრობ, ნეტავ რითი დავიმსახურე ასეთი ნდობა-მეთქი. კაცი ხარ, ოქროს გული მაქვს, რა ბედნიერი ვიქნებოდი, შენი სიკეთის ცოტაოდენი ნაწილი მეც რომ მომცა. ფაბრიკაში ყველას უყვარხარ, მაგრამ ზოგიერთები წყალს გიმღვრევენ...

გიორგი ალექსის ბოლო სიტყვებზე შეიკმუხნა.

— არსებობა გვინდა, — ვასომ სიტყვა წაართვა ბუხჩალტერს. გიორგი წვრილი თვალებით მიაშტერდა ალექსის და შეეტყო, რომ სადღეგრძელომ გააბრაზა.

— არ იფიქროთ, პირადად მაინტერესებდეს რამე, არა, ნათესავი ხარ, ჩემო გიორგი, და თქვენზე ვფიქრობ. ის ბიჭი შენს ადგილს უმიზნებს, — კბილებში გასცრა სიტყვები, — თორემ რა უნდა მქონდეს მასთან გასაყოფი? —



ხელში ძლივს იკავებდა ჭიქას, ბარბაცებდა, ღვინო სუფრაზე ეღვრებოდა. გიორგის არ ესიამოვნა სადღეგრძელოს ასე წარმართვა. თუმცა მათმა ლაპარაკმა ტვინში ჭია აღრევე გაუჩინა და ღრღინა დაუწყო, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ასე საჯაროდ გურამის დამუშავება ზედმეტად მიაჩნდა.

— არ ივარგებს ასე ლაპარაკი, ჯერ ახალგაზრდაა, რა ვქნათ თუ ცოტას გადაამეტებს, გამოსწორდება.

ყველა გაჩუმდა, არ ელოდნენ დირექტორისაგან გურამის დაცვას.

— სწორია, ბატონო გიორგი, სწორი, — აყაყანდნენ ყველანი ერთხმად.

— გურამის გამოსწორება შეიძლება, — თავისი აზრი გამოსთქვა უშანგიძე. ეთერი ფრთხილად მოშორდა კარს, მან ყველაფერი მოისმინა და გულათრთოლებული შევიდა საწოლ ოთახში.

— ნეტავი რა ხდება? — ფიქრობდა ქალი. ვეღარ მოისვენა. ჯერ ოთახში დაბორილობდა, მერე ტახტზე წამოწვა, დაძინება სცადა, თვალები დახუჭა და ცდილობდა გაგონილი დაევიწყებინა, მაგრამ ვერ შესძლო, ძილი გაუერთა და თვალწინ მხოლოდ გურამი ედგა.

თავი მეთორმეტი

გიორგიმ შვანგირაძის ოჯახში სიარულს უხშირა. ჯერ ნარდს შეჰყვებოდნენ ისა და უშანგი, მერე, როცა თამაში მოსწყინდებოდათ, მაგიდას შემოუხსნდებოდნენ და შუალამემდე სმასა და მუსიკაში კლავდნენ დროს. დირექტორი ჩუმად უჭკრეტდა ეთერს. ქალიშვილს არ გამოჰპარვია მამაკაცის დაქინებული მზერა, მაგრამ არ იმჩნევდა და მამის ხატრით თუ შევიდოდა იმ ოთახში, სადაც სტუმარი იჯდა ხოლმე.

ერთხელ, როცა უშანგი ოთახიდან გავიდა, გიორგი წამოდგა და მაგიდასთან მოფუსფუსე ეთერს მიუახლოვდა, ეთერი მოტრიალდა, ზიზლით შეხედა გაღეშულ მამაკაცს და ოთახიდან გასვლა დააპირა. გიორგიმ დაასწრო, კარში ჩადგა, სათვალე მოიხსნა, ცხვირსახოციტ ტუჩები მოიწმინდა და ხარბად დააცქერდა ქალის სავსე მკერდს.

— ეთერ, ნუთუ დალაპარაკების ღირსადაც არ მთვლი, რა დაგიშავე?

ეთერმა უკმეხად შეხედა, გიორგიმ გაიღიმა და ჩაყანგებული კბილები გამოაჩინა. ქალს ამის დანახვამ ყრუოლვა მოჰგვარა.

— ჩემგან რა გინდათ, რა საერთო უნდა მქონდეს თქვენთან?

— ეთერ, სიყვარული ადამიანს სისულელეს ჩაადენინებს, ყველაფერი გამაჩნდა ამ ქვეყნად, სანამ განახავდი, ბედნიერი მეგონა ჩემი თავი, ახლა?! აჰა, შემომხედე...

ეთერი ხმამაღლდებლივ იდგა და შუბლშეკრული უცქეროდა უცებ დამტკბარ დირექტორს.

— რატომ მიცქერი ეგრე გულისმომკვლელად? — ახლოს მივიდა გიორგი ქალთან. ეთერი ფეხმოუტკვლელად იდგა. მოახლოვებულ გიორგის მოულოდნელად სილა გააწნა და, სანამ დაბნეული დირექტორი გამოერკვევოდა, ოთახიდან გაეარდა.

გიორგი ისე იყო მთვრალი, თავს ძლივს იკავებდა, ტორტმანობდა და სარკეს ეძებდა.

— ვითომ რაო, რა მაქვს დასაწუნი... შვანგირაძის ქალიშვილი, ჰა...

ჰა... — გადაიხარხარა და ალექსილ სახეზე ხელი ჩამოისვა. მერე წელათრეულ მიტრიალდა მაგიდისაკენ და ამ დროს უშანგიც შემოვიდა ოთახში.

— უშანგი, ნეტავ იცოდე, როგორ მიყვარხარ, ეთერის მამა რომ ხარ, უფრო მეტად ამიტომ მიყვარხარ, დღეიდან ჩემი მამა მინდა გახდე, ჰა რას მეტყვი? — და თან ხელი გაუწოდა.

უშანგი არ აჩქარებულა, არც თავისი ხელი დაუხვედრებია დირექტორის გამოწვდილი ხელისათვის.

„სიძე“, დაცინვით გაიფიქრა და ერთხელ კიდევ შეათვალიერა გიორგი, რომელიც ახლა მის წინ იდგა და მამობას თხოვდა. მწარედ გაეღიმა, გიორგიმ ორივე ხელი მოჰხვია, აკოცა, და სკამზე დაეშვა.

გიორგიმ ახალი სადღეგრძელო წამოიწყო და თან დაკვირვებით ათვალიერებდა უშანგის.

— ნუთუ შეილიც ამას დაემსგავსება? — გაიფიქრა და გააყრუოლა.

— ხომ არ შეგცივდა? — ჰკითხა უშანგიმ და ჩაიხიბთხითა.

დირექტორს უხასიათობა შეეცყო, აღარ სვამდა, მხოლოდ ლულულუღებდა. ბოლოს მთლად მოტყდა და სკამიდან წამოდგა.

გიორგი ეთერის საწოლ ოთახს მიუახლოვდა, სმენად გადაიქცა, ჩქამიც არ ისმოდა.

უშანგიმ მხრები აიჩეჩა და იმედინად ჩაულაპარაკა: — ყველაფერი მოგვარდება, ბავშვია, დროთა განმავლობაში გაივებს და...

გიორგიმ თავისთვის რაღაც ჩაიბუტბუტა, უშანგიმ ვერ გაარკვია რა უნდოდა დირექტორს.

— თქვე რაღა, რა გინდა? — ველარ შეიკავა თავი შვანგირაძემ.

— რაო, მიბრაზდები თუ? — როგორც იყო წამოიხრილა გიორგიმ.

შვანგირაძემ ხელი მოჰხვია გიორგის და ფრთხილად მოაშორა ქალის ოთახს.

— შენ არ მომიკვდე, უშანგიმ არ გაწყენინოს, თმა გაგვითეთრდა, ჩემო გიორგი, და სირცხვილიც არის ახლა მაგაზე ლაპარაკი. ეთერს მგონი უკვე არჩეულიცა ჰყავს.

— ვინ არის? — იკითხა გიორგიმ.

— გურამი, — უშანგიმ დირექტორს შეხედა.

— კარგი ლუკმისთვის კი დაუმიზნებია, მაგ გლახაკმა როგორ უნდა გაიაროს ამ დარბაზში. ჰა... ჰა... — გადაიხარხარა გიორგიმ და თვალი მოავლო ფართო დერეფანს. გაახსენდა ალექსისა და ვასოს სიტყვები. ახლა უფრო იმოქმედა მათმა ნათქვამმა, ჰკუხუში დაუჯდა.

— უშანგის თუ დაესიძება, აღარაფერი გაუჭირდება, — თქვა და ახლა კიდევ უფრო დაენანა, რომ აქამდე არ მოაშორა ის ბიჭი ფაბრიკას.

— დარწმუნებული ვარ, თავს ვერ შეიკავებს, — მიუბრუნდა ისევ უშანგის — სიმართლეს გელაპარაკები, ამ გაკრიალებულ იატაკზე ფეხი დაუტეურდება, — თქვა და კიდევ ერთხელ გადაიხარხარა.

შვანგირაძესაც გაეცინა.

არც შენ და არც იმას, — ფიქრობდა შვანგირაძე, — არცერთი არ მინდინხართ, ორივე გლახაკები ხართ, ჩემი სიმდიდრე თვალებს ვიბრმავებთ, თავს დაიხოცავთ, ოღონდაც ჩემი ქალი ჩაიგდოთ ხელში, ჩემი ერთადერთი მემკვიდრე, — ფიქრობდა იგი, — ორივენი ერთმანეთს რომ დახოცავდეთ, შვანგირაძე მაშინ გაიხარებს.

— ჩემო გიორგი, ყველაფერი რიგზე იქნება, მაგრამ იმას რა ვუყოთ? როგორ მოვიშოროთ? ხომ იცი, ძალა მის ხელშია!..

დირექტორმა სასიმაბროს ხელი მოჰხვია და წასჩურჩულა:

— ბარემ კეთილად დაწყებული საქმე, კეთილადვე დავემთავროთ. ჰა, რას იტყვი?

— გოგო რას ფიქრობს, არ ვიცი, არ ივარგებს უიმისოდ ამ საკითხის გადაწყვეტა.

— გოგო?! — ირონიულად ჩაიცინა გიორგიმ, — გოგო, ჰმ!.. არ გცნობია შენი ნაშიერი, იმას რომ ჰკითხო, არა მგონია, სიკეთეს მოვეწიო.

უშანგი ჩაფიქრებული უსმენდა გიორგის, მიხვდა, ნიადაგი უკვე მოესინჯა დირექტორს. ესიამოვნა, გუნებაში კიდევ შეაქო შეილი.

— იქნებ მეტოქის ბრალია ყველაფერი?

— მეტოქე? ის მე მომანდე. მეტოქეობას ვერ გაბედავს.

უშანგის ხმა აღარ ამოუღია, არ უნდოდა საბოლოოდ შერიგებოდა გიორგისთან დამოყვრებას. თავი შეიკავა და გურამზე აღარაფერი წამოსცდენია.

დირექტორმა ბარბაცით ჩაიარა კიბე.

(გაგრძელება იქნება)



მიხეილ ქვიციანი

სამყაროს შექმნა

დიდზე დიადი და უძლეველი
ღმერთი მაღალი სამყაროს ქმნიდა:
შექმნა ჰაერი, ცეცხლი და წყალი,
შექმნა ხმელეთიც... და ბოლოს ღმერთმა
თავისი მსგავსი ქმნილებაც შექმნა
და მას დაარქვა „ადამიანი“...
აქ კი მოვიდა გონს შემოქმედი
და გადახედა ქვეყნიერებას,
და რა იხილა თავის შექმნილი,
გაოცდა, რადგან არ მოელოდა

ამნაირ შედეგს... თავის შექმნილმა
ღმერთს სიდიადით დასცა თავზარი,
და იგრძნო სრული არარაობა
ქვეყნიერების წინაშე ღმერთმა,
და მაშინ დაბლა დახარა თავი,
დასთმო სამყაროს გარეშე დგომა,
და თავისსავე შექმნილ ქვეყანას
მან მიაშურა, რომ კაცთა შორის
ამიერიდან და საუკუნოდ
ეცხოვრა რიგით ადამიანად.

ყვავების წინააღმდეგ

საოცარია — ფრინველი ჰქვია
იმას, რაც ხოჭოს ჰგავს!
არ ვიცი რატომ, ამგვარად კია—
ფრინველი ჰქვია ყვავს....

ზამთარ და ზაფხულ, თოვლსა და ყვამირს,
ყვავს არ რა უნდა სხვა
თავს დასჩხავიან გუნდები ყვავის:
— ყვა-ა!
— ყვა-ა!
— ყვა-ა!...

რა ფრინველია, გეთაყვათ ყვავი,
ვერ გამოიგია მე —
გარედან შავი, შიგნიდან შავი,
ყიამყარალი და მქლე.

ამბობენ, ყვავი სამას წელს ცოცხლობს...
აბა, საქმეა ეს?
გარდასულ დროთა ყვავების ხორო
თავს დაგვჩხაოდეს ღღეს!

მენატრება

აქაც ახლა
ცას სილურჯე ემატება,
ღვივის მოლი
ჩითის მწვანე ნაჭკრივით...
მე კი ჩემი
საქართველო
მენატრება
ცხრა ველის და
ცხრა მთას იქით
დარჩენილი!
მენატრება —
მკლავებგამოილ კაკლის ხეებს

ფეხქვეშ ჩრდილის ნოხები რომ
უფენიათ,
მეგობარი,
მწუხრისას რომ გამიხსენებს,
ჩემზე ფიქრით
რომ აღგება უთენია...
მენატრება —
სხვა ასეთი ათასი რამ,
უნახავი
და ათასჯერ ნახულიცა...
მეზობელი,
კაცს ისე რომ არ გასწირავს,
ერთგულება

ასჯერ თუ არ დაუფიცა...

თავპატივი — უსაზღვრო და უნაპირო,

სიამაყე — ქირშიაც რომ გაიმედებს...

ქალიშვილი,

დღედაღამ რომ უნდა სდიო,

სანამ ერთხელ

გალიმებას

გაიმეტებს...

ისევ უზენოდ

... ისე თენდება, ისე ღამდება, —
 სულ თითქო საღდაც მავიანდება,
 სულ თითქო საღდაც უნდა მივიდე,
 ოღონდ არ ვიცი — ვისთან და როდის?
 დაქარგული მაქვს სულის სიმშვიდე,
 გადავყოლილვარ უცნაურ ლოდინს...
 შენ კი არ გელი..
 არა!
 ზედ გულზე
 რაღაც მაწევს და კედლებს ვაწყდები.
 გამივლის... სევდა შემპყრობს უცებ
 და ყველაფერი ირგვლივ რაც ხდება,
 ძილი მგონია და მოჩვენება...
 აღარ მეღირსა მე მოსვენება!
 ვხვდები ნაცნობებს. ვხვდები უცნობებს.
 და ოდნავ თითქო ვერთობი ამით..
 მაგრამ, რატომღაც, წყნარს და უცოდველს,
 სულ დამნაშავე მგონია თავი!
 რატომ? არ ვიცი...
 ვორთი და ვმერყობ,
 ვწვალბ... მაწამებს ღამის თევანი...
 და მე არ ვიცი ვის მივეკედლო,
 რადგან ურიცხვი მაქვს არჩევანი!..
 ო, მიმსხვერპლებდა ყულფის ცდუნება,
 შენზე ფიქრი რომ ხელს არ მიშლიდეს...
 მოდი, წამართვი თავისუფლება
 და დამიბრუნე
 სულის სიმშვიდე!

*

სიკვდილი საპურობილეა, საღაც
 სამუდამო პატიმრობაში იმყოფებიან
 მახლობელთა ჩვენთა სულები.
 ძილი — ამ ციხის დერეფანია.
 და მე
 ყოველ ღამით
 შევდივარ ამ დერეფანში
 ხანმოკლე პაემანზე შენთან, დედა...



შადვა შორჩხიძე

ბალახტიონს

წელს არ გიხილავს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ფენა ხიდიდან.
არც მცხეთის ჯვარის, არც
სვეტიცხოვლის
გამობრწყინება თეთრი ბინდიდან.

წელს ქართლის ცისთვის არ შეგიხედავს,
არ შეგხვედრიან ქალები გზაზე, —
გარს რომ აბურავთ ლურჯ შლიეფებად
ოცნება მთვარის წვეთებით სავსე.

აღარ გინახავს თვალეზბრიალა
წელს სამთავისის ქვის ფასკუნჯები.
ზამთარმა ისე გადიშრიალა,
ბუხართან ლექსებს ვერ ჩაუჯეჭი.

ველარ ამდერდი სულმოუთქმელად,
ველარ დათვერი მინდვრის ფერებით.
ქარს ყვავილები გადაუცელავს,
ნაწვიმარ ვარდებს ვერ ეფერები...

შენ ხომ მშობლიურ მზით დაფერილი
გელანდებოდა გზა ვარდისფერი.

უსმინე, შენი ხმით აედერილი
გეძახის ლურჯი ტყეების ტვერი.

ლექსს შეუნახავს მშფოთვარე სული
და არ შორდება თვალს შენი ლანდი.
შენს სამარესთან ვილაც ასული
ჩუმად ამოდის და უხმოდ დადის.

იძინე მშვიდი, მეფური ძილით,
ახლა კვიმატი მარტი ნურც გახსოვს.
ლოდზე შრიალით ეცემა ჩრდილი, —
მთვარე ტოტებში თეთრ სხივებს აქსოვს.

წელს აქ უშენოდ რომ გადათეთრდა
ბალის ბილიკი, განა შენ სდუმდი? —
შენს ლურჯ სტრიქონში შენი ხმა
ფეთქდა
და თეთრ ვარდებთან მე მიტომ ვწუხდი:

ველარ იხილავ აწ სვეტიცხოვლის
გამობრწყინებას ცისფერ ბინდიდან.
ვერც მდინარესთან ახალი თოვლის
ქალწულებივით ფენას ხიდიდან...



ბიოგრაფიული

ერეკლე

- წადი, გოგოვ!
- რა გინდა, პაპავ?
- წადი, შვილო, დანა წამაილე, აი რეზინს უნდა დავაჭრა.
- დანა შენ არა გაქვს, პაპავ?
- არა, შვილო, შინ დამრჩენია ეს ოხერ-ტიალი... რა ჭირი უდგება, კაცო.

არც გაფუჭებული ჩანს სადმე და წამალს კი მაინც არ ერეკება. წადი, გოგოვ! წადი, შვილო, სანამ არ ჩამოხვალ, აღარა ვმუშაობ, აი.

ერესტომ ჩანახევრებული აპარატი ვაივავლახით მოიხსნა და ბლის ქვეშ მწვანეზე ფრთხილად დაუშვა. უკმაყოფილოდ შეიშმუნა, ხრინწიანი ხმით ჩაახველა და იქვე ჩაჯდა. შაბიამნით დასველებული ზურგით ბლის ძირს მიეყრდნო. მოხუცი ფიქრებმა წაიღო.

— მაინც რა დაემართა აპარატს? ამდენი ხანი ვენახსა წამლავს და ჯერ ასე არ გაწვალებულა. თუ მოიშალა? მაგრამ გაფუჭებული არაფერი ეტყობა. არა, უეჭველად რეზინი ტყუის. გრძელია და კარგად არ იშლება, ჰო, დააჭრის და ყველაფერი მოგვარდება. ეშმაკმა იცის, რეზინი კი ტყუის, ჰა? იქნება რეზინიც არა ტყუის? ათ წელიწადზე მეტია ამ რეზინით წამლავს და ახლა რაღა დაემართა, ჰა?... იქნება თვითონ დაბერდა და აღარ შეუძლია? იქნება... არა, ყველაფერი მოგვარდება. ბალღი დანას მოიტანს, დააჭრის რეზინს და მოწამლავს.

მოხუცმა დამჭკნარი თითებით ბალახი მოწიწკნა, ფეხები გამოტა და მთელი სიმძიმით ხეს მიეყრდნო.

საკვირველია, რა მალე გადის წლები. წინათ ესე ჩქარა არ გადიოდა. ერთი წელიწადი — გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი — ძალიან დიდი იყო, როდის-როდის გავიდიოდა ხოლმე. ცხრაას ხუთში რომ დაიჭირეს, ორი წელიწადი იჯდა ციხეში და ძლივს გავიდა ის ორი წელიწადი. იმის შემდეგ კი ეგე რამდენი წელიწადი გავიდა. ცხრაას ხუთიდან ოცამდე — ხუთმეტი წელიწადი, ოციდან სამოცამდე — ორმოცი წელიწადი, ხუთმეტი და ორმოცი — ორმოცდახუთმეტი. აჰა, ორმოცდახუთმეტი წელიწადი გასულა და თითქოს გუშინ იყო. წელიწადს რა შესძლება? როგორც თავზე ქული მაიბრუნო, ისეა... ჰი, ეხ-

ლა ოთხმოცდახუთი წლის ბებერია, ბე-ბე-რი! ბალღობაში დასცინოდა ხოლმე ბებრებს. თავისით კი არა, სხვების წაბაძვით. მას ეგონა ბებრები ისევე იბადებოდნენ. არ ეგონა, რომ ისინიც ბალღები იყვნენ როდისღაც, როდისღაც კი არა, აი, სუ ეხლა. აი, გუშინ, აი, გუშინწინ. არა, ისინი ძალიან მოტეხილები იყვნენ, ერესტო ისე არ დაბერდება!

მოხუცმა საკუთარი სიეული ჩაათვალიერა. შენიშნა, რომ უკვე მიწაზე გართხმულიყო და ბლის ხე ბალიშად გამოეყენებინა.

— ეს ოხერი, რა უხეიროდა ვარ გამზლართული, ეი, ეხლა რომ ბალღებმა დამინახონ, ხო დამცინებენ. სწორედ დავეჯდე თორემ...

ერესტო წამოიწია. წელში ტკივილი იგრძნო. მთელ სხეულში მოდუნება და სიზარმაცე გამეფებულიყო. მიმოიხედა და რაკი ვერავინ შენიშნა, ისევ იმ მდგომარეობაში ყოფნა ამჯობინა.

ექნება ესე, სანამ პატარა გოგო ჩამოვა და მაშინ ადგება. ესე აჯობებს; დაისვენებს... ე პატარა გოგო რო არა ჰყავდეს, რა ეშველებოდა? დიდები სუ აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდნენ და ეს ბალღილა შემორჩა... ორმოც წელში ყოჩაღად იყო. მაშინ არავისი დახმარება არ სჭირდებოდა. ჰი, რის დახმარება? მაშინ ჯერ სამოცდახუთი წლის ბიჭი იყო. ბიჭები კამპანიაში მუდამ მას ირჩევდნენ თამადად. კოლეტივში კრება იყო და მას უნდა ეთქვა სიტყვა. მერე როგორ სულგანაბლები უსმენდნენ. სუ ტაშს უკრავდნენ. ეეჰ, ის დრო სჯობდა... მაინც იმის შემდეგ გადის წლები ძალიან ჩქარა. ომის დროს კიდევ გაკვიანურდა ერთითალია, მაგრამ მემრე კვირეებიც დაპატარავდა, თვეებიც. ეს ოხერი რა ემართება?! ამ შარშანდელმა წელმა კიდევ სუ მალე გაირბინა... წლეულ? ეგეთითქოს გუშინწინ იყო თოვლიო და დღეს უკვე ყურძენი დაისრიმებულია. ისე კაი ყურძენი კი ასხია წლეულ. ეს ადგილები სუ რო ვაზითა ჰქონოდა გავსილი, მაშინ მის ბედს ძალდი აღარ დაჰყეფდა. არა, გაისად უეჭველად უნდა ჩაყაროს ნამყენი. ჯერ იქ, თავში, ამოვარდნილი ვაზი რომ არი, იქ გააშენებს და როცა იქ ხელს მისცემს, მაშინ მოუვლის ბოლოდანა და, რაც კი ბებერი ვაზია, სუ გაჰკაფავს. ერთ შვიდ-რვა წელწადში უკვე მთლიანად ახალი ვენახი ექნება. მტერსაც კარგად დახვდება და მოყვარესაც.

— მოვიტანე, პაპავ! — თავს წამოადგა შვილიშვილი.

— მაიტანე, შვილო, აბა, აქ მამეცი!

მოხუცი წელში გასწორდა, აპარატი ახლო მიითრია და მკლავი გამოაძრო. შაბიამანი თქრიალით გადმოიღვარა.

— ე ბარაქაძალი, როგორ დამაეიწყდა, რო შიგ იდგა. ასწი, შვილო, ასწი და „ბოჭკაში“ ჩაასხი!

ბავშვი დაებლაუჭა აპარატს, მაგრამ ადგილიდანაც ვერ დაძრა. ერესტოს მწარედ გაედომა: როგორ ვერ მიხვდა, რომ ბავშვი ვერ დასძრავდა.

— არა და თითი მიაფარე, შვილო! ჰოო, ეგე მაგრე.

მოხუცმა დანას მარცხენა ხელის ცერით ფხა გაუსინჯა და რეზინს ადგილი შეურჩია, სადაც უნდა დაეჭრა. ბევრი ვერ გაიმეტა, სულ ორი თითის დადება გასწირა, მაგრამ რა მავარია ეს ტიალი რეზინი?! როგორ ეკვრება დანის პირს, თითქოს წებოაო. თუ დანა ვერა სჭრის? ეშმაკმა იცის იმის თავი და ტანი, ფხა კი კარგი ჰქონდა და.

— მომეცი, პაპავ, მე მოვაჭრი!

— იი შე რა იცი, ბალღი ხარ.

ერესტომ იქვე პატარა ქვა იპოვა, დანა აუსვდა-დაუსვა და ისევ განავრძო საქმე. როგორც იყო მოსჭრა. მონაჭერი მარცხენა ხელში შეატრიალა, თვალე-

თან ახლოს მიიტანა, შიგ ჩახედა და გამარჯვებული კაცის იერით ვაზებში გადააგდო.

როცა მკლავი ისევ მოარგო აპარატს და გაკეთებულად ჩათვალა, წამოდგა.
— აბა, შვილო, მაიტა, ესლა უნდა ავიკიდო.

— არ უნდა გაავსო, პაპავ?

— არ უნდა, ჯერ ეგ დავასხა და მემრე გავავსებ.

შვილიშვილმა აპარატის ავიდება უშველა და ჩრდილში წამოგორდა.

— რა ჭირი უდგება ამ ოხერს! მაინც არ გამოდის, კაცო! რატო არა შლის ეს ტიალი. ეს საქნეველაც რატო ისე გამაგრებულა, ეს რჯულძალდი, კაცო, ვაპ! აბა, შვილო, ეს წამალი უნდა წამოვღვარო და შიგნით ჩავხედოთ. იქნება შიგნით გაიჭედა რამე.

მოხუცმა აპარატი წამოცალა, ჩაიხედა. დიდხანს ატრიალა ხელში, ხან აღმოსავლეთით მიაბრუნა, ხან — დასავლეთით, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინათვალს არ დაუჯერა.

— აბა, მოდი, შვილო, შენ ჩაიხედე! ნასვრეტებში ხო არაფერია გაჭედული? — ბავშვმა ცხვირი აპარატში ჩაყო, დიდხანს ათვალიერა და ბოლოს თავი გაუქნია:

— არა, პაპავ!

— მაშ, რა ჭირი უდგება ამ ოხერს?! იქნება ამ მკლავში აქვს რამე. აბა ესლა კიდე მკლავს დავშლი, შვილო და შენ დაათვალიერე. წედან ბარემ სამაჯერ დავშალო, მაგრამ იქნება ვერა ვხედავ, კაცო.

გრძელ საწურავში რალაცა ბეწვი იპოვა ბავშვმა, მოხუცს გაუხარდა: უეჭველად ნაგის ბრალი იქნებაო. აწყო ისევ და შაბიამანი ნახევრად ჩაასხა:

— რატო სუ არ გაავსე, პაპავ?

— დაიცა, შვილო, შენ რალა გული გამიწყალე, ჯერ ესა ვცადო.

ერესტომ აპარატი აიკიდა, დაქაჩა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და მილი გახსნა. აპარატმა პირველად კარგად გაშალა, მაგრამ ორი წუთის შემდეგ ისევ მოდუნდა და შაბიამანმა მოხუცის სახელოში დაიწყო ჩაღვრა.

— აპა, ისევ გაუწყრა გამჩენი! რა დაემართა, კაცო?! რაც ღონე მაქ, არ ვიშურებ. აპა, ლამის რეზინი გავხეთქო და მაინც ვერა შლის... დამალა ამ ბარაქაძალმა, კაცო!..

ერესტომ შუბლზე ოფლი შეიწმინდა, აპარატი ხვნეშით მოიხსნა და ისევ ბლის ძირას დაჯდა. თავი ხეს მიჰყუდა და გამოურკვეველ ფიქრებს მიეცა. ცოტა ხნის შემდეგ ხვრინვა ამოუშვა.



თქარ სახპაძე

მე შენ მოგაყრდნობ შეცივებულ ლოყას, ბრწყინვალე მზეო,
 ამ ზამთრის ქუფრში შენ, ერთადერთო სილამაზეო.
 მთლად უსიცოცხლო ტყეების იქით, —
 ველების, მთების,
 დახვალ იმედად გაღვიძების და კვლავ აყვავების.
 უფერულ ქალაქს დაატეხ სხივთა აბობოქრებას,
 ოქროსფერს შენსას აქ ერთი ფერიც არ ეტოქება,
 მაგრამ დაისი შენს მბრწყინავ გვირგვინს წარგვტაცებს წამში,
 პეშეს ნათლით სავსეს უცბად დაავსებს, —
 დააშრობს, წაშლის.

ეგ მაცდურება მშვენიერთა წესია, ალბათ,
 ალბათ, პირველად მზის ჩასვლის შემდეგ თუ თქმულა ზღაპრად:
 „იყო თურმე და არა იყო-რა“,
 როს ნელი ფშვინვით შუბლმთვარიანი ღამე — ნიკორა
 ორღობებში ვიღოდა ზანტად.

ჩემი ზეპარი

შენა ხარ ჩემი აივანი მზითა და მთვარით,
 უსურვაზებით, ოქროფერილ, ნელთბილი ქარით;
 აქ მე ვნელდები დახუთული დღიურ აღმურით,
 მშორდება ყველა უსახური და უამური.
 ამ აივნიდან, თითქოს ციდან, სულ პაწაწინად
 მოჩანს სოფელი, ვით საფუტკრე რამ სასაცილო.
 შორს დამრჩენია იქაური აურზაური,
 ახლოა მხოლოდ მთვარის ღბილი სიასამური,
 ახლოა მხოლოდ ოქროფერილ მზის სათნობა,
 ნელთბილი ქარი, ვარსკვლავების შუქთა თოვება.
 როგორც ჭიქაში მღვრიე წყალი დაიწმინდება,
 ძირს წავა მიწა, ზემოდან კი ბროლებრ ბრწყინდება,
 ასე სცილდება სულსას ჩემსას ხენჯი და ლექი
 და სადღაც, ქვემოთ, მიტოვებულ საფუტკრეს ეკვრის.
 მე ვრჩები ზემოთ — ანთებული წმინდა სპეკალი,
 და განლტოლვილი დღიურობას და უნდობას,
 შენს შორიახლო მე ვეძლევი სრულ მყუდროებას.
 შენა ხარ ჩემი იავანი, ჩემი ზეპარი!

დიდი ნათელი

დაბალი მზე და მაღალი ცემი,
 დღე ოქრობის და ფოთოლცვენის.
 საოცრად მდორი ის შეღამება,
 შაშვების ნელი: — „ძილი ნებისა“,
 ტყისა და ღამის ფერთ შეხამება,
 პირველი ფიფქი ვარსკვლავებისა,
 ღამის სიბნელე ჟრჟოლის მომდები...
 ჩვენ მოვიძიეთ ნაძვის ტოტები,
 ბევრი ვიპოვეთ ძირკვებიც კვრინჩხის,
 ავანთეთ ცეცხლი,
 აწივლდა ფიჩხი,
 ტოტებმა იწყეს ფიცხი ტკაცუნი,
 კუნძმა მიჰბანათ ხმით ვაჟკაცურით.
 ამ ამო ხმებში ჩავიძინევეთ,
 და დილით, როცა გავაღეთ ოვალი,
 უღამაზესი რამ ძალთაძალი —
 მზე გვადგა თავზე ყოვლად ძლიერი.
 დიდი ნათელი ვიდოდა უხმოდ...

რამს ოქროს ზარი

ამ ყინულებში მე მესმის რეკვა
 ოქროს ზარისა: — გაზაფხულია!
 გაღვიძებული ღვია და ღეკა
 ამ ხმაზე თვალებს აფახულებენ,

ამ ხმაზე სახნისს გააწყობს ქარი
 და გამრავლდება ღრუბლის ხნულები,
 და შუა ციდან რეკს ოქროს ზარი:
 — გაზაფხულია, გაზაფხულია!

მე შენი სული მსურს

ტაბაწყურელო რაინდო,
 გარდმომეველინე სით?
 თაფარაენელი ჭაბუკი
 დაგიჯაბნიდა რით?
 შენზე უსწრაფეს იორლით
 გადათელავდა მიტებს,
 ჩაეხვეოდა ასპინძას
 სატრფოს ბროლივით ყელს,
 თუ შენზე ფიცხელ გაჰკვეთდა
 ტაბაწყურსა და ქარს,
 შეუყივლებდა ღამეს და
 ბებერ, გულბოროტ ქალს?
 ტაბაწყურელო რაინდო,
 მე შენი სული მსურს,
 მსურს, შენი ცოდო დავიდო,
 გზა ავიბნით სულ,

გამოღმით სანთელ ავინთო,
 გაღმით ღელავდე შენ,
 მერე ქარიან ღამითა
 წაშოაფრინდე ცხენს,
 გზა შეიმოკლო, ისწრაფო,
 გაღმოსასწორო ტბას,
 ქარმა კელაპტარ ჩაგიქროს,
 სურვილ ავიგდოს ბანს,
 გაგწიროს, უფსკრულს წაგიღოს,
 დაუსასრულოს, ვრცელს,
 ატირდეს შენი იორლა,
 მიწას ტორები სცეს,
 მეც ჩემი დღენი ვგლოვობდე,
 შავები მეცვას სულ...
 ტაბაწყურელო რაინდო,
 მე შენი სული მსურს!



ღელა ზაღვაშვიდი

ბზიფი ბზინავს, თითქოს სძინავს ისე წყნარად წევს.
მთა მეძახის, მთა მალღღეებს, მთა ბურანში მხვევს...
მივალ... შენი ტრფიალივით მთვარის შუქი მღღევს,
ცა შორს არის, ცა-ნისლივით მთების თავზე ღღევს.
ველი სირმით ნაქსოვია, სირმის ფერი სძევს,
ველი ფართო ნაბადია — მთა ნაბაღზე წევს...
მთა მეძახის, მთაში მივალ, გული მთისკენ მწევს,
შენ... სადა ხარ, როგორა ხარ, რატომ არა მწერ.
ზეცა იით ნაქარგია, ცას იეზი რთავს,
მთებში მივალ... რა ამბავი ნეტავ მთების თავს...
მთებში მივალ... მთების დიდი სილამაზე ვცან,
ვინ კითხულობს... ვარსკვლავებით იწერება ცა.

შენ ერთხელ მომკალ

რაც მაღლა მივალთ, უფრო აცივდა,
შორს დარჩა მტკვარი, თბილისი არ ჩანს...
ბარი მთას უკვე სულმთლად დასცილდა
და ჩემს წინ მხოლოდ მთებიდა დარჩა.
ენგური ტალღებს ნაპირებს ახლის —
ნაპირმა ნეტავ რა დაუშავა...
ენგური ისე ახლოა ახლა,
რომ ლამის გული გადავუშალო.
... მე აქ გიპოვე და შენს წინ შევდექე
და მწადდა შენი ჩუმი სიცილი...
შენ ერთხელ მომკალ და იმის შემდეგ
ვერ მომერევა ათი სიკვდილიც.



ანზორ აბულაშვილი

ბოლოს ზომ უნდა მენახე სადმე,
ზომ შემხვედროდი უნდა ერთხელაც...
ვლაპარაკობდი ხმამალა განგებ,
რომ გაგეგონა და მოგეხედა.

იყო — რაღაცა სიცივეც, ცეცხლიც,
მიხვედრაცა და ამღვრევაც თითქოს,
ძალიან ვიწრო კაბის სიმორცხვე,
შემკრთალი მზერის უცები სითბო...

მერე როგორც დღე იზრდება ნელა,
როგორც იზრდება შიში ღამეში, —
ისე მოდიდლი ხმებად, ფერებად,
შენ ჩემს სმენაში, სულში, თვალებში.

მე მივდიოდი სახლიდან ისე,
როგორც მიდიან, — გაექცნენ რათა
საკუთარ ფიქრს და იპოვნონ მყისვე,
რაც ემგვანება სიცხადეს მართლაც...

მაგრამ მე მაინც ვავესებდი შენით
ქალაქს, გამზირებს, სახლსა თუ
სართულს.

ნელა ებარება რიყრაყი ზეცას
და ფითრდებიან მინები ფანჯრის.
კიდევ იღვიძებენ გზები ნელ-ნელა,
გზა სოფელს თითქოს აღვიძებს,
ანჯღრევს.

ვეგრძნობდი მე ყოველ მშვენიერ ფერით
სულში შენს თბილ და უცნაურ
ფათურს.

შენი ხმით რეკდა ღუმილი ჩემში
და მერე ქუჩა ათასი ბგერით —
იმეორებდა შენს სახელს ყინით
და ანათებდა სინათლე ბევრი...

მე გამოგძვრწე ასე, ამგვარად
და მერე თვითონ ვიგრძენი რიდი,
ბოლოს უმწეოდ შევდექი, რადგან
შენ იყავ სხვა და შენ იყავ დიდი.

მე მხატვარივით ვიდექი წლობით
შენი ლანდის წინ ათასი ფერით;
მე შევქმენ შენგან — მე ვინაც მსურდა
და მას დავარქვი სახელი შენი.

და მერე უხმოდ წავედი მართლაც,
სრულიად უხმოდ, ისე ვით ნისლი,
და გაგეცალე ერთხელაც, რადგან
მე მომეკრძალა, რაც შევქმენ მისი.

შორს ალაზანი გაკრთება
ვერცხლისფრად,
უცებ ავარდება ტოროლა ზევით,
ვიღაცა გადასწევს ბურუსის ფარდას
და ზეთიანი ჩნდება მთები.



ნიჰამი განჯელი

სიყვარული

აზნაუზი დასაწყისი

ამბობენ, თურმე არაბეთს
ცხოვრობდა ერთი არაბი,
სიმდიდრითა და სიდიდით
ტოლი არ ჰყავდა არავინ.
ამერიანთა მოდგმაში
ბადალი არა ჰყვავდა და
მისი თემი და ქვეყანა
ვითა ბაღნარი ჰყვავდა.
არაბთა მიწა სიკეთის
ნიაზსა მისას სულ ნელსაც
მაჰრის საამო სურნელზე
უტკბებს ატანდა სურნელსა.
ყოფილა ქველი, მძლეთამძლე.
მოსდგამდა, რაიც ეწადა.
დიდი სახელი დიდებით
აღზევებოდა ზეცადაც.
იყო გულუხვი, პურადი,
ლატაკი მის სულს ფიცავდა.
თვითონ ღარიბებს ფარავდა,
თავად განგება იცავდა.
ხელმწიფის ტოლა კი იყო,
მაგრამ რა ჭირად უნდოდა.
შვილი არ ჰყავდა, ამიტომ
ბედს შეჰყურებდა უნდოდა.
კანდელი იყო, მაგრამ რა!
რად გინდათ, ველარ აშუქა.
ღმერთმა თავთუხად დაბადა,
თესლი კი როდი აჩუქა.
ეს ჰქონდა მულამ სანატრი
სხვა მხრივ ყელამდე კმაყოფილს:
ხემ ჩემმან ყოფადისამან,

ღმერთო, მომცესო ნაყოფი!
მუხა თუ უნდა წაიჭეცეს
და მეტი ველარ იხაროს,
იქნება თესლი არ განმეს,
იქნება ფესვმა იყაროს!
ხოხობსა ჩემსა, ჩემს ბაღში
ხელი არ მოეცაროსო
და ძველი საროს სანაცვლოდ
ახალს მოაჯდეს საროსო!
ვინც მოკვდა, მაგრამ მემკვიდრე
დაურჩა, განა მკვდარია?
ცოცხლის დარია, სიკვდილმა
მას ხელი როდი დარია!
შვილის შეძენის წადილმა
უფრო გულუხვი განადა.
და აპურებდა, აცმევდა
მწირ-ჟოზოვართა, გლანაკთა.
ვერცხლსა და ოქროს ხარჯავდა,
აბნევდა აქეთ-იქითა.
თესლს კი თესავდა ბეჩავი,
მაგრამ მის ნაყოფს იმკიდა?
იმ თვალ-მარგალიტს ეძებდა,
ბედმა რომ აღარ აღირსა,
გულისწადილს კი მანაც არ
დაუმოკლებდა აღვირსა.
მაგრამ ის როდი იცოდა,
რომ ქვეყანაზე უეცრად
როდი ეწვეა კაცს ბედი,
საერთოდ ბედი თუ ეცა.
რასაც არ უნდა ეძებდე,

* მაგალი თოდუამ დაასრულა ნიჰამი განჯელის ცნობილი პოემის „ლეილი და მაჯნუნის“ ქართულად თარგმნა. ვებუცდათ პოემის შესავალ ნაწილს. (რედ).

რაიც არ უნდა იწვნიო,
 უნდა იძიო შენ თვითონ,
 შენ თვითონ უნდა იწიო.
 რადგან კარგიც და ცუდიცა,
 რომ გითხრა გამოკვეთილი,
 მაინც სიკეთეს ერთვიან,
 მაინც ერთია, — კეთილი!
 ვის რაში უნდა საწადი,
 სულ ?უდამ თვალში თუ ეცა.
 კარგი ის არის, რომ ეძებ
 და შეგეყრება უეცრად.
 ბოლოს და ბოლოს უფალმა
 ისმინა მისი მუდარა.
 ესეი აჩუქა ისეთი, —
 გაბადრულ მთვარეს უდარა.
 ბავშვი ვარდივით ღუოდდა,
 ლოყა უგავდა ბროწეულს.
 თუმც ბრძოწეულსაც სჯობნიდა
 და ვარდის პირსაც მოწეულს.
 მარგალიტივით აფრქვევდა
 იგი შარავანდ-შუქებსა
 დღე აბნელებდა მზესა და
 ღამე შუქს ჰფენდა შუქებსა.
 რომ დაებადა მემკვიდრე,
 მთვარე რომ გამოებადრა,
 მყისვე განახვნა საუნჯე
 სადაც კი რამე ებადა.
 ვართი რომ თურცელს გაიძრცვის,
 ისე დაცალა ხაზინა.
 ვინც მის მოლხენას შეესწორო,
 ოქრო და ვერცხლი დაზვინა.
 მაშინვე ბრძანა: ახლავე
 ძიძა მომგვარეთ ძისაო.
 მან გამიზარდოს, გამივსოს,
 მადლი მიმიცეს რძისაო.
 მაგრამ ყოველი სიკეთე
 თავად იწადა განგებამ.
 ძიძადაც თავად დაუდგა
 და ძუძუც თავად აგება.
 ბავშვი კი არა, რა გითხრათ,
 თაფლს ჰგავდა რძეში ალესილს.
 გეგონებოდათ, აკვანში
 მთვარეს დაუწყეთ ალერსი.
 როს ორი კვირა გაუხდა,
 მინდა მსმენელმა უწყოდეს:
 მონათლეს ბავშვი. სახელად
 მათ შეიღს ყაისი უწოდეს.

რა წელიწადი აღივსო,
 უკეთესს რაღას ნახავდით,
 ბავშვი კი არა, რა იყო
 ის ბიჭი კალმით ნახატი!
 იყო და იფურჩქნებოდა,
 გაფურცვლილ კოკორს მოჰგავდა.
 ფეხი აიდგა, ნებივრად
 ეზო და ეზო გოგავდა.
 ვარდები იით მოეწნა,
 როდესაც ვახდა შვიდისა.
 კაცი არ იყო მნახველი
 მისი მნახველის მშვიდისა.
 ათი წლის როცა შეიქნა,
 ქვეყანა ალაპარაკა.
 ყაისის მშვენიერება
 ხალხში დაჰქონდათ არაკად.
 უნდა გენახათ ზემი
 გახარებული მამისა.
 ბალღი სკოლაში გაგზავნა
 ბაღად ქცეულმა ღამისა.
 მარტო არ იყო ყაისი
 სკოლისკენ აღრე მავალი.
 მანდ სწავლის ჯაფა-ჰაპანსა
 მასთან იტანდა მრავალი.
 იზვირებდნენ გაკვეთილს,
 გარჯას არავინ იშლიდა.
 ზოგი იმედით სწავლობდა,
 ზოგი სწავლობდა შიშითაც.
 ბუთხოზა ბიჭივს სკოლაში,
 ვითარცა ბაღში ფერია,
 რამოდენიმე სწავლის მტე
 გოგნი-გოგონაც ერია.
 სხვადასხვა კუთხის შვილები,
 სხვადასხვა მოდგმის, გვარტომის
 აქ გამოეშვათ სასწავლოდ
 და მოსულიყვნენ მარტონი,
 ნამეტურ ერთი კუდრაჰა
 თვალისმომჭრელად ჰვიოდა.
 ყაისის ტომის არ ვახლდათ
 ის მარგალიტი ჰვიოტა.
 კოპწია იყო გოგონა,
 სათუთად ჩანდა ნაზარდი.
 მოსდგამდა მშვენიერება,
 ჯიში, ჯავარი, ლაზათი.
 კობტად მოერთოთ, ეკაზმათ,
 ვინ აკადრებდა ფალასა.
 დედოფალივით ემოსა



იმ ტურფა დედოფალასა.
 იმგვარად მოვიხედავდათ,
 თითქოს მახვილი ეწვავდა.
 ერთს რომ მიხედვით გმირავდა,
 ათასს მოხედვით ლეწავდა.
 შველის თვალეზი დაჰქონდა,
 თავადაც იყო შველი და
 ვისაც ის მზერას ესროდა,
 მხოლოდ სიკვდილი შველიდა.
 აალებული ღაწვები
 არაბულ მთვარეს უგავდა.
 თუოქს ჰგავდა ავაზაკობით,—
 გძარცვდა, მერე გბუგავდა.
 ღამეს უგავდა ზილფები
 და ღამპარს — ფერი ღაწვისა.
 ყვავს მოეტაცა ჩირალი,
 შიში არ ჰქონდა დაწვისა.
 თაფლივით ტკბილი ტურჩები
 თუმცა კი ჰქონდა პაწია.
 მაგრამ ის ვისაც ანახა,
 ვეება დარდი აწია.
 რა მოხატული წარბი აქვს,
 ან რა ზილფები, ხალები.
 მოკვდები, მაშ რა მოვივა,
 დაიწვი, დაიხალეები.
 ნაწნავი ღამეს უგავდა
 მიტომ ლეილის სახელად¹
 ეძახდნენ იმ ქალს გაჩენილს
 მნახველის გულის მსახვრელად.
 ნახა თუ არა ყაისმა
 ლეილის წარბთა ირაო,
 მისი ტრფილი იყიდა
 და გული მისცა გიოაოდ.
 ჭაბუქს გოგონაც აჰყვა და
 დაჰყვენენ ვნებათა ნებასაც.
 გული სიყვარულს მიუგდეს,

რომ უმოწყალოდ ებასრა.
 დახეთ, პირველმა ტრფილმა
 ვით დაიბრიყვა ბალები:
 ჯერ ტრფობის ღვინო აწვნია,
 მერე წალეკა ტალებით.
 იმათაც როდი იცოდნენ,
 რომ ღვინის წვენევა ეწადათ,
 რომ იტყუებდა სასმელი,
 მერე კი უცბად ლეწავდა,
 ბიჭს მისდიოდა გონება,
 გოგო რომ თვალეზს ნახავდა.
 გული წასვლოდა, სწორია,
 მაგრამ სულს მაინც დაფავდა.
 გოგოსაც ბიჭის ნახვაზე
 ღვიძლი ეწვოდა მწვადივით.
 გული გაეცა, მაგრამ ჯერ
 ხელთ ჰქონდა გულის წადილი.
 ამხანაგები სწავლობდნენ,
 ანგარიშობდნენ, ითვლიდნენ.
 ამათ კი ტრფობის კოცონი
 ემატებოდათ დღითი დღე.
 ამხანაგები ძველ სიტყვებს
 იწერდნენ სიტყვის კონიდან.
 მათ კი ბაასი გაებათ
 საკუთარ ლექსიკონითა.
 ამხანაგები ისხდნენ და
 მშვიდად ფურცლავდნენ რვეულებს,
 მათ რვეულისთვის ეცალათ
 ტრფილით სნეულ-ვეულებს!
 ამხანაგები ისხდნენ და
 იზეპირებდნენ „ფაყალას“¹.
 ფაყალის თავი სად ჰქონდათ
 მალხაზს და თვალეზმაყვალას!

¹ არაბული სიტყვა, რომელსაც საუღლებლად იყენებენ არაბი გრამატიკოსები (ნიშნავს კ ე თ ე-ბ ა ს).

¹ ლილი არაბულად ნიშნავს ღამეს.

თარგმნა მაგალი თოდუამ.



ბია ჭელიძე

ღვანდომოსილი მწერალი

(ნინო ნაკაშიძის დაბადებიდან
90 წლისთავის გამო)

ქუჩას რომ აუყვები, უნებურად მის ფანჯარებთან შეჩერდები და გული კარისაკენ გაიწვეს.

შეხვალ და მაშინვე შემოგანათებენ მარად დაუცხრომელი, კეთილი თვალები... სიყვარულით შემოგკეპრიან, თითქოს ცდილობენ გულის სიღრმეში ჩაგწვდნენ, გაგათბონ და მოგი-აღერსონ.

ვისაც ერთხელ მაინც უგრძნვია, ალბათ არასდროს დააფიქვდება ამ თვალების სიბოლო. ოთხმოცდაათი წლისაა ჩვენი საყვარელი ნინო ნაკაშიძე. ოთხმოცდაათი... ეს ხომ თითქმის საუკუნეა.

ძველებურ ბუხარში ნაკვერჩხალი ტკაცუნობს, დროდადრო პაწაწინა ნაპერწყალი თვალისმომკრებლად გაივლებს და მყისვე გაქრება...

შენის აქაურობას ეს მოგუბუნე ძველი ბუხარი.

პატარა მაგიდას მოკიქულ ქოთანში სათუთად ჩაწყობილი იების კონა ამშვენებს.

— ეს ჩემმა პატარა მეგობრებმა მომიტანეს, დაბადების დღე მომილოცეს, — ამბობს სათნო ლომილით და თვალები უზომო სიყვარულით ევსება, — თვითონაც ამ იებივით ლამაზები იყვნენ, ისეთი კარგები, ისეთი კულრაუბები, ისეთი... პატარა ხელებით ჩემთვის ხურჯიანები დეჟარგაით, შიგ ღვინით სავსე პატარა დოჭი, ტბილულობა, თხილი და ჩურჩხელები ჩაეწყვით და ასე ხელდამშვენებულები მეწვიენენ. იცულქეს, იზიარულეს, ბევრი ლექსი და მოთხრობა წამოიკითხეს, გაიხარეს და მეც გამახარეს.

უსმენ თმადათოვლილი მწერლის ხალისიან საუბარს და გიხარია, რომ არ ემოჩრილება მოხუცებულობას და თავს კარგად გრძნობს.

საინტერესო, დროდადრო თავისებური იუმორით გამთბარი საუბარი იცის ნინო ნაკაშიძემ. გასახსენებელიც ბევრი აქვს: ილია, ვაჟა, აკაკი, ტოლსტოი, ილია ნაკაშიძე, ირ. ველოშვილი, შიო მღვიმელი... ვის არ შეხვედრია, ვის გვერდით არ უმუშავია სახელოვან ქართველ ქალს თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის ექვსათეული წლის მანძილზე!

გარეთ უკვე იწურება წლევანდელი ზამთარი. ფანჯრებს იქით ციკქნა ტაბახმელელი ბიჭო გამველ-გამოველს იებს სთავაზობს.

ყოველთვის იებით იწყება გაზაფხული.

წელს კი ოთხმოცდამეთერთმეტე გაზაფხულია.

მწერალი ხანდახან დუმს, ფიქრებს ეძლევა. გონებაში სადღაც გაიფრებენ გასული საუკუნის უჩანასკნელი წლები, გურია, ბახვი, რევოლუციური ბრძოლები, აწიოკებული ხალხის ტანჯვა-წამება თუ ჩვენი ერისათვის თავდადებული საზოგადო მოღვაწეების პორტრეტები; „ნაკადული“, შვილივით საყვარელი „ნაკადული“ და ახალი ბედნიერი ცხოვრების დასაწყისი, თავისუფალი საქართველო, ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები, ახალი სიხარული.

რა დააბერებს ამაგდარ მწერალს, როდესაც გრდავს როგორი ბუმბერაზული ნაბიჯით მისწრაფვის ბედნიერი მომავლისაკენ მისი შრობიერი საქართველო; როცა მაკლდორი ქართველი ხალხი უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის შარავანდელით მოსავს ნინო ნაკაშიძის უანგარო ღვაწლსა და დაუცხრომელ ენერჯიას რომელიც მან ქართული მწერლობის და კერძოდ ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების სასახელო საქმეს მოახმარა.

რა დააბერებს მშრომელი ხალხისადმი დაუშ-



რტელი სიყვარულით გამოხარ მის შემოქმედებას!

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი სასი-
ქადლო მწერალი თავისი მადლიანი შემოქმედ-
ლებით თავს დასტრიალებს ჩვენს პატარებს,
ზნეობრივად ამაღლებს და აკეთილშობილებს
მომავალ თაობას, უნერგავს რწმენასა და სიყ-
ვარულს ერთმანეთისადმი, ცხოვრებისადმი,
სამშობლოსადმი, რადგანაც მას სწამს, რომ
„საბავშვო ლიტერატურა აყალიბებს მომავალი
ცხოვრების მშენებლების აზროვნებას: ან ნე-
ბისყოფას, იგი წერათნის ხალხის ნათელი მო-
მავლისათვის მებრძოლ აღმამანებს“.

— როდესაც ბავშვებისათვის ვწერდი, — ამ-
ბობს მწერალი, — ვცდილობდი ისე დამეწერა,
რომ მიზნობრივად მოსწონებოდათ. ეს იყო
ჩემი შემოქმედების ერთერთი მთავარი მიზანი.
მართლაც, ამ მოთხოვნის სიმალეზე დგას
ნინო ნაკაშიძის მაღალმატრული შემოქმედე-
ბა, რომელიც თემატიურად უაღრესად მრავ-
ალფეროვანი და მიმზიდველია. ეს მრავალფე-
რეულობა თემებისა დამახასიათებელია მისი
საბჭოთა პერიოდის შემოქმედებისათვის, ხოლო
რევოლუციამდელი ნაწარმოებები უმთავრესად
ერთი, — სოციალურ საკითხს ეხება.

რა თემაზე არ უნდა წერდეს ნინო ნაკაშიძე,
მის ნაწარმებს ნათელი შექვივით თან გასდევს
აღმამიანისადმი უდიდესი სიყვარულისა და პა-
ტივისციემის გრძნობა, რწმენა ბედნიერი მომავ-
ლისა და შეუთრეხველი ბრძოლის სურვილი
უსამართლობის წინააღმდეგ, პატროსანი შრო-
მა, ურთიერთობა და მეგობრობა, მასობ-
ლისათვის თავის განწირვა, — აი ნინო ნაკა-
შიძის ცხოვრებისა და შემოქმედების კეთილ-
შობილური დევიზი.

პირველი ნაწარმოებები „ძიძა“, „ვინ არის
დამნაშავე?“ ქრისტიანეს, მზეხასა და კოწიას
ბრწყინვალე, მაღალმატრული სახეები, გმირ-
თა დაფიქრომელი ლტოლვა პატროსანი შრო-
მით მოპოვებულ ბედნიერებისაკენ და მრისხანე
პროტესტი ძველი უსამართლობის წინააღმდეგ.
„ჩვენი არაფერი არაა თურმე ამ ქვეყანაზე.
მგზავრს შეუძლია დაჯდეს პაწია ხანს ხის ქვეშ,
დალორს საცივის წყალა, მარა არც ხის და არც
საცივის დასაუთრება არ იქნება“ — ამბობს
ავტორი პიესაში „ვინ არის დამნაშავე?“ უსი-
ნათლო ბერეკაცის პირით.

თავის მოთხოვნებში წარსულის დუხპირი და
უსამართლობით სავსე ცხოვრების დაპირისპი-
რების გზით ახალ ბედნიერ ცხოვრებასთან,
მწერალი უხსნის თავის პატარა მკითხველებს,
როგორ პირობებში ცხოვრობდნენ მათი მამე-
ბი, რისთვის იბრძოდნენ; რა სიყვით და უსაზღ-
ვრო პერსპექტივები გადაუშალა ნორჩ თაობას
და ახალგაზრდობას ახალმა, სოციალისტურმა
წყობილებამ. ძველისა და ახლის ამ დაპირის-

პირების მაგალითია მოთხრობა „რთველი“,
დაც ავტორს დღევანდელი აყვავებული გურიის
წარმატ სურათებთან ერთად აღსახავს რევო-
ლუციამდელი გურიის ეკლითა და ბარდით
დაბრუნული, გადატყვებული და დამსჯელი რაზ-
მებისაგან გადაამწვარი სოფლები.

ნერგავს რა პატრიოტულსა და ჰუმანურ
გრძნობებს, ნინო ნაკაშიძე გვევლინება რო-
გორც ჩვენი ახალგაზრდობის აღმზრდელი და
ჭკუის დამრიგებელი. იგი ყოველთვის ცდილობს
ანალიზი გაუკეთოს თავისი მოთხრობების გმი-
რების ამოთვმი საქციელს და აუხსნას პატარა
მკითხველებს, თუ რა არის დასავლობი და რა —
საქებარი და მისაბამი. პატარა მკითხველებში ამ
სათნო აღმამანური თვისებების ჩანერგვასა და
განვითარებას მწერალმა მიუძღვნა მრავალი
შესანიშნავი მოთხრობა „არ ვეკადრა“, „მოვა-
ლეობა“, „ამაყი ყვავილი“, „ჩიკორი“, „შვილე-
ბი“, და მრავალი სხვა, სადაც განუშარტავს პა-
ტარებს, თუ რა დიდი ბოროტება მოაქვს ადამ-
ნიანისათვის ამაყობას, მეკეხბორობას და მშობ-
ლების ამავის დაღუფასებლობას და უბატვი-
ცემულობას.

1904 წლის ნოემბერში, ცნობილი საზოგადო
მოღვაწის მარიამ დემურჩას თაისნობითა და
რედაქტორობით ქართველმა პატარებმა უაღ-
რესად ძვირფასი საჩუქარი მიიღეს. გამოვიდა
ახალი ქართული საბავშვო ჟურნალი „ნაკადუ-
ლი“, რომლის ირგვლივ თავი მოიყარეს ნიჭი-
ერმა ახალგაზრდა მწერლებმა. ჟურნალის პირ-
ველსავე ნომერებში იბეჭდება ნინო ნაკაშიძის
შესანიშნავი მოთხრობები „დამეგობრდნენ“ და
„სახალწლო საჩუქარი“, რომლებიც ქართველმა
საზოგადოებრიობამ დიდი აღფრთოვანებით მი-
იღო. 1910 წლიდან, მარიამ დემურჩას გარდაც-
ვლების შემდეგ ნინო ნაკაშიძის დაველა ჟურ-
ნალის რედაქტორობა. ახალგაზრდა მწერალი
ქალი არ შეუშინდა რედაქტორის მეტად მძიმე
ტვირთს და მისი უაღვარო მუშაობის სასახე-
ლოდ უნდა ითქვას, რომ დაკისრებულ მოვა-
ლეობას ღირსეულად ასრულებდა ბოლომდის.

— ძალიან მიყვარდა ჩემი „ნაკადული“ —
ამბობს მწერალი.

„ნინო ნაკადული ისე უვლიდა, როგორც
კარგი დედა შვილებს, — იგონებს პოეტი — აკა-
დემიკოსი ი. გრიშაშვილი, — უდიდესი მუშაო-
ბა იყო გაშლილი. „ნაკადულის“ რედაქციიდან
რამდენჯერმე ჩემი ლექსი უკან დაუბრუნებით
და უთქვამთ, ბავშვების სულთან და გულთან
ახლოს არ არისო. ხელნაწერებში ზოგიერთი
სიტყვა ხაზგასმული იყო, რომელიც არ მოს-
წონდათ, და მეც, როგორც ახალგაზრდა მო-
ლექსე, გულდასმით ვაკვირდებოდი ხაზგასმულ
ადგილებს და ასე ვსწავლობდი საბავშვო მწერ-
ლების სამყაროში გადასვლას“.

„ბავშვები ამ პატარა ჟურნალმა „ნაკადულ-



მა "შემაყვარა", — ამბობს ი. გრიშაშვილი, — ბავშვებამაც მთელი გულთ შეიყვარეს „ნაკადული“. შეიყვარეს ნიხო ნაკაშიძე — მათი გულის მესალმებელი“.

ნინო ნაკაშიძე და მისი თანამოქალაქეები ცდილობდნენ დიდი პედაგოგიური აზრობით და ფაქიზი გემოვნებით შეერჩიათ მასალები ყურნალისათვის, რათა იგი ყოფილიყო ახალგაზრდობის ნამდვილი აღმზრდელი, შეეყვარებინა მათთვის მოძოლოური ენა, სამშობლო, მიეტანა ბავშვების გულამდე თანამედროვე ეპოქის სუნთქვა და გაეზარდა ისინი ერთიერთმეგობრობის და უსამართლობასთან შეურთებლობის სულიკვთებით.

აკაკი, კეკე, იაკობ გოგებაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, ილია წინამძღვრისშვილი, ლუარსაბ ბოციაძე, 1910 — 14 წლიდან ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, კ. გამსახურდია, შ. დიდიანი, ვინ მოსთვლის რომელ ჩვენს სახელოვან მწერალს და საზოგადო მოღვაწეს არ დაუმშვენებია პატარა „ნაკადული“ ფურცლები თავისი მადლიანი თხზულებებით. ამ პერიოდში ნინო ნაკაშიძე, ყურნალის რედაქტორობასთან ერთად ქმნის შესანიშნავ მოთხრობებს: „გურიის სოფლები“, „ასპიზის დახვრეტა“, „მოვალეობა“, „ნამდვილი სახარული“ და სხვ.

ამ დროის ბევრი საზოგადოებრივი წამოწყების ორგანიზატორი და მონაწილეა ჩვენი პატრიოტული მწერალი. პირველი ქართული საბავშვო ბაღის გახსნა, კავკასიელ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარეობა, სასცენო მოღვაწეობა თუ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში დაუღალავი მუშაობა ნინო ნაკაშიძის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

თავის კრიტიკულ სტატიებში „ფიქრები საბავშვო ლიტერატურაზე“ და „კრიტიკის გულგრილობის შესახებ“ ნინო ნაკაშიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა საბავშვო ლიტერატურას ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდაში. მწერალი საბავშვო ნაწარმოებს განიხილავს, როგორც ფორმისა და შინაარსის ორგანულ ერთეობას და ამასთან ერთად მოითხოვს, რომ იგი იყოს მოკლე — ცოცხალი და მაღალმხატვრულად ამსახველი დღევანდელი სოციალისტური სინამდვილისა.

„ბავშვი დღედაღამ გმირობასა და გმირებზე ოცნებობს და არც ერთი ქვეყნის, არც ერთი ეპოქის მწერალს არ ჰქონია ისეთი მიღიარო, ამაღლებელი და დაუშრეტელი მასალა ბავშვების ინტერესების დასაცემად დასაძლად, როგორცა აქვს საბჭოთა მწერალს“, — ამბობს ნინო ნაკაშიძე და მისი შემოქმედებაც ხომ ამ შეხედულების ნათელი დღდასტურებაა.

მრავალი შესანიშნავი ზღაპრის ღმერთების ნის ავტორია ნინო ნაკაშიძე. ეს ზღაპრები „უღუ და თეთ“, „მამობელა“, „სუნჯა“, „მქედელი პეა და მეფე ოს“ და მრავალი სხვა უთუოდ ძვირფასი შეხაძენია ქართული საბავშვო ლიტერატურისათვის. 1896 წელს გამოვიდა მწერლის თარგმანი ანდერსენის ზღაპრებისა, შემდეგ თავორის პატარა მოთხრობები, „თანაგრძობა“, „ჩემპაისი ყვავილი“, ჩ. დიკენსის „სკრუჯი და მარლი“ და ლ. ტოლსტოის „ბავშვობა და ყრმობა“. მწერალს კარგად ესმოდა ამ ნაწარმოების დიდი მნიშვნელობა ბავშვთა მორალური აღზრდის საქმეში, და ამიტომაც იყო, რომ ამ თარგმანებში მთელი თავისი შესანიშნავი მხატვრული გემოვნება და ნიჭი ჩააქსოვა, რათა ქართულ პატარებს ჰქონოდათ შესაძლებლობა მშობლიურ ენაზე წაეკითხათ ეს შესანიშნავი ნაწარმოებები.

ამიტომაც უყვართ პატარებს ნინო ნაკაშიძე. თუნდაც ამ პატარა ალბომს, მაგიადაც რომ უღვევს მწერალს, რამდენის თქმა შეუძლია ამ სიყვარულზე. ჯერ კიდევ ფანქარს მიუჩვენებულ ხელებს რაოდენ დიდი მონდომებით და სიყვარულით გამოუხატავთ ნინო ნაკაშიძის პატარა მოთხრობების გმირების სურათები „თიკანი ბაიკ-ბუკი“ ან „კრუხი და წიწილები“, რომელთა ქვეშ დიდი სასოებით მიუწერიათ:

„ჩვენს საყვარელ ბებია ნინოს ვულოცავთ დაბადების 90 წლისთავს“ 69-ე საბავშვო ბაღის აღსაზრდელები: ლალი, გოგი, ცირა, ნატო“...

დღეს ლალის, გოგის, ცირას და ნატოს ხმას უერთდებიან ყველა ქართველი ბავშვები, ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა, მწერალის, მთელი ქართველი ხალხი, პარტია და მთავრობა, ყველა, ვისაც გულთან ახლოს მიუტანიათ ნინო ნაკაშიძის დიდი დამსახურება ქართული კულტურისა და ლიტერატურის წინაშე და საზეიმოდ ულოცავენ მსოფლიან მწერალს ოთხმოცდაათა წლის იუბილეს.

ოთხმოცდაათი... ეს ხომ თითქმის საუკუნეა. დაუზარელსა და დაუღალავ შრომასი განვლილი საუკუნე.

ოთახში კი ბუხარი ისევ გუგუნებს. დროდარდო ისევ გაიტაცუნებს ნაკვერჩხალი და პაწაწინა ნაპერწკალი თვალის მომჭრელად გაიფლავებს.

უკვე იწურება წლებანდელი ზამთარი. ფანჯრებს იქით ციციწა ტაბახმელეი ბიჭი კვლავ სთავაზობს გამველ-გამომველს იებს. ყოველთვის იებით იწყება გაზაფხული! კვლავაც მრავალ ბედნიერ გაზაფხულს. დასწრებოდეთ, ძვირფასო ნინო.



ღევიან გომთა

გუარსი თუკა ვაზზე

„არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული...
გარნა არს ვენახიანი, ხილიანი... და არს
მთითა და კლდითა ფრიალ მაგარი...“
ვახუშტი.

ამ ბოლო დროს ორი რამ შევაძინე ჩემს თავს.
ერთი — მთის ღრანტეებში და შუროებში
ძველებური სისხარტითა და უღლულობით ვე-
ლარ დავდივარ... მეორე — რომ მთელ გზის გან-
მავლობაში დაუღალავად ვედავები, ვეპაექრები
ხან სახელუცნობად გადასულ წინაპრებს, ხან
ჩემ უხილავ თანამედროვე მკითხველებს... და
რაც უფრო მიძინელებდა სვლა, მით უფრო მიმ-
ძაფრდება დავა და ფიქრი.

ერთმა კაცმა, ერთი წყაროს გაკეთებით
უკვდავყო თავისი გვარი. ლაჯანურის ხეო-
ბაში. რაჭალეჩხუმის მთავარ გზაზე, ვინ არ
იყის ბებურიშვილის წყარო!

მანქანები გზაზე სწორედ ამ წყაროსთან
დავტოვეთ. თავიდანვე გავნაწილდით. აქ, ქვე-
ვით დარჩნენ მიხეილ გოგიძე, დევი გოთუა და
ჩვენი მანქანის მძღოლი ილა ჯარიაშვილი.

გზიდან რომ გადავედით, ხეობის ზედა თავში
აფეთქების ხმა ისმოდა. შორიახლოს ხეობას
გეგებერთელა კაშხალი ჰკეტავდა... გზა კი გვი-
რბაში ძვრებოდა და უჩინარდებოდა.

საერთოდ აქ — კაშხალი, წყალსაცავი, გვირაბი
ლეჩხუმის ბუნების ისეთივე განუყოფელი
ნაწილი გამხდარა, როგორც ძველთაგანვე —
ციხე, საყდარი, გამოქვაბული. სწორედ აქა ვარ.
მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ჩვენს წინაპრებს, დიდებულ ძეგლების ამ-
გებთ, არ უყვარდათ თავისი სახელისა და ვი-
ნაობის გამჟღავნება. დიდი უმრავლესობა ჩვე-
ნი სახელოვანი ძეგლებისა, მათი შემოქმედთა
სახელადუნიშნავნი არიან. ეს ან დიდ თავმდაბ-

ლობით მოსდიოდათ ან დიდ დაუდევრობით.
ამით კი ფრიალ გაალარიბეს ჩვენი ისტორია.

თქმა არ უნდა, არსებობს, იქნებ ყველაზე
უმალესი „უკვდავება უსახელო ნალეწისა“...
მაგრამ უკვდავებას მიიწე სახელი აძლევს მა-
რილსა და მუდამ თანადროულ ქლერას. ყველა
თაობებსა და ჩვენც გვირდა ვიცოდეთ, როგორც
ორპირის მიუვალ ქვაბულის გამკეთებელის სა-
ხელი, ისევე ლაჯანურას ქვაბულქვის მშენე-
ბელთა ვინაობა.

ზოგიერთ მკითხველს კი იქნებ არც ორპირის
მიუვალი გამოქვაბული უნახავს და არც ლაჯა-
ნურას ჰიდროელექტროსადგური. იქნებ არც
იყის მათი არსებობა? არც განიციდიან ქართულ
გეოგრაფიის „ანა-ბანას“ უცოდინარობას. აი
აქ არის ჩემი პირველსადაოც... ყველასთან, ვი-
საც ეს შეეხება. მე ვამტკიცებ, რომ ხეც კი
გრძნობს თავის ფოთლებსა და ფესვებს... მით
უფრო მოეთხოვება ეს ადამიანს. ასაკიანი კაცი,
რომელიც არ იცნობს თავის მიწა-წყალს, ედა-
რება უსასაკოს, რომელიც არ იცნობს თავის აკ-
ვანს, შიგ კი წეებს და ლულუნებს. განა ყველას
ყველაფერი ეპატება! ნურც პფიქრობთ, რომ
გადავქარბე — თუმცა ჯერ არალწერილ მოგ-
ზაურობის მომავალ მკითხველს ვედავები.

საქართველოს ერთერთ კუთხეს თვითმფრი-
ნავით რომ გადაუაროთ, რაღაც ორმოციოდ კი-
ლომეტრის ოთხკუთხედში ექვს ზღვას ერთ-
დროულად „აღმოაჩენთ“.

არა, მე თვითმფრინავით არ დავგმავოფილ-
დი... ეს ისეთი დაუჯერებელი რამ იყო, რომ



თითო მათგანთან მივედი და ხელით მოვისინჯე წყალი, მისი სისველე, საღებუნი და ნამდვილობა! ვისაც ნახვისა და ფიქრის სიზარმაცე სჭირს, თანაც ურწმუნობა ახლავს, მათთვის დავაზუსტოთ: დიდი წყალსაგებარი — როონქისისა, გუ-მთასა, ტყიბულისა, შორისა, ცაგერისა, ლა-ჯანურასისა... მათ მთლად შესცვალეს მხარის საერთო პირხატულობა, სოფლების იერი და დოვლათიანობა... და, რაღა თქმა უნდა, მის მცხოვრებთა შუბლი და ღიმილი.

არსად ისე არ მოძველებულა დიდებულ ვახუშტის აღწერა „სამეფოსა საქართველოსა“, როგორც ლეჩხუმში და მის ახლო ირგვლივ. აქ გამოცვლილა ადგილის დერიტაც და დედაც. შეცვლილა მდინარეთა მიმართულებაც. ცხენის წყალი ახლა ძველთაძველ ხონს აღარ ჩაუდის. ეს „ცხენი“ ძველებურ წესით, მაგრამ ახალ ხერხით „მოუტაცინია“, ცაგერთან ზღვა-საგუბარში დაუჩიხავთ და „ფარულად“ ორბელის მთის ქვეშ გვირაბით ლაჯანურაში გადაუხტუნებიათ. ცხენ-ბედაურს არც აქ დააყენეს კარგი დღე. დამორჩეს, შუამოსართავი ამოსდეს, ახლა აქ დაატრიალეს ლაჯანურასთან ნაერთ ზღვაში და ტევრის თუ ალანის ქედის ძირში გაყრილ გვირაბში გააძქრინეს. მრავალათასიან შუქურ-მანქანებში გაუბეს, შუქის კალო აღეწინეს. ახლა როინში შეატურეს და მისი „სინათლის დიდ გუთნულში“ ჩააბეს, ჩაუმატეს, გააწყალადდეს... ეს ყოველივე მოყვარემ თავის თვალით უნდა ნახოს, თორემ მონათხრობში ყოველი სიტყვა თითქოს ძველებურად უღერს, სულ სხვას კი ნიშნავს!

...ხევში ჩავედით. იქ ბონდის ხიდი დავგვხდა. ზრდილობისათვის, ძველის პატივისცემით, ზედ გავედით... თუმცა სავალი ფიცარნავიც ჩაქალბული ჰქონდა და ზომაზე მეტადაც ქანაობდა. მაგრამ ეს არ იყო ხიდის მთავარი უქნაურობა... ლაჯანაში აღარ იყო ლაჯანურა, მისი სახელისა და ეშხის მიმცემი!... დამშრალი, გამოშიშვლებული რიყე-კალაპოტი ისეთივე ცუდი სანახავია, როგორც წალეკილი გზა. მაგრამ აქაც სხვაგან ბუღობდა ამ ცუდის — კარგი.

შევუღვივეთ ტევრის ქედის დიდ აღმართს. ჯერ მაყვლიანებში მოვხვდით. აქა-იქ უკვე მწიფდა მაყვალი. მან ეკალი გაგვკრა, ჩვენ კბილი. ასე რომ ბარი-ბარში დავრჩით. მაგრამ მალე ისეთი ხშირი ციკა-ბარდა და გაუვალი შქვინარა გადაგვიდგა ისედაც დაყუდებულ აღმართზე, რომ ოღონდ გაგვწურა.

ძლივს მივიწვეთ წინ. ხან უეცარი კლდის სარტყელი ზღუდავს სავალს... ხან ხვიარებით შეკრული და ჩახლართული ნაშალი ღრე და ზედ ჩამოშლილი ხშირნარი. უფრო ზევით კი ციკაბოზე კაუჭად წამოზრდილ ტყესაც ფეხი

ვასაკვირად მოუკიდებია, ცოცხალ ღობესავით ჩახლართულა. ხშირად პირდაპირ ტოტებ-ტოტებზე ძრომით მივალთ, მივიფხოტებთ...

ორსაათნახევარი მოუწნდით დიდ თლად გადმოსულ კლდის ძირამდე მიღწევას.

აქ, ორპირის გამოქვაბულის საკლევად მოსვლას თავისი წინაისტორია აქვს. 1945 წელს აქ ალიოზა ჯაფარიძე იყო. ასე რომ ჩვენ ახლა მის ნაქვალეს მიეყვებით. ატე ნემსიწვევრია — აქ მეორედ მოსვლის მოთავე, მაშინაც ახლდა ჯაფარიძეს. დიდი მცდელობის შედეგად შეაღწიეს ქვაბულში, მაგრამ უპარავი საკლევეი დარჩა. რომც შეველწვით, ჩვენც დავგვრჩება. ეს იქნება ორპირის ქვაბულის კლევების მხოლოდ „მეორე პირი“.

ქვევით ჩახეულ ჩოხის კალთასავით ტყე. ზევით პიტალოდ აღმართული სამოცდაათმეტრიანი კლდე, სულ ცოტა ოცდაათ მეტრიან თლად გადმოსული. ეხის ღრმა უბეში კი დიდ ძელები-საგან კუთხურად შეკრული რალა უშრამედი. მის გვერდით — კირთბა და დღუღამით ნაშენი ქვაბის პირი. ვინ უწყის, რომელ საუკუნეში მზირალი კართი... იი ძველი ადგილის დედა!

რამდენჯერ გყოფილვარ ასე, მიუვალ, უძველეს გამოქვაბულის არეში. რამდენჯერ ერთად შემეყინა უძლეველი სურვილი შეღწევისა და ნახვისა... იღუშალებისა და ხიფათის ნარევი გრძობდა... წინაპართა ნაქვალევის საოცარი ძალა და სურნელი...

მაშინ მარტო მკითხველს კა არა, თავს ვედავები, ვეჯიჭურები და მეთასჯერ ვრწმუნდები, რომ ადამიანი მრავალ წინაღმდეგობათა და გარდმონაშთთა შენადღულია და ყოველ დიდ ენებათა დღევისას ისევე იბზარება, ახლა სხვა ნიშნით დღედება, და არის ასე.

ჩემი ცხოვრების გზაზე ბევრი მღარო და გვირაბი მინახავს. წლობით მიმუშავია კიდევაც წილში. ბევრ ბუნებრივსა და ხელოვნურ ქვაბულშიც ვყოფილვარ. მაგრამ პირდაპირ ავტომანქანებით, მზის გულიდან, ფართო გამოზირგვირაბით მიწის სიღრმეში რომ შევცოიადდით, ყალბობდან უეცრად ამოვვარდი და თავბრუ დამეხვა. ყველა ჩემი საზომი და მოლოდინი მოსხლეტილი და შებასრული აღმოჩნდა!

სივრცე, მთლიან კლდის ქანში ამოღებული, სვეტიცხველის დამტევი სივრცე!

განათებული, „ღდას შუქით“ ზოლებ-ზოლებად, ჩაყოლილად განათებული. დღუღამის მძლე ნეცნებით ჩატიხრული, მოგუგუნე დანადგარებით ჩაზინებული და ჩაქუხებული...

ალბათ ასეთ ხაროში კლდემ მიიჯაჭვა ამირანი, მაგრამ ჩანს ამირანის მოდგამაც კლდეს არანაკლებ გადაუხდა!

ვარდა პირველამსვლელების — ალიოზა ჯა-



ფარისისა და ატე ნემსიწვერიძისა, ჩანს აქ, მათ შემდეგ, სხვებსაც უცლიათ ასეა. კლდის ძირში დიდი ლურსმნები ვნახეთ. ერთგან კი ზოკლე მავთული ჰქონდა კლდეზე... ერთი ხეც არის მოჭრილი. ხიდან კლდეზე უცლია ვიღაც გასვლა. მაგრამ ამ ცდების კვალი შევეულო კლდის ხუთიოდ მეტრის სიმაღლეზე ჭრება.

ატემ ისევ ქვევიდან სცდა ასვლა. მოჭრილი, როკებიანი ხე კლდის ბზარს მივაყუდეთ. ატე აცოცდა, სურათოფოთლო კლდეს შეევიდა და შემალდა. მაგრამ ატე მარტოა. ჩვენ ქვევიდან ვერაფერს ვეხმარებით.

ვუზნერ ფიცხელ კლდეს და ატეს გვერდით ვივარებ, ვხედავ ალიოშას.

არიან ადამიანები რომელთა არსებობას, მათი ცხოვრებიდან წასვლის შემდგომაც უშუალოდ გრძნობ, როგორც საკუთარ ცხოვრების შეუწყვეტელ ნაწილს. როცა მთაში ვარ, ალიოშას სულ ცოცხლივ ვანვიცილი... მით უფრო ახლა, როდესაც მის უშუალო კვალზე ვართ. ატეც ყოველ წუთს იგონებს და მის ჩამოშლილ და მაინც წარუშლელ ნატერფალს კლდეზე მაჩვენებს. ასე ერთად არიან კლდეზე — კაცი და ლანდი!

ატე გულზევად მიეძალა კლდეს... მაგრამ არც კლდე დახვდა ჯაბნად. თხუთმეტი წლის წინათ ნაშარნი, ოდნავი შიბიცი აღარ შეურჩენია მაღალს. და ვიდრე ატე პირველ პალოს დააქედებდა, კლდემ გულისპირი მოიგლევა და ატეს სავალი აუსხლიტა. კაცი ხელ-ფეხ გაფარჩხული ქვევით ჩამოიფარცხა... ლანდი კი კლდეზე დარჩა!

პირველი იერიში თავიდანვე უშედეგო გამოდგა. მაგრამ ჩვენმა მეწინავემ თავი მოიქაჩლა, ფეხები მოიშიშვლა, თოკი შეიბა და ისევ ჯიქურად მიუხტა კლდის პირს. ბზარის თავზე მოექცა... აქ იყო დამაგრებელი ვილიცის მცდელობის ძველი მავთული. ატემ პალო დააქედდა და კაბრონის თოკი დაამარა. ახლა ლევიან გელოვანი აიყვანა, დაცვაზე დააყენა.

კარგა ხანს გრძელდებოდა ორთა ქიდილი. იქით კლდე, აქით ადამიანი... ქართველ კაცის ქიდილს ქვესთან და კლდესთან ძველთა-ძველი, ჯერაც დაუწერელი თვავდასავლი გააჩნია. ჩვენმა უწინარესმა თავი რომ შეიცნო, ალბათ უკვე ქვაში და ქვაბულში იჯდა, ქვა-კაყით ცეცხლს ჰკვესავდა, ქვის აკვანში იზრდებოდა და ქვაყუთში საუკუნოდ განისვენებდა. ასეთ ყოფილი გადასული ქვის შენეივთებული ნაყოფია ქართული ჩუქურთმა და ქვაკაცი!

ამჯერადაც კლდემ გაიმარჯვა. ატეს ვეფხურად მოქნულმა ტანმა, შიშველმა ფეხებმა და მქიდე თითებმაც კი ვერა გააწყეს რა.

ჩამობრუნებისას, ატეს საშინელი მუქარა ეწერა სახეზე, ხოლო კეფაზე შერჩენილი კაუჭა თმა ჯაგარად ეღვდა.

მე მრავალჯერ მივლია ატე ნემსიწვერიძისთან მწვერვალელებზე, ქვაბულეში, ძველ ძეგლებზე, კარსტულ მღვიმეებში. ერთად დავმტრეულვართ კიდევაც, მაგრამ ატეს რომ კლდიდან უკან დაეხიოს — ეს პირველად ვნახეთ. ნუთუ წლოვანებას ატესავანაც თავისი მიაქვს? აი მე კი ვგრძნობ ამას. იხტიბარს არ ვიტეხ, წლების სიმძიმეს მაინც ვგრძნობ. მაგრამ ატე? ის ხომ ჩემზე საკმაოდ უმცროსია და მერმე — მასზე — მაჯავანში გამოყვანილი ტყავით, არ მოქმედობს დრო და ცვეთა!

როდესაც ჩამოსულ ატეს ახლოს შევხედე, მივხედი — ორიპირის კლდის „შეუვალობა“ უკვე განწირული იყო. ადამიანმა გადაწყვიტა — ეს რამეს ნიშნავს!

ასე შედინენ კლდე და მოყმე... ორივეს დედა კი ჩვენი დედა-მიწა იყო.

ატეს მათარა მივაწოდე. ხელში ემსუბუქა... ორიოდ ყლუბი მოსვა...

— შემოვეულო, ზევიდან დავეშვები! უმალ ჩანთა გავუმზადე. მათი „შებმა“ ამჯერად ზედმიწევნით „შებმასაც“ ნიშნავს. თოკები, პალოები, სასხლეტები ჩავუწყვე ჩანთაში.

— დასავლეთიდან დაუარე. კარგა შორსაა, მაგრამ არის სავალი... აღმოსავლეთიდან კი სულ პიტარი კლდეა!

არ დამყვა, ბრძოლის ჯიბრში შესულ.

— არა, აღმოსავლეთით ვიპოვნი შემოსავლელს. მეჩქარება!

რა გაეწყობა. იგი მდის. გზის საბოლოო არჩევა, რალა თქმა უნდა, მასზეა! ორნი — ატე და ლევიან გელოვანი წავიდნენ. ბორის ხეცურიანი ცოტაზე გააყვა. ოდნე ქვევით და ვანზე — საზვერაზეც დადგება, კლდის ზევითაც, ჩვენთან შუაწელზეც, და სულ ქვევითაც ხმა და თვალი რომ მიაწვინოს.

კლდესთან, სადაც თოკი უნდა დაემვას, „საპატიო ყარაულეზად“ და „მისაჯებად“ მე და ლადო დავრჩით.

პირველყოფისა ცეცხლი ავანთეთ. ჩვენ ხომ სათბური არა წამოგვიღია რა. ახლა კი ოფლის ნაძალს ვგრძნობთ. ხოლო ჩვენებს, კიდეც რომ იპოვნონ შემოსავლელი, ორიოდ საათი მაინც დააგვიანდებათ.

წყალი დიდი ხანია ჩაგვითავდა. თუმცა ჩვენმა ბუნებამ აქაც შეღავათი მოგვცა. აქვე შინდია — არც თუ მწიფე, მაგრამ მისი მთავე, კბილის მკვეთელი წვენი მაინც გრილ სალბუნს გვაძლევს. ოდესმე შინდმა თურმე დთვი გააწბილა. ჩვენი კი ხელი თუ არა, პირი მაინც „მოგვიმართა“.

დრო კი ვიღოდა. მზემ ლაჯანურას ეიწრობი დიდი ხანია ჩაათავა. მხოლოდ გაღმა მთაზე კიდევ დღეს მისი ნახივი. მაღლე ისიც გაჰქარა.

ზევიდან კი ჩამიჩუმი არ არის. ცოტა წამოწვიმა კიდევაც. თუმცა ჩვენთან



არ ჩამოდის წვიმა. თალი გვფარავს. ჩვენს ახლო, ქვევით კი ტყეს შეუღდა წვიმის ჩუჩუნე... შეაშრილა და უფრო ჩააჩუმა.

ფიჩინი მოვზიდეთ. ტეცელ ვუმატეთ. ბორისიე ჩვენთან ამობრუნდა. ერთად ველით. მოლოდინს უყვარს ერთად ყოფნა. ესეც ჩვენი „ორპირის“ გრძნობა: სიჩუმე და მოლოდინი. ხანდახან ხეობის ძირთა-ძირიდან, იქ სადაც ბებურიშვილის წყაროა, სადაც რაქა-ლეჩხუმის გზაა, მანქანის გაბმული გუგუნი ამოკრთება. მაგრამ იგი ისე უსხეულოა, ისეთ შორეთში დაბრუნებული, თითქოს სხვა ცთომილზეა, სხვა საუკუნეში, სხვა განზომილების ორბიტაში.

თითქმის ხუთმა საათმა განვლო. უკვე შეეწუხებით. შევითაბირდი. მალე ბინდიც დაგვაღებს თავის თათის ნაჩრდებს.

ერთიც ვცადეთ. ბევრი დიძახეთ ზევით და ქვევით. ვერაფერი გავარკვეეთ. თითქოს ვაწვდინეთ ქვევით ხმა, მაგრამ აირია ჩვენი პირველყოფილი „ტრანსლაცია“. აქ სიტყვა თუ ჰკარგავს თავის პირვანდელ კილოს, შინაარსს და უცნობს, ახალს, სულ სხვაგვარს იძენს. და ეს მარტო ჰუბუს ბრალი როდია. უფრო ღრმად არის მიზეზი, უფრო მიზეზიანად. დერიტა იცვლება, დერიტა!

განა სიტყვა „ლეჩხუმი“ ახლა ვახუშტის „მთის ადგილს“ გამოხატავს?.. მთისაც და ზღვისაც! ან „ალბანა“ — ძველებური სადღე-ნეა? „ლაჯანურა“ კი ახლა „ლურჯოვან“ ზღვასა და „ცხენის წყალს“ უფრო ნიშნავს... „ხეობის თავი“ — „სათავე ნაგებობასა“ და „კამხალს“. აქ თოფის ხმასაც — ლალუნი აფეთქების ხმა უფრო აქვს. მხოლოდ ჰუბუა ძველი. მართლაც ორპირი ჰუბუ!

უცერად პირველი დებეშა მოგვივიდა. სწორედ მორზეს ანბანის ხმაზე ზუზუნებდა. პატარა ქვის სახით თავზე გადაგვიარა და ფეხზე წამოგვახტუნა. ფსტიკის მოხელებმა გვაპატიონ და თავისი სისწრაფით, სიზუსტითა და მისამართის უმცდარობით, ჩვენი „ქვის“ დებეშა არცერთ ქალაქის დებეშას არ ჩამორჩებოდა.

პირველს ზედზედ მოჰყვა მთელი რიგი „დებეშებისა“. აი კიდევ ერთი აზრშეცვლილი სიტყვა! რალა თქმა უნდა, ყველაფერი უმცდარად „ამოვიკითხეთ“, და ახალი ხარისხი ვუბოვანეთ „სიტყვას“ — ატეს „მეტეორიტები“ იყო.

ბორისი ისევ ფაცხა-ფუცხით გაიქცა თავის საგუშაგოზე. ჩვენ ფრიალოს გულს ავეკარით და აღმა, სახურავით გადმოსულ კლდის პირს შეეაჩერდით.

თვალი რომ დაგვიღალა — ახლა მხოლოდ კლდის ნიღბის ხაზი შეგვჩანდა თვალის ჩინში. და მის ზევით თავკერის ზეცაა.

ბოლოს ატეს ხმაც ჩამოვიდა. მასსა და ბორისის შორის გაიბა „უმეფთულო“ ყიყინი. შიგადაშიგ ჩვენც ვეშვებით. ისევდაისევ ბორისის

საშუალებით. ჩვენი „ორატორიის“ დინამიკა ახლა ის არის.

ქვები კი ცვივა და ცვივა. ბევრი ყოფილა „მწიფე“. ჩანს ატე, ეხის თავს უახლოვდება, ფანა-ფანა კლდეფრიალზე ჩამოდის თოკით და ნაშვავს იწვევს.

ახლა მთავარია — სწორი ლარის აღება ქვაბულის თავზე. და კიდევ — სიჩქარე. ბინდი უღმობელად მოცოცავს ქვევიდან! თითქოს ტყე, დაბურული ტყე იზრდება და გვეუფლება. აქ ტყეა და დამეს ერთი ფერი აქვს!

ჩვენს გადაყიყინს ახლა ქვევიდან ეხმაურებიან. გვეხმარებიან. უნებურად კი საქმეს გვირთულებენ არ შეგვედეს რამე. აქ თოჯანა და კვანძის ვარაუდში შეცდომა — სიცოცხლის ფასს უღრის!

მწევართ, კლდესა და ზეცას შევჩერებდით. ასატანად არა არის რა უმოქმედო დაძაბულობაზე უარესი!

უცერად ზევიდან რალაც გადმოფრინდა. მოშორებით ჩამიქროლა და ქვევით ტყეში ჩავარდა. თითქოს ჩაიძირა.

— ჩანთა!

საძებნელად გავეშურე. იქნებ შიგ წერილი იყოს? თვით ჩანთასაც „წერილის“ მნიშვნელობა აქვს. თუ ჩანთას აგდებს, მაშ მხოლოდ თოკზე ჩამოშვების იმედით და საშველით რჩება!

ტებნა არ დამცალდა. ქვები ბლუჯა-ბლუჯად წამოვიდა. უკვე შევეულად ეცემა. ძლივს შევასწარი კლდისპირა საფარს.

ჩანს, სადაც არის — თოკის ბოლო და ზედ შებმული საძირავი უნდა გადმოსცდეს კლდის სახურავს!

...მე ბევრჯერ მინახავს ეს სურათი, მაგრამ იგი ყოველთვის მოულოდნელი, ყოვლად უჩვეულო და შთამბეჭდავი.

ახლაც მოზრდილი ქვა კლდეს საყურესავით ჩამოვიკიდა. ჯერ ციქნა წერტილი ჰკავდა მერმე, როგორღაც ნახტომებით და კულის ქნევით გაბერვა იწყო.

— მოდის ქვა! — გადახე ლადოს. იგი ჩემსა და ბორისის შორის ჩაღდა გადაცემად.

— მოდის ქვა! გამოჩნდა!

— ქვა გამოჩნდა! — ბორისის ხმითა და ჰუბუთი, ამ პირველი გამარჯვების ძახილი წავიდა ზევით-ქვევით, გაღმა-გამოღმა. ქვამ კი კული უჩვეულოდ დაიგრძელა და გაჩერდა ჰაერში. იგი შევეულად უკვე გამოქვაბულის სიმაღლეზეა ჩამოსული, მაგრამ თარაზულად მისგან ოცდახუთი მეტრით მაინც არის დაშორებული.

— ჩამოუშე... კარგია!

ქარი სულ არ არის. ქვა და თოკი უძრავ კალდა ჰკიდია ჰაერში და თითქოს იბერება, სივდება, იზრდება ქვა-ჭლი. და ზედ დღევანდელ დღის უკანასკნელი სხივი კიაფობს. მალე კი ბინდი ჩაგვხვევს თავის ბნელ თოჯებს.

მალე მეც გამისწორდა ქვა და ოციოდ მეტ-რას ქვევით დაქანებულ ტყეში ჩაიძირა. ჩავირობინე. თითქმის ჩავგორდი და შინდის ტოტებში ჩახლართულ თოვს ვწვდი.

— ჩამოვიდა! ჩამოვიდა! ჩამოვიდა!
ეს უკვე ქვის დეპეშა კი არა — ქვის ამანათი იყო.

ვიდრე ჩემი ყოყინი ჩამავალ და ამავალ „ინსტანციებსა და სფეროებს“ აათავებდა, თოკი სულ იკეცებოდა და ტოტნარში იბურდებოდა. ხმა და ჰუბუტ სულ აირია... ჰაერში რაღაც საუბარი დაბორიალობს.

— ხმა ააწვდინეთ! რა დროს საუბარია?
— ახლავე! ლევან გელოვანი ამოვიდა! — ხმა მაწვდინა ლადომ.

— ამოვიდა თუ ჩამოვიდა? — ახლა ყველაფერი ამ თოკითა აიბურდა. სულ მალე კი ჩემც სენა, ჩემთან ამოვიდა და ყველაფერიმაც გამარჯვია. კლდეშემოვლით ვერ გასულან ორპირის თავზე. ისევ ქვევით ჩასულან. შორს, გზა-გზა, სოფელ უსახელოზე მოვლით, ატე ქედს მოქცევილი თავზე. გელოვანი კი ისევ ჩვენთან წამოსულა, ამბის მომტანად თან კარავი, თოვი და რაც მთავარია — ერთი მათარა წყალი ამოვიტანა, თორემ მარტო შინდის იმედით დათვი ვერ დგება ტყეში.

ბოლოს თოკის ჩამოკეცვაც შეჩერდა. არც იმდენი აღმოჩნდა ჩამოკეცილი. დადგინდა ათგზის შემოწმებული და ნამოკრევი ძახილიც:

— მარჯვნივ გაიტანეთ... მარჯა დაბათი!

შეგებრძოლე ტყეს. შინდნარს ახლა რცხილნარიც და, ეგონებ, თხილნარიც წამოეშველა. დავერიე, დავეწე ტოტები. უნდა გენახათ ჩემი ჯიქტურ-ბოტირილი. ახლა სისწრაფეა საკირო! ტყეს წაეგლიჯე თოკი და მისი ბოლო მუხლის სისხლ მუხაზე დავაბი. გაეძახე კიდეცა. ახლა ეს თოკი აიწია და დაიკიმა. ცოტა აღმედად გადაედო კლდის ვეება უბეს. მალე კი მეორე თოკი წამოვიდა, მას უფრო მომცროს ქვა ება. უფრო სწრაფად კი ეშვებოდა. ჩქარობდა ატე.

მას ზევით ამირანის ჯაფა ადგია. კლდეზე ჩამოდის და თოკი უფრო ქვევით გადმოაქვს. უკანასკნელ თარო-თალამდე უნდა ჩამოვიდეს. თორემ ამ კლდეს რა თოკი ეყოფა? მას ორი ოთხმოცმეტრიანი თოკი აქვს. ორივე უნდა ჩამოსწვდეს და თან ჰაერში უკვანძოდ იყოს. კვანძიანზე ჩამოსვლა არ შეიძლება, სასხლეტში გაიჭედება. ერთიც დამხმარე საბელი აქვს, იმის სიგრძე კი ეყოფა, ასრომოდდათი მეტრია. ახლა ატე საღდაც კლდის ნიღრზე ზის და „კვანძების ამოცანას“ ვარაუდობს. ამ განტოლებაში ყველაფერი უცნობია. ყოველი შედრომა კი სახარობელას ან ასმეტრიან. ჩაფარცხვას უდრის. არჩევანი არც თუ სახარბიელოა!

მეორე თოკი პირველს რომ არ აებორკოს უკვე მარცხნივ გაივტანე და ხეზე დავაბი. ახლა

კლდის ეხზე ვეებერთელა ტოლფერდა სამკუთხედიანი თოკით მოხაზული. მათი ნაკვანძი კი საღდაც ზევით უნდა იყოს. ამას ახლა ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აკი ეძებს კიდეცა. ზევიდან ძახილი ჩამოვიდა:

— კვანძი სად არის? სად? ძირითადი კვანძი? — არა, ჩანს, არა! — ვადმანი და გულმომკედარად თოკების ვარაუდში ჩაკვანძული ვარ. მაგრამ ფიქრის ტყუბი თავის ჯურღმულით მიდის. საოცარია, რომ ყოველ სიტყვას თავისი მნიშავანი ჰუბუტ და ათასი კვანძი ვაჩნია, კერძოც და საერთოც.

ახლა დამხმარე საბელი მოდის. იგი უფრო წვრილია და წამოპარულ ბინდში ძლივსლა ეხევა.

მესამე თოკსაც რომ ვწვდი — მაშინ კი... ზეცაზე ამავალ სამრეკლოს მნათე-მეზარედ წარმოვიდგინე ჩემი თავი. მით უფრო, რომ ზუზუნა ქვეები ზარის ხმაზე ჩამოდიოდნენ. მაგრამ საქმე ამით არ მორჩა. თოკების გადაადგილება მომთხოვა უხილავმა ატემ. ამოწმებს და ასწორებს ჩაკეცილსა და ჩავრეხილს. თავბთბოლომდე ხომ ვერც მე და ვერც იგი ვერ ხედავს ამ თოკებს. ზედ რომ წამოვა, მერვე — უკვე გვიან იქნება. ბინდი კი თოკების ბოლოს უკვე სწვდა, ჩაღეშა... და უსაბეით აპყვა.

მაგრამ აქაც აღმოგვიჩნდა მაშველი. ქვევიდან, გზიდან, წყაროსპირიდან... ილისა და დევის თავობით ყველა „გაზ-ბრა“-ს მძღოლს მანქანის შუქი ამოუბრუნებია და ნაერთის სხივი ორპირის კლდისათვის უსწრებია. აქედან, ჰაერხაზით, თითქმის შევეულად, კილომეტრნახევარი მინიც იქნება. კიდეც კარგად გავწვდინეს... და ახლა კლდის უბე ვეება, ზღაპრულ ეტრანისათვის ჰქრება და ნათდება, ჰქრება და ნათდება. ბოლოს ერთ არეზე მოვდა სინათლე... და ჩაფანტოლ შოქში კლდის კუთხედები და თოკის ლარები სივრცეების საოცარ ქაშერებს ჰქმნიან. ხან მიჯაჭვულ ამირანის ჩანგია, ხან დევების საქანელია, ხან ზღაპრული სამრეკლო!

ბოლოს გასრულდა თოკების ზღართვა. ორპირი ახლა სამპირად არის დაბორკილი და ეგონებ ველარც წაგვივა. მხოლოდ დამეა მისი უკანასკნელი მცველი!

ბოლოს უშუალო ძახილიც ჩამოვიდა:

— ყველაფერი მზადაა! დილას ჩამოვიდვარ! ახლა დაიძინეთ!

ლევან გელოვანმა ძირა ბანაკთან „შეთანხმებული ნიშნებიც“ ამოვიტანა. ახლა ქვევიდან თოვის სროლით გვეკითხებოდა. ჩვენც ორჯერ გავიჩროლეთ... ეს ნიშნავს: „ყველაფერი რიგზე! ძილი ნებისა!“

ხანდახან თოვის სროლაც „ღამე მშვიდობისას“ ნიშნავს.

ქვევით უშალ ჩაქრა შუქი. გაუჩინარდა კლდის ეკრანი და ჩვენი სამყარო უცერად ჩვენი ცეცხ-



ლის პირით შემოიფარგლა. კოცონი უფრო შევაზივრებო. ადგილი ოდნავ მოვასწორეთ. აქ კარვის დაღმა მინც არ მოხერხდება. ისევ დავამტვრიეთ უამრავი ფოთლოვანი. ქვევით გავიშალეთ, ზედ დავაგეთ კარავი და სამნი შიგ ჩავძვერ-ჩავწვეეთ. მეოთხე კი — ბორის ხეცურაინი, პირდაპირ ცეცხლს მიუწვა და ხან ერთ გვერდს უფიცებს, ხან მეორეს. ჩვენი შეგვიცივდა... წაბლასაც კი... ისიც ცდილობს საწოლში ჩამოქრამას. შუალამისას კი სულ მოუსვენრობა შეუდგა ძაღლს. შეგვიწმუტუნდა. მე თოფს მივეტანე. ბორისი მივთვლემოლ ცეცხლს.

ახლო ქვეყრილზე გრიალი ჩაიტანა რაღაცამ. — ნუ გიკვირთ, სადათვე ადგილია! — გვერდი იცვალა ლაღობ. მთელი დღის განმავლობაში ეს ერთადერთი სიტყვა იყო, რომელიც კიდევ ემთხვევოდა თავის შინაარსს, თორემ ჩვენი ყოფა და ფიქრი სულ პარადოქსებზეა აგებული.

აქ „სადათვე“ ადგილზე, თოკის ძირთან ვწევართ, აქ კი, თოკის თავთან, „საჯიხეზე“ ატეც ალბათ წევს, კლდეზე მიბმული, უცეცხლოდ, უთბილსამოსოდ... ვგონებ მესმის მისი კბილების კაწკაწი, ეს თუ გააღვივებს ღამეს!

საღლა მალა კლდეზე კი ალბათ ამირანის ლანდა ქვაბულში მიჯამვული... აქი დაღამებისა დიღმა არწივმა გადაგვიარა, კლდეს მიეტანა.

კლდის შურობებში კი ორპირის ბერები თუ ხიზნები მოჩვენებებდა დაძრწიან. მათ აღარც შინათ, აღარც სწყურიათ, მხოლოდ თავის დაფანტულ ძელებს დაეძებენ. მაგრამ სიკვდილის შემდეგ ვის უპოვინა თავისი ძელები? ძებნაც და პოვნაც მხოლოდ ცოცხლების უპირატესობაა. მაგრამ შემშლილი და წყურვილიც მათივე ბედისწერაა! მინც წყურვილი...

აქ წყარო არსად არ არის. არც ზევით—ქვაბში. წუხელ ნახევარი მათარა ოთხმა კაცმა გავინაწილეთ. ამის შემდეგ უფრო მოგვეწყურდა.

ნახევარი კი ატეს წილად შევიინახეთ და ახლა მათარა ჯავრციხლაზე ნახევარ მთვარესავით ჰქვია და გულს გვიწყალებს. ათას სხვადასხვა წყაროს ემსგავსება. მინც, ჩვენს გღმა მთაზე—ლილაშუა ნანახი ოქრონისის წყაროთ წყაროს მოლანდება სულს შემეკრავს. მრავალ ღარად სდის, მოპირკეთებულ ავაზნებდა აკბულ-ჩაიბულა, ნათელ ჩქერებდა გამომოდულს. მოხრდილ სარკებდა გუბდება... ჩანჩქერებდა ჰქვია... კიბე-კიბედ ჩამწყრიბებულ ცხრა წისქვილს. აბრუნებს. ხელეჩურის წყალში ჩაიდის და სულ მალევე ლაჯანურას ზღვას უერთდება. ოქრონში—წყაროთა დედოფალია საქართველოში!

რალა გღმა მთაზე. ჩვენი ქედის ძირი, გაბურღულია. ვეება გვირახე ბრმა ნაწლავივით

გასდევს. შიგ ერთად ორი მდინარე მიჰქრის რომ კიდევ ერთ, დიდ, უკვე თანამედროვე ქვაბულში შევარდეს და ბრმა—გამოშუქდეს. უბრალო წყურვილი რა ბედენა!

ახლა მედავიეთ—რომ მწყურია და ცოტა დაბნეული ვარ!

კარგად გათენებული არც იყო, რომ ბებურიშვილის წყაროსთან გავარდა თოფი და ყვირინი. ქვედა ჯგუფი კვლავ სადარაჯოზე დამაღვარა და მხნეობის ხმას გვაწვდენს. მაგრამ ვიღრე ჩვენი მოვასწრებდეთ პასუხს, ახლა მალედიდან ატეს ხმა ორბივით გადმოფრინდა და ფეხზე წამოგვავდო.

— ჰეჰი! ამა მოვდივარ! თოკებს აუხსენით ბოლოებში.

ჩვენი, შუა ბანაკიც ბზრიალსავით დატრიალდა. ორი ძირითადი თოკი შევხსენით და შეეულად, ბოლოებთავისუფლად მიეუშვიო. მესამე—დამხმარე საბელი კი უფრო განზე გავიტანეთ და მავრად დავაბით. ახლა თითქოს ყველაფერი შემოწმებული და გათვალისწინებული არის... ისიც კი—ატე ყველაფერს რომ მოითთავებს და ჩვენიან ჩამოვა, დამხმარე საბელით, სულ მალა მარყუჟს ქვევიდანვე გამოვსინთ და თოკებს ჩამოვწვენ.

— ახლა განზე ვაღიეთ, განზე! — ქვეებს მინც ჩამოასწრო ძახილმა. კაცი არ ჩანს, თითქოს კლდე იძახის და ქვეების წიხლებს გვაყრის!

ეკით — ატე თაღის თავის კლდეზე ჩამოდის, თოკებს მოისწორებს, ახლა „მფიწე“ ქვებსაც წინასწარ აშორებს, გზას ასუფთავებს, მეგრე თავად არ მოეწიოს „მფიფე-მფიფე“. ჩვენი აქეთ-იქით მივდექით. კლდის ლავაშივით ავეკიოთ.

და აი აქ დატრიალდა მთავარი პარადოქსი... გუშინ სწორედ აქ გადაიარა ორბმა. მაგრამ ახლა ბუნებრივად მოსალოდნელ ფრთების მაგიერ—ფეხები გამოჩნდა. ისიც თითქოს ბავშვის ფეხებია და ამ ფეხებს თოკები აბია... ჯერ ძაფებით აბია... მეგრე სქელდება თოკის ლინდავი. აქ აღმამანდილი ოცსართულიან სახლს მინც უღრის.

შორს გადმოსულ კლდის თაღს გადმოსცდა თუ არა, ჰაერში ჭაღვით ჩამოვიდა ატე-კაცი. მითიური ანთეი მიწა-საყრდენის გამოცლასთან ერთად ჰკარგავდა ძალასაც. აქ კი ყირამალა მითოლოგიაც და საყრდენიც.

ატე კი იზრდება... ახლა მისი ფეხები უკვე „ჰაბუეკურია“. იმასაც ვარკვეთ—ერთ თოკს მოჰყვება მეგრეზე სასხლერჩამავრებულად, მეორეს კი ხელს არ უშვებს, საქვსავით იყენებს, ბრუნვასა და ბორილს თავს არიდებს.

შუაგზა რომ ჩამოლია, ახლა თავი დავეუნებ ატეს... მინც მიამა... მართლაც, მარტო ჰაერში გამოკიდებული ფეხები ხომ არ არის აღამაინო?

...ცოტა კიდევ ჩამოქვევითლა და ხმაც გაგვცა, გადმოგვძახა:

— დილაშვილობისა, მეგობრებო!

საღაც კლდიდან ორბი ადგა. მთის მერცხლებიც წამოიშალნენ, გაფრთხნენ, უკვე დაეღა დაილა იყო. ხეობის ნისლის ფთილა ასცილებოდა ჩვენს კლდეს. ახლა სულ ქვევინანაც, გზიდან, წყაროდან, ლაჯანურას კაშხალიდან... ალბათ ჩანს თოკზე ჩამოკიდებული ადამიანი... თუმცა იქიდან ალბათ თხილის ოდენად ჩანს ამ კლდის წამოკიდებული და მომრევი ვეჟაკაი!

...კიდევ ცოტაც და ატე შევეულად თითქმის ჩაუთანასწორდა ქვაბულის ეხსა და ნაშენ კედელს, მაგრამ თარაზულად მათ შორის ოცდახუთ მეტრამდე მიანც იქნება მანძილი.

— აბა, ქანი მომეცით! — გადმოგვძახა ატემ. თოკს ვეძგერე და მოეწიე... მაგრამ გატეხილად რომ ვთქვა, ჩამოწყვეტის შემეშინდა, თუმც ვიცი — კაპრონის თოკია და იგი მანქანის დაკიდებასაც გაუძლებს. მაგრამ ცოდნა ერთია და გრძნობა, როდესაც ამ თოკზე კაცი ჰკიდია, სულ სხვა!

— ქანი მაგრად! ძლიერად! — და ატემ საოცრად გაფარჩხა ფეხები. თითქოს ლაჯანურას თავს ფეხდაეჯა... ამის მეტი არც მინახავს, რომ ფეხები არწივის ფრთებს ემსგავსებოდნენ. ისეთი საოცარი სანახაობა იყო, რომ ძაღლიც კი გავეშდა, წმუტუნნი და ყეფა ასტეხს.

გაეწიე და გამოეწიე. ჩამოვკარი... მაგრამ გრძნობა უფრო ამემღერა, თითქოს სახარხობელაზე ჩამოკიდებულ კაცის თოკს ვწეე. ყველაფერი ადუღდებოდა — თოკი, კლდე, ტყე, ძაღლი და ადამიანი. ორპირი კი არა ასპირი ყოფილა აქაურობა!

კიდევ კარგი, ბორისი წამომეშველა, თოკი მთელი ძალით მოსწია და მიწას დაასკდა.

— კიდევ... — გაჰყოფდა არწივ-კაცი.

როგორც იქნა ავაწყვეთ ქანი. მოეშვეებთ, როდესაც ატე განილტვის კლდისგან, მერმე მკვდარი წერტილია, ახლა კი მოეწიეთ და უკანასკნელად მაგრა დაკვრავთ. ატე ქვაბულს უფრო და უფრო უახლოვდება... უფრადებს სიმძლავს და ნახტომს ზომავს ათასწლოვან ქვაბულისა და ორბის ორბიტზე გასული კაცი.

მასთან ერთად ქანაობს ყველაფერი. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს არანახული ქანაობა, რამდენმა დრომ განვლო. ეს ვეება კლდე-კედელი თითქოს უშველებელად დიდი კედლის საათია და თოკზე დაკიდებული — ადამიანი კი არ არის, არამედ დროის ქანქარა! დროის ქანქარა! და თითქოს მას მიწის მიმზიდველობა და ხორციელი შიში დაკარგული აქვს! ახლა იგი სხვა ცთომილიდან მოფრენილ არსებას უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანს... და ეს არის მისი აღმფრენა! მაგრამ

რალაც მოიშალა! შეტრიალდა ქანქარა. დაშრწილდა ატე. აივრის-ჩაივრისა თოკები. ახლა ზურგით მიექანება ქვაბულისაკენ!

გულზე რალაც შემოგავცხრა... ქოშინი ამოგვის მეც და ბორისსაც.

— ბოლოს ნუ დაჰკრავთ! თოკი მომეცით. თოკი! უფრო ლაღად! — ჰაერში არწივით ყივის და ბზრიალასავით ბრუნავს ადამიანი. ტანფეხებით ცდილობს პირვანდელ მდგომარეობის აღდგენას ეს ფრინველ-კაცი.

— მაგას გული ხომ ქვისა ჰქონია! უსხვეულოსავით უშოშარია. მაგრამ თვალი როგორღა უძლებს? — წაბმით ლულულუბებენ ლადო, ლევან, ბორისი.

...და უეცრად სულ გაჰქარა კაცი. იყო და აღარ არის. თოკიც არ გადმოჰყავა ჰაერს.

გავხვედით. პირდაღებული შევეყურებდით ქვაბულის კლდოვან ბაქანს... და უეცრივ სულ ქვევიდან, ქვეყნის ძირიდან, გზიდან, წყაროდან... იქნებ კაშხალიდანაც მოგვწვდა მანქანების საყვირის ხმა და თოფის სროლა.

— შევიდა! — ხმადაუბუღლად შევჩურჩულე ბორისს.

— მე კი გათავადი კაცი!

უტყვად იგივე გამოხატეს ლადომ და ლევანმა.

ჩვენ ჯერ ვერ მოვასწარიტ შევებით ამოსუნთქვა, რომ ზევიდან ძახილი მოგვესმა:

— აბა, თოკის კიბე გაამზადეთ!

ვეციტ, გაეშალეთ. მალე ქვაბულისწინა შევეულ დარში თოკი ჩამოუშვა ატემ. ჩვენც კიბის მარყუჭი ჩავუბით და ახლა თოკის კიბე გავიშლა, აცოცდა და როგორც ოდესმე, მისავალი გაუჩინა ორპირის ქვაბს.

კიბე ოცდაათხი მეტრის სიგრძისაა. ზევით ცოტალა დააკლდება ქვაბამდე, მაგრამ იქ მართო თოკითაც შეიძლება ასვლა. ორნი დავეციდეთ კიბეს. შევამოწმეთ. ეტქს გარეშეა. თანაც ზევიდან დაცვა ექნება ამავეალს.

— აბა, ბორის!

მას ფოტოაპარატი და დამატებითი პალოები მიაქვს. ჯიბეში მათარაც ჩავუდეთ.

— ატე, ბურ-წყალი გამოვიგზავნოთ?

— კი, თქვენი ჭირამე! პური კი არა.

მომგონდა რომ წაბლას სასიხარულოთ, ვერც

ჩვენ ვჭამეთ რამე.

ბორისს საკმაოდ შეუშშიმდა თოკის კიბეზე ასვლა. მას ხომ ცირკში არაოდეს არ უმუშავინია. ტანიც გოლიათური უფრო აქვს. მაგრამ იგი მთაში ნავალია. თანაც დიდი ზედგავლენა წყლან ნახულ მაგალითისა. მიდის და ისვენებს... მიდის და ისვენებს... ფეხი შედგა. შეაღწია! ახლა ორპირში — ორი პიროვნება!

ბუბუნებენ, საქმიანობენ. ქვა და ღორღი მოვორავს. ერთი დიდი მუხის ძველ-ძელიც გდმოვარად. ჩანს ყველაფერი წკიაზება ზევით.



ასეღის მსურველი აღარავინ არის. აღარც დროა. ისეც ვგვიანობთ. მე დღესვე თბილისში ვარ წასასვლელი.

მაგრამ მიუხედავად დაღლილობისა და წლოვანებისა, ამ თოკის კიბეზე რომ არ შევდგე, ვერ მოვისვენებ. კული კია, რომ თავის იმედი უწინდებურად ვეღარა გაქვს ადამიანს. მაგრამ, არც კაცი ვარგა თავის წლოვანებას ვეღარ გრძნობდეს და ვარაუდში პირი ეშლებოდას.

ატემ თოკი ჩამოუშვა. მკერდზე შეიები და კიბეს ავეთათე. შუა კიბემდე გული ვიჯერე. მერმე საფეხურში ჩამისხტა ფეხი. ვიძალე და ახლა მორეცე ჩამისხტა... ამას ფეჭრის სრბოლისათვის სრულადაც არ შეუშლია... პირიქით — კლდეზე აიღეს... კლდევე დაიდო საფეჭრალად...

ქართველი—კლდის ნაშეიერი თუ არის, მისივე წილი... ამიტომაც თუ იზიდავს კლდე... არა და— არა წარმოუდგენელმა გასაჭირმა ამოიყვანა ჩვენი წინაპართაგანი ორპირის უწყყო და უმოწყალო გამოქვაბულში?

სხვა ქვაბებში ან წყარო ყოფილა, ან გამოყვანილი წყალსადენი, ან საწვიმარის ნაპრალები, წყალსავალი ღარები... აქ კი ჯერ არაფერი არ ჩანს. ლაჯანურამდე წყლისათვის ჩასვლასა და ამისთვის კი თითქმის მთელი დღე უნდა. აქ სადღაც სხვაგან უნდა იყოს ამოსახსნელი?.. გათხრები აი საქირო... დიდი ხნით მოსელა...

ჩახსლელი ფეხები კლდეს მივაბჯინე... სულ მოვიტყვი და ქვეყანას ირიბულად გადავხედე... კიბის მარკვალივით ყველაფერი გამჭვირვალად მოჩანდა. შორს მანძილზე და ვგონებ დროის სიღრმეშიაც მეხედებოდა, მე, შუა კიბეზე გახიარულსა და ფეხჩახსლელს.

აქ ხომ მრავალ დროსა და ხანას გაუვლია, თავისა ნალექი, ნაშრევი და ნიშანი დაუტოვებია. საეჭიროდ — ყოველ ხანას ხომ თავისი უტყუარი ნიშანი აქვს! მაგრამ აქ კიდევ ერთი ლეჩხუმური პარადოქსია... დროც ყირაზეა შემდგარი. უძველესი ნიშანი სულ ზევით არის — კლდეზე და მზეზე — სახიზარი თუ სალოცავი... უახლესი კი სულ ქვევით — კლდის სიღრმეში — წყალსადენარი გვირავი და დიდი ელქტროსადგური!

ამ „დროის ნიშანთა“ შორის და ირგვლივ შემგვენებულა მარადი ბუნება... ვეფხის ნატორივით ქედები, ხეობები, ტყეები... უმწვანეს კალთებზე მაღლიანი სოფლები, ზვრები და ბაღნარი.

მაგრამ აქ ამიერით „ხელოვნური ბუნებაც“ არის — ახალი ზღვები, რომელიც ახალი დროის შემოქმედმა ადამიანმა შექმნა. ახლა ეს იწვევს ჩემს, იქნებ დავეიანებულ, განცვიფრებასა და აღდრთოვანებას! მე ხომ ამ „ზღვებს“ ჩემ სამშობლოს ბუნებაში ახალ ყვეარად ჩაბუნებულსა და შესადაგებულს თვალდითვალ ხედავ, უშუალოდ განვიციდი და არა სადმე მკლუ წიგნის სტრიქონში ჩამჯდარს კვითხულობ.

თოკის კიბე თითქოს უშუალოდ ორპირის გა-

მოქვაბულისა და ლაჯანურას კაშხალის შორის არის გაჭიმული...

— ატე!... მე ქვევით მივალ! — ორპირის გამოქვაბულმა ერთ პირზე მომაყენა. „კიბის თვალკუთხედ“ მოვიპოვე და უცერად ყველაფერი თავის ადგილზე დადგა... ასხის მთა, ხეამლი, სპათავორი, ლილაში, ორბელის ციხე თუ ვედასავალი...

ლაჯანურას „ზღვას“ ჯერ ძუძუმწოვრობა და ნორჩობა ეტყობა ყველგან. ნაპირები ახალშეკერილ კაბასავით, ჯერ არც მოსდგომია ტანზე. ზოგან ვაზები გაოცებულად შიგ წყალში დგანან... და თუ ბაზალეთის ტბის ძირას წყალკოტი ჰყვავს... აქ თურმე „მსხმოიარე“ ვაგნაი ყოფილა ფსკერზე... ამის წყალზე „თეთრი ნაწიშირი“ არ ითქმის არა, უფრო „ლენინსფერი“ იქნება! მისი აყენის ნახსივი კი მზის შექსაც შეედაიება!

ერთგან, სოფლის ძველი გზა, პირდაპირ სჭრიდა ხეობას. ახლა მისი ბოლო, ზღვის გაჩენის შემდეგ, შუაწყალში ჩადის, ირმის ნახტომივით გასდევს და უჩინარდება. თითქოს ძველი გზაც, მდინარესავით ერთვის ახალ ზღვას! არის აქ რაღაც სანიშნო და მნიშვნელოვანი!

აქ, ერთგან, ავეთქმების დროს ძველი მარანი გამოჩენილი... დიდი ქვევრები, ქართულ მიწისა და ცხოვრების უძველეს თანამგზავრებად ამოვარებულან დედამიწიდან! ქვევრი ძველი იყო, ძალი კი ახალი!

აქ სადღაც ყოფილა ერთი ხე, რომელზედაც დაკიდეს პირველი ტელეფონი, გადასაცეს პირველი ცნობა, რომ „ლაჯანურას“ მშენებლობა დაიწყო. ჩემის აზრით ამ ხეს ძეგლი უნდა დავუდგათ. ახლა ისიც ისტორიაა, ლაჯანისკი კი დიდი, ახალი აწყვო!

დროის უტყუარი ნიშანია ისიც, რომ ხელოვნურ გამოქვაბულებს ცნებას, ამ ბოლო დროს ჩვენში შეემატა ცნება ხელოვნურ ზღვებისა.

საქართველო, მთის გარდა ხომ ბუნებრივ ზღვის ქვეყანაც არის, მაგრამ ზღვის პირზედაც ქართველი მთის კაცად დარჩა. ახლა თავად „ზღვები“ მოვიდა მთაში და მათი მხატვრული „აღმოჩენა — ასიმღერება“ მწერლების დიდი, თანდროული ვლთაგანია. მგოსნებო — ჩამოიროვეთ ზღვები!

ლეჩხუმი ახლა თითქმის „ზღვათა შუა ხმელეთია“ და მისმა ბუნებამ საოცრად შეიმშვენა „ახალ სარკეთა ლაქვარდი“.

ლეჩხუმი-თაქვერის ბუნებასა და „დიდშენთა“ ახლად აღწერას, ვახუშტის შთამომავალი, გულითადი სწავლული სჭირდება. ხელი გამოიღეთ მეცნიერებო!

საქართველოში კლდისა და ადამიანის ურთიერთობას დიდი წარსული აქვს. მრავალი ათასი გამოქვაბულია ამისი უტყუარი დასტური. ქვაბციხენი, ქვაბსახიზრები, ქვაბსასახლენი, ქვაბ-



სენაკები, ქვაბტაძრები, ქვაბსაგანძურნი, ქვაბ-ქალაქები... ახლა ამთა შეემატა ქვაბელსადგურიც... ჩანს „ქვაბი“ ქართულ ეროვნულ ხასიათისა და ყოფის ნაყოფია.

მე ვყოფილვარ ფასის მთაზე ცხენის წყალის სათავეში, ლაფურის ვიწრობაში. ცხენის წყლის დაბადება და მისი „კვიციობა“ მინახავს!

მე ვნახე ცხენის წყალის ხელახალი „დაბადება“ ლაჯანურასთან, მიწისქვეშა „საჯინობაში“... გვირაბიდან გამომხტარ „ბედაურს“ ფაფარზე ხელი გადაეუსვი.

ახლა მისი „ცხენეითობაც“ ვნახე... მან ახლებურად გაამართლა თავისი სახელი ცხენის წყალი — ცხენის ძალაში გადავიდა... და ახლა უფრო მოხიბლული ვარ!

ჯერ თოკის კიბეზე ვარ, მზისა და კლდის გულზე გაკიდებული... იქნებ სწორედ ამიტომ გამჭვირვალეა გარემო. ყოველი ფიქრი და მოგონება თვალწინ ცხოველობს. ყველაფერს ვხედავ, იმასაც კი რაც სხვა დროს არ ჩანს!

დამაფრებულად, ფეხბამით მივსდევთ შოთა რუსაძეს — ლაჯანურაძის მთავარ ინჟინერს. ცოტა დაბნეული ვარ — ქარბად მოხიბლული. ეს ხომ ყველაფერი მიწის სიღრმეშია. დიდ სიღრმეში.

ქვესი სართულის შემდეგ თვლა ამერია.

აქ ახლა ამოძრავებული დევმანქანებია სივრცისუფალი! მათი მუქრუხი ფერი და ხელოვნური დღის სინათლე კვლავ რეალობიდან მითიმავს და მომავლის განწყობილებას მიქმნის!... ისევ მივალ, ისევ ხელი შევიხეებ, მის მაჯისცემას ვიგრძნობ... არა, აწმყო!... და მანქანები ჩემთვის სულ უცერად გაიცოცხლებიან, დაიძრებიან, გაბმულ ქუხილად აზვადებიან! ამ მანქანეთში ყველგან ისმის, ყოველ გოჯში იგრძნობა უხილავი ძალთაძალა კლდეში სატევარივით გაყრილ ჩქერთა ჩქერისა! რკინის ბადის იქითა, მაღალ ძაბვის სამყაროში, სპილენძის სამფა ელექტროგამტარებს ფუტკრის ზუზუნა ხმა გასდევს და სადმე ზევით, მიწისპირაზე ათას თვალებს გაახელს და თავლი-შუქად დაიღვრება!

უფროსი ინჟინერი გვიხსნის, გვიამბობს... მე კი ძლივს მესმის... ცდილობ არ გამომჩრჩეს, ამ ახალ ქვაბპეისის შემოქმედთა გვარებს ვიმასხოვრებ, ისინიც ორპირის ქვაბის მშენებელთა სახელებით არ დაგვიკარგოს უმადურმა მესხიერებამ... მძებნი მენაბდეები, ალექსანდრე ლოსაბერიძე, რევაზ კლდიაშვილი, გიორგი წულუღისკირი, მიხეილ აბზიანიძე...

ყველასა ვთხოვ, ნურვინ მიწყენს. შეავსოს ამ ღრისუფლთა სია. მე ორპირის მაღალ კლდეზე, თოკის კიბეზე ვიყავ ფეხჩასხლეტილად ჩამოკიდებული — ისე ვიგონებდი, ისე ვფიქრობდი არ-

სებითზე, რამაც გული მიმტაცა და ძირეული ახლებურად განმცადღვეინა. „ძირითად კვანძს“ ვგონებ მივაგენ!

ატემ და ბორისმა მოიკვლიეს გამოქვაბული, სურათები გადაიღეს, მოჩხრიკეს მუხის მორბეით ამოყვანილი რაღაც შრამელი... აზომ-დაზომეს აქაურობა.

ჩამობრუნებისას ატემ ქვაბში ასასვლელად, თოკი ჩამოკიდა და დატოვა კლდეზე... მაგრამ ისე, რომ ახირებულად, გამოუცდელი ვერვინ მისწვდეს, საჯისოდ, გათხრებზე მოსვლისას რომ არ დასკირდეს კვლე ზევიდან ჩამოსვლა და ცის საქანელის ჩამოხმა.

...და ბოლოს, დამხმარე სახელი შევხსენით და ორმა ლევანმა ერთად, ორი ძირითადი თოკი მოვწიეთ ორპირის თავიდან. ორივე მოგვეცა ხელში, დამხმარე სახელი კი აეკიდა კლდის თვალმოუვალ თაღს, ატეს გზა უკულმა აათავა, სადღაც ზევით ხეს თუ ჯაგს მოუარა და ქვევით გველზემულად გადმოიტყორცნა.

გზაზე, ბებუროშვილის წყაროსთან ხალხი დაგვხვდა. ჩვენებიც, კაშხლის მუშებიც და მგზავრებიც, შეფრთხილეთ შემოგვადგნენ. მაგრამ ჩვენ პირველყოფილისა წყაროს ხევიან ღარს დავეწაფეთ... სულ მოვიბრუნეთ... არც არის რამე წყაროზე უტკბესი, როცა გწყურია! დიდ სალბუნის გარდა, წყარო აბრძენებს ადამიანს, ისევე როგორც მოგზაურობა... გრძელ ფიქრს აწვევს... აზრის ძირა მარცხელს აპოვინებს...

ჰოი, რა დიდი გზა ბრძოლისა — კლდისთან, იძულებითი უწყლობასთან, ბედისწერასთან გაუვლია ერს — ორპირის მიუვალ გამოქვაბულიდან — ქვაბულთან პიროსადგურამდე!

წყაროდან — ხელოვნურ ზღვამდე! ორპირს — ერთი პირი ძველი აქვს, მეორე ახალი,

...ასე გაიბა ფიქრის თოკი და კიბე ძველ სახიზრიდან — ახალ სადგურამდე... და არის აქ დიდი კანონზომიერება ეროვნულ შემოქმედების ხასიათისა... ვინც ორპირის მიუვალი ქვაბი ამოაშენა, ქართული ბუნება და კლდე შემოქმედლად გამოიყენა, ღუხუხის გაუძლო, რალა თქმა უნდა, მისი უფრო ბედნიერი და ცოდნით აღჭურვილი შთამომავლობა არაერთ ზღვასაც დაავუბებდა და ლაჯანკესაც ააშენებდა! კიდევაც მრავალს ააშენებს და დაამშენებს!

წყაროსთან დავეწყეთ და აქვე შეიკრა ჩვენი თოკის კიბე და თხრობა. მიწის ღიმილია წყარო! იგი ავსებს ახალ ზღვებსაც და იმედსაც!

სალჯანოში კი ლეჩხუმურ ორბთან და მერცხლთან ერთად ახლა თოლიაც ფრინავს!

დიდი ნუგეზია მშობლიურ ბუნების წიაღში ფიქრიანი მოგზაურობა... დედაშვილური აღერსია... დიახ — ალერსი!



ღაპიო მიუსუაპი

ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში შემდგომ განვითარებულია ლენინური მოძღვრება პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის შესახებ, გაკეთებულია თეორიული განვითარება და დასკვნები პარტიის უდიდესი ისტორიული როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

„სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების, — ნათქვამია პარტიის პროგრამაში, — საბჭოთა საზოგადოების ერთიანობის განმტკიცების შედეგად მუშათა კლასის კომუნისტური პარტია გადაიქცა საბჭოთა ხალხის ავანგარდად, გახდა მთელი ხალხის პარტია, გააფართოვა თავისი წარმმართველი გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე. პარტია გონება, ღირსება და სინდისი ჩვენი ეპოქისა, საბჭოთა ხალხისა, რომელიც დიად რევოლუციურ გარდაქმნებს ახორციელებს. იგი ფხიზლად აკვირდება მომავალს, უსახავს ხალხს წინსვლის მეცნიერულად დასაბუთებულ გზებს. უღვიძებს მასებს გიგანტურ ენერჯიას, მიუძღვის მათ გრანდიოზული ამოცანების გადასაჭრელად“.

... 1917 წელი. მიმდინარეობს სრულიად რუსეთის საბჭოების I ყრილობა. ყრილობაზე უმრავლესობას ბურჟუაზიულ დროებით მთავრობაში მონაწილე ესერების და მენშევიკების პარტიების წარმომადგენლები შეადგენენ. მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი ი. წერეთელი აცხადებს, რომ რუსეთში არ არის პოლიტიკური პარტია, რომელიც გახედავს თავის ხელში აიღოს სახელმწიფო ძალაუფლება. ამის საპასუხოდ დარბაზში ვაისმა მკვექარე ხმა:

— არის ასეთი პარტია!

ეს იყო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხმა. ბოლშევიკების ბელადი ლაპარაკობდა მშრომელ ხალხთა მასების, მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მატროსთა სახელით, რომელთა ინტერესების დაცვა არც ერთ სხვა პარტიას არ შეეძლო ვარდა კომუნისტების პარტიისა. ბოლშევიკების პარტია წარმოადგენდა ერთადერთ პარტიას, რომლის პროგრამა ნამდვილად გამოხატავდა ხალხის სანუკვარ ოცნებას და რომლის საქმე არასოდეს არ სცილდებოდა იმას, რასაც იგი ელაპარაკებოდა და ჰპირდებოდა ხალხს.

ჩვენში და აგრეთვე საზღვარგარეთ ცოტა

როდი იყვნენ პოლიტიკური პარტიები, რომლებშიც ხალხის პარტიების პრეტენზიებს აცხადებდნენ: რევოლუციამდელ რუსეთში, მაგალითად, ლიბერალური ბურჟუაზიის მთავარი პარტია — კადეტების პარტია თავის თავს „ხალხის თავისუფლების პარტიას“ უწოდებდა. „ხალხის პარტიას“ უწოდებდნენ თავის თავს ესერებიც, რომლებმაც თავისი არსებობა თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის, მუშებისა და გლეხების უბოროტესი მტრების ბანაკში გადაბარებებით დაამთავრეს. მსოფლიოში ახლაც ბევრია პარტია, რომლებიც, ხალხის სახელით გამოდიან და ხალხის ერთგულებას იფიცებენ. ახლანდელი სოციალ-დემოკრატიული პარტიების ლიდერები, მაგალითად, თავის თავს სიტყვიერად მუშათა კლასის წარმომადგენლებად ასაღებენ, ხოლო საქმით ყოველმხრივ ცდილობენ კაპიტალიზმში იხსნან პროლეტარული რევოლუციისაგან. უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში ინგლისელი ლეიბორისტები სამჯერ იყვნენ მთავრობის სათავეში, მაგრამ ამით ინგლისის იმპერიალიზმს არავითარი ზიანი არ მოსვლია. შვეიციის სოციალ-დემოკრატები უკვე 15 წელიწადია მთავრობას განაგებენ, მაგრამ შვეიციაში ბურჟუაზიის ფაქტიური ძალაუფლება ამით სრულდება არ შერყეულა. ვ. ი. ლენინს მრავალჯერ უთქვამს, რომ საზოგადოებაში, რომელსაც გააფართოებული კლასობრივი ბრძოლა დრღნის, მხოლოდ მატყუარებს ან პოლიტიკურად უმეცრებს შეუძლიათ ილაპარაკონ ხალხზე საერთოდ და არ აღიარონ დიამეტრალურად საწინააღმდეგო ინტერესების მქონე კლასების არსებობა.

კაცობრიობის ისტორიაში არც ერთ სხვა პოლიტიკურ პარტიას არ მოუხდენია ისეთი გავლენა მსოფლიოს ისტორიული განვითარების სუბებზე, როგორც მოახდინა კომუნისტურმა პარტიამ.

კომუნისტური პარტია ხალხთა მასებიდან წარმოიქმნა, მან თავის რიგებში გაერთიანა მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა საუკეთესო აღმანიანი და ხალხის ბელადი გახდა. პარტიისა და ხალხის ერთიანობა შედეგია პარტიის სწორი პოლიტიკის, რომელიც ყურდნობა მარქსიზმ-ლენინიზმის გრანიტის ფუნდამენტს, საზოგადოების განვითარების ობიექტურ

კანონებს, კომუნისტური პარტიის პოლიტიკა სწორად ასახავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების კანონებს. საბჭოთა ხალხი თავისი ისტორიული გამოცდილებით დარწმუნდა, რომ პარტიას სხვა ინტერესები არა აქვს, გარდა ხალხის ინტერესებისა, სხვა მიზნები არა აქვს, გარდა მშრომელთა ბედნიერებისათვის ბრძოლისა. ხალხისათვის სამსახური კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობის უმაღლესი კანონია.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლთან განუყრელად არის დაკავშირებული მსოფლიო ისტორიის უდიდესი მოვლენები XX საუკუნის პირველ ნახევარში: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, რაც მოასწავებდა ძირეულ გარდატეხას კაცობრიობის ისტორიაში; დედა-მიწის ერთ მეექვსედ ნაწილში ახალი, სოციალისტური სახელმწიფოს წარმოშობა და სსრკავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენება; იმპერიალისტური რეაქციის დასაყრდენის — გერმანიის ფაშისმისა და იაპონიის იმპერიალიზმის განადგურება; ფაშისტური მონობისაგან და დამონების საფრთხისაგან ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების განთავისუფლება.

სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ საბჭოთა კავშირში და აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მკაფიოდ დაადასტურა ის მარქსისტულ-ლენინური დებულება, რომ სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ყოველმხრივ გაძლიერდება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი. საზოგადოებაში.

ვ. ი. ლენინის უდიდესი დამსახურება რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინაშე ის არის, რომ მან ახალ ისტორიულ ეპოქაში ყოველმხრივ დაამუშავა მოძღვრება მუშათა კლასის პარტიის შესახებ, პარტიისა, რომელსაც უნდა შეესისხსობრცებიანა ყოველივე მოწინავე, ვაბადული და გმირული, რაც პროლეტარიატშია, რომელიც ძლიერი უნდა ყოფილიყო თავისი რევოლუციური თეორიით, ხალხთა ფართო მასებთან განუყრელი კავშირით, თავისი რიგების რკინისებური ერთიანობით.

რევოლუციურ მარქსისტულ პარტიაში ვ. ი. ლენინი ხედოდა მუშათა კლასის მოწინავე რაზმს, მორგანიზებულ და წარმმართველ ძალას ყველა მშრომელის ბრძოლაში ახალი საზოგადოებრივი წყობილების — კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ვ. ი. ლენინმა შექმნა რევოლუციური პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქ-

ტიკური და თეორიული საფუძველი, შეიარაღა იგი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობის მეცნიერული პროგრამით, სტრატეგიით და ტაქტიკით. ყოველმხრივ მოამზადა პარტია თავისი ისტორიული მისიის — კომუნიზმის ასაშენებლად. ვ. ი. ლენინი წერდა: „კომუნიზმი ამბობს: პროლეტარიატის ავანგარდი, კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელობს მუშათა უპარტიო მასას, ათვითცნობიერებს, ამზადებს, ასწავლის, ზრდის ამ მასას (კომუნიზმის „სკოლა“), ჯერ მუშებს, მერე გლეხებსაც, რათა ამ მასამ შეძლოს იქამდე მივლად და კიდევ მივიდეს იქამდე, რომ თავის ხელში მოაქციოს მთელი სახალხო მეურნეობის გამგებლობა“.

ცხოვრების პრაქტიკა ყოველდღიურად ადასტურებს ლენინის ამ დებულებას.

ბოლშევიკური პარტია, როცა იგი დაარსდა, 1903 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობაზე, თავის რიგებში სულ რამდენიმე ათას კაცს ითვლიდა. მაგრამ ისინი იყვნენ მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებული, მედგარი მებრძოლები. ცარიზმის წინააღმდეგ გამართულ სასტიკ ბრძოლებში იზრდებოდნენ და იწრთობდნენ პარტიის კადრები, მამაცი რევოლუციონერები, რომლებსაც ვერ აკრთობდა ვერავითარი საფრთხე და სიძნელე.

კომუნისტური პარტია გმირულად იბრძოდა იმისათვის, რომ დაეშო ცარიზმი და კაპიტალიზმი, გაენთავისუფლებინა რუსეთი ნახევარკოლონიური დამოკიდებულებისაგან, გამოეყვანა ხალხი სოციალისტურ გარდაქმნათა ფართო გზაზე. სასტიკად სდევნიდა რევოლუციონერებს მეფის მთავრობა, გადასახლებებით და კატორღებით უმასპინძლებოდა მათ, აპატიმრებდა და ხვრეტდა. მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებით შეიარაღებული კომუნისტური პარტიის რიგები კი არ კლებულობდა, არამედ იზრდებოდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს, როცა ბოლშევიკები იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ, პარტიაში დაახლოებით 40-45 ათასი კაცი იყო, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის წინ (პარტიის VI ყრილობისათვის) — 240 ათასი კაცი.

თავისთავად ცხადია, რომ პარტიის რიგები დიდად გაიზარდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. როცა კომუნისტური პარტია მმართველი პარტია გახდა, ამასთან განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ პარტიაში შემსვლელთა რიცხვი ყოველთვის მატულობდა მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლებას საფრთხე ემუქრებოდა და ყველაზე დიდ სიძნელეებს განიცდიდა. მაგალითად, სამოქ-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32. გვ. 41.



ლაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის დროს პარტიაში შევიდა 300 ათასი კაცი. ბევრი მათგანი დაუყოვნებლივ მიდიოდა ფრონტზე, რომ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში აქტიურად დაეცვა საბჭოთა ხელისუფლება.

1924 წელს, ლენინის სიკვდილის შემდეგ პარტიის რიგები იეავსო მუათა კლასის 240 ათასამა საუეთესო წარმომადგენელმა. ეს იყო ლენინური გაწვევა, რამაც ერთვლ კიდე და-იდასტურა მშრომელთა უსაზღვრო სიყვარული და თავდადება თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი.

სოციალისტური წყობილების მეტად ძნელი გამოცდა იყო 1941 — 1945 წლების უდიდესი მამულო ომი. კომუნისტური პარტიის ლიდერის დასახურება ის, რომ საბჭოთა სახელმწიფომ ღირსეულად გაუძლო ამ გამოცდას. საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აღდგა ძლიერი და საშიში მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, დაიცვა მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ევროპისა და აზიის ხალხები იხსნა ფაშისტური დამონების საფრთხისაგან.

საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებთან ერთად პარტიის რიგებს ავსებდნენ მშრომელთა საუეთესო წარმომადგენლები, ღიდი სამამულო ომის დროს პარტიაში შევიდა 1 მილიონ 600 ათასი კაცი. XXII ყრილობისათვის (1961 წლის 1 ოქტომბრისათვის) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის რიგებში ითვლიდა 9.716.005 კაცს.

ვ.ი. ლენინი კომუნისტურ პარტიას უწოდებდა მილიონების პარტიას, „ჩვენი ეპოქის განცხადება, ღირსებასა და სინდისს“. საზოგადოებრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, მშრომელთა მოწინავე რაზმი, ნაციდი ავანგარდი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტყიცდ და უნარიანად წარმართავს ორასოქმილიონიანი საბჭოთა ხალხის შემოქმედებით ენერჯიას კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

მრავალმხრივია კომუნისტური პარტიის შემოქმედებითი საქმიანობა, თავისი არსებობის მანძილზე მან შეიძინა მუშათა კლასის, მშრომელი მასების რევოლუციურ-გარდამქმნელი მოღვაწეობის წარმართვის უდიდესი გამოცდილება, შემდგომ განავითარა და გაამდიდრა მარქსისტული მეცნიერება, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის შესახებ, სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე მუშათა კლასის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ, სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობის შესახებ, გამოიმუშავა პარტიული მუშაობისა და მასებზე ხელმძღვანელობის სრულყოფილი ორგანიზაციული ფორმები.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებების

ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ იზრდებოდა კომუნისტური პარტიის როლი და მისი გავლენა საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაზე, რამაც გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად კანონში. სსრ კავშირის კონსტიტუციაში საკანონმდებლო წესით არის გაფორმებული ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი როლი. კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ ყველაზე აქტიური და შეგნებული მოქალაქენი მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის რიგებიდან ნებაყოფლობით ერთიანდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში, რომელიც მშრომელთა მოწინავე რაზმია მათს ბრძოლაში სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და განვითარებისათვის და წარმოადგენს მშრომელთა ყველა, როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელ ბირთვის.

თავის პოლიტიკას კომუნისტური პარტია ახორციელებს მშრომელთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი სისტემის მეშვეობით. ეს ორგანიზაციები პარტიას აკავშირებენ მასებთან. იმ მასობრივ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მუშათა კლასის დიქტატურის სისტემაში შედიან, ყველაზე ღიდი მნიშვნელობა აქვთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს, პროფესიულ კავშირებს, ლენინურ კომკავშირს, კოოპერაციას.

საბჭოები წარმოადგენენ ძირითად სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, ხალხის ყოვლისმომცველ ორგანიზაციას, მისი ერთიანობის განსახიერებას. საბჭოები, რომლებშიც ერთმანეთთან შესამებულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნიშნები, სულ უფრო მეტად გამოდიან როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაშიც ფართოდ და უშუალოდ მონაწილეობენ მასები. მშრომელთა ერთ-ერთი ფართო მასობრივი ორგანიზაციაა პროფკავშირები, რომლებიც აერთიანებენ თითქმის ყველა მუშასა და მოსამსახურეს და თავის რიგებში ითვლიან 53 მილიონზე მეტ წევრს.

პარტიის პირმშოა ახალგაზრდობის მასობრივი ორგანიზაცია — ლენინური კომუნისტური კავშირი. ეს არის ახალგაზრდობის თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც პარტიას ესმარება აღზარდოს ახალგაზრდობა კომუნისმის სულსიკვეთებით, ჩააბას იგი ახალი საზოგადოების პრაქტიკულ მშენებლობაში, მოაშალოს თაობა ყოველმხრივ განვითარებული ადამიანებისა, რომლებიც იცხოვრებენ, იმუშავენ და საზოგადოებრივ საქმეებს წარმართავენ კომუნისმის დროს. პარტიას ახალგაზრდობა მიანიჩა აღმშენებელ შემოქმედებით ძალად საბჭოთა ხალხის ბრძოლაში კომუნისმისათვის.

საქართველოს
კომუნისტური
პარტია

კომუნისტურ მშენებლობაში მასების ჩაბმის ერთ-ერთი ფორმაა საწარმოო და სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელიც აერთიანებს უმთავრესად მრავალმილიონიან გლეხთა მასებს და ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვან ფენებს. კოლმეურნეობები, სამომხმარებლო, საბინაო-სამშენებლო და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციები კომუნისტური აღზრდისა და საზოგადოებრივი თვითმმართველობის სკოლაა. კოოპერაცია აადვილებს ქალაქისა და სოფლის კავშირს, ხელს უწყობს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას.

პარტიის ხელმძღვანელობით კომუნისმის მშენებლობაში მშრომელთა აქტივობის გაძლიერებაში დიდ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები: სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებები, აკადონა-ლიზატორთა და გამოგონებელთა ორგანიზაციები, ლიტერატურის, ხელოვნების შერჩა-ლისტიკის მუშაეთა კავშირები, კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული საზოგადოებები. პარტია როდი ბრძანებლობს უპარტიო ორგანიზაციებს, არამედ მათს მუშაობას წარმოართავს ამ ორგანიზაციებში მომუშავე კომუნისტების საშუალებით. მშრომელ მასებზე პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი მეთოდია დარწმუნება და განმარტება.

ჯერ კიდევ კომუნისტური პარტიის შექმნის გარეგანებზე თავის განთქმულ წიგნში „რა ვაკეთოთ“ ვ. ი. ლენინი წერდა: „მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს.“¹

ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ის უდიდესი მნიშვნელობა, რასაც პარტია ანიჭებს რევოლუციურ თეორიას.

კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობა, მისი მომავალი მუშაობის გეგმები ეყრდნობა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ცოდნას, მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, რომელიც კომუნისმის გზის მანათობელი ვარსკვლავია. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე კომუნისტური პარტია მტკიცედ იბრძოდა და იბრძვის ოპორტუნისმის, ყოველგვარი გამოვლენების, რევოიონისმის, დოგმატიზმის, სექტანტობის, მედავითნეობის წინააღმდეგ, მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის.

კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში უდავოა.

ეს ავტორიტეტი პარტიამ მოიპოვა მარქსიზმ-

ლენინიზმის პრინციპებისადმი ერთგულად, თეორიისადმი შემოქმედებითი მიდგომით, უნარით განავითაროს, წინ წასწიოს იგი საზოგადოების ცხოვრების პირობების ცვალებადობის, რევოლუციური ბრძოლისა და სოციალიზმის და კომუნისმის მშენებლობის პრაქტიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი აღმოჩენების, ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად.

თავის მოღვაწეობაში პარტია თეორიას განუყრელად უკავშირებს პრაქტიკას, ცხოვრებას, საზოგადოებრივი განვითარების რეალურ პროცესებს.

პარტიის კოლექტიური გონება და გამოცდილება მუდამ აძლიერებს მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას. თეორიაში გაბედული შემოქმედების მავალითაა პარტიის XX, XXI და XXII ყრილობების გადაწყვეტილებები, რომლებმაც ახლებურად არის გაშუქებული სსრ კავშირში კომუნისმის მშენებლობის, საერთაშორისო ურთიერთობისა და კომუნისტური მოძრაობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხები.

ასეთებია: ლენინური დებულების განვითარება სოციალიზმში სხვადასხვა ქვეყნების გადასვლის სხვადასხვა ფორმების შესახებ; დასკვნა თანამედროვე პირობებში ომის თავიდან აცილების შესაძლებლობისა და ომის, როგორც საღვათი საკითხების გადაჭრის საშუალების, საზოგადოების ცხოვრებიდან გამორიცხვის შესახებ, სახელმწიფო მმართველობის საკითხები კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პირობებში და მრავალი სხვა.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ კომუნისმის იდელების განხორციელება შეიძლება მხოლოდ მატერიალური და სულიერი სიმდიდრის პირობებში. აქედან გამომდინარე, სოციალიზმის მიერ შექმნილ შესაძლებლობებზე დაყრდნობით პარტიის XXII ყრილობამ შეიმუშავა კომუნისმის გაშლილი მშენებლობის დიდი პროგრამა. დასახა კომუნისმის კონკრეტული მშენებლობის გეზი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული ღონის შემდგომი ამაღლების, კომუნისმის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანების აღზრდის ღონისძიებები.

ახლა მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა სტიქიური პროცესი როდია, არამედ ხალხის ფართო მასების შეგნებული მიზანსწრაფვა, ცოცხალი შემოქმედებითი საქმეა. ამიტომ კომუნისმის მშენებლობა მოითხოვს არა მარტო კომუნისტური ავანგარდის, არამედ მთელი ხალხის-მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელაგენციის უდიდეს ორგანიზებულობას, შეგნებულობასა და აქტივობას.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5. გვ. 461 — 462.



ბას, ამასთან ერთად პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მიზანია ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრა, მშრომელთა პოლიტიკური სიფხიზლის აბალღება, ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, რევოიონიზმთან და მარქსიზმ-ლენინიზმის სხვა დამახინჯებებთან ბრძოლა.

სწევდეს რა კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, პარტია ეყრდნობა ხალხის კოლექტიურ გონებას, ყურს უდღებს მუშების, კოლმეურნე გლეხების, ინტელიგენციის წინადადებასა და კრიტიკულ შენიშვნებს, იღებს ხალხის რჩევას. პარტიის მუშაობის სისტემა ვახდა: სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უმინშენლოვანეს საკითხებზე კანონპროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვა; სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგის — მუშაეთა თათბირების მოწყობა; ქვეყნის სასიცოცხლო პრობლემებზე ხალხისადმი მიმართვა. ამრიგად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ იცავს ვ. ი. ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ პარტიამ არა მარტო უნდა შეძლოს მასების ხელმძღვანელობა, არამედ კიდევ უნდა ისწავლოს ხალხისაგან.

პარტიის პროგრამაში ნათქვამია: „ხალხი კომუნისმის მშენებლობის გადამწყვეტი ძალაა. პარტია არა უნდა დატოვოს ხალხისათვის, შოხისათვის სამსახური მიანიჭოს თანაგრძობის საქმიანობის აზრად. ხალხთან პარტიის კავშირის შემდგომი გაფართოება და გაღრმავება კომუნისმისათვის ბრძოლაში წარმატების აუცილებელი პირობაა. პარტიის ფაქის მოვალეობაა მიანიჭოს მუდამ ეთათბირებულდეს მშრომელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმინშენლოვანეს საკითხებზე, გამოჰქონდეს ეს საკითხები მთელი ხალხის განსახილველად, უფრო ფართოდ იზრდადეს უპარტიოების მთელი თავის მუშაობაში მონაწილეობას მისაძლავდ. რაც უფრო ვითარდება სტალინისტური დემოკრატია, მით უფრო ღრმა და მრავალმხრივი უნდა იყოს პარტიის მუშაობა მშრომელთა შორის, მით უფრო ძლიერი იქნება მისი გავლენა მასებში“.

საკუბრობის ნათელი მომავლის გზაზე მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს სკკპ XXII ყრლობას. მის მიერ მიღებულ პარტიის ახალ პროგრამაში კომუნისტური საზოგადოების აშენება დასახულია როგორც მთავარი და უშუალო პრაქტიკული ამოცანა.

ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებენი ცოცხალი განსახიერება პარტიისა და ხალხის ურდველი ერთიანობისა, რომელიც კიდევ უფრო განმტკიცდა პიროვნების კულტის ლოკვიდაციის, მოლოტოვის, მალენკოვის, კავანოვი-

ჩის და სხვათა ანტიპარტიული ჯგუფის განადგურების შედეგად.

ლონისძიებებს, რომლებიც პარტიის პროგრამით არის დასახული პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის, კადრების განახლების, პიროვნების კულტის დაუშვებლობის, შინაპარტიული დემოკრატიის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის, მკიდრო ორგანული კავშირი აქვთ პარტიის მიერ შემუშავებულ გენერალურ გეგმასთან, კომუნისმისათვის ბრძოლის ტაქტიკასთან და სტრატეგიასთან.

ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა აგრეთვე პარტიის ახალი წესდება. ორგანიზაციულმა პრინციპებმა, რომლებსაც შეიცავს წესდება, უნდა უზრუნველყონ პარტიის — კომუნისმისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის მებრძოლი ავანგარდის მკიდრო შეკავშირება და ერთიანობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განუყოფელი ნაწილია, განუზრუნველად განამტკიცებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობას, ანვითარებს მჭურ კავშირს ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიასთან.

ამასთან ერთად მარქსიზმ-ლენინიზმი მოითხოვს სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის საერთო პრინციპების შემოქმედებითს გამოყენებას ყოველი ქვეყნის კონკრეტული ისტორიული პირობების მიხედვით. პროლეტარული პარტიის მიერ ეროვნული თავისებურებათა უგულვებელყოფას აუცილებლად მოსდევს მისი მოწყვეტა ცხოვრებისაგან, მასებისაგან, ზიანს აყენებს სოციალიზმის საქმეს. და, პირიქით. ამ თავისებურებათა როლის გაზიარება და სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის საყოველთაო ჰემმარტებისაგან დაცილება ეროვნულ თავისებურებათა სიმაბინძურე შეიანს აყენებს სოციალიზმის საქმეს.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები ერთმანეთისაგან სწავლობენ და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ისინი არა მარტო პროპაგანდას უწყვენ სოციალიზმის დიად იდეალებს, არამედ პრაქტიკულად ახორციელებენ მათ.

ამეაბად მსოფლიოს 87 ქვეყანაში მოქმედებენ კომუნისტური პარტიები. ისინი თავიანთ რიგებში 40 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებენ. მებრძოლთა ეს უზარმაზარი არმია ძლიერია არა მარტო თავისი რაოდენობით, არამედ რაც კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანია, — თავისი მებრძოლური სულისკვეთებით, ურყევი ერთიანობით, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი ერ-



თვლებით. გრძელდება თანამოაზრე მარქსისტთა გაერთიანება ქვეყნებში, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური უღელი და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგინეს. კომუნისტურ პარტიებს თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნით ხელი შეუწყონ განთავისუფლებული სახელმწიფოების მუშათა მოძრაობასთან თავიანთი ქვეყნების მუშათა კლასის მეგობრობისა და სოლიდარობის განმტკიცებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში.

თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური და მუშათა პარტიების რიგებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

კომუნისტური და მუშათა პარტიები გადაწყვეტენ ბრძოლას ეწვეიან ორ ფრონტზე — რევოლუციონარ წინააღმდეგ, რომელიც მთავარ საშიშროებად რჩება, და დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ.

მემარჯვენე ოპორტუნისტში, რევოლუციონარ ამხანაგებს მარქსიზმ-ლენინიზმს, აცლის მას რევოლუციურ სულს. რევოლუციონარში, რომელიც გაიზიარებს ბურჟუაზიულ იდეოლოგიას თეორიასა და პრაქტიკაში, ბოჭავს მუშათა კლასის რევოლუციურ ნებისყოფას, ახდენს მუშების, მშრომელთა მასების განიარაღებასა და დემოზილიზაციას.

რევოლუციონისტები ილაშქრებენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლისას პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული აუცილებლობის წინააღმდეგ, უარყოფენ მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელ როლს, უარყოფენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, მოითხოვენ უარს თქმას პარტიული მშენებლობის ძირითად ლენინურ პრინციპებზე და უწინარეს ყოვლისა დემოკრატიულ ცენტრალიზმზე, მოითხოვენ კომუნისტური პარტიის გადაქცევას მებრძოლი რევოლუციური ორგანიზაციიდან სადისკუსიო კლუბის მაგვარ რამედ.

კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა მკაცრად, გადაჭრით და შეუბრუნებლად დადგინეს იუგოსლავიის ხელმძღვანელი მოღვაწეობის ანტიმარქსისტული, ანტილენინური, თავიდან ბოლომდე რევოლუციონისტული შეხედულებანი.

იუგოსლავიის ხელმძღვანელი მოღვაწეები ცდილობენ „სოციალიზმში გადასვლის იუგოსლავიური გზა“ წარმოავლინონ როგორც ვითომ ყველაზე უკეთესი და უნივერსალური. მაგრამ იუგოსლავიის ხელმძღვანელი მოღვაწეების პროგრამა არსებითად მემარჯვენე სოციალ-დემოკრატთა მთელი რიგი რევოლუციონისტული პლატფორმების გაუარესებელი ვარიანტია. იუგოსლავიის ხელმძღვანელთა დაადგინე გზას,

რომელიც გააფხვს მეორე ინტერნაციონალისტურ რევოლუციონისტებმა და ოპორტუნისტებმა ბერნ-შტეინმა, კაუციმ და სხვა რენეგატებმა. მაგრამ თუ მეორე ინტერნაციონალის ვაი-თეორეტიკოსები აშკარად აცხადებდნენ, რომ მარქსიზმი მოძველდაო, იუგოსლავი რევოლუციონისტები ცდა-ლობენ სიტყვებით დაფარონ თავიანთი ძირძობალი პოზიცია მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელთა პროგრამა მარქსისტულ-ლენინურ თეორიის სახელმწიფოს შესახებ ცვლის რეაქციული თეორიით ზეკლასობრივი სახელმწიფოს შესახებ, რევოლუციურ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს ცვლის რეაქციული ბურჟუაზიული ნაციონალიზმით, იცავს მონოპოლისტურ კაპიტალს, ჩქმალავს ორი სისტემის—კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემის ძირულ განსხვავებას. იუგოსლავიის ხელმძღვანელი მოღვაწეები აშკარად გამოდიან მარქსიზმ-ლენინიზმის ძირული პრინციპების წინააღმდეგ, ეწინააღმდეგებიან სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების დეკლარაციას და 64 ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიის წინამოადგენელთა თათბირის მშვიდობის მანიფესტს, რომელსაც ხელი მოაწერეს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის წარმომადგენლებმა.

უკანასკნელ ხანებში იუგოსლავიის ხელმძღვანელი მოღვაწეები „სოციალიზმის იუგოსლავიურ გზას“ სახავენ არა მარტო როგორც „განსაკუთრებულ გზას“ იუგოსლავიისათვის, არამედ აგრეთვე როგორც ნიშუმს, რომელიც გამოსაღვავა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის დასავლეთსა და აღმოსავლეთში.

ბოტბას ასახვენ რა ეკონომიკის განვითარების იუგოსლავიურ მეთოდებს, იუგოსლავი „თეორეტიკოსებს“ არ მოსწონთ სოციალიზმის მშენებლობის პრინციპები საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში. ამასთან იუგოსლავიის ხელმძღვანელი მოღვაწეები დემოკრატიული უფლიან გვერდს იმ ფაქტს, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სხვა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა იუგოსლავიის ეკონომიკაში უსასყიდლო დახმარებისა და სხვადასხვა კრედიტების სახით დაბანდეს ორ მილიარდზე მეტი დოლარი.

იუგოსლავი რევოლუციონისტები ამბობენ, რომ სოციალიზმში ვითარდება არა მარტო სოციალისტურ სახელმწიფოებში, არამედ კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებულ და თვით კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამრიგად ისინი აიკვირებენ სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებში მოქმედ სოციალურ-ეკონომიურ პროცესებს, რაც რეალური სინამდვილის აშკარა უარყოფაა.

კომუნისტურმა პარტიებმა, — ნათქვამია კო-



მუნიტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1960 წლის ნოემბრის, თათბირის განცხადებაში, — ერთსულოვნად დაემკეს საერთაშორისო ოპორტუნისების იუგოსლავური ნიორსახეობა, რომელიც თანამედროვე რევიზიონისტების „თეორიების“ კონცენტრირებულ გამოხატულებას წარმოადგენს. უღალატეს და მარქსიზმ-ლენინიზმს, გამოაცხადეს რა იგი მოქველდებულად, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელებმა 1957 წლის დეკლარაციის დაუპირისპირეს თავიანთი ანტილენინური რევიზიონისტული პროგრამა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი დაუპირისპირეს მთელ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას, მოსწყვიტეს თავიანთი ქვეყანა სოციალისტურ ბანაკს, იგი დამოკიდებული გახადეს ამერიკელი და სხვა იმპერიალისტების ეგრეთულებულ „დახმარებაზე“ და ამით შექმნეს იუგოსლავიელი ხალხის გმირული ბრძოლით მიღწეულ რევოლუციურ მონაპოვართა დაჯარჯვის საფრთხე. იუგოსლავიელი რევიზიონისტები ძირგამომხრებლად მუშაობას ეწევიან სოციალისტური ბანაკის და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ. ბლოკარეშე პოლიტიკის საბაბით ისინი ახადებენ საქმიანობას, რომელიც ზიანს აყენებს ყველა მშვიდობისმოყვარე ძალთა და სახელმწიფოთა ერთიანობას.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები დაუნდობლად იბრძვიან რევიზიონიზმის წინააღმდეგ თავიანთ რიგებში. სკკ XXII ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ ალბანელმა ხელმძღვანელებმა სრულად უსაბუთოდ შეკეთადა შეცვალეს პოლიტიკური კურსი, დაადგინეს ჩვენს პარტიასთან, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მკვეთრად გაუარესების გზას. მათ დაიწყეს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებში მთელი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საერთო შეთანხმებული ხაზიდან გადასვლა.

ალბანელ ხელმძღვანელებს არ მოსწონთ კურსი, რომელიც ჩვენმა პარტიამ აიღო სტალინის პიროვნების კულტის მკვეთრ შედეგების გადაჭრით დასაძლევად, არ მოსწონთ ძალუფლების ბოროტად გამოყენების მკაცრი დამოება, პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენა. ალბანელ ხელმძღვანელთა ასეთი პოზიცია იმით ახსნება, რომ თვითონ ისინი იმეორებენ იმ შეთქმულებას, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში პიროვნების კულტის პერიოდში.

სკკ XXII ყრილობამ საფუძვლიანად დამოალობა ალბანელი ხელმძღვანელების ენერჯი ხოჯასა და მკვეთრ შეკუს უბრძანებო, ანტიმარქსისტული, ანტილენინური პოზიცია. ყრილობაზე გამოსულმა დელეგატებმა და აგრეთვე მომხმე კო-

მუნიტური პარტიების ხელმძღვანელებმა დოლორეს იბარტიმ, მორის ტორეზმა, კლადისლავ გომულკამ, ანტონინ ნოვოტნიმ და სხვებმა გულსტეკივლით აღნიშნეს, რომ ალბანელ ხელმძღვანელთა პროვოკაციული მოქმედებისათვის იძულებული არიან პასუხს ავონ რიგობა ალბანელმა კომუნისტებმა, მთელმა ალბანელმა ხალხმა, რომელიც სასიცოცხლოდ დაინტერესებულია იმით, რომ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეს და თანამშრომლობდეს ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან.

ბურჟუაზიული მოღვაწეები დიდ იმედს ამყარებენ ალბანელ ხელმძღვანელთა გამოიშველ მოქმედებაზე და იმ ბინძურ პროპაგანდაზე, რომელსაც ისინი ეწევიან სკკ და სხვა კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობის წინააღმდეგ. მაგალითად, რეაქციული ბურჟუაზიული ამერიკელი გაზეთი „ნიუიორკ პოსტი“ წერდა: მნიშვნელობა არა აქვს „მარცხნიდან“ აკრიტიკებენ ალბანელი ხელმძღვანელები საბჭოთა კავშირის თუ მარჯვნიდან აკრიტიკებენ მას იუგოსლავიის ხელმძღვანელები. ბოლოს და ბოლოს ეს წერილობანია. მთავარი ის, რომ ისინი აკრიტიკებენ სოციალისტური ბანაკის მთავარ ძალას — სთიშავენ და ასუსტებენ სოციალისტურ ბანაკს. გაზეთი რჩევას აძლევს შეერთებული შტატების პრეზიდენტს კენედის დახმარება გაუწიოს ყველა გამოიშველს, მემარჯვენი იქნება იგი თუ მემარცხენე, რომლებიც სცილდებიან სოციალისტურ ბანაკს.

კანადის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ტიმ ბაკი გაზეთ „პრაიდში“ წერდა ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელებმა კარგად იციან, რომ საბჭოთა კავშირთან მტრული დამოკიდებულება ფაქტიურად ნიშნავს იმას, რომ მათ ალბანეთი გამოიყვანონ იმ თანამეგობრობიდან, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ვარშავის ხელშეკრულება. თუ ალბანელი ხელმძღვანელები შეძლებენ კვლავაც დაბნეულობაში იყოლონ ხალხი და უგუნური ავანტიურიზმის გზით წაიყვანონ იგი, როგორც ამას სჩადის ენვერ ხოჯა და მისი ხროვა, ალბანეთი სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის გარეშე ადრჩება.

ვერავითარი ძალა ვერ შეასუსტებს დიად სოციალისტურ ბანაკს და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას, რომელიც გადაიქცა საზოგადოებრივი პროგრესისა და ჩვენი დროის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ფაქტორად. მარქსიზმ-ლენინიზმი იმარჯვებდა და იმარჯვებს ყველა ჯურის ოპორტუნისმთან, რევიზიონიზმთან, დოგმატიზმთან და სექტანტობასთან შეურიგებელი ბრძოლით.



საკვირე

სიმონ ჩიქოვანი

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ლირიკულ პოემას „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. უცხოეთში გადახვეწილი და უკრაინაში, მიჩკოვოში, დასახლებული დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას ჩვენ არ ვიცნობთ, ოღონდ თვით დავით გურამიშვილის „დავითიანი“ გვაწვდის ვრცელსა და დაწვრილებით ცნობას პოეტის ცხოვრების შესახებ. სიმონ ჩიქოვანს სწორედ ეს პოეტური ბიოგრაფია გამოუყენებია პოემაში „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, შეუესია და გაუმდიდრებია საკუთარი პოეტური ფანტაზიით გურამიშვილის თავგადასავალი. ეს არის თანამედროვე პოეტის თავისებური გაბაასება დიდ ქართველ კლასიკოსთან, — გაბაასებაც და გაკამათებაც. ასეთ ურთიერთობაშია წარმოდგენილი და შექმნილი ეს საინტერესო პოემა.

დავით გურამიშვილის ბიოგრაფია თავად არის ტრაგიკულიც და პოეტურიც და, ამგვარად, ფრიად მომგებიანი მასალა მხატვრული ნაწარმოებისათვის. სიმონ ჩიქოვანმა ჩინებულად გამოიყენა პოემაში დიდი პოეტის ეს მდიდარი ტრაგიკული თავგადასავალი. დავით გურამიშვილის ცხოვრება განსახიერება მეგობრობისა და ძმობისა, თვითონ იყო ძმობის ხიდი ქართველი, რუსი და უკრაინელი ხალხებისა. სიმონ ჩიქოვანს სწორედ ამ გარემოებისათვის გაუსვამს ხაზი. პოემას სწორედ ეს ანიჭებს უარესად თანამედროვე ქლერადობას.

სიმონ ჩიქოვანმა თავისი პოემა გამოაქვეყნა ომის მრისხანე დღეებში, როდესაც ქვეყნის ბედს საბჭოთა ხალხების ძმობა და მეგობრობა წყვეტდა, გურამიშვილის ტრაგიკული თავგადასავალი თვალსაჩინოდ მოგვითხრობდა საქართველოს წარსულს, ქართლის პირს გვიამბობდა, ხოლო პოეტის პირადი ურთიერთობა რუსებთან და უკრაინელებთან გვახსენებდა ამ ძმობისა და მეგობრობის ისტორიულ ფესვებს. სიმონ ჩიქოვანმა ჩვენი დიდი წინაპარი დავით გურამიშვილი სამამულო ომის წლებში გამოიხმო და აქტიურად

ჩააყენა, როგორც ცოცხალი და მოქმედი პერსონაჟი, ძმობა-მეგობრობის დედაბაღ, თანამედროვე სული ჩაუდგა მის ცხოვრებას, მის საზოგადოებრივსა და პოეტურ მოღვაწეობას. სწორედ ეს მხარეა, განსაკუთრებით რომ გვცხიბლავს პოემაში, ესაა თანამედროვე პოეტის დამოკიდებულება ჩვენი ხალხის ისტორიასთან, მის დიდ მემკვიდრეობასთან.

„სიმღერა დავით გურამიშვილზე“ წარმოადგენს ლირიკული ლექსების თავისებურ კრებულს. აქ ყოველ ცალკეულ ლექსს თავისი სათაური აქვს, თავისი კომპოზიცია, თავისი დამოუკიდებელი სათქმელი გააჩნია. თითოეული ამათავანი დავით გურამიშვილის ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდს მოგვითხრობს და ამ ცალკეული მოთხრობის, ამ ცალკეული ლირიკული ლექსების კავშირი ქმნის ერთ მთლიან თავგადასავალს დავით გურამიშვილის ცხოვრებისას და ამ ლირიკულ ლექსებს გარკვეულ მთლიანობას ანიჭებს. ასე ქმნის პოეტი გურამიშვილის ცხოვრების სიმთონიას, აღსავსეს მღელვარებით, განცდებით, მწუხარებითა და სიხარულით.

პოემა იწყება ლექსით „გურამიშვილის სურათზე“. ეს ლექსი დავით გურამიშვილის პოეტური პორტრეტია, „დავითიანიში“ წარმოდგენილი პოეტური სულის აღსარებაა. ავტორს ერთბაშად შეეყავართ გურამიშვილის პოეტურ სამყაროში. „წეროს დარად წიგნში მდგარი“ პოეტი, სამშობლოსათვის მლოცველი და მისი ვასაჰირის მემბტიანი, რომელმაც უკრაინაში გაიყოლია საქართველოს ბედის სედა, ქართლის პირი, თავისი სამშობლოს ტანჯვა და მწუხარება, ერთბაშად ცოცხლდება ჩვენს წარმოდგენაში:

იმ მხარეში ქართლზე ფიქრი
სანთელივით აგინთია.
გავითბია ცრემლით წიგნი,
სული მისთვის დაგითმია.
დაგიცლია თვლი წყვილი
და ლექსებში დაგიტბია.



ლოცვით და სიყვარულით სამშობლოსათვის თავშეწირული, სამშობლოსათვის ფიქრებში გათეთრებული მოხუცებული პოეტის პორტრეტს ავტორი სულ რამდენიმე სტროფში აცოცხლებს. ამას მოსდევს საბჭოთა პოეტის გაკამათება თუ გაბაასება დიდ კლასიკოსთან და სურვილი — აღადგინოს სამშობლოსათვის მლოცველი პოეტის მგზნებარე სახე. ეს ამოცანა დაუსახავს პოეტს, რასაც პირველსავე ლექსში გვაძინობს პირდაპირ და დაუფარავად:

ფიჭრი, ფიჭრი შენსკენ ილტვის,
შენ პერანგი გაგიპია,
ტანჯვა როგორ გამოითქმის,
ჩემი სიტყვა ღარიბია.
შენი ცრემლის მლაშე წვეთი
შთაგონებით ნაყილია,
გავიშლია მოთქმით წიგნი
და ოცნებით გავითბია.

სიმონ ჩიქოვანი ამ პოეტურ გაბაასებას გვაწვდის როგორც პოემის პროლოგს. შემდეგ იწყება დაწერილებითი მოთხრობა დავით გურამიშვილის თავგადასავალისა და მოცემულია საინტერესო და მღელვარე მხატვრული სურათი.

დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირში“ დაწერილებით არის მოთხრობილი ქართლის ძნელბედობის ამბებიც და პოეტის ტრაგიკული თავგადასავალიც. სიმონ ჩიქოვანი ამ უტყუარ დოკუმენტს, პოეტის მიერ დატოვებულს, კვალდაკვალ მიჰყვება და აცოცხლებს ჩვენს წარმოდგენაში. ლირიკულ ლექსში — „ორმოში“ ავტორი გვაწვდის ლამისყანაში პურის სამკვლად წასული პოეტის ლექების მიერ დატყვევების პოეტურ მოთხრობას. ამას მოსდევს ლირიკულს ლექსი „მშენებრება“, რომელიც ებაასება პოეტს პოეტს:

სად გიპოვო, ახლობელო, სად გეძო,
ვით ბარტყებში, ჩემს ხმებში ხარ შერეული,
მსურს ქვეითად მთის აღმართზე დაგვიო
და გადმოგცე ჩემი ხმების ხელეული.

ასეთი ლირიკული გადახვევები ბუკავში ხშირად გვხვდება, რითაც პოეტი სიონ ჯერესოდ აღწერს დავით გურამიშვილის ცხოვრების ეპიზოდებს და ამავე დროს დაუფარავად გვიმღვანებს დიდი კლასიკოსის ბიოგრაფიასთან თავის დამოკიდებულებას ლირიკული ხმებითა და განწყობილებებით. ეს ლირიკული გადახვევები თუ ლირიკული შენაკადები უფრო გვაახლოებენ დავით გურამიშვილთან. სხვანაირად რომ ეთქვამთ, სიმონ ჩიქოვანი კარგად ახერხებს დავით გურამიშვილი ჩვენს თანამედროვეობაში გადმოასახლოს მისი მღელვარე ბიოგრაფიით და პოეტური სულისკვეთებით.

ლირიკულ ლექსებში „დაკარგული ლექსია“, „დავით გურამიშვილის აუცი უფლისადმი“, „მე-

ორე აუცი“ მოგვითხრობენ დავით გურამიშვილის ცხოვრების იმ ეპიზოდს, რომელიც ცნობილია ჩვენთვის. აქ გადმოცემულია უხვი პოეტური საღებავებით დავით გურამიშვილის გაქცევა ტყვეობიდან, დამშეული პოეტის მიერ კიტრების პოვნა და შემდეგ ლოცვის დროს, თუ როგორ გადაუცვივდა წყალში ეს კიტრები — თუ მომეცი, რაღად წამართვი, ან ასე რად გამწირეო, — მიმართავდა დავით გურამიშვილი უფალს აუგის სახით. ს. ჩიქოვანის პოემაში ეს დეტალი საინტერესო ლირიკული სტრიქონებითაა გაცოცხლებული, რითაც უფრო გაფართოებულია და გამწვანებული გურამიშვილის პოეტური ბიოგრაფიის ცნობილი ეპიზოდი. ამას მოსდევს ასევე ცნობილი ეპიზოდი დავით გურამიშვილის ბიოგრაფიიდან: ტყვეობიდან თავდაღწეული დავით გურამიშვილის პირველი ხილვა ადამიანებისა, რომლებიც პირჯვარს იწერდნენ, ვაცნობა რუსი კაცის — ლახარისი, რომელმაც მოუარა და უპატრონა ლტოლვილ ქართველ კაცს:

შეგიბრალა და შეგიტხო,
პური გიბოძა გამთხარი,
გრძნობით ცხოვრება შეგითბო,
სულს განწმორა ზამთარი.
პური გაჰაპა, დათესა
შენს გულში ძმობის მარცვალი,

კერასთან გრძნობა გაცეცხა,
გათბო კერის ნაცარი.
მეგობრულ გრძნობით დაგადა,
თვალში ჩავიდგა მაისი.
ძველი პერანგი გაგზავდა,
ჯუბა ჩავაცევა თავისი.

ასე საინტერესოდაა დახატული დავით გურამიშვილისა და რიგითი რუსი კაცის ძმობის ეპიზოდი. ამ დეტალში დავით გურამიშვილის ცხოვრების ეპიზოდი განზოგადოებული და ამღლებულია. ამ ეპიზოდით პოეტი წარსულის ძმობის ფურცლებს ჩვენს თანამედროვე ცხოვრებასთან აკავშირებს. ძმობა, რომელიც თქვენ კალოზე შექპართ, მარადის ურღვევი ძმობააო, — ეუბნება პოეტი პოეტს, — მეგობრობის სინათლე, რომელიც შენს პოეტურ სულში ჩადა, იქცა ძმობისა და მეგობრობის ხილად და მან ჩვენამდის მოაღწია, როგორც საფუძველმა, რომელზედაც დაფუძნდა ახალი ვასნიკოსნებით საბჭოთა ხალხების ძმობაო.

შენს გულში ჩარჩა ძმის კერა
და საგზლით საუხე კალათა,
ხალხის ხსონაში იმღერა,
არ მიიწურა მარადი,
ბაღს დაემგვანა უნაზესს
თუ კალოსავით დაჰყავდა?
და ახლა ქართლის კერაზე
ატმის ხესავით აყავდა.

ასე ბუნებრივად შეაქვეს პოეტს თანამედროვეობის ელემენტები დავით გურამიშვილის გარდასულ ამბავში, ასე აკავშირებს იგი ისტორიის დღევანდლობასთან, რუსი და ქართველი ხალხების ძმობის ისტორიულ ფესვებს — ჩვენს დროსთან, ჩვენს სინამდვილესთან, როცა ჩაუქრობლად გიზგიზებს ეს ძმობის ცეცხლი, ნაურწყლად ანთებული დავით გურამიშვილის თანამედროვეების მიერ.

რუსი ლაზარესაგან დაბურებული, მოვილილი და ნაპატრონები დავით გურამიშვილი ვადაწყვეტს მოსკოვში ისტუმროს ვახტანგს, როგორც ვიეთი. ჯერ კიდევ გურამიშვილის ტყვედ ჩავარდნამდე ქართველებმა ვახტანგ მეფე რუსეთისაკენ გაისტუმრეს. ვახტანგს სურდა ძმობისა და მეგობრობის კავშირი შეეკრა რუსეთთან, პეტრე პირველთან და მისი დახმარებით აღედგინა, განეახლებინა მტრებისაგან აზრებულნი და დაპყრობილი საქართველო. საქართველოს მეფე რუსეთის მეფესთან ეძებდა კავშირს, ამ დეტალში პოეტი ამჟღავნებს თავის საკუთარ დამოკიდებულებას და კონცეფციას („მინაწერი“). დავით გურამიშვილი შეხვდა რიგითს რუს კაცს. ამ შრომებმა ადამიანმა, რომელსაც ისევ ედგა ჩაგვრის უღელი, როგორც რიგითსავე შრომელ ქართველ კაცს, როგორც ითქვა, რუსული სტუმართმოყვარეობით მიიღო და მოუაღერსა დატანჯულ პოეტს.

შენ რუსი შეგხვდა შრომელი,
ტანჯვამი შენი მხოლველი,
კვერის თუ გრძნობის მწყობელი
და მეგობარი პირველი.
იგი გათბობდა ავღარში,
ის გავრილებდა სიცხეში,
ის ვამღერებდა ზამთარში,
უღაბნოში და ციხეში.

ხალხს უყვარს ხალხი და ადვილად პოულობს ერთმანეთთან საერთო ენას. რუსი და ქართველი ხალხები ისტორიულად იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული ძმობითა და მეგობრობით. სულ სხვა იყო მეფის რუსეთი, ცარიტული რუსეთი, რომელსაც ვახტანგ მეფემ თავისი ბედი დაუკავშირა. ეს ანგარიშზე აგებული ძმობა ვერ გამართლდა, ჩაიშალა. ვახტანგს ბედმა უმტყუნა და, აი, პოეტი კვლავ მისდევს ბიოგრაფიას: მოსკოვში ვახტანგ მეექვსეს სასახლეს ეწვია ვსესვიატსკოეში, მაგრამ იმედები გაუტრუფდათ ვახტანგ მეექვსესსა და დავით გურამიშვილსაც. პეტრე პირველი გარდაიცვალა. ვახტანგი მიიწი ეძებს გამოსავალს; დედოფალი დაპირდა დახმარებას; დაიმედებული მეფე საქართველოსაკენ მიემგზავრება; ვახტანგი ოქენბობს:

მალე მამულს სიმღერებით მივადგებით
და სუდარას მოიხსნიან ქართლის მთები.
მაგრამ არ ახდა იმედი ვახტანგ მეფისა — იგი

ასტრახანს გარდაიცვალა. მის ამაღას უბრძანებენ ან დაბრუნებულ იყვნენ სამშობლოში, ან დასახლებული იყვნენ რუსეთში და ჩაწერბილი იყვნენ ჯარში. დიდმა ნაწილმა ეს უკანასკნელი გზა აირჩია.

დავით გურამიშვილი უკრაინაში დასახლდა, მისი მეორე სამშობლო მიგრაციის გახდა. მან შეიყვარა და შეითვისა უკრაინელი მეგობრები, მათთან ერთად იშრომა, მათთან ერთად იბრძოლა; რუს და უკრაინელ მეგობრებთან ერთად იონა გერმანელების წინააღმდეგ პრუსიაში, — პრუსიის „კოროლს შეუტყუეს ტახტის სვეტი“, აქ ტყვეობაში გაატარა გურამიშვილმა ცხოვრების დღეები; შემდეგ ისევ რუსმა და უკრაინელმა მეგობრებმა იხსნეს ტყვეობიდან, დაუბრუნდა თავის მამულს უკრაინაში ღრმად მოხუცებული, მამულისათვის და სამშობლოსათვის ღოკვად და ლექსის წერად გადაქცეული. ქართულ სიტყვას მან რუსული და უკრაინული ხმებიც შეუწყვა:

რუსული ხმებით საამურ სითბოს
აკავშირებდა სამშობლოს ხმებთან,
და უკრაინულ სიმღერის კილოს
შინ აწყვილებდა ქართველის ბედთან.
უნდოდა ეთქვა სიმღერა ერთი,
ლექსში სამი ხმით შეეკრა ძმობა,
შიგ ჩაეხატა ჭაღარა ღმერთი
და ხეტიალში ჩამქრალი ყმობა.

პოეტს შესანიშნავად აქვს გამოხატული დავით გურამიშვილის ზსრუნვა უკრაინელ მოქმეტა ცხოვრების ვასუშკოვსებლად (ქარის წისქვილისა და სარწყავი სისტემის გამოგონებამ). პოემაში დაწვრილებითაა ნაჩვენები დავით გურამიშვილის მოხუცებულობის დღეები, როცა პოეტში განსაკუთრებით აზვავდა სიყვარული სჯ ქართველოსადმი; ეს მძაფრი პატრიოტული სულისცეცხვითაა საინტერესოდაა გადმოცემული.

უკრაინაში მუდმივად დამკვიდრებულ დავით გურამიშვილს უყვარდა ეს მიდამო, ეს გარემო, ეს მოძმე ხალხი, მაგრამ არ ასვენებდა თავისი მამულის სიყვარული და ყურში ესმოდა, თვალით ხედავდა თავის საფიცარ საქართველოს. ეს განწყობილება ამაღლებულად გადმოცემულია ლექსში, რომელსაც ჰქვია „გუგულები“

გვეითებით თეთრ გუგულებს,
თუ იხილეთ ქართლის ბარი,
გუთნისდღა თუ ლულუნებს,
გორის ციხის გვერდით მდგარი.
თუ გადვიდა ქართლის ჭირი,
მარცველულით მოთბა მიწა,
ბედისწყრას კვლავ დაგვტირის
თუ ცვარიან ველზე მიწვა.

გუგუს გალობთ, გუგულებო,
ხომ არ მპოვეთ ლანდი ბედის,
ქართლში მყოფი უგუნებო!



მგლოვიარე ვაეის ბედით.
„კაფე, თესე“, გამაგონე
სიცოცხლის ხმა ჩემი მხარის,
გამახარეთ, ამამღერეთ,
ემარტვილე სიმწუხარით.

მოტიანილო ადგილი კომენტარის არ საკირთებს
იხე ზუსტად და ზედმიწევნით არის ვადმოცემუ-
ლი მოხუცი პოეტის უნაპირო სიყვარული თავი-
ში მამულისადმი. ეს უსაზღვრო სიყვარული სამ-
შობლოსადმი, ეს გულისწუხილი ქართლისათვის
დაუძლურებულმა, ღრმად მოხუცებულმა გურა-
მიშვილმა გამოხატა ლექსების წიგნში („დავი-
თანწვი“), რომელიც, როგორც ავტორი ამბობს,
საქართველოს დაუტოვა საკუთარი შეილის მ-
გვიერ. მის შვილი არ პოეტი, — ჩემი შვილი ეს
წიგნიაო, — ამბობს პოეტი, — ეს დიდებული წიგ-
ნი ზრდიდა ქართველობას მამულის სიყვარულის
გრძნობით, ქართლის პირისაგან განკურენის სუ-
ლისკვეთებით. ამ რწმენით წერდა დავითი თავის
ჟვკდავ ნაწარმოებებს და ამ რწმენით გადასცა
ხელნაწერი მან, ღრმად მოხუცებულმა, მეფის
ირაკლის-მეს მირიან ბატონიშვილს. ეს ეპიზოდი
სიმონ ჩიქოვანის პოემაში მაღალი ისტორიით
არის ვადმოცემული.

პოემა იხერება ლირიკული ლექსით, რომელ-
საც ჰქვია „მეორე მინაწერი“. ეს პირველი მინა-
წერი პოემის პროლოგია, ეს ბოლო მინაწერი
უთუოდ ეპილოგის როლს ასრულებს. ეპილოგში
შესანიშნავად არის განზოგადებული რუს და
უკრაინელ მეგობრებთან დავით გურამიშვილის
ძმობის ფეხები და ამ ფეხების კავშირი თანა-
მგდროვეობასთან, საბჭოთა საქართველოსთან.
საბჭოთა პოეტი კარგად ხედავს, თუ როგორ გან-
მტკიცდა და გაიზარდა, ურყევი და მტკიცე გახ-
და ძმობისა და მეგობრობის ის ხიდი, რომე-
ლიც დავით გურამიშვილმა გაიღო.

რუსეთის და უკრაინის გული
ძმური გრძნობით საქართველოს დანათის,
მაშ, ვაეცნობთ მეგობრულად პური
და გრძნობებით შევადლოთ მარადის.

სიმონ ჩიქოვანი კარგად გრძნობს და ხედავს,
რბგორ ამაღლდა, როგორ ვაცოცხლდა ხელმე-
ორედ დავით გურამიშვილი ხალხთა მეგობრობის
ახალ ატმოსფეროსი, როგორ იხარა ხის იმ ნერ-
გმა, რომელიც დავით გურამიშვილმა დატკო.
დავით გურამიშვილს მართლაც ბედად ერგო
ყოფილიყო ამ ძმობისა და მეგობრობის პირვე-
ლი პირიერი და ახლა ჩვენმა ხალხებმა ლირიკუ-
ლად ვადღეობდნენ ჩვენს დიდ სახელოვან წინა-
პარს ეს დიდი დამსახურება. დღეს ქართულად,
რუსულად, უკრაინულად თანაბარი ძალით
ვღერს დავით გურამიშვილის პოემა „დავითი-
ანი“ რუსი პოეტის ზაბოლოცკისა და უკრაინელი

პოეტის ბაეანის თარგმანებში. დავით გურამიშ-
ვილს ისევე ახლომელად თვლიან რუსი და უკ-
რაინელი მეგობრები, როგორც ჩვენ, ქართვე-
ლები.

სიმონ ჩიქოვანის პოემაში, საზოგადოდ, ხალ-
ხთა მეგობრობისა და ძმობის თემას დიდი ადგი-
ლი უჭირავს. მან ლექსების მთელი ციკლი მიუძ-
ღვნა ამ თემის გამომახველ განწყობილებას.
საკმარისია აქ მოვივინოთ ლექსების ციკლი უკ-
რაინაზე — „ზუბოკავში“, „ლესია უკრაინკას“,
სომხეთზე — „სომხეთის მთებში“, „სევეანის გზა-
ზე“, „სევეანის ტბა“, რათა ნათელი გახდეს, თუ
რა მგზნებარე სიყვარულთა და გულწრფელი
პოეტური გრძნობით უმღერის ჩვენი პოეტი
ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იმ დიდ
გრძნობას, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს სა-
ფუძველთა საფუძველს შეადგენს. ამავე სულითა
და პათოსით არის ვამსჯვალული ლექსების წიგ-
ნი დემოკრატიულ გერმანიასა და პოლონეთზე.
ეს ლექსები ჩვენს ყურადღებას იპყრობენ იმით,
რომ აქ გამოხატულია ნათელი სურათი, საბჭოთა
პოეტის თვლით დანახული, მოძმე პოლონელ
ხალხთა ისტორიისა და მისი თანამედროვე ცხოვ-
რებისა. რაც მთავარია, აქ მონახულია ის ისტო-
რიული ფეხები, რომლებითაც ჩვენი ხალხი და-
კავშირებული იყო პოლონელ ხალხთან.

ასეთვე მეგობრობის გრძნობითაა ვამსჯვალუ-
ლი ლექსები დაწერილი გერმანელ ხალხზე, დე-
მოკრატიული გერმანიის მშვიდობისმოყვარე პო-
ლიტიკაზე და მისი უდიდესი შეილების პატივ-
საცემად წარმოთქმული. ვანსაკუთრებულ ყურა-
დლებას იმსახურებს ლექსი „გოეთეს საფლავ-
თან“ და „საბჭოთა დედა ბერლინში“. სიმონ ჩი-
ქოვანი ქართველ პოეტთა შორის ერთი პირველ-
თავანი იყო, რომელმაც იმოგზაურა საზღვარგა-
რეთ და საბჭოთა პოეტის თვლით ვაცოცხლა
იქ თვლით ნახული და პოეტის მიერ ვაგონილი
თუ წიგნებში ამოკითხული საინტერესო ფაქტები
და მოვლენები. თვით პოეტის შემოქმედებაში ეს
იყო ახალი შენაკადი თემატიკური და პოეტური
ინტონაციის თვალსაზრისით, შენაკადი, სადაც
უფრო ნათლად ვამოვლინდა მისი პოეტური
ხედავა და საბჭოთა პოეტის პოზიციია.

ვერ ვიტყვი, რომ სიმონ ჩიქოვანის ინტიმურ
ლირიკას დიდი ადგილი ჰქონდეს დათმობილი.
მაინც უნდა ითქვას, რომ ჩვენი პოეტის შემოქ-
მედებაში სატრფიალო ინტონაციებს საკმაოდ
გამოკვეთილი ხასიათი აქვს მოპოვებული. უმთავ-
რესი აქ ისაა, რომ რეალისტი პოეტის რომანტი-
კული გულისკვამა თავისუფალია ვადაქარბებუ-
ლი აღტაცებისა და სევდისაგან, მელანქოლიური
და ცრემლიანი განწყობილებისაგან. პოეტს არ

უყვარს „ფიანდახლ“ ფეხად გაგება, არც თვალბების სრესა, ეგებ ცრემლი მომივიდეს. არა, ს. ჩიქოვანს ახასიათებს ჯიქური მისვლა სიყვარულთან, სატრფოსთან, მის ლექსებში მოფერებასა და აღერს საზღვარმიჩნეული ლავამი აქვს ამოდებული. ამის საილუსტრაციოდ საქმარისი იქნებოდა დაგვესახელებინა ლექსი „მიძღვნა“. აქ გაზვიადებული, ჭრელ-ჭრელი, ზინილიპილივანისაგან თავისუფალი ინტიმია პოეტისა გაცხადებული:

მოგშორდები და მგონია თითქო,
მე შენი გული მარქაფად მახლავს,
ჩემსავით დღლავს, შემსავით ფეჭრობს,
მხოლოდ ერთ ვარსკვლავს უღმის მალდა.

პოეტი დარწმუნებული თავისთავში, თავისი ინტიმის შინაგან ძალაში და ამ რწმენას ყოველთვის ოპტიმისტური ინტონაციები და განწყობილება მოსდევს.

მართლაც, მე ფიქრმა ადრე მაცნობა,
რომ ჩემი გული ბუღდა შენი,
შენა ხარ ჩემი ახალგაზრდობა
და მომავალი სიბერის დღემდე.

პოეტს არ უყვარს ვადაჭარბებული ფიცი და არც განებვირება სატრფოსი („თოვლი“), მაგრამ მას პოეტური სინაზე, შეყვარებული კაცის სინაზე ზომიერად აქვს შემონახული. ს. ჩიქოვანს არც ბერი მიმართვისა და მიძღვნის ხასიათის ლექსი აქვს თავისთავადი ისაა, რომ პოეტმა იცის სიყვარულის გატანა და ერთგულება:

შენ საქართველოს ბუღღში მყავდი,
გეტრფიავი და გუმანიტ გენდე,
ჩემს სიკაბუჯეს შენ გინახავდი
და ვერ დაგტოვებ სიკვდილის დღემდე.

სიმონ ჩიქოვანის ლირიკულ პოეზიას უარესად რეალისტური ვადაწყვეტა აქვს მინიჭებული. პოეტის სულში ღრმად აღიბეჭდება სატრფოს კვალი და შემდეგ ეს კვალწარუშლელი დარჩა მის პოეტურ სულში დიდხანს, შეუცვლელად. ამისდა მიუხედავად, როგორც ზემოთ ითქვა, სიმონ ჩიქოვანი არ არის მინაზებული, ფერწყველილი და დასევდიანებული სატრფილო ლირიკის მომხრე. მის ლირიკაში, საზოგადოდ, არ არის ვარდლებულთვლიანი პოეტების ხმა და ინტონაცია მხარდაჭერილი, არც მეტად განაზებული და ნატიფია მისი ლირიკა, ის უფრო ბრძოლისა და ამბოხების პოეტია, და ამ მხრივ მკაცრ რეალიზმს ემორჩილება ჩვენი მგონის პოეტური ინტონაციები თვით სატრფილო ლირიკაშიც კი.

ეს ეამი დადგა, მეცვლება ფერი,
ველი დუქნა და მცირე ხნით მოთოვს.
მინდა მიწაზე ცხოვრება ჩემი
ჰგავდეს ქარიშხალს და არა ფოთოლს.

სწორედ რომ ქარიშხლისა და ამბოხის პოეტია სიმონ ჩიქოვანი და არა მყუდროების, ნაზი მო-

ფერების, ლირიკული განდგომისა და სევდიანი ოხვრისა, სიწყნარესა და სიმშვიდეს პოეტი პრინციპულად ებრძვის, დამშვიდება და შერიგება, ქედის მოხრა და შორით ამბოხი მის პოეტურ პრინციპს არ ეთვისება. ეს განწყობილება შესანიშნავად გამოხატა თავად პოეტმა ლექსში „შინ შემომაქვს ყვავილები“.

ქარმა ფრთა ვერ მომამტვრია,
ყანას ვმკიდი, მშისთვის ვავდვი ხიდი,
და არასდროს მინატრია,
შინ მქონოდა სიწყნარე და ბინდი.
მეც ამიტომ ვუკრავ ბუეებს,
არ დაეკარგო შრომის შნო და გემო,
არ დაგეშორდე, სიკაბუჯე!
არ დამშვიდდე, სიკეთლეთ ჩემო!

სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ავრთვე „საქართველოს ბუნების შევნებაში აღმოცენებულ შთაბეჭდილებებს“. ჩვენ გზადგავს სიმონ ჩიქოვანის პოეზიის ეს მხარეც განვიხილოთ, ასე რომ საგანგებოდ ამ საკითხზე არ შევჩრდებით.

როგორც ვნახეთ, თემატურად სიმონ ჩიქოვანის პოეზია მეტად მრავალმხრივია, დიდი საზოგადოებრივი და პიროვნული ტიპილების გამოხატველი, მძაფრი და მებრძოლი ინტონაციებისა და პრობლემების აღმძვრელი. მისი ლექსები ყოველთვის გვიჩინავს პრობლემის მწვევე დაყენებითა და აქტუალობით.

მეტად თავისებურია და ორიგინალური სიმონ ჩიქოვანის მხატვრული სამყარო. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ წლების განმავლობაში სიმონ ჩიქოვანის პოეზია ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული დაკვირვების აზრთა სხვადასხვაობისა და კამათის საგანი იყო. თვითონ ის ფაქტი, რომ ასეთ მძაფრ კამათს იწვევდა სიმონ ჩიქოვანის პოეტური სამყარო, თავისთავად ლაპარაკობს ჩვენი პოეტის განსაკუთრებულ ადგილსა და მნიშვნელობაზე ქართულ პოეზიაში. სიმონ ჩიქოვანმა თავის ლექსებზე თვითონვე თქვა—„მიძიეო იგი“. პოეტი გრძნობს თავისი პოეტური სამყაროს ამ თვისებას და მაინც შეგნებულად, პრინციპულად მსდევს ამ სირთულის გზას. სიმონ ჩიქოვანი ერთგან კიდევაც ეკამათება თავისთავს: რატომ არ ვტივთი უბრალო, სადად, რომ ყველასათვის გასაგები იყო, რომ ვაიტაცონ ჩემი ლექსები და ხალხში გავიდესო. ამ მხრივ დამახასიათებელია ლექსი „ტბასთან“:

როცა ლერწამი მოიყრება,
ვადმოწევა ტბაზე ჩერო,
ვიგარ, ვფიქრობ, რა იქნება,
მეც სხვაგვარი ლექსი ვწერო.
ვთქვა სიმღერა სულ უბრალო,
ვიყო წყნარი, გასაგები
და ვჭიროს ყოველ გამველეს
ჩემი ლექსის გასაღები.

პოეტი თავისთავთან დიალოგს ასე ამთავრებს: და ჩემს თავზე გულწაყლილი მე ავკინძავ სიტყვის მტევანს; მაგრამ გული, ჩემი გული, სტრიქონში არ ჩამეტევა.

სიმონ ჩიქოვანი ამ საკითხს უბრუნდება მეორე ლექსში, რომელსაც ჰქვია „მესამე მინაწერი“. პოეტი იმ დასკვნამდე მიდის, რომ შემოქმედებას, ნამდვილ და ჭეშმარიტ შემოქმედებას, სირთულე უყვარს და მომავალი ეკუთვნის მხოლოდ იმას, ვინც დაიწყებდა სიახლის გრძნობას.

შემოქმედებას სირთულე უყვარს, გასაგებად და სიმამფრთო თქმული.

ეს თეორია უძველეს საფუძვლად სიმონ ჩიქოვანის პოეტურ კონცეფციას, მის პოეტიკას. ამიტომ შეგნებულად მიმართავს იგი გართულბულ მხატვრულ სახეებსა და მეტაფორებს და ლექსის მთელ კომპოზიციას რთულ მხატვრულ ხერხებს უმორჩილებს. ამავე დროს ს. ჩიქოვანისთვის ყოველთვის ამოსავალი პრინციპია სიახლის გრძნობა, ახალი კუთხითა და ახალი მიდგომით გაშუქება საგნებისა და მოვლენებისა. ამ მომენტსაც ხაზგასმით აღნიშნავს პოეტი:

შემოქმედებას სიახლე უყვარს ცისარტყელის და ქუხილის ფერი.

თეორიულად სიმონ ჩიქოვანი თავის მხატვრულ კონცეფციას აფუძნებს ამ ორ ამოსავალ პრინციპზე: სირთულე და სიახლე. სირთულე და სიახლე აი რა არის სიმონ ჩიქოვანის თვალსაზრისით მთავარი პოეზიაში. სიმონ ჩიქოვანი თანმიმდევრულად იცავს ამ კონცეფციას, მაგრამ ეს არ უშლის მას ხელს ხალხურობის, იდეურობის მომხრე იყოს. მას, როგორც რეალისტ პოეტს, ნამდვილად სწამს, რომ განყენებული, ხალხისაგან გამდვარი პოეზია ფიქტია. იგი პრინციპულად პოეზიაში განდგომილობის მტერია, იდეურობის, საზოგადოებრივი ტიპილების მოზიარე და მეხოტბეა. აი, რას წერს იგი:

მეც, მეგობრებო, მივდივარ აგრე, ჩემი სიმღერით ხალხში ჩაწინილი, ყოველი ჩემი პირადი საქმე ხალხის ცხოვრების არის ნაწილი. მართლაც ვერ ნახოს კაცმა წვალება, თუ ფუტკარივით შრომობდა სკაში. რა არი სულის გარდაცვალება? ფერისცვალება, გადასელა ხალხში.

ხოლო მეორეგან პოეტი ისევ აცხადებს: მე მზად ვარ მთელი ჩემი პოეტური სიტყვა ხალხის, მხოლოდ ხალხის სამსახურისთვის გავიღო:

და გრძნობის ყველა მხურვალე წვეთი ხალხს სიხარულის ცრემლივით მივიცე....

სიმონ ჩიქოვანი ფერწერითი მანერის მხატვარია. სიტყვას, სიტყვითი ხელოვნების პრინციპს იგი თავისებურად უპირისპირებს ფერების სიმ-

ფონის. პოეტი ფერების შერჩევას უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე სიტყვიერი ხელოვნების კანონებსა და წესებს. იგი აცხადებს: „ვგონებ ფერია შევნება ლექსის“, ხოლო მეორეგან უმატებს: „მთავარი ბალებში საღებავს ეძებს“. ფერების პოეტი უპირატესობას ფერწერას აკუთვნებს, ვიდრე მუსიკას, ვიდრე ამღერებას პოეზიაში. ამიტომაც აცხადებს:

ვერ შევეუთანებ გლობა სურათს, ვერ შევეაერთე ოცნება ორი,

ან კიდევ:

ხმების ოსტატი არა ვარ, ვიცი, ხმა მიწყდება თუ მიწივის ყური, მე მხოლოდ ხილულ ჩვენებით ვიწვი და ბაღს მიაგავს პატარა გული.

ასე ნათლად აქვს დახასიათებული სიმონ ჩიქოვანს თავისი პოეტური მხატვრული პრინციპი. და ამ მას ვერ შევედავებით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიმონ ჩიქოვანი პოეზიიდან ღვენიდეს, საზოგადოდ, მუსიკას, რიტმს. არა, სიმონ ჩიქოვანს აქვს ბევრი ლექსი, რომლებიც რიტმის გრძნობაზეა დამყარებული. ამ მხრივ საინტერესოა „მარადღიში“:

თეთრი და თეთრი, თეთრი მერქნები, თეთრი ქურჭი და მწვანე კვირტები, თითქო ჩაკეცილ თეთრი ჩექმები და ტბორს აშრობენ ეკვალიბები

ან კიდევ:

ცხრა მუხა, ცხრა მთა და ცხრა ვარი, ცხოვრების გზაკვალი ამ რიცხვით მითვლია, შინ მიველ, მოვეყვი ზღაპარი, ცხრა ფუტკარის ყვაელი ცხრა ქვევრზე მინთია, („ცხრა მუხა“).

კიდევ ერთი მაგალითი:

მე ვარ წყარო უნჯარო, მთის ფერდობზე დაკარგული, ცაო, ცაო, წინაპარო, შენ ფერად ვარ დახატული ლაქვარდივით უსახლკარო, ქვევრზე მზტომი ნაკადული...

...

ცაო, ცაო, უწყინარო, წვიმა უნდა მომახმარო, რომ არ დავრჩე ნაკადული, ცისარტყლად დახატული. ეგებ მე ვარ შენი სული, ცის ფერდობზე ჩამოსული. ჩემი თხოვნა შეასრულე, არ დამტოვო გულნაკადული, აღარ ვიყო დაკარგული, ხალხმა ახლო დამინახოს ცელქი, ცელქი ნაკადული.

ეს გრძელი ამონაწერი ჩვენ განგებ მოვიყვანეთ იმისათვის, რომ ნათლად დაგვეჩვენებინა, თუ როგორ შეიცვალა სიმონ ჩიქოვანის დამოკიდებულება რიტმთან, განსხვავებით აღრინდელი. ფუნქციონირებული ორკესტრული ლექსის რიტმისაგან. ეს იყო დიდი წინსვლა, სრულად ახლებური ინტონაცია და რიტმი პოეტის შემოქმედებაში.

სიმონ ჩიქოვანი მეტაფორული სახეებით მოაზროვნე პოეტი; მისი მხატვრული სახეები უმოთარესად მეტაფორებს ეფუძნება. მის ლექსებში მეტაფორებს, შედარებებს, ეპიტეტებს ყოველთვის განსაკუთრებული მხატვრული აზროვნების ხერხის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ამ პრინციპს ემორჩილება ყველაფერი, ხშირად თვით ენობრივი ქსოვილის სიწმინდეს ამ მეტაფორული მხატვრული აზროვნების პრინციპს ეწირება.

ს. ჩიქოვანის ლექსებისათვის დამახასიათებელი ღრმა და ფართული ქვეტექსტების სახით გაიზრებული მხატვრული სურათები და სახეები ყოველთვის როდია ადვილად აღსაქმელი. მაგრამ თუ ღრმად დაეკვირდებით, ადვილად დაინახავთ მეტაფორული აზროვნების მიღმა ღრმა იდეებსა და ტიპილებს.

საილუსტრაციოდ ავიღოთ ლექსი „ღეღაჩემი“.

ამ სიუჟეტური ლექსის შინაარსი ისაა, რომ პოეტს ღეღა აღრე გარდაეცვალა, მისი სურათი არ დარჩა და ამიტომ პოეტს ვერ აღუდგენია დედის სახე. მაგრამ პოეტმა იცის, რომ ღეღამის ხშირად იხედებოდა ჭაში, სახლის წინ რომ არის, და ეგებო, ამბობს პოეტს, აჰ, ამ ჭაში, ჩარჩა საღმე სახება მისი, რომ ჩავიხედო და აღეავდინო:

ღეღე, ხატება არ დარჩა არსად,
ჭაში ვიქვირო, დამწედა სენი,
შენ ხომ იდევი გვიმან ჭასთან,
ეგებ შიგ დარჩა სახება შენი.
ან იქნებ შენი ოქროს თმა არი
კოლხურ კერაზე ამღვარი ალი,
ეგებ ვაზია შენი ქამარი,
ხეს რომ ეხვევა ცოცხალი კვამლი.

ამას მოსდევს უაღრესად პოეტური, ინტიმური რხევა პოეტური სულისა, დაკავშირებული დედის მოგონებასთან:

როგორც სკაში ზუზუნნი ფუტკრის,
შენი ხმები მყავს გულის ბუდეში,
არ დამეკარგოს, სათუთად ეუვლი,
არ გამიფრინდეს ჩემი ნუგეში.

სიმონ ჩიქოვანს ერთ ცნობილ ლექსში ასეთი მხატვრული სახე აქვს:

ურმულივით ახლოვდება შელაშება.

ეს მეტად რთული აზრობრივი სახეა და, თუ არ დაეკვირდით, ვერც კი წარმოვიდგენთ მას.

იგულისხმება კი, რომ გლეხის სიღრმა — ურმული, მგზავრობის დროს რომ წარმოიქმნის. ისე თანდათანობით ახლოვდება, ან შორდება აღებულ ადგილს. როგორც საღამო ახლოვდება თანდათანობით და ნელ-ნელა. საღამო ხანისა და ურმულის შორეული ხმა აქ შედარებული. ერთი შეხედვით თითქოს ურეველო შედარებაა, მაგრამ, ვინც რთული მხატვრული სახეობრივი აზროვნების პრინციპებს გაიზიარებს, ამ შემთხვევაში უნდა დაეთანხმოს სიმონ ჩიქოვანს. ასევე რთული მხატვრული სახეა —

ზღვაზე მზე დაღა, როგორც ირემი,
ალანდა რქები ტალღების ბროლში.

ირემი, მისი მოღერებული დგომა კლდეზე შედარებულია მზის ამოსვლას თუ ჩასვლას. ხოლო ტალღების ანარეკლით დანახულია ირემის რქები. ესეც მეტად ორიგინალური, საკუთარი რთული მხატვრული სახეა, თუმცა მეტად ძნელად გასაგები და ასათვისებელი.

სიმონ ჩიქოვანი ასევე რთულ მხატვრულ სურათებს გვთავაზობს. პოეტის მიერ მოფიქრებული სურათი რთულ მხატვრულ პრინციპს ემყარება:

ზღვაზე მზე დაღა, როგორც ირემი,
ალანდა რქები ტალღების ბროლში,
როგორც ქალები ატყორცნილები,
აღვები დგანან სამეგრელოში.
შეირხვევიან მეტყველ შრიალით,
გაღიზნიქავენ შტოებს შეიარებს
და ზღვაზე გაულით სხივი წყლიანი
აღვებს ვარდისფერს გაუზიარებს.
დაეყრდნობიან გლეხები თოხებს...

რასაკვირველია, ეს მეტად რთული მხატვრული სურათია.

სიმონ ჩიქოვანის აღრინდელ მხატვრულ სამყაროში ძლიერად იყო შემოჭრილი გაუცნაურებაზე აგებული მხატვრული შედარებანი და, ამის შესაბამისად, ძნელად წარმოსადგენი მხატვრული სახეები და შედარებანი:

მხოლოდ ბუღბული მჯღღობარე კერძოდ
უსტვენს და ელავს, როგორც ქლიავი,
მეტად ძნელი წარმოსადგენია, ბუღბულის სტვენა შევადართო ქლიავის ელვას. ან კიდევ:

და კავზე გლეხი წელში მოხრილი,
ეკიდა, როგორც ჩიბუხზე კვამლი.

სიმონ ჩიქოვანისათვის ასეთი ძნელად წარმოსადგენი სახეები, შედარებები და ეპითეტები საზოგადო დამახასიათებელი თვისებაა. ჩვენ შეგვიძლია კიდევ მოვიტანოთ მაგალიტები:

პეაუს მოხრილი ღედას უაუაო,
კაბა აცეია ყირმიზი...

მინდა გული კალათავით გაუწოდო...
ან კიდევ მთელი სტროფი:

როგორც კერიის მართალი კვამლი,
უნდა აბოლდეს ატმის ყვეილი,
მას ამშვენებდეს ყვილი მამლის,
რიერაქად ყელში ამოყვანილი.

აქ პოეტს უნდა შექმნას სურათი გაზაფხუ-
ლის ახლად გათენებული დილისა, სახლის კე-
რიდან აბოლებული კვამლი, ატმის ყვეილები
და მამლის სივანთაილო ყვილი ქმნიან ამ სუ-
რათს, მაგრამ, უნდა ვთქვათ, რომ ეს მეტისმე-
ტად გაართულებული და ძნელად ასათვისებელი
მხატვრული სურათია. ან გაეისხენოთ შედარება:

რთველი გრძელდება, როგორც მოთხრობა...
ეს მაგალითები ჩვენ იმისათვის მოიტანეთ,
რომ მიგვეთითებინა, თუ რა რთული მეტაფო-
რული აზროვნების პოეტია სიმონ ჩიქოვანი.
რასაკვირველია, ამის გვერდით სიმონ ჩიქოვანს
აქვს ნათელი, რეალისტური, მხატვრული სახე-
ები, მეტად ორიგინალურად და სინტერესოდ
მოფიქრებული. აი, ამის მაგალითებიც:

სარკმელში შეენიშნე ღრუბელი,
დღის თაკმალი მეგონა.

ან კიდევ:

მთებზე მფრინავი ფანტელგობა
მე კი მგონია — ყვავის ტყემლები.

ეს შედარება სჭირდება პოეტს იმისათვის,
რომ დაევიხატოს ზამთრის თვის სურათი.
ამხვე ზამთრის სურათს ხატავს პოეტი ნაძვის
ნის სანთელთან შედარებით:

მეც დავედენე ფრიალა ფანტელს,
თოვლში უქულოდ ტრფობამ მატარა,
ნაძვის ხე ჰგავდა ანთებულ სანთელს,
მობატულს ჰგავდა შენი ფანჯარა.

ეს სავსებით ნათელი, რეალისტური სურათია.
სიმონ ჩიქოვანს ხშირად ახალ ლექსებშიც
აქვს ფუტურისტული შედარებები. აი, მაგა-
ლითად:

ფიქრი ეკიდა, როგორც ყურძენი.

ან კიდევ:

მზე ზღვაზე დაწვა და მოლოგინდა.

სიმონ ჩიქოვანის ლექსებში ხშირად შეგვხვ-
დება ისეთი შედარებები და მეტაფორები, რო-
მელთაც უაღრესად გადატანითი აზრობრივი
მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად:

მეტეხის ციხე, მეტეხის ციხე,
კლდეზე დადგმული, როგორც წუხილი.

აქ სინტერესოდ ახერხებს პოეტი მეტეხი
წარმოვედგინოს, როგორც ხალხთა მწუხარე-
ბის, ხალხთა ფიქრებისა და მოწინავე აზრების
საპერობილე. ასეთივე აზრობრივი შედარებაა
ეს სტრაქონებიც:

და, როგორც დროშა, გვეფინა,
მეკრძნე ვაჟაკის სახელი!

ასე მიმართავს პოეტი საბჭოთა კავშირის
გმირს ვლადიმერ კანკავას, რომელიც კავკასიის
მისადგომებთან დაეცა, და ამ გზით სავსებით
გასაგებს ხდის მკითხველისათვის სამშობლო-
სათვის, მამულისათვის თავშეწირული ვაჟაკო-
ბის სახელისა და დიდების სიმბოლოს.

სიმონ ჩიქოვანის მხატვრული ზერხების და-
ხასიათებისას მოვიყვანეთ, ჩვენი აზრით, რთუ-
ლი, მხატვრული აზროვნების მაგალითებიც და
იქეთებიც, რომლებიც სწორედ პოეზიის კანო-
ნების ერთგვარ დარღვევას წარმოადგენენ.
ზოგი მათგანი სიმონ ჩიქოვანის ადრინდელ შე-
მოქმედებას განეკუთვნება. თვითონ სიმონ ჩი-
ქოვანი 1935 წელს ლექსში, რომელსაც ჰქვია
„პასუხის მაგიერ“, მიუთითებდა იმ გარემოება-
ზე, რომ, თუ რამ ჩემს სტრაქონებში ყალბია
და ცუდად ისმის, ეს ჩემი პიროვნული ბრალე
არ არისო:

მე თვით არა ვარ მისი მომგონი...

აქ სიმონ ჩიქოვანი გვანოვნებს სწორედ იმ
ლიტერატურულ მიმართულებაზე. ფუტურის-
მზე, რომლის პრინციპის გაზიარებამ მას ამგვა-
რი სტრაქონები მოუტანა. თვითონ კი უფრო
გვიან ამ გზას კრიტიკულად უყურებდა:

თუ შემეშალა წარსულში რამე,
ეს სიჯაბუკის ბორძიკი იყო,
მე ბუნების ხილზე გადაველ ღამე
და ცრემლი მომწყდა ვარსკვლავის სისხო.

სიმონ ჩიქოვანი მაშინაც, როდესაც იგი
ცდებოდა, და მაშინაც, როდესაც მან საბჭოთა
მწერლობის რეალისტური პოზიცია გაიზიარა,
მუდამ ხალხის მხარეზე იყო. მწერლობას იგი
მე უყურებდა, როგორც ხალხისადმი პატიო-
სან სამსახურს. „პოეტური წიგნი ხალხის ზრახ-
ვების მოზიარება და დამოუკიდებელი სიცოცხ-
ლის მქონე არსება... პოეზია ცხოვრების მშვე-
ნიერების ხილვაა“. სავსებით მართებული გან-
ცხადებაა. მწერლობა, მართლაც, ხალხის ზრახ-
ვების მოზიარება, ცხოვრების მშვენიერების
ხილვაა, მაგრამ პოეზია მაინც ბეწვის ხილია,
პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სადაც სი-
ცოცხლეა, იქ წარმატება და მარცხი დღედღა-

მესაივთ ენაცვლებიან ერთმანეთს“. მაგრამ ამ
გზაზე, ამ ძნელი ზიგზაგებისა და ხვეულების
გზაზე, სიმონ ჩიქოვანს მუდამ თვალწინ ედგა
თავისი ხალხი და თავისი სამშობლო. ამიტომ მას
ჰქონდა სრული უფლება განეცხადებინა:

მე შევეჩვიე ჩემს სიყმაწვილეს,
ჩემი აპრილის თვდახრილ იებს,
მე ხალხის გული გავინაწილე.
და ის ქაბუქურ წლებს მამატიცხს.

ჩვენ უნდა დავეთანხმოთ პოეტის ამ გულ-
წრფელ სიტყვებს.



პეპრი ბახუჩიძე

გრიგოლ აბაშიძის შემოქმედება

ოცდაათიანი წლები დიდმნიშვნელოვანი გარდატეხით აღინიშნა საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში. ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ისტორიაში ეს საფეხური შევა, როგორც უდიდეს გარდამქმნელ მოვლენათა პერიოდი, როცა საბჭოთა კავშირი გადაჭრით დაადგა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და საფლას მეურნეობის კოლექტივიზაციის გზას.

ამ დიდმა მოვლენებმა ღირსეული ადგილი და მხატვრული ასახვა პოვეს ჩვენი მოწინავე მწერლების შემოქმედებაშიც. მათს ლექსებში, პოემებში, მოთხრობებსა და რომანებში მტკიცედ დამკვიდრდა ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებელი ადამიანი თავისი მაღალი მორალური თვისებებით, ფართო ჰუმანიტარობით, შინაარსიანი, სპეტაკი, მდიდარი სულიერი სამყაროთი. ახალი ადამიანის სულიერი წყობის მხატვრულად ასახვამ ახალი შემოქმედებითი ხერხები და საშუალებანი მოითხოვა. ასეთი რთული ამოცანის წარმატებით გადაჭრა შესაძლებელი იყო მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის, როგორც ერთადერთი სწორი ესთეტიკური კატეგორიის, საფუძველზე.

კიდევ უფრო გაღრმავდა, ყოველსომომცველი გახდა სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს თავიანთი მხატვრული შემოქმედებით მაქსიმ გორკიმ და ვლადიმერ მაიაკოვსკიმ.

ქართული საბჭოთა მწერლობის ზრდა, მისი შემდგომი განვითარება და აღმავლობაც სოციალისტური რეალიზმის მეთოდით წარმართა. ამ შემოქმედებითმა მეთოდმა, როგორც ყველაზე მახვილმა და მოქნილმა იარაღმა, საშუალება მისცა ჩვენს მწერლობას მოუპოვებინა ბრწყინვალე წარმატებანი და საერთაშორისო რეზონანსი.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის მოწინავე წარმომადგენელთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს გრიგოლ აბაშიძეს. მისი

პოეზია შთაგონებულია სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულით, საბჭოთა ადამიანის კეთილშობილური ბუნების პატივისცემით, ჩვენი გმირი ხალხის უდიდეს შესაძლებლობათა ღრმა რწმენით.

გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებას წარმართავს საბჭოთა პატრიოტიზმის ნათელი და ცხოველმყოფელი იდეა. მხოლოდ სამშობლოს დიდი სიყვარულის გრძნობას შეუძლია ადამიანს ათქმევისოს:

და დილით მზე რომ გააღებს ცისკარს,
ერთს სხივს ჩემსკენაც გამოავზაუნის,
მე მზის სხივის და თბილისის ხნის ვარ,
მეც გაჩენილი ვარ გორგასლანის.

გრიგოლ აბაშიძეს აქვს ერთი ლექსი — „მტრები“, რომელიც ფაშიზმთან ცხარე ბრძოლების პერიოდს ეკუთვნის. ლექსს ვაჟა-ფშაველას სტილით უძღვის ეპიგრაფად: „გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა, გული გულადეგ რჩებოდა“. მოიერიშე ფაშისტის მგლურ მიმენერებას ვეფხვივით აღუდგა წინ კომკავშირელი.

იგი დაიჭრა და აუტანელი წყურვილი ტანჯავს. იქვე წყლით სავსე მტრის მათარა გდია, რომელზეც ფაშისტური განადგურების სიმბოლო — შიშველი თავისქალაა გამოხატული. ამიტომ არ მიიტანა კომკავშირელმა ტუნთან კურკელი. მან წყურვილით წამება არჩია ასეთ სიამეს:

დაჭრილი ბალახს ნატრობდა ცვრიანს,
ნატრობდა, მაგრამ არ იყო წვიმა.
სწყუროდა, მაგრამ წყლის წყურვილს სძლია
მტრისადმი ზიზღმა და სიძულვილმა.

შეიძლება აქ ერთგვარი ხელოვნურობა და სქემატიზმიც კი დავწამოთ ავტორს გრძნობათა აშკარა დაპირისპირების გამო, მაგრამ ერთი



რამ მიიწი ცხადია. პოეტს გულწრფელად სურდა (ხოლო ამ სურვილს ხორცი შეასხა კიდევ), ეჩვენებინა, თუ რაოდენ ძლიერი იყო სამშობლოს მტრისადმი სიძულვილი საბჭოთა მეომრის გულში. მან ფიზიკური ტანჯვა-წამება არჩია, წამების მტრის კუთვნილი ნივთი შემსუბუქებას, ამ ფსიქოლოგიური დეტალით ავტორმა დაფიქსირა და განგვატყვევინა სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულის გრძნობის მთელი ძლიერება და სიღალღე.

საბჭოთა აღმშენებლის მორალური სიმტკიცე, მისი შეუპოვრობა გ. აბაშიძის იმ ნაწარმოებებშიც კი ცხადად ჩანს, სადაც დახატულია მხოლოდ საომარი ტექნიკის შეჯახება. ასეთია, მაგალითად, მისი ლექსი „ტანკების დღე“. მიუხედავად იმისა, რომ აქ არსად არის ნაწვენები ცოცხალი ადამიანი, მკითხველი მაინც აშკარად გრძნობს, რომ საბჭოთა მეომრის ხელი მართავდა ტანკს, რომელშიც მკერდი შეუღწეა სიკვდილისა და ნგრევის შთესველ მტრის მიქანას.

რამ შესძინა საბჭოთა ადამიანს ასეთი ზღაბრული ძალა და უძლეველობა? რამ შთააგონა იგი თავგანწირვისა და თავდადებული გმირობისათვის? მშობლიური ქერის სითბომ და დიდებამ, სამშობლოს ბედის ჩარჩის წაღმა ტრიადის სურვილმა, ქვეყნად მშვიდობის აღმკვიდრებისა და ხალხთა ძმობის ცხოველყოფილმა იდეამ. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ კორეელი ინჟინერი პაიენ ზინი, როცა სამკორეო ხედავს, როგორ ქმედობს უწყალოდ ევლი წალკობად, იგონებს თავის მრავალტანკულ მამულს, შრომისმოყვარე კორეულ ხალხს, — თავისუფლებს შუქს რომ შენატრის. მისი ქვეყანაც ცდილობს, „რომ საქართველოს მსგავსად ჰყვავოდეს“.

პოეტს დრამად აქვს შესისხლბორცებული ის კეთილშობილური აზრი, რომ ხალხთა შორის მშვიდობისა და ძმური ურთიერთობის გარეშე არ არსებობს ნამდვილი ცხოვრება, არ არსებობს ადამიანის ბედნიერება.

გრივლ აბაშიძის პოეზიაში ფართოდ აისახა თანადროულობის მტკიცეული საკითხები. პოეტი ამ საკითხებს მხატვრული სახეებით გადაქცის. იგი არკვევს ადამიანის ქვეყნობის დანიშნულებას და მის აღივს ცხოვრებაში. პირველ პლანზე აყენებს ხალხთან კავშირს, საბჭოთა ადამიანის კეთილშობილურ, ბოლშევიკურ მგზნებარებას, მის შინაარსიან ბუნებას და ნათელ მიზანსწრაფვას.

საბჭოთა ინჟინრებს პოეტი აღარებს მთამსვლელებს, რომლებიც ახალი და უფრო დიდი მწვერვალებსაკენ მიილტვიან.

რომ კახხალს მიჰყუეს კიდევ კახხალი, შუქით აყუადეს მიწა ქართული,

რომ მწვერვალები უფრო მაღალი ნახონ საყუთარ ფეხებზე გართმულნი.

თანამედროვე ადამიანი უწინაპრო და უთვისტომო როდია. წინათ მისი მამა-პაპანი ისტორიული ვითარების შესაბამისად არხების ნაცვლად ციხე-კოშკებს აგებდნენ, რათა ქვეყნის ძლიერება განეძტოცებინა, დღევანთ სამშობლო ურიცხვი მტრებისაგან. ამიტომ პირველ რიგში ისინი ჯარისკაცები იყვნენ, ხოლო შემდეგ მშენებლობის დიდოსტარნი. ჩვენმა თაობამ კი უჯარმის ნანგრევებზე სამგორის სარწყავი სისტემა შექმნა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრების ასაყუავებლად, მისი ბედნიერების სიმბოლოდ. ამით განსხუავდება საბჭოთა ადამიანი თავისი წინაარებისაგან, მთაგან „ვისაც შენება უნდოდა არხის და არხის ნაცვლად ციხე აშენა“.

გრივლ აბაშიძის პოეზიის ღირსებას ის წარმოადგენს, რომ მისი პოემებისა და ლექსების ეპიური თუ ლირიკული გმირი ცოცხალი ადამიანია, აღუზრელი როგორც დღეებით, ისე უარყოფითი თვისებებით. მასში ვერ ვხედავთ ხელოვნურობის ნაკვალევს, იგი არ არის გამოგონილი და შეთხზული სქემა. ამ გმირის ხასიათი მდიდარია რომანტიკული გზნებით, გარკვეული ტენდენციურობით. პოეტი არასოდეს არ აბუნდოვანებს თავის თვალსაზრისს. მისი ლექსის თუ პოემის გმირის ხასიათი, ბუნება, შეხედულებანი მჭიდროდ არიან დაკავშირებული სინამდვილესთან, გამოუმდინარებენ ცხოვრებისეული მოვლენებიდან. და ეს ცხოვრება იმდენად გამჭვირავი თვალთ არის დანახული, რომ ნაწარმოები მკითხველს ჰგერის არა მარტო ესთეტიკურ მსაყუედებას, არამედ ადვილრებს მის ინტელექტს, აწუღებს რა უხე მასალას გონების პირიზონტის გასაფართოებლად. მისი ადამიანური ღირსების ახალ, უფრო მაღალ საფუზრზე ასაყუანად. ეს მიღწეულია არა მშრალი მსუგლოებით, არამედ პოეზიის ენით, მხატვრული საშუალებებით. აი, როგორ დაგვიხატა პოეტმა „განათლებული“ ამქარეული ბუნება, მისი დამანგრეველი ფუნქცია: თურქეთში მოსულ ჯარის ნაწილს ჩამოჰყუა ამქარეული ინჟინერი. ახლად ახაგები ავროდრომისათვის მიღამოების გავმგდის მიზნით მან ნაღვით აფეთქა ტაოში მდგარი ძველი ქართული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი — სვეტებმაღალი, ჩუქურთმიანი ტაძარი:

მას დარდი არ აქვს ქართველთა მიწის, მისთვის არაფერს აშობს ხახული, მან ერთადერთი ჩუქურთმა იცის — ოქრის დოღარზე გამოსახული.

სულ რადენიმე სიტყვით, ლექსის ერთი სტროფით პოეტმა გვიჩვენა ამ ზარზაროსის ბუნება, რომელსაც თავის ერთადერთ სათაყუ-

ნებელ კერპად დოლარი მოიხანია. იგი ყველაფერს ოქროს სახომით უღვება. მისთვის უცხოა ყველაფერი, რაც კი დაყრობისა და დოლარის ფარგლებს სცილდება. აქ ნაჩვენებია ადამიანის სულის უიღურესი გამოფიტვა, მისი შეზღუდულობა და სრული უბედურება. ქეშმარიტად საშინელებია ამ ქვეყნად ასეთი „ქულტუროსანი“ ბარბაროსების არსებობა. ასეთია მკითხველის დასკვნა და ეს ემოციური რეაქცია მიღწეულია ნამდვილი პოეტური ხერხით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ხელთ გვექნებოდა გართიშული ტრაქტიტი და არა პოეტური ნაწარმოები.

*

რევოლუციამდე მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა საქართველოში სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ცარიზმთან ერთად მას გზას უღობავდა ოპორტუნიზმი მუშათა მოძრაობაში. თუ როგორ დამკვიდრდნენ მუშათა კლასის შეგნებაში ცხოველყოფილი ლენინური იდეები, როგორ დარწმუნდა ოპორტუნისტთა ვერაკობასა და გამყვობაში საქართველოს მშრომელთა ერთ-ერთი მოწინავე რაზმი — ქიათურელი მაღაროელები, ამ ისტორიულ პროცესს გრიგოლ აბაშიძე დიდი პოეტური გზნებით გვიხატავს თავის პოემაში „შავი ქალაქის გაზაფხული“.

ეს ფართო ეპიური ტილოა, რომელშიც ასახულია მარგანეცის მომოვებელთა შრომისა და ბძოლის ბევრი სანატრესო ეპიზოდი, გადმოშლილია „შავი ქალაქის“ ადამიანთა ყოფითი დეტალები, კარგადაა დახატული ზემო იმერეთის წარმტაცი ბუნება, დიდი სიყვარულითა და შიშობილებით იმერული ხასიათი — თავახიანი, მოსიყვარულე და ხალისიანი.

თვით ყველაზე უფრო მძაფრ პეტლიცისტურ ადგილებშიც პოეტს არ ღალატობს მხატვრული ალღო. იგი დიდი ტაქტით აქსოვს პოლიტიკურ ამბებში მსუბუქ იუმორს, ხალხური შემოქმედების უშრეტო წყაროდან ამოღებულ ანალოგიებს, სხარტ შედარებებს.

იმერეთის კოლორიტი, იმერული ხასიათი და ყოფა პოემაში დიდი დამაჯერებლობით და უფრაღოვნებით აჩის დახატული:

დაილოცოს იმერელი,
თუ გაგიცნო, მოგიხათრებს,
არაღრისთვის არ გაგიშვებს,
ჩამოგახვეს ჩოხის კალთებს.
— აგერ ვცხოვრობ, ორ ნაბიჯზე,
ა, ბატონო, ჩემი სახლი,
ამ მოსახვევს რომ გასცდები,
ყუფა ისმის ჩემი ძალის.

მასპინძლის ოჯახში ყველანი დატრიალდებიან, პერი ამაღლდება, კედლები განზე გაიწე-

ვენ, სახეებს ღიმილი გაანათებს, დატრიალდებიან სტუმრის პატივსაცემად:

აგერ ყვინილს თავი წასჭერეს,
წითლად შერჩათ ხელში წაღდი,
ჯერ ყვილიც არ იცოდა,
მოუწწრათვეს წელიწადი
ცეცხლის პირას სუფთა დადგეს,
კედელს სცემდა კედლის ლანდი,
დამწვარ კაცლის ფოთლებიდან
ამოგდეს ცხელი ქადა!

ღარიბული, მგვრამ გულწრფელობით აღსაქვს უხვი სუფრა დამწვენი თეთრი ყურბალიშის მსგავსმა ჭყლინმა ყველმა, ეკალამ, კეცხე შემწვარმა წიწილამ, დარღიმანდი მასპინძლის მობოდიშებამ და გულკეთილმა პატივმა. ტუჩები შეეხო თეთრი ჭიქის ბროლის ყელს, დაიღია მზისა და ვახის სადღეგრძელო და სუფრაზე ეშმაკური ქინვილაც გაჩნდა:

პატარა ეს ქინვილა,
გაცურება იცის ღიდის,
რომ გგონია დავცალეო,
დასაცლელი ძირში იცლის,
ყელში ისე ჩაიშლერის,
თითქოს მღერის ინდიშინდის...
პატარა ეს ქინვილა,
მგვრამ ღვინო ჩადის ბევრი,
დაიცლება, მოქაეული
დაედლება კაცს კისერი,
ულაშებზე მარგალიტი —
წვეთი ჯდება ვარდისფერი.

ეს სურათი შორს სცილდება ნატურმორტის ფარგლებს. აქ ყველაფერი ცოცხლობს, ძვერს, სუნთქავს ადამიანური კეთილშობილებითა და უბრალობით. ეს ფართო პოეტური ტილოა, რომელზეც დახატულია ჩვენი ქვეყნის ერთი უღამაზესი კუთხის — იმერეთის ყოფა, მისი მკვიდრის ხასიათი და შინაგანი ბუნება.

პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“ ქართულ მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლებზე შექმნილი პოეტური ეპოსის ერთ-ერთი თელსააშინო ნიმუშია.

ისტორიულ თემაზეა აგებული გრიგოლ აბაშიძის პოემა „გორგი მეექვსე“. ამ ნაწარმოებში ასახულია ისტორიული მოვლენები, ჩვენი ქვეყნის მდიდარი წარსულის ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი — საქართველოს დამოკიდებულება აგრესორთან გორგი მეექვსის დროს, ქართველი ხალხის დიდი პატრიოტული თავდადება, ყოველი მამულშვილის მზადყოფნა — უყუყუნოდ გასწიროს საყუთარი სიცოცხლე საშობლოს ძლიერებისა და კეთილდღეობისათვის. ასეთია პოემის მთავარი გმირი, მთავრის შვილი, მოდი ნახისა და კაცხის მფლობე-



ლი გვარამ მარგველი, რომლის სიმტიცესა და ქედუხრელობას სისხლით გაუმამლარი მტრ-ვალის თემურ-ლენგის წინაშე ასე აგვიწერს პოეტი:

შევბას თუ გრძნობდა თავგანწირვაში, — არ ეტყობოდა შიშის ნასახი...

შედრკა თემური მსხვერპლის წინაშე და ძირს დაუშვა ხელი ცახცახით.

ასეთი შეუპოვრობისა და უდრეკი სულის წინაშე ბარბაროსმა თემურმაც კი მოიხარა ქელი. მას მრისხანება ძრწოლვით შეეცვალა, ვინაიდან

დაჭრილი თემურს უტკერდა მშვიდი, როგორც უტკერენ უძლურ კაცუნდას... მის თვალში რაღაც სიკვდილზე დიდი ეჩვენა თემურს და შეაძრწუნა...

სულის ეს მარადიულობა, ადამიანის შინაგანი საწყაროს უკვადება, რაც პირველ ყოვლისა გამოიხატება სამშობლოს სიყვარულში, გმირ ქართველს შესძინა თავდადებულმა პატრიოტულმა გრძნობამ.

ეს იყო თვისება მეული ხალხისა, რომელსაც ლაჩრობა და სულიერი დამაბუნება ყველაზე უფრო საშინელ სნეულებად მიიჩნდა. სამშობლოს ბედმა და უბედობამ ჩვენში გმირობა მასობრივ მოვლენად აქცია.

აი, ეს არის ამ პოემის პათოსი. ამაზე მეტ-ყველბუნ ნაწარმოების სტრიქონები: „გვყავს მეორები ეფუხეთა ბადალი, რომ ემუსროთ მტერი შემოსეული“.

და ასეთმა ადამიანებმა სიკვდილი დაამარცხეს, მათთვის არ არსებობს პირადული, კერძო, შემთხვევითი. ისინი ყველაფერს უმორჩილებენ ერთ ღიად მიზანს, სამშობლოს კეთილდღეობას.

პოემაში აღწერილი ისტორიული ამბები საინტერესო სიუჟეტურ ფონზეა გაშლილი, სადაც ერთმანეთს გადახეხართა გიორგი მეფის, გვარამ მარგველის, აგრეთვე პაპუნა თურმანიძის ლაშაში ასულის ნათიან ბედი. აქ სჩანს სიყვარულის ძალა და მეგობრობის წმინდა გრძნობა, რასაც ადამიანის ორპირობა და ვერაგობა ვერ უშკლავდება.

ყველაფერზე მაღლა კი მაინც მშობელი ერის კეთილდღეობა დგას, რამაც პოეტს ათქმევინა:

მაგრამ სიკვდილი თუ არ ავცდება — სამშობლოსათვის გიჯობს სიკვდილი.

სწორედ ამის გამო ეუბნება მარგველის დედის აჩრდილი შვილს:

თქვენ სხვაც გყავთ დედა, მან გზარდათ უბათ,

სწოდით სამშობლოს ლამაზ ძძულებს, ძძულებს ატყენს მას თქვენი ჩხუბი, სამშობლოს ცუდ დროს დააუძლურებთ!

ქემშარიტი პოეზიის მაღლით არის აღბეჭდილი პოემის ოცდამეათე თავი, რომელშიც მოცემულია ბრძოლის სურათი. ბევრა ბატალური სცენა ახსოვს როგორც ლიტერატურას, ისე ფერწერას, მაგრამ იშვიათად გამოირჩევა მათგან ისეთი, რომელიც წარმომსახველ საშუალებათა ესოდენი სიძუნწი იწვევს ნამდვილი შექიღების მძაფრ განცდას. ეს სიმბეჭდავი სურათი სულ რვა სტროფშია მოცემული და მაინც დაუეწიყარი ხდება.

პოემა „გიორგი მეექვსე“ შეიქმნა იმ დროს, როცა ფაშისტთა ურდოები ღრმად იყვნენ შემოჭრილი ჩვენს მიწა-წყალზე. საჭირო იყო მთელი ძალების დარაზნვა, ზღაპრული გამძლეობა და თავგანწირვა, რათა აგრესორისაგან გვეხსნა სამშობლო. ასეთ რთულ ვითარებაში ისტორიულ თემაზე აგებული პოემა უაღრესად თანამედროვე ნაწარმოებად იქცა, რომელმაც კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი სახელოვანი მეომრების, მთლი საბჭოთა ხალხის ვაჟკაცური შემართება ფაშისტთან სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

პოემაში მოწოდების შემახილად გაისმის ჩვენი გმირი წინაპრების ხმა:

მტერს აღარ მისცეთ კარგა მამული,

არ შემოუშვათ კართან მომდგარი!

ჩვენებრ გმირობას გოხოვთ საქართველო,

ამაზე დიდი არის დიდება?!

მტერმა სამშობლო რომ გადათელოს,

საფლაოში ფერფლიც აგვიტარდება!

აქ ნათლად ჩანს, სად არის ფესვები იმ საოცარი გმირობისა შრომასა თუ ბრძოლაში. რომელიც ახასიათებს ჩვენს თანამედროვე საბჭოთა ადამიანს. ამ გზით და მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ისტორიის ამეტყველება თანადროულობის ენაზე.

*

„ძლევის ქელი“ ლირიკული პოემა სამამულო ომის თემაზე. მასში მკაფიოდ ჩანს მწერლის დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, მისი ღრმად შეტრა სინამდვილის არსში, გრიგოლ აბაშიძე აქაც ერთგული რჩება პოეზიის მოქალაქეობრივი პათოსისა —

ჩემი გულისთქმა, ჩემი ფიქრები,

ჩემი სამშობლოს შევლა იქნება!

ამიტომ დადგა მთელი ჩვენი ქვეყანა სამშობლოს გადასარჩენად. ამიტომ აბრუნდებინა პირი კავკასიონის კლდეკარიდან მტერს ჩვენმა გმირულმა ლაშქარმა, რომლის უძლეველობა პოეტს მოცემული აქვს ქართველი მეომრის გიორგის სახით. გიორგი ბევრჯერ დაიჭრა ტყვიით, მაგრამ მისი მოკვლა მტერმა ვერ შეძლო. იგი მოგვაგონებს „მყინვარებს მარად-ვით მიუწვდომელ კაცთა ოცნებას“.

ეროვნული
განმათავისებელი

იღვა გმირი, როგორც მუხა,
ფესვმტაცე და ტოტებსრული —
საქართველოს მეომარი —
უკვდავება ხორცმესხმული!

ამ პოემის წარმატების საიდუმლო ის არის,
რომ ნაწარმოების მთავარი გმირი ისეთი მხა-
ტრული სახეა, რომელიც თავისი არსებით
ახალი ეპოქის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი
ხორცთაგანია. ამით არის მიღწეული დიდი
დამაჯერებლობა და შემოქმედების სიმართლე.

*

სამამულო ომის ფრონტებზე სამი წლის
ბრძოლის შემდეგ შშობლიურ სოფელს უბრუნ-
დება საბჭოთა ჯარისკაცი გოლეთიანი. ოდეს-
ღაც შრომის ბარაქით ვალდებული სოფელი
ნაპარტახალს ჰგავდა. სინუნელ და სიჩუმე სუ-
ფედა ირგვლივ. ახლებს შაში მორეოდა, ხო-
ლო ბილიკი და შარა ბალახს დეფარა.

ასეთი სურათია დახატული გრიგოლ აბაში-
ძის პოემა „ზარზმის ზმანების“ დასაწყისშივე:

დგას ჯარისკაცი ბევრის მწახველი,
სახეზე ადევს ფერი ნაღვლის...
რამდენი ასოვს მტრების კოლშვილი
ბუდე აყრილი, სახლკარმოშლილი...
მაგრამ საკუთარ სახლში მოსული
იღვა დუმლით გარემოცული.

შინ დაბრუნებულ ჯარისკაცს გონი წყარით.
მან წამოშლილ მწარე ფიქრებს თავი ვერ და-
აღწია, ფეხზე ძლივს იღვა გაოგნებული, რად-
გან

ირგვლივ ყოველი ჰგავდა ჩვენებას,
ნეთუ სიცოცხლე გაქრა სრულიად,
აქ რა უნდოდა გადაშენებას?
აქ გერმანელებს არ გაუვლიათ!

ერთადერთი ცოცხალი არსება იპოვნა გოლე-
თიანმა მთელ სოფელში — წელში მოხრილი
თეთრწვერა მოხუცი, რომლისგანაც შეიტყო,
რომ სამი ბებერი კაცის გარდა ყველანი ჯაგა-
ხეთს გადასახლდნენ. მოხუცმა მასპინძელმა ვერ
იცნო გოლეთიანი, რადგან მის დედას სევას-
ტოპოლთან ფრონტზე შვილის დაღუპვის ცნო-
ბა მიეღო, ყირიმში წასულიყო მის ჩამოსასვენ-
ებლად და ახალ საცხოვრებელ ადგილას —
ზარზმაში დავსაფლავებინა. როცა ომგადახდი-
ლი გოლეთიანი შესხეთს ჩავიდა, კვლავ მოეს-
მა საქართველოს ძველისძველ მიწაწყალზე
ქართული ენა, რომლითაც მასვე ჰგოდებდნენ
დედა და ცოლი. მაგრამ როცა იგი კვლავ ცოც-
ხალი იხილეს, სიხარულით ცაის ეწია ოჯახი.
ღრეობის გადახდის შემდეგ დასაძინებლად
დაწვეწენ. დედამ ძილში საოცარი სიზმარი ნახა:
გადაბუგული უღამბო, ყუმბარებით გადათხრი-
ლი მიწა, საკირის ცეცხლში აღმართული ზარ-

ზმის მსგავსი ტაძარი, იქვე ახლად
საფლავი, შიგ მისი ვაეი — მტრისგან ხმლით
აქუწული, ძუძუსთავთან კუნძულივით ამო-
ბურტული ჭრილობა, რომელსაც მაიცოცლებ-
ლად დედის ცრემლები დაედინა. უცებ დედის
წინ წამოიძარბა ცოცხალი შვილის ლანდი.
მიხვდა, რომ უცხო ვეჟაკს გლოვობდა და
საფლავს ზურგი შეებრუნა. მყისვე მოესმა
გულის შემქრელი ღაღაღა:

„აქ რად მოგყავდი, აქ რად მმარხავდი,
თუ დამტოვებდი ბოლოს უცრემლოდ!“

მძინარე დედას ახლა სხვა ზმანება აეკვიტა:
როგორც ორი წლის წინათ, იგი კვლავ სევას-
ტოპოლთან მოხვდა. საფლავთან მტირალი ქალი
ზის და ცარიელ ორმის ჩამშტერებია — დაე-
ძებს მასში დამარხულ შვილს. ეს ხომ ის სა-
მარეა, ორი წლის წინათ გოლეთიანის დედამ
რომ გადათხარა და იქიდან თითქოს თავისი
შვილის ცხედარი წაასვენა. მაშინ რა იცოდა,
თუ საკუთარი შვილი ცოცხალი იყო და მკედარს
ნამდვილი დედა დაუეარგა. შეშფოთდა გოლე-
თიანის დედა — რით გამოისყიდოს უცხო დე-
დის წინაშე თავისი უნებლიე დანაშაული?
მტირალი ქალი შეევედრება გოლეთიანის დე-
დას:

„შენც შვილის დედა იქნები ალბათ...
უქირისუფლო თუ ნახო მკედარი, —
ცრემლის დაფრქვევა არ დაიზარო...“

ამ ზმანების შემდეგ გოლეთიანის დედამ
საკუთარ შვილად მიიჩნია უცხო ვეჟაკის
ცხედარი, რძალმა — მასლად, ხოლო გოლე-
თიანმა — დეიძლ ქვად. დედა

გამოიჭრება ოდიდან ცივად
და როგორც გუშინ, და როგორც წინათ,
ტაძრის ეზოში შედის მწუხარე
და ცივ საფლავზე ხელსალა ბრწყინავს
ცის ნამათს ერთად დედის მღულარე!

დიდი აღმანიერი ტრაგედიაა ამ პოემაში
დახატული, რომელიც ომის საშინელებამ წარ-
მოშვა. პოეტმა ღრმად გვეპოზიონინა შშობე-
ლი დედის კეთილშობილება, მისი სულიერი
სიმდიდრე და სიღამაზე, წმინდა ცრემლებად
დაფრქვეული მოსიყვარულე გულის სათნოება.
მაგრამ ეს ცრემლები სასომიხდილ წუწუნად
როდეს გაისინა. ნაწარმოების პათოსი სწორედ
მის ოპტიმისტურ, განწყობილებამაა. ხალხის
სიმტკიცემ, მისმა უძლიერმა შემართებამ კვლავ
ააყვავა შშობლიური მიწა, ბარაქით აავსო ქვე-
ყანა, იმედი და სიხარული დაამკვიდრა მშვი-
დობიანი ცის ქვეშ:

ვაშლის ხეების თეთრი მტევნები
ცად აფრქვეულა, ვით შადრევენები.
ყაყაჩომ წითლად თავი იჩინა,



ატმის ყვავილებს ასდის აღმურ, ზარზმამი ბავშვებს გააქვთ ყოფნა, ისმის სიმღერა და ქრიაშული.

ქართულ პოეტურ ეპოსს მდიდარი ტრადიციები აქვს. ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსებმა შედევრები შექმნეს ამ ქანრში. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამიტომ ილიას, აკაკისა და ვაჟას დასახელება საქართველოს იმის ნათელსაყოფად, თუ რა მწვერვალზე იქნა აყვანილი პოემის, როგორც მწერლობის დღემწიშვენილი დარგის განვითარება.

გრიგოლ აბაშიძე ამ ტრადიციების ერთგული მემკვიდრეა. მისი პოემები როდი წარმოადგენენ დამშვიდებულ, აუღელვებელ თხრობას. ისინი გამოირჩევიან დიდი მგზნებარებით, მხატვრული პათოსით, მოვლენების დინამიური განვითარებით. მათში ჩანს პოეტის გარკვეული ტენდენცია, მისი ურთიერთობა წარმოსახულ მოვლენასთან, ნაწარმოების გმირთან, ამ გმირის იდეურ სამყაროსთან, მის ადამიანურ განცდებთან, მორალურ-ეთიკურ ნორმებთან.

აბაში ნათლად ვრწმუნდებით, მაგალითად, როცა ვეცნობით, თუ რა ოსტატობით აქვს პოეტს დახატული გიორგი მეფის დამოკიდებულება გვარამ მარგველთან, გვარამისა და ნათიას სიყვარული, დედათა ტაძარში დატრიალებული შემპარწუნებელი ტრაგედია, გვარამის მაღალი მორალური თვისებები... კაცკასიონთან ჩვენი მეომრების თავგანწირული გმირობა... ქართველი ღედის კეთილშობილური ბუნება, ზურგისა და ფრონტის ურღვევი ერთანობა, ბატალური სცენების დინამიურობა და სხვა მრავალი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მწერლის მიერ ხასიათების, მხატვრული სახეების დამაჯერებელი ტიპიზაცია. ღრმად იჭრება მკითხველის, მესხიერებამდე გრიგოლ აბაშიძის პოემების გმირთა ინდივიდუალური თავისებურებანი, თვითველი მხატვრული სახის გამოკვეთილი სიმძაფრე, ყოველი ხასიათის თვითყოფი ბუნება.

გრიგოლ აბაშიძის პოემის გმირები დიდი ვანცდების ადამიანები არიან. მათი წუხილი და სიხარული ხალხის ბედთან, რეალურ სინამდვილესთან არის დაკავშირებული. პოეტის ეპიური ტილოები განაგრძობენ და ამდიდრებენ ქართული კლასიკური ლიტერატურის კარგ ტრადიციებს, რომელთათვისაც უცხო იყო რიტორულობა და სქემატიზმი.

რომანი „ლაშარელა“ გრიგოლ აბაშიძის პირველი პროზაული ნაწარმოებია. მის გამოთავის დროზე აზრთა დიდი სხვადასხვაობა

წარმოიშვა. უმრავლესობამ ეს რომანი სუსტ ნაწარმოებად მიიჩნია. შედარებით მცირე ნაწილმა მისში დაინახა ბევრი კარგი მხარე და გამოესარჩლა პოეტის პირველ პროზაულ ნაწარმოებს.

რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა იმის არდანახა, რაც კი კარგი და დადებითია „ლაშარელაში“, ხოლო ასევე შეცდომა იქნებოდა უკრიტიკოდ მიღება ყველაფრისა.

რომანი ეხება საქართველოს ისტორიის იმ პერიოდს, როცა თამარ მეფის ეპოქა მიიწურა და ცენტრალიზებული მმართველობის საფუძვლები შეირყა, როცა ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს რღვევის პროცესი გარყვნილად ჯერ კიდევ თითქოს შეუშინეველი იყო, მაგრამ მისა პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების დაკნინება უკვე დაიწყო და თავი იჩინა მსხვილ ფეოდალურ ერთეულთა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვამ.

ნებიერობაში აღზრდილი, უნებისყოფო გიორგი ლაშა არ იყო ის მეფე, რომელიც შეძლებდა განეგრძობ დაეითისა და თამარის მიერ გაყვალული დიდი სახელმწიფოებრივი გზა და დაეთრგუნა ვასალური დამოკიდებულებიდან თავი დასხნის მოსურნე, მომპლავრებელი ფეოდალური არისტოკრატია, რომელც, მცირე გამონაკლისის გარდა, სარგებლობდა მეფის სუსტი ხასიათით, უშაღლესი სასულიერო ხელისუფლების მხარაქებით და ისურაფვოდა პირადი განდიდებისაკენ. მათ გააბატონეს ავხორცომა და ანგარება. მხოლოდ ხალხი, ისტორიის ნამდვილი შემოქმედი და მისი მთავარი გმირი რჩებოდა ბოლომდე სამშობლოს ერთგული, ქვეყნის დოვლათის შემქმნელი, მისი ღირსებისა და ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლი. მწერალმაც ასე დავუხატა იგი — როგორც სიმართლისა და პატრიოტიზმის, თავგანწირვისა და ეუყაცობის ნათელი განსახიერება.

თამარ მეფის მომდევნო პერიოდის, გიორგი ლაშას მეფობის შესახებ ძალზე მცირე ისტორიული მასალა არსებობს. იგი ქრონიკალური ხასიათისა და არ იძლევა ფართო წარმოდგენას. „ქართლის ცხოვრებიდან“ გტყობილობთ მხოლოდ, რომ „თორმეტისა წლისა იყო, ოდეს მეფედ დაჯდა ნერგი კეთილმოზარდი და ყუაყვილი ყოველთა ფერთაგან შემკობილი, ლომი ძალითა და უშანყო გონებითა, მოყუარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, მთავართა მათთა პატივითა, მონახონთა და მღვდელთა მათთა პატივითა, მშვიდი და განურისხვებელი ბუნებითა, შვიდთა სამეფოთა მეფე მონისცა ერთისა მთარახისა არა მკვრელი, მშვილდოსანი და ცხენოსანი გულოვანი და შემმართებელი, რომელ მისითა მკლავითა ომნი დასხნა და



გარდაიხანდა სიმკროსავე შინა სწორნი დავით პაპის-პაპისა მისისანი. ბედნიერი ლაშქრობითა, ბედნიერი ქვეყანისა ნაყოფთა მოსლეისათვის; დაპირებულთა განმკითხველი, ბუმე და მოსამართლე, დამხედვარი მეტად ჟამისა და ასაკისა მისისა“.

ხოლო გიორგი ლაშას ასეთი დახასიათების შემდეგ მემბტიანე დაახლოებით ამავე მოცულობის ტექსტში აგვიწერს, თუ რა ბრძოლები გადაიხადა ლაშამ, ვინ დაამარცხა და რა ადგილები შემოიმტკიცა.

მდიდარი ფანტაზია და მხატვრული განზოგადების დიდი უნარი მოეთხოვებოდა მწერალს, რომ ესოდენ მცირე მასალის საფუძველზე შექმნა ისტორიული რომანი.

ბრიგოლ აბაშიძემ ეს ამოცანა, როგორც იტყვიან, ძირითადად პირნათლად შეასრულა. რომანის ბევრი ადგილი ნამდვილი პოეტური გზნებით არის გამთბარი. მშრალი ისტორიული ქრონიკა შევსებულია მწერლის მიერ შეთხზული რომანტიკული ეპიზოდებით, ყოფითი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მართალი სურათებით. დამაჯერებლად არის გაშუქებული ლაშას სამეფო კარზე შექმნილი რთული სახელმწიფო პოლიტიკის საკითხები. „ლაშარელაში“ მოცემული ისტორიული ფაქტები განხილულია თანამედროვეობის მოწინავე იდეების თვალსაზრისით. მწერალს კარგად აქვს ჩამოყალიბებული სამეფო პოლიტიკისა და სოციალური განვითარების ურთიერთდამოკიდებულება, პიროვნულისა და სახელმწიფო ინტერესების დაპირისპირება.

„ლაშარელა“ პოლიფონიური მხატვრული ტილოა, რაც გამოიხატა მესში წამოკრილი საკითხების მრავალმხრივობით, ხასიათების სირთულით, მოვლენების მდიდარი ტიპიზაციით, მხატვრული სახეების სიუხვით.

მიუხედავად ამ ღირსებებისა, რომანს გააჩნია ხარვეზებიც, უფერული, ნაჩქარევად შესრულებული პასაჟები, ზოგჯერ იგრძნობა ნატურალისტური ეფექტებით გატაცება.

მთავარი ნაკლი, რაც „ლაშარელას“ ახასიათებს, როგორც მხატვრულ ტილოს, მშრალი მსჯელობის ტონია, რომლითაც ავტორი ზოგჯერ ესაუბრება მკითხველს ამა თუ იმ ისტორიული ამბის შესახებ.

შეიძლება ეს გარემოება იმიტად იყოს გამოწვეული, რომ „ლაშარელა“ რთული და მრავალპლანური მხატვრული ტილოა. იგი ტეხება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მძიმე პერიოდს, როცა ქვეყნის შინაგანი ვითარება ულარესად დაიძაბა, ხოლო მისი გარემოცვა განიცდიდა მნიშვნელოვან კატაკლიზმებს. ხოლო ყოველთვის როდი არის ხელმისაწვდომი მწერლისათვის მხატვრულობის ხარისხში აყვანოს მკაცრი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სინამდვილა.

ზოგჯერ ყოფაცხოვრებითი მომენტებიც მოკლებულია დამაჯერებლობას. ასეთია, მაგალითად, ლაშას გამიჯნურება მეკუბოვე ჰამადავლეს ცოლთან — ლამაზ ხათუნისთან, და ის გარემოცვა, რომელშიც მწერალი მეფეს აყენებს.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ლაშა განთქმული იყო თავისი დარღვიანობით, დროსტარებითა და ქალებისადმი თავშეუკავებლობით, მაინც ძნელი დასაჯერებელია მისი ასე ამჩაბება.

ან კიდევ ასეთი ადგილი: ჩაეძინათ აღერსით დაღლილ მიჯნურებს. მათი საწოლის კარში კლიტე აჩხარუნდა. კოჭლი ჰამადავლეს სივაჭრო სახლის გამგე და ნოქარი აპირებდნენ შემოსვლას კუბოს მუშტართან ერთად. მეფე ოთახში აყუდებულ კუბოს თავს ამოეფარა. კუბოს თავი პატარა ზომისა აღმოჩნდა, ლაშა მოიკრუნჩხა, მაგრამ მაინც ვერ ჩაეტიო. ახლა მეორე კუთხეში აყუდებულ უზარმაზარ კუბოს თავს შეეფარა. აქ მეფეს რაღაც ახირებული აზრები მოსდის თავში. ბავშვივით ეცუნება. შემოსულნი სწორედ იმ კუბოს თავს მიაღვანეს, სადაც ლაშა იყო დამალული. ხმაურზე ხათუნს გაელეძია და თავხედები ოთახიდან გარეკა.

შემდეგ:

„უცებ კუბოს თავიდან რაღაც შეირხა.

შეშინებულმა მეფის მიჯნურმა დაფეთებული თვალბით გაიხედა.

კუბოს თავი ისევ შეტორტმანდა, მერე დაიძრა და ხათუნს წამით ისე მოეჩვენა, თითქოს ეს უზარმაზარი კუბოს თავი მისკენ წამოვიდა

— ვაიმე! — შეჰკვილა ხათუნმა და კუბოს თავმა იატაკზე მოადინა ბრახვანი.

მეფე სამალაიდან სიცილით გამოვიდა, მაგრამ ლოგინზე გადაქცეულ ქალს რომ შეხედა, დაიბნა და დიმილი ტრჩუნ შეაცივდა“.

აქ ყველაფერი რამდენადმე არაბუნებრივია, დაუკერებელი და გამოთიშული ნაწარმოების საერთო სტილიდან და განწყობილებიდან.

იგივე უნდა ვთქვათ რომანის იმ ადგილის შესახებ, სადაც აღწერილია რუსულდანისა და ლუხემ მიგრიალის შეხვედრა აბახოში. აქ ყველაფერი ნატურალისტურია, რაც ასუსტებს ნაწარმოების მხატვრულ ხარისხს და აქვეითებს მის ღონეს.

მაგრამ ის მკაცრი თავდასხმა, რაც გრიგოლ აბაშიძის ამ რომანმა განიცადა გამოქვეყნებისთანავე, მთლიანად არ შეესაბამებოდა მარქსისტული ანალიზის პრინციპებს. ეს პრინციპები დაირღვა იმიტომ, რომ ნაწარმოების განხილვისას უმთავრესად გამოყენებული იყო დოგმატური ხსენების დებულებები, რაც პროკრუსტეს სარტყელს უფრო ემსგავსებოდა, ვიდრე პრინციპულ და ობიექტურ კრიტიკულ გარჩევას. ამის გამო „ლაშარელა“ მიჩნეული იქნა ჯანსაღი ესთეტიკური გემოვნების შეზღავნადაც კი.

რა თქმა უნდა, ამგვარი მიყრდნობული დამოკიდებულება ისეთი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებისადმი, როგორც არის „ლაშარელა“, არ შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად. საგრძნობი წვლილი ამ საქმეში იმასაც მიუძღვის, რომ რომანი ისტორიულ თემაზეა აგებული, რასაც ზოგიერთი ჩვენი თანამედროვე აღმავლად უცქერის. ზედმეტი არ იქნებოდა, თუ მათ მოეფარებოდნენ ბელინსკის შეხედულებას ამ საკითხზე: როცა 1834 წელს გამოცემულ წიგნაკში — „ბიბლიოტეკა დღია ჩტენია“ — სენკოვსკიმ განაცხადა, რომ ისტორიული რომანი არის უსიცოცხლო ფორმა, ვინაიდან იგი „უკანონო“ ბეშეია, „მაცდუნებელი მრუშობის ნაყოფია ისტორიისა წარმოსახვასთან“, ბელინსკიმ დაწერა მის საპასუხოდ: „...შეზღუდულ ადამიანებს არაფრით არ შეუძლიათ, თავიანთ მშრალ და ვიწრო შეგნებაში, შეავლენ ერთმანეთთან ფანტაზიის თავისუფალი მონაგონი და ისტორიული სინამდვილე. და ზოგიერთი მათგანი, უცილობისათვის დამახასიათებელი გულმართლობით, ხმამაღლა, ყველას გასაგონად, დასცინის ისტორიულ რომანს, როგორც სისულელეს, რომელიც შეუტაცხოფს ჯანსაღ აზრს და ჩრდილს აყენებს შორტანდიელი რომანისტიკის გენიის დიდებას... ვალტერ სკოტის გენიის მთელი სიდიადე კი

სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი იყო საუკუნის ორდანი და წინასწარმეტყველი, რომელმაც ხელოვნებას ისტორიული მიმართულება მისცა“.

ამიტომ არა გვეგონია, რომ ისტორიულ თემაზე აგებული მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც ავტორი თანადროულობის თვალსაზრისით განიხილავს მოვლენებს, გაიციქვას იმსახურებდეს.

„ლაშარელას“ ავტორი ძლიერი ფეოდალურ-საქართველოს შვის ჩასვლის დასაწყისის წიგნს უწოდებს თავის რომანს. იგი გვიპრდება, რომ ნაწარმოების გმირებს — თორელებსა და მხარგრძელს, რუსულდანსა და ჯალალედინს კვლავ შეგვხვედრებს ახალ წიგნში, რომელსაც „თამთას“ დაქმევას უპირებს.

შეითხველი ინტერესით მოელის ამ დანაპირების შესრულებას.

გრიგოლ აბაშიძემ მსოფლიო კლასიკური მწერლობის ბევრი საყურადღებო ნაწარმოებით გაამდიდრა ქართული თარგმნითი ლიტერატურა. მას ეკუთვნის შინალო პეტრესის პოეზიის ნიმუშების ჩინებული თარგმანი და სხვ.

პოეტმა რამდენიმე კარგი დრამატული ნაწარმოები შესძინა ჩვენი თეატრების ეროვნულ რეპერტუარს.

მან აგრეთვე საგრძნობი წვლილი შეიტანა ქართული საბავშვო პოეზიის განვითარებაში.

მაგრამ ყოველივე ეს ცალკე მიმოხილვის საგანია.

ერთი რამ ამთავითვე შეიძლება დარწმუნებით ითქვას: გრიგოლ აბაშიძის მხატვრული შემოქმედება, რომელიც ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში იღებს სათავეს, მზარს უსწორებს ამ მღელვარე ეპოქის დიად მოვლენებს. მისი პოეზია გულითადად ეხმარება ყველაფერს, რაც კი ცხოვრებისეული და მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი თვალსაზრისით, რაც ხელს უწყობს პროგრესს, სინამდვილის აღმავლობას თანადროულობის მოწინავე იდეების საფუძველზე. ეს პოეზია განათებულია სოციალური ოპტიმიზმით, ცხოვრების დამაყვებელი აზრით, მორალურ-აღმზრდელობით პრინციპებით და ემსახურება ახალი სამყაროს მშენებელი საბჭოთა ადამიანის სულიერი გამდიდრების დიად ამოცანას.



პედიკი

გიორგი ნატროშვილის მოთხრობები

პირველად ვწერ ასეთ წერილს და შესაძლოა ეს სამაჟლობელი იყოს იმ სიაშვნებისათვის, რაც გიორგი ნატროშვილის მოთხრობებმა განმაცდევინა. ცხადია, კრიტიკოსი სხვანაირად აგვებდა სტატიას — დაწერილებით, ცალ-ცალკე განიხილავდა კრებულში მოთავსებულ ყველა მოთხრობას, გაუსიხვედა იდეურ ხერხემალს, ოსტატობას, მერე საერთო დასკვნებს გამოიტანდა.

მე რიგითი მკითხველის შთაბეჭდილებანი მინდა გავიზიაროთ და ასე დავიწყებ:

ეს ქეშმარიტად პოეტური მოთხრობებია: თემატური სიახლე, მძაფრი სიუჟეტი, ლაღი და ძარღვიანი ენა.

არც ენა გამოგონილი მოთხრობა, ქეშმარიტად არც ერთი!

ბევრი ადგილი, რომელიც გიორგი ნატროშვილის მოთხრობებშია აღწერილი, მე დამიჯლია, მაგრამ ამ მოთხრობებმა ის ადგილები სხვანაირის სიცხოველით გააცოცხლეს ჩემში და უფრო ცხადად წარმომესახა ხან მზეში მთვლემარე, ხან თეთრი, გაკრეცილი ნისლით დაფარული უქიდეგანო შირაქის ველი, ამაყად აღმართილი ლეკისა და მათუშეთის მთები, ალაზნისა და ივრის ნაპირები. მოთხრობების კითხვისას თითქოს შენც იმ მწყემსებთან ერთად მიბოტებ ივრის საძოვრებზე, წამოვა წვიმა, ხველდები, ნაბაღს მოიხურავ, მიღიხარ და არ ილღები.

მომეტებულად შეგაყვარა თავისი მშობლიური კუთხის ტყე-ველი, მთები და ქედები, მდინარეები და მიხვეულ-მოხვეული გზები.

ათიათასჯერ აღწერილ კახეთის ბუნებაში ახალი მხატვრის თვალმა შეიხიდა.

მაგრამ უმთავრესი, როგორც ყოველი ქეშმარიტი მწერლის შემოქმედებაში, ამ მოთხრობებში აღამიანია. აღამიანი თავისი ტკივილებითა და სიხარულით, ხან გამარჯვების მწვერვალზე ლაღად შემდგარი, ხან კი დამარცხების უფსკრულში ჩაჩხილი.

აღამიანი თავისი ნათელითა და ბნელით... და ამ აღამიანებში ბევრია შრომისმოყვარე, უშიშარი მტერთან ბრძოლაში, კეთილი და სათნო, მაგრამ ცხოვრების ფართო შარა-გზაზე ხშირად გვხვდებიან ხარბნი და შურიანი, ცუდლტენი მოძალადენი და კაცთმოძღუნნი. ყველა მათ კარგად იცნობს გიორგი ნატროშვილი, იგი არ ტყუენდება მათი ხასიათების ხატვისას და ფე-

რებს შესანიშნავი ზომიერებით ხარჯავს. გიორგი ნატროშვილმა ცხოვრების რთულს და მდიდარი გზა გაიარა: იგი კომკავშირში მანინ შევიდა, როცა ახალგაზრდობა შიშველი ხელებით ებრძოდა ქრისტესს, ხოლო სოფლის ბოზოლები და ბნელი ძალები ამ ახალგაზრდებს კუდიანებად და ქინკებად ნათლადნენ მერე თვითონ ლებულობდა უშუალო მონაწილეობას დიდ მოძრაობაში, რამაც სახე უტყალა ჩვენს სოფელს და ცნობიერება გადაუხალისა გლეხკაცს.

უნივერსიტეტი. სტუდენტობის წლები. მე-შაობა „ახალგაზრდა კომუნისტში“. მორიდებულად კარის შეღება ქართულ მწერლობაში — წერილები და გამოკვლევანი. მერე საოცარი ომის ქარტეხილი... გაპარჯებული და ნაჭრილობევი დაუბრუნდა გიორგი ნატროშვილი ოჯახსა და ქართულ მწერლობას.

და ჩვენ მალე ვიგრძენით, გიორგი ნატროშვილი სამამულო ომის ფრონტებზე იყო, როგორც მეომარი და როგორც მწერალი: სანჯარში, ფრონტის წინახაზზე, მტრის ხურგში ალყა-შემორტყმული, დაქრილი და თოვლში ჩაფლული, მერე კი რაღაც სასწაულით პოსიტიკას შეხიზნული წერდა... წერდა არა ქაღალდზე და უბის წიგანში, არამედ გულში, და უშუალოდ განცდილი და ნანახი პატარა-პატარა მოთხრობებში გაგვიშხა...

და, იმ პატარა მოთხრობებში მკითხველმა შეიცნო მწერლის მახვილი თვალი და დიდი სულიერი ტკივილები. ფაშისტი ბარბაროსების სიშლეგი, მუხანათობა და ავხორცობა, გაპარტახებული და მიწისგან აღგვილი ქალაქები და სტანიცები... იმ პატარა მოთხრობებიდან შემოგვესმა თოვლსა და ტლახში მისოყრლი დასახიჩრებული ბავშვების კენსა; გამწარებული დედების წვილ-კვილი, იმედგაწყვეტილი მოხუცთა გოდება; იმ მოთხრობებმა ნათლად დაგვანახა ჩვენი მეომრების უმაგალითო შებრთება და ჩვენი ხალხის სულის გაუტეხლობა.

ამიტომაც შემორჩათ ცხოველმყოფელობა გიორგი ნატროშვილის ომისდროინდელ მოთხრობებს... თორემ ომის წლებში და შემდეგაც ბევრი მოთხრობა და „ფართო ტილოც“ დაიწერა სამამულო ომზე, მაგრამ მათი უმრავლესობა საპნის ბუშტივით გაქჭრა.

როდესაც „უღარდელი კაცის სიკვდილი“ ხელახლა გადავიკითხე, ძალუენებურად ჩიენი



სტუდენტობის წლები გამახსენდა. გიორგი ნატროშვილი, დმიტრი ბენაშვილი და მე ვაზაფხულობით მამადავითის ხშირი სტუმრები ვიყავით. აქ, ბუნების წიაღსა და სიმყუდროვეში გამზადდებით სავსებში. როცა „სავალდებულო საქმეებს“ მოვითავებდით, ავმალდებოდით რომელიმე ბორცვზე და დედქალაქს დავცქეროდით. გიორგი ნელნელა გარე-კახეთისკენ გააცურებდა თვალს, გაირინდებოდა, მერე — თითქოს სანიშნეს მიაგნო, ხელს ვაიშვერდა:

— აი, იქ მალდა სიონია, ცოტა მოშორებით უჯარმა, დაბლა კი ივრის ქალბებია და იორი მიედინება. საგარეჯოს იქით პატარა ქედია, ავერჩანს კიდეცა, ვადახვალ იმ ქედს და შიდა კახეთს მიადგები. ვა პირდაპირ ჩემს სოფელში მიდის... სოფელში ერთი მეზობელი მყავს... და წერილად მოკყევბოდა კეთილი, კვიპატრ და უცნაური მეზობლის ამბავს... და გიორგისთან ერთად თითქოს ჩვენც შევიცქეროდით იმ მეზობლის ეზო-კარს, გვესმოდა მისი მოსწრებელი სიტყვა-პასუხი, განგებხის ჩახველება და ქირქილიც. — და ჩვენც ვხარხარებდით.

თითქმის ყოველთვის ვკვიყებოდა რაიმე უცნაურ ამბავს, თავიდანვე მთხრობელი და ბელეტრისტი იყო, მაგრამ რატომღაც შორიდან მოუარა.

•
წიგნიდან სანიშნულად ერთი მოთხრობა განვიხილოთ:

„ისევ ვაზაფხული იყო იორზე“.
ეს არის ადამიანისადმი, სიცოცხლისადმი დაუშრეტელი სიყვარული, მოუსვენრობის, უბრაობისა და უწინარობისადმი სიძულვილის სიმფონია, მშობლიურისადმი გამოუღვეველი სიყვარულის აღადისი.
მოთხრობის თავფურცლიდანვე ცხოვრებაზე შეყვარებული და თან გულმოსული მოხუცი იორამი შემოგვანათებს.

... მზიანი დღეა და მწყემსები საძოვრებზე გაკრფილან. დაცარიელებულ ფარების ეზოში ფუსფუსებს ბერიკაცი და გულმოსული, გულმოსულია ყველაფერზე და ყველაზე, მომეტებულიად კი ბრიგადირზე, რომელმაც ოდესღაც უბაღლო სარქალსა და გამოცილილ ბინისთავს ქვეშეშეშად შეაბარა — უკვე დაბერებული ხარ და ვზათუკან წაწაღის თავი აღარა გაქვსო... მაგრამ ამ კეთილ და მოუსვენარ მოხუცს საზყარეობით ყოფნა რომ არ შეუძლია? მისი დავოცრული ხელები ისევ საქმეს ეტანება და მისი მუხლები თრიალეთის მთებზე ხეტიალს ლამობენ, — ეს ბიჭები-კი შემოუჩნდნენ — ჩვენთან ტორილას თავი ანებებ, ბიანს ამოაბვიყო. რები დაგვიცხვებ და ხინკას ამოაბვიყო.

ჰაი, დედასა, რას უბედავენ იორამს! ნუთუ ყველაფერი გათავდა?

აი, ახლაც, ივრის ზამთრის საძოვრებზე ვა-

მოზამთრეს ცხვარი, უკვე ვაზაფხულია და მალე აიყრებიან, ფარა და მწყემსები თრიალეთზე დაკვიდებენ და უკან, სოფელში გააბრუნებენ. — დაისვენე ბერიკაცი, მოასვენე შენი ბებერი ძვლები, და გულმოსულია იორამი მწყემსებზე, ბრიგადირზე, თავქვდომარეზე, წუთისოფელზე, იმ წლებს ემდურის, მუხლში და მკლავში ძალა რომ გამოულიეს, საღდაც წაიღეს იმის სიმარჯვე, თითქოს ამ ივრის წყალს გაატანესო“.

ფარების ეზოში დადებული მორიკ ჯიუტობს და ებრძვის, ზედაც არ იმჩნევს ბერიკაცის მიერ დარტყმულ ნაჯახს და აიფოფრება იორამი:

— „ჰაი, შე სატიალევ, შენა! დაბერდაო იორამი, არა? აი, თუ დაბერდა, ნახე, — და დაკრა ნაჯახი, — აი კიდე!“

წუთით შეჩერდა. ნაჯახის ტარი დაინაცვლა და იმ მორის მაგივრად თვითონვე უპასუხა თავის თავს:

— დაბერდი, მაშ რა? შენი თავი პატარა ხომ არ გგონია?“

ამ სიტყვების შემდეგ თითქოს ბედს უნდა შეურვიდეს იორამი: კეთილად გაამზავრებს ამ გაღალღებულ ბიჭებს თრიალეთზე, კაკლის ჩრდილში წამოწყება და მოგონებებში ჩაიძირება... მაგრამ ისევ ძლიერად დუქიხა ცხოვრებაში:

— „ივრის ხეობიდან გრილმა ნიავმა დაუქროლა, ავშნის მძაფრი, ქინძისებური, საკვირველად ნაცნობი სუნი სახეში შეაფრქვია ბერიკაცს. ეს ხომ თვითონ ივრის ტალღების სუნია, მიწის სუნთან შერეული. იორამი დაბნინდა იმ სუნმა, წინგოსფერ, დარდიან თვალგებში რაღაც შუქი ჩაუღვდა, ნაჯახი მიაგდო და წინ გაშლილ ივრის ქალებს ვახვდა“...

დაინახა ჩათმისა და ჩობან დღის მწყანე მთები, იმ მთებთან ახლოს მიედინება ქალებს ამოფარებული იორი და ეს სუნი იორამა მოიტანა იმ ავშნიანი მინდვრებიდან და ისევ აბუბუნდა იორამი:

— „შინ წაიდო... ვანა აქაც დაპზვრავს ეს ნიავი, ვანა აქაც მოიტანს ნეტარ სუნს ოლღუნისა და თრიმლისა, კოწახურისა და ფშატისა. არსად არ წავა, ფხსაც არ მოიცილოს“...

არა, ამ ზვევებსა და ივრის მინდვრებს ვერ გაეცლება იორამი, რადგან აქ ტრიალებს მიწის ის სუნი, რომელიც ბალნობიდანვე შერხრდა შენს სულსა და გულს, მიწის ეს სუნი არსებია შერწყმული, შენ კიდეც მასში, ერთ თესვად ქვეუღხართ და მათი დაცალკეება სიცოცხლის დასასრულს ნიშნავს.

მეობრულად, ბიჭებო, იორამი, ნუ განაშორებთ ამ მაცოცხლებელ მიწას!

და მაინც უცნაურად დატრიალდა ამ ბერიკაცის ცხოვრება: შეცდა იორამი. თბილისში



მცხოვრებმა შეიღმა იძალა და ქალაქში ვად-
მოაბარა. არაფერი აკლდა — ჩინებული ბინა,
კარგი მოვლა, რასაღვილი და შეილაშვილები.
მინც აფორიაქებული და უკმაყოფილო იყო,
დამეებს უძილოდ ათენებდა, მწყემსის ქონი,
საბატკენ და ფარები ელანდებოდა.

... „ძლიერ დახუტა თვალები და დილით
მინც ყველაზე ადრე გაიღვიძა. უტყირა, რო-
გორ გაიკრიფა ყველა თავის საქმეზე. მას კი
გული დაწყდა, რომ აღარსაით ექარებოდა და
ამ ქვეყნად ყველა საქმე მოთავებული ჰქონ-
და...“

საქმემოთავებულ კაცივით ვერ იცხოვრებდა
იორამი და შეიღს აუხინდება — ამხელა ქალაქ-
ში შესაფერი ადგილი მიშოვნეო და მოხუცი
სარქალი ფესხაცემლების ფაბრიკის კარებს
დაუღვდება დარაჯად. მერე? ამ მიღეთის
ხალხში ჯერ კიდევ ურევია ცუდლუბი და
ქურდბაცაცა და იორამმა სასამართლოში ამო-
ყო თავი.

პოი, სირცხვილო!

მაგრამ განა სიმართლე დაიკარგება? განა
ვერ გამოიციენს იორამის ალალი გული და სიწ-
მინდე? მაგრამ ეს ვერ გაახარებს იორამს; მას
ეშინია მისი ხვალისდელი დღისა: ისეე შინ
უნდა დაჯდეს და გულხელი დაიკრიფოს ამ
ქვეყნად საქმემოთავებულ კაცივით.

მწერალი გაუგებს სატყეიარს იორამს და
ისეე მიწასთან დააბრუნებს.

ამ რთულ ფსიქოლოგიურ პროცესს საოცარ-
ი უშუალობით გვისურათებს გიორგი ნატრო-
შვილი და ჩვენ ოდნავადაც არ გვეპარება ეჭვი
იმას, რომ მოხუცი სასამართლო დარბაზიდან
პირდაპირ სადგურს მიაშურებს და შეიღის
ოჯახში ცალი თვალითაც არ შეიხედავს.

მოთხრობაში სიზმრის ჩართვა იოლიცაა და
სახიფათოც, სიზმარმა ზღაპარივით იცის შეტყუ-
ება და ხშირად მოსაბეზრებელი ხდება მკითხ-
ველისათვის, გიორგი ნატროშვილი კი ყველგან,
და ამ მოთხრობაშიც უჩვეულო ზომიერებითა
და ოსტატურად ჩაურთავს ხოლმე სიზმარს.

სიზმარი ზერიკაცის ხმაშალი ფიქრია და
თავის გმირზე თავგამოდებით შეყვარებული
მწერალი ამ სიზმარშიაც იორამის ცხოვრების
ციცხლს სურათებს ხატავს.

რაკი სიზმარზე ჩამოვარდა სიტყვა, ცოტა-
ხნით ამ მოთხრობას შევეშებო და დავით
გურამიშვილის უცნაურ სიზმარს ვავიხსენებ.

სამშობლოდან შორს გადახვეწილი გურამი-
შვილის სიზმარი ფსიქოლოგიურად წინასწარ
შეამზადა მწერალმა: ქართველთა პოლკი, რუ-
სის ჯარებთან ერთად გაშვებებით იბრძვის ფი-
ნეთის ტყუდრებებში და სუომის ტბებს ეცილება
შევედებს, ხოლო მათ მშობლიურ მიწაწყალს —
ქართლს დროებით ურუმი გასცლია და სანაც-

ვლოდ ყიზილბაში დაპატრონებია, ავგისტოს
სიციხიან დღეს შევედების მიერ უკან დახევისას
გაჩენილ ხანძარს აქრობენ ქართველები ჰელ-
სინკში, — და მგოსნის გული გრძნობს და თუ-
კუნა ჰხედავს ასეთსავე ხანძარს ქართლის სოფ-
ლებსა და ბღ-ვენახეებში, ესახება მტრისგან
გადაჯვრული და დალაშქრული დედულ-მა-
მული.

გიორგი ნატროშვილი ჯერ ერთ ოთახში
შეპყრის კაპიტან ისე ციციშვილს, პორუჩიკ
ტიტე კარგარეთელს, ვახმისტრ დავით გურა-
მიშვილს და ფიქრებით საქართველოში გამოიხ-
მობს. სამივე ცალ-ცალკე სამშობლოს განთავი-
სუფლებასზე ოცნებობს და მერე მათ ფიქრებს
შეაერთებს და ალაპარაკებს მწერალი:

„დავითს ახლა კარგარეთელის აღგზნებული
ჩურჩული მოესმის:

— ბატონო კაპიტანო! არაფერი არ მენატ-
რება, არაფერი არ მინდა, ოღონდ ჩემი ესკად-
რონით ქართლზე გასწვრივად გამატარა...“

დააკვირდა — რა ძნელად განსახორციელები
და როგორი უშუალო და ბუნებრივი
სურვილი!

ამ ერთ ფრაზაში სამი გაწამებული ადამიანის
გულისთქმა შეაერთა მწერალმა და გურამი-
შვილს არ დააცლის სიტყვას, თვითონვე ჩაე-
რევა და ვილაცის ეკითხება: ეს კარგარეთელი
დავით გურამიშვილის გულში ხომ არ იჯდა,
საიდან და როგორ გამოიცინო გურამიშვილის
მუდმივი საფიქრალიო და მერე დავითს ათქმე-
ვინებს:

— „მართლაც რა იქნებოდა, ისე, მთელი
პოლკით რომ წავესულიყავით ქართლზე... ჰა,
რას იტყოდი?“

წამიერად ფრთებს შეასხამს დავითის სურ-
ვილს მწერალი, მაგრამ სიმამფრისათვის უმაღ-
ვე სინამდვილესთან შეაჯახებს:

„— დაიძინეთ, ძმებო, დაიძინეთ! მოესმის
მას კაპიტან ციციშვილის ხმა,—სანთელს ტყუ-
ილად ნუ სწავით იცით, სად ხართ? იცით, რა
შორსა ვართ წამოსულები? ქართლს აქედან
სიზმარშიაც ვერ დაინახავთ!“

მაგრამ მწერალი ამ მხარე სინამდვილეში ვერ
დატოვებს თავის გმირს, ომიდა და ფიქრებით
დადილს მიიძინებს და სანატრელ სიზმარს
დაასხმრებს: თავისი პოლკით გამოაქროლებს
საქართველოსაკენ და ჰელსინკიდან დარიალის
ვიწროებამდე გზა საოცრად მოკლე აღმოჩნდებ-
ა. ჰელსინკში იყენენ — ავგისტოს მიწურული
იყო, გადმოიარეს რუსეთის თვალუწვდენელ
ტრამალები, ლარსი ვადმოლანეს, დარიალის
კლდეები გამოიარეს, არაგვს დაუყვანენ, მუხ-
რანის ველსა და საგურამოს მოადგენენ და ისევე
აგისტოს! სიზმარში დაექედება გურამიშვილი,
მწერალი შეიშველება და უბრალოდ აუხ-
სნის — სამშობლოს სიყვარულმა იცის ასე.



მაღე გამოგატარებს უშორეს მანძილს, ყველაფერი ეს სინამდვილეო და უტყუარ საბუთად თავის იაბოსაც მოჰგვრის დავითს.

მერე კი მწერალი თვითონვე დაჰქვდება:

— „იყო კი ის დამე, როცა სუნჯასთან დაისვენეს?“

იყო! ნამდვილად იყო!

... მიწასა ჰკოცნიან და ტირიან... მაშ, ეტყობა ჩამოსულან საქართველოში...“

ჩამოვიდნენ, მაგრამ ქართლში სიციცხლე არ არის, ძეხორციელი გაწყვეტილა და დაცარიელებულ სოფლის გზაზე იმედად მწერალმა ხოქიქში გახვეული ყრმა ახოვინა დავითს, სადღაც შორს სანთელიც აანთო, კერა გააღვივა, გზა გაუკვლია ჩაუშქრალ კერამდე სამშობლოს საშუალებად ჰელსინკიდან ჩამოსულ გვირს.

— „ამ ობოლს მიმიხედეთ, ვაზარდეთ, — ჩურჩულებს დავითი და ვიღაც ქალი მას ხოქიქს ხელიდან ართმევს.

... ქალმა ჩვილს ძუძუ მისცა, როგორც ოდესღაც ლაზარემ პური მიაწოდა დავითს კალოზე...“

ლაზარეს მიერ მოწოდებულმა პურმა გადაარჩინა დავითი სიკვდილს, — ამ ჩვილ ყრმას აღზრდის ქართული დედა და ის განდევნის საქართველოდან ურუმსა და ყაიხილბაშს.

რანდული სიზმარია, ბუნებრივი და ტკბილი ოცნება, რომელსაც მხოლოდ შორეულ მომავალში ეწერა აღსრულება.

დადღაფების ხმაურში გამოელეძება დავითს და მის თვალწინ ისევ მწერა სინამდვილე აღმართება:

„თენღებოდა ნაცრისფერი დილა...“

ფანჯარაში ჩანდა მალალი კლდე და იქიდან ლუთერანთა ეკლესია ვადმოსცქეროდა მთელ ქალაქს.

რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხოთ, ყოველთვის ავალღვებთ ეს ნოველა-სიზმარი. თავისუფლად სტურავს მწერალი შორეულ წარსულის დეტალებში, ხორციელად გვაგრძობინებს ბედის უკუღმართობით სამშობლოდან ვადმომხვეწილ გმირთა ტკივილებს, გვათანაზიარებს მათ ოცნებებთან და ტანჯვასთან, ხოლო სამშობლოს სიშორით დასველიანებულ საფლავებს ჩასახსინ — აღსრულდა თქვენი საწადელიო.

თხრობაში ზღაპრის ჩართვა თავისებური ხერხია მწერლისა, თითქოს მოუცილებელი ფორმა გმირების სულიერი საწყაროს შეუცდენელი და სრული ამოკითხვისათვის.

ახლა ისევ იორამის ადგილის დედას დავუმრუნდეთ.

... როგორც იქნა გამოირდა ქალაქს და სო-

ფელში ჩამოვიდა, მაგრამ ისევ უძარბა და უქმად ყოფნა სტანჯავს, ისევ ივრის ჭალებსიკენ მიუსწრაფვის სული და თითქოს შეიბრალავს მწერალი — ალაზნის ბოლოზე გაუჩენს საქმეს, ეს ადგილები როგორღაც გვიან ივრის ნაპირებს და ეგებ როგორმე გულს მოეფონოსო, მაგრამ ადგილის დედა უფრო და უფრო ძლიერად ეძახის მოხუცს, თავადაც მისვე მიიღტვის მთელი არსებით, მაღულად განვირდება ალაზნის ბაღა-ბაღებს და სწორედ ზაფხულში, როცა ივრის ჭალები ცარიელ-ტარიელა და კაცის ჭკანება არ არის, იორამი თავის საყვარელ სამყოფელს დაუბრუნდება.

... „ბერიკაცმა შემოდგომის მზებზე თვალები მოიფშვნიტა და მიდამოს გაჰხვდა: ისევ ისეთი იყო იორი, როგორც ვაზაფხულზე, ისევ ლურჯად კრთოდა ცა ჩამთლის მთის თავზე, ისევ ნაცრისფერი და უმიზეზო ნაღველის აღმქრელი იყო ის ნახევრად უდაბნოსებური მიწა, რომელიც თრბილის ბუნჩქებს წითელ აღმურში გაეხვიათ.

და ისევ ვერ გაიგებდი, ვაზაფხული იყო თუ შემოდგომა იორზე.

ვერც იმას მიხვდებოდი, ჭაბუკი იყო იორამი თუ ღრმა მოხუცი, რომელსაც გზათუქან წანწალი აღარ შეეძლო...“

ასე მთავრდება ეს ამაღლებული მოთხრობა, პირველი სტრიქონიდან დაწყებული ბოლო წერტილამდე შეუწელებელი ინტერესით რომ იკითხება.

ასეთია ამ კრებულში თავმოყრილი ყველა მოთხრობა და ყველა მოთხრობაში ადამიანს ეალერსება მწერალი, განსაცდელში ჩაყარდნილს მხარში ამოუდგება და ცხოვრების ნათელ გზაზე გამოიყვანს „სოფლის ბიჭივით“, შევავყვარებს ლაზარისა სხლების მშენებელ ოსტატს, რომლის ხსენებაზე „გავდივებოდი იმ უბორიტო ტკბილი დიმილით, რომელსაც კარგი კაცის სახელი გამოიწვევს ხოლმე“ — ცოცხალი სურათებით ხატავს ჩვენს დღევანდელსა და გუშინდელ დღეს, მხატვრის თვალით იზიარება მომავლისა და ახლისიკენ და გვესაუბრება მსუბუქი ხატოვანი ენით და არავითარი შეგონება და ჰქუის დარიგება.

სიყვარულის ხატებსა და დღას ხომ ამ ქვეყნად მარტო სიყვარულთვე იხდიანო, ამბობს ერთერთი მოთხრობის გმირი და სწორედ ამ დღიე სიყვარულთაა ძლიერი და მომხიბლველი გიორგი ნატროშვილის მოთხრობები.

ამ მოთხრობებით შეაყვარა მან თავი მკითხველბს, ხოლო ჩვენ. მის ამხანაგებსა და შეგობრებს კიდევ უფრო გვიყვარს იმის გამოც, რომ უბორიტო, ჩუმი, ალალი ადამიანია და მოუქანეველი საზოგადო მოღვაწე.





კობა იმედაშვილი

მწერალი და ჰარისკაცი

ოცი წლის წინათ იწერებოდა ეს ლექსები, ნოველები და ჩანაწერები... ბევრი მათგანი დაუმთავრებელია, შემოქმედმა მხოლოდ დაიწყო და გზის დასაწყისშივე დაეცა.

განა შეიძლება გულგრილად იმსჯელო სევასტოპოლთან დაღუპულ ოცდაოთხი წლის ხელოვანზე... ამ წიგნის ავტორი ფრონტზე რიგით ჯარისკაცად წავიდა, თურმე დიდი მწერლის ვეული ჰქონდა და რამდენიმე უბრალო ლექსის ავტორი სანგრებში ერთი წლის მანძილზე ყოფნამ თავისებური ზედვის მწერლად აქცია.

ორმოცდაერთის სექტემბერი იყო. „ჯარში წამოვიდოდი, ვიცოდი, გამოძახება მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, წინასწარ გავითვალისწინე ყველაფერი, მაგრამ მაინც მოულოდნელად მოხდა. ღამე, კვირა დაღამდა. ვიწვევით გარეთ, სამის ნახევარზე დამიძახეს. ნათელა ვაშრა, ნახევარ საათში, სრულ სამზე უნდა გამოეცხადებოდა, წამოვედი უმაღლე. ჰიმ-კრამდე მომყვა იგი თვალტრემიანი, ვაკოცე შუბლზე, ხელი ჩაეჭინე და წავედი. მამა გამოვიდა მის დასაბრუნებლად. მე მივდიოდი მარტო, ებორძიკობი კოლბოხებზე; ვწვედი პაპიროსს და მივდიოდი გაბრუნებული. არ ვფიქრობდი არაფერზე. მივდიოდი, მივეყვებოდი ჩემი სოფლის მღვდლს შარას. არსად არ ენთო სანთელი, არ ყვედნენ ძაღლები, არ ყიოდა მამალი. არაფერ შემხედრია, მესმოდა ჩემი ფეხის ხმა შუალამის ღუმელში, და ეს მოგონება დარჩა, როგორც განუმეორებელი და აუხდენელი სიზმარი ქაიანს დამის“.

სოფლიდან იგი თბილისში ჩამოდი, აქ, სანამ ფრონტზე გაგზავნიან, უნდა მოემზადოს, უნდა ისწავლოს ბრძოლა, მის უბის წიგნში იწერება შენიშვნა: „ჯერჯერობით როლებს ვინაწილებთ და ესწავლობთ, მთავარია ვინ როგორ შეასრულებს ამ როლს. არა სცნაზე, არამედ ფრონტზე, სადაც მყურებელი არაფერ არის,

რეცენზია არ იწერება. „გარშემო უცნობი ხალხია, უცნობი, მაგრამ ამავე დროს ძალიან ახლობელიც, რადგან მათ აქვთ „საერთო ორი ყველაზე დიდი რამ — სიცოცხლე და ბრძოლა“.

მისი, ნამდვილი შემოქმედის თვალი, გონება და გული ვერ ისვენებს, იგი იხედება გარშემო, აკვირდება ყველაფერს, ფიქრობს და გრძნობს ყველაფერს. საბრძოლო მცვადინებობის დროს, ხოლო მერე მიწურში, ჭრაქის შუქზე, იწერება ნოველები, ესკიზები, შენიშვნები...

იგი სადაცა უმოლოდინო დოსტოევსკის, ფერალოდ პერში იბნევიან, კიბულაობს, მაგრამ უფრო ბევრს წერს და კიდევ უფრო ბევრს ფიქრობს, თუმცა ზოგჯერ ფიქრიც ძნელია. „დღეს სიცოცხლე ფიქრი, წერა აღარ შეიძლება“.

მის თვალწინ კვდებიან, ფეთქდებიან და უბრალოდ პერში იბნევიან, მაგრამ ის არ ფიქრობს სიკვდილზე, „სხეული უკვე მიეჩნევა სიკვდილის შიშს“, ის ფიქრობს, მომავალზე და ხელოვნებაზე, ხალხზე — როგორც მარადიულზე. იგი ხედავს, რომ მის თვალწინ „იზადება ახალი ხელოვნება, რომელსაც უთუოდ ჰქარბად ექნება დენთისა და სისხლის სუნი“ და გულმანით ხედება, რომ „შინელიდან — რომელიც მას და მის თაობას აცვია — შეიძლება გამოვიდეს კიდევ ახალ თაობა“.

ცხოვრების იმ ორომტრიალში და ხმაურში იგი უშეცდომოდ გრძნობდა ნამდვილ ბეგრას. მას ნამდვილი ხელოვანის სმენა ჰქონდა.

შენიშვნებში უღარესი ლაკონიურობით იწერება ყოველივე ნაწახი და ნათქვამი. დრო არ გვაძლევს „საშუალებას დაწერო ოთხი სიტყვა ერთის მავიკრად, ამიტომ უნდა დაწერო მხოლოდ ის ერთი; რომელიც აზრს ამომწურავად გამოხატავს. აქ უკვე საქმეში ერევა მწერლის ინტუიცია. და ეს ინტუიცია იშვიათად ლალატობს მას. გარშემო ბევრი ხასიათი ირევა და იგი თითო-ოროლა სიტყვით ინიშნავს სახეებს,

(გიორგი ნათქვამი, დაუმთავრებელი ბალადა, საბჭოთა მწერალი, 1961 წ.).



კადრებს, იღებებს... ყველაფერი მერე გაიშინა-
კადრებს, იღებებს... ყველაფერი მერე გამოდგება:

„კლამენტო სივნიავა მეუბნება, რომ შენის-
თანები ბევრი გამოზრდია და შენც გამოგიყვან
ჯაყავაში, თუ ბიჭი ვარო, რას მიქვია, ღმერთო
კი მომკალი, კაცი ბრავადირი ვიყავი“.

„დრობიშჩივი. წუხელ მე და ვერიგოლმა
ვუთხარით დრობიშჩევს, პრიზიბევის ჰევეხარ-
თქო, ნაწარმოების გმირიათქო — გავხარდა“.

სხვა ადგილას: „დრობიშჩევს მოგონება არა
აქვს, საერთოდ მას არაფრის დამახსოვრება არ
შეუძლია. სამაგიეროდ აქვს ბრიტვა, იპარსავს
პირს, აქვს ოდეკალონი, და პუდრი, ისეამს სა-
ხეზე, იცის ვაკინება თავისებური, უაზრო,
პრიზიბევეური“.

„სიკო გამზოლიშვილი — მოქნილი და
მოხრილი ცხვირი, რომელუ-ჭართული შეჭრი-
ლი ნესტოები, საერთოდ დაძაბული ფიგურა,
გვეგონება გამოსახტომადაა მზალი. ჩემი ხნისაა,
ჭალი ახლა უთხოვია, მიაკითხა ცოლმა და მე-
რე სადგურს ვეღარ მიავნო“.

გამოიყვება მომავალი ნოველისა თუ მოთხ-
რობის ძირითადი ხაზი, განწყობაც კი, მოთხ-
რობისა, რომელსაც დაწერა არ უწერია.

შთაბეჭდილებები, განწყობანი, აზრები კი,
ბევრია, ძალიან ბევრი. ხშირად ენა ვერც იტ-
ვეს ყველაფერს, „სიტყვებით ღარიბია ენა,
ყველაფრის ვადმოცემა არ ხერხდება, ხოლო
რასაც გრძნობ, იგი სრულიად არასდროს არ
ჩაეტყვა წინადადებაში“.

ყველა მწერალი განუზომლად ბევრს გრძ-
ნობდა და ცოტას თქმას ახერხებდა“.

ახლად გამოცემულ კრებულში არის სულ
ცხრა ნოველი, ჩანაწერები, ნაწყვეტები წერი-
ლებიდან, ორმოციოდე ლექსი... ისინი ქმნიან
ერთ მთლიანს, ერთი გმირით — ავტორით, რო-
მელიც საღაც ნაქარვეად მიაწერს ბლოკნო-
ტის ფურცელს:

„მე რომ მწერლად არ დავბადებულყავი
გმირი გავხდებოდი. ახლა გმირი ჩემთვის მა-
სალა“ და ზოგჯერ ხდება ისე, რომ პარადოქ-
სები მართლდება — იგი სულ სხვაზე სწერდა
და თავისთავზე დასწერა“.

დაუწერელი კი დარჩა ძალიან ბევრი: „წუ-
ხელ მინდოდა დამეწერა მოთხრობა „ფარა-
ჯა...“ შეიძლება მოხერხდეს ოდესმე დაწერა
მეორე „შინელის“...“

„დაბრუნება მიწასთან“. დარჩა მხოლოდ სა-
თური, გააზრება. სამი თავი დაწერილი“.

„გუშინ დავიწყე ზღაპარი „მარი მარკოვანა“,
ჯერ არ დამისრულებია, გავიზარე „ვიშრის
საყურე“, არ ვიცი დავწერ თუ არა — ან პირ-
ველს, ან მეორეს“

„მიშენკო. თუ გადავრჩი, ჩემი ნაწარმოების
შესანიშნავი გმირი გავხდება“.

თუ გადავრჩი... ეს იყო საცემბით კანონიერი

შეუქვება, გარშემო იზოცებოდნენ, ვერ ამთავ-
რებდნენ სიტყვას. მაგრამ იგი ვერ ურიგდება
სიკვდილს. ეს არ არის ფიზიკური გაქრობის
ის ილუმალი ძრწოლა, რომელიც ყველა ადა-
მიანს თან სდევს დაბადებთივე. იგი უბრა-
ლოდ ბევრს ხედავს და სურს თავისი სათქმელი
თქვას. „აქ იმდენი შესანიშნავი ამბის მოწამე
გავხდები, სიმართლე გათხარა, სიკვდილი მენა-
ნება“. მან იცის თავისი გზა. რომელსაც სჭირ-
დება დრო. მაგრამ იგი ახლა ჯარისკაცის გზა-
ცაა, ხიფათით სავსე და დროით შეკვეცილი.

„მე არ მინდა ეს წერილი იყოს უქანასკნე-
ლი, მე მინდა დაეწერა, რომ კიდევ ვნახავ, არ
იფიქრო, ძალიან შეწონოდას, არა, თუმცა გზა
არის ჩვენი ადგილზე მისვლამდე უფრო სახი-
ფათო, ვიდრე გორკისა და ჯეკ ლონდონის მი-
ერ გავლილი მთელი სიცოცხლის მანძილზე,
სანამ ისინი მწერლები გახდებოდნენ“.

მას ეცემა ჯარისკაცის უბრალო ფარაჯა, ერ-
თნარი ფორმა ყველას ერთმანეთს ამგავსებს,
უჩვევ თავალს ძმის პოვნაც კი გაუჭირდება,
ტყვისათვის კი ყველა ერთია, მისთვის ყველა
სამიზნეა, აქ არ არის განსხვავება თავებსა და
გულებს შორის.

მან, ოცდაოთხი წლის ჯარისკაცმა, ჯარისკა-
ცული სიმაართით იცოდა, რომ „დიდი საქმე
არასდროს უმსხვერპლოდ არ კეთდება. მიწის
თავისუფლება ითხოვს სისხლს, ცრემლებს,
სხეულებს“.

მაგრამ მან იცოდა კიდევ ბევრი სხვა რამეც.

მან იცოდა რა იყო ცხოვრების საიდუმლო,
მას ბრძოლიდან დაბრუნებისას შეეძლო დახ-
რილიყო ლამაზი ყვავილის მოსაწყვეტად და
ეთქვა ბევრი რამ კარგი, ლამაზი და დამაფიქრე-
ბელი. სწორედ ამიტომ სჯეროდა მას თავის-
თავის:

„მუდამ იამაყებს ჯარისკაცის ფარაჯა, რო-
მელიც ინახავს ჩემს გულსა და გონებას“.

მაგრამ მაშინ იყო ომი.

მას სჯეროდა, რომ გათავდებოდა იგი, სჯე-
როდა, რომ მტერი დამარცხდებოდა. და ისიც
სჯეროდა, რომ თაობა, რომელმაც ომი გადაი-
ტანა, არასოდეს არ დაიწყებს ომს. მას მერე
გავიდა ზუსტად ოცი წელი. მტერი მართალია
დამარცხდა, მაგრამ კაცი, რომელიც დაიბნა
მწერლობისთვის, ჯარისკაცად მოკვდა.

ის მოკვა ჯარისკაცად და არ დარჩა მემ-
კვირე.

მას ყოველთვის სტკიოდა ეს — „ვერავის გა-
დაეცი შთავონება. არც შეილი მრჩება, შეი-
ლი, რომელიც შეიძლება მგვენებოდა მე“.

მას დარჩა დაუმთავრებელი მოთხრობები,
მას შუაზე გაუწყდა სიტყვა...

გავიდა ოცი წელი, და იგი მკვდრითი აღს-
დგა, აღსდგა სიტყვით, ფიქრებით, ოცნებებით.

მან თქვა სათქმელი მშობლიური მიწისთვის დაცემული ათასებისა.

და ეს მათი სიტყვებია, ბორის სლუცკი რომ ამბობს:

**«Давайте, выпьем мертвые
 За здоровье живых».**

მან, ოცდაათხუთი წლის ბიჭმა, იცოდა რისთვის იბრძოდა: „აი, ვიბრძვი, რომ ასეთი აღარ განმეორდეს, ვიბრძვით, დავიხსოვებით და შემდეგი თაობა, როგორც იტყვიან, გაგვიხსენებს, აღარ ვაიმეორებს ამ სისაძაგლეს“, და იქნება მშვიდობა ცის ქვეშ, სახნისი ამოტარებებს მიწას და აღარ იქნება ომი.

„გულანი ვადის-ვამოდის... სახნისი რაღაცას ხვდება, მკერდგაღლილი მეხერ ჩერდება, ხარები აწვებიან უღელს.

— ხი, მოოპ! — ეძახის მეხერე. ჩერდება იხარები ჯორა და ნიშა; ხნულში თავის ქალა, ხნულში ჰურვი, ყუმბარის ნამსხვრევი, ხნულში ძვლები და ტანჯის ნაწილები, თვითმფრინავის ნაწილები. მერე წმენდს ხნულს, განაგრძობს ხენას და საღამოს ხნულში თერთად ჰყრია თვალჩამქარები უცნობი თავები, როგორც თეთრი გოგრები, როგორც კომპოსტო...

ვადი-ვამოდი გუთანო!

შორს მიაქვს ნიავს მეხრის ღიღინი, შორს ღრღინდის მთისკენ... და ცოცხლობს სიმღერა და ცოცხლობს სიყვარული.

(ეს იქნება ომის შემდეგ იყო).

იგი კარგად ჯარისკაცი იყო, მაგრამ მთელი არსებით სძულდა ომი. სძულდა სისხლი, სიკვდილი, რადგან ეს ყველაფერი ემუქრებოდა მის წმიდათაწმიდას — ხელოვნებას, ამიტომ დგას იგი მტკიცედ და ფეხმოუცვლელად თავის ადგილზე.

ვერ კიდევ თბილისში სამხედრო ვარჯიშის დროს, იგი უბის წიგნში ჩაინიშნავს: „გაუთებები წაევიტებ. ოღესაში სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტი დავას საგუშავაგზე.

ლენინგრადში — შოსტაკოვიჩი.

წუხელ მეც ვიდექი ჰიშკართან (უთოფოდ) პი...“

მან იცოდა თავისი ადგილი, მას ვერ წარმოუდგენია სხვაგან ყოფნა, თუ არ სამშობლოს დამცველთა შორის.

ბოლო ბჭკარი საესეა იუმორით, მას თვითონ ეცინება, რომ შოსტაკოვიჩთან ერთად დავს და უფრო ეცინება, რომ უთოფოდ, მას არასდროს არ სტოვებს ღიმილი, ყველაზე მძიმე წუთებშიც კი. მხალისი განსაცდელში ვერ გაიღიმებს, მას შეუძლია გაიღიმოს. ამის მიზეზი მის ვიკიკატურ ბუნებაში და რწმენაშია.

„მე არ შემიძლია ვასრულო სხვისი ბრძანება. საერთოდ მე არ შემიძლია ბრძანების ატანა, რადგან მე რომ დავიბადე, მაშინ დაიწყო ჩემმა კლასმა მბრძანებლობა, აი, რაშია საქმე!“

და ყველა ამასთან ერთად ნამდვილი მწერლის სული მას აიძულებს წეროს, წეროს ღამით, დღისით, წეროს საპერო განგავის დროს... მას არ შეუძლია გაჩუმება... და ასე იწერება — „წერილი“, „ჯაშუში“, „შხარელი“... იწერება წვალებით, სვენებით და დიდხანს, რადგან „ხშირად აქრობს ყუმბარა სათელს, ხოლო უფრო ხშირად იყინება მელანი, ვარდა ამისა განწყობილებაც არაა ყოველთვის ერთნაირი“

ასე თავდება შესანიშნავი მოთხრობა „წერილი“, რომელიც დახვეწილია თავისი მთლიანობით, განწყობით და დახატული სურათის სიმძაფრით. აქ არსად არ არის თხრობა, არამედ არის გიგნება სურათების, რომლებიც აზიზიადენ, რთორვეენ და გზდიან მონაწილედ. აქ არ არის ერთი გმირი, ან ერთი ხასიათი, მაგრამ აქ არის შესანიშნავად დაკერილი დროის, ადგილის და მოვლენის ხასიათი, რაც თავის მხრით ქმნის დაწყობას მიმკმეს, ტრავიკულს, მაგრამ ამავე დროს პერიოდიკულს.

ვიჭირობ ვადაქარბება არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ეს მოთხრობა ყველა სხვა მოთხრობაზე მაღლა დგას. თუმცა მის გვერდით დაბეჭდილია იქნებ არანაყლები ოსტატობით დაწერილი ნოველა „ჩემი ძმა“, რომელსაც კლასიკური ნოველი ყველა ნიშანი აქვს. თითქმის მწერლის გაორებასთან გვაქვს საქმე — სტილი ახალი მოთხრობისაა, ხოლო კომპოზიცია კი კლასიკურის. აქაც სვედიანი განწყობაა, მაგრამ არა უიმედო.

საერთოდ ყველა ნოველაში უპირატესი განწყობაა, ავი თვითონაც წერდა: „ყველაფერი იწერება განწყობილების კარნახით“. სტილური მთლიანობით ხასიათდებიან „პირველი დღეები“, „ჯაშუში“. პირველში მძაფრი დინამიზმითა აღბეჭდილი ომის დაწყება. ეს მოთხრობა დაუმთავრებელია, როგორც იტყობა ავტორის ჩაფიქრებული ჰქონდა ხალხის სხვადასხვა ფენის რეაქციის გადმოცემით აესახა ომის მთელი მოულოდნელობა და თავზარდაცემა. აქ ვერ ნახავთ ტრაფარეტულ მზიან დღეს და უტეხ ომის დაწყებით გამოწვეულ კონტრასტს. ომი აქ შემოდის, დაუპატივებელი სტუმარივით — უცნობ ადამიანებს ახვედრებს ერთმანეთს, ნაცნობებს აშორებს, მოაქვს უბედურება და წუხილი ყველასათვის, ვისაც კი შეეჩენება გზაზე.

საერთოსა აქ და საერთოდ თითქმის ყველგან, დაძაბულია, ნერვიული, გარკვეან სამკალეებს მოკლებული, იგი ამბობს სათქმელს პირდაპირ და აზრთან არ გვირდება მხატვრული სახეების გაშიფრვით მისვლა.

„სკოლის ეზოში მესერებ მიბმულმა ფაშატებმა ხვიცილი მოუხმეს კვიცებს. ახმაურებულ ეზოში გამცილებლებს არ უშვებენ. ისინი შარაზე დგანან ჯგუფად და არაფერს



ლაპარაკობენ. თითებზე შემდგარი იქცირებიან ქვიტკირის გაღავანს იქით, კმრისაკენ, შვილისაკენ, სატროსაკენ! ხალხით სავსეა უზარმაზარი სკოლა. სხედან მერხებზე, დაყრილ მორგებზე, კიბის საფეხურებზე, მიწაზე, ღვანან ჯგუფად, დადიან, ხმაურობენ. ამხელა ეზო და შენობა მოფენილია ხალხით. პარკიმახერები გაალებით მუშაობენ, თავგადახორტილი მამაკაცები ხელისგულს ისეამენ შუბლზე, ყურის ძირებთან, კეფაზე და ხელისგული ევსებათ ნაპარსი თმით. იხურავენ ქუდს, ყველას სრული აქვს ქუდი, შუბლზე ვარდება, წარბებთან ჩერდება ძლივს, და ხედვას უშლით. ზოგი არჩევს ხელში დაჰკროს, საოცარი სიმსუბუქეს გრძობენ. პარკიმახერები მუშაობენ გამალებით და ნაფერები ქოჩრები ირევა ჯავარივით მოუღრეკ ნაპარსში.

მწერალი ქმნის დაძაბულ გარემოს და მკითხველს ამას უკვე აღიქვამს არა როგორც წაქითხულს, არამედ როგორც არსებულს. ავტორი გაჯერებს ნათქვამის სიმართლეში, მის სიცხოველეში, ეს არის ნიჭია და ოსტატობის უტყუარი დადასტურება. მაგრამ ნუ დავგავიწყდება, რომ ამ კაცში პროზაიკოსის გვერდით პოეტურ ცხოვრობს, რომელიც ზოგჯერ ვეღარ მოითმენს და პოეტურს იტყვის:

„უზარმაზარი დარბაზი ერთ სხეულივით ხერინავდა, ოხრავდა, ბოდავდა, იშმეუნებოდა“. იგი ყველგან ხედავს სილამაზეს:

„ზამთარი იყო და რუხი ფიქვები ეფინებოდა მიდამოს. სახლს უკან პატარა ღელე გაიყინა, ატალახებული ეზოები გაღამაზდა. გაღამაზდა ნახირის ნაფეხურიც კი“.

ერთ ადგილას გიორგი ნაფეტვარიძე შენიშნავს: „ბარბიუსიცი, ეიონოცი და ყველა სხვა, გარდა ტოლსტოისა, ომში რომ არ ყოფილიყვნენ, ვერაფერიშვილი მწერლები იქნებოდნენ. ომმა დაბოდა ისინი“. არ მინდა ავტორზე გავიმეორო მისი ნათქვამი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ომმა მასში გააღვიძა პროზაიკოსის ის შესანიშნავი ნიჭი, რომელიც პოეტზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ეს, რა თქმა უნდა, არ ამცირებს იმ ლექსების ღირსებას, რომლებიც ამ კრებულშია („ბანაკში“, „წვიმა“, „დაბრუნება“ და სხვანი), მაგრამ მნიშვნელობა ამ ნოველებსა და ჩანაწერებისა უფრო დიდია, ვიდრე ლექსების. ეს პროზა დღეს სრულიად თანამედროვედ იკითხება. იგი არ არის შეზღუდული ქვეშ

მიწერილი თარიღით. ეს არის მწერლისათვის ყველაზე დიდი სიხარული და ჯილდო. თუმცა მათ შორისაც მოიძებნება სუსტი, ერთი საერთო სტილიდან ამოვარდნილი ნაწარმოები („მამია“, „ტოლსტოის აჩრდილი“), მაგრამ გვაქვს კი ჩვენ იმის უფლება, რომ სუსტზე და ნაკლებზე ყურადღება შევიჩვიოთ? რამდენ რამეს ხვეს მწერალი, რამდენს ყრის — დახვასაც და გადაყრასაც დრო უნდა. დრო კი მას არ ჰქონდა. აღბათ ვგრძობდა კიდევ, როცა მეუღლეა სწერდა: „წაიკითხოს ვისაც სურს, ოღონდ იფიქროს პირობებზე, რომელშიც მე ვწერ“.

სხვა ადგილას უფრო აზუსტებს: „შენიშვნები გამოხატადნენ ჩემს პირად განწყობილებას. მათში არ შეიძლება ძიება დიდი აზრებისა და მხატვრული სახეების. ჩემთვის კი ყოველ წერტილს აქვს მნიშვნელობა, გასაგებია ყოველი ბგერა. შენთვის, ჩემო ძვირფასო მგაგობარო, ბევრი რამ დარჩება სამუდამოდ გაუგებარი, თუ აღარ მექნა შენთან ერთად საშუალება ამ ნაწერების გაშიფრვისა“.

მართალია რომ ბევრი რამ დარჩა გაუშიფრავი, დაუთავრებელიც — „მედალიონი“, „პირველი დღეები“... მაგრამ ზეით უკვე ვთქვით — აქ მხატვრული სახეებიც არის და ბევრი ნაფიქრიც. ნამდვილი მწერალი ერთ სიტყვაშიც გამოაჩენს თავს.

მრავალი წიგნია ქვეყანაზე. წიგნებსაც აქვთ თავისი ბედი. ისინიც იბადებიან, ცხოვრობენ, კვდებიან და ყოველთვის ასე ყოფილა — ქირში და სიმამილური დაბადებულნი უფრო დიდხანს ცხოვრობენ, უფრო ლამაზი და ვაჟკაცურია მათი ცხოვრება.

არიან წიგნები, რომელთა დამთავრებასაც მოუთმენლად ელი და ხშირად ვერც ამთავრებ, მაგრამ არის წიგნიც — გენანება ბოლო გვერდზე რომ მიხვალ. ასეთ წიგნს ხელმეორედ კითხულობ კაცი.

დაბოლოს, არიან წიგნები, რომლებიც გავამდიდრებენ, მოვიწოდებენ რაღაც დიდისაკენ და სუფთასაკენ. ადამიანი ყოველთვის ეძებს მავალითს.

ასეთია „დაუთავრებელი ბალადა“, — ვაჟკაცური, ნათელი და ჭაბუკური, რადგან ასეთია თვით მისი ავტორიც, კაცი, რომელიც „უზარმაზარი იყო თავის სიმცირეში“ და მოასწრო ეთქვა უმცირესი ნაწილი იმისა, რისი ძალაც შესწევდა.



წილია ბეჩია

„უთავო მხედარი“ ქართულად

ხშირად თარგმანს გამოპყობენ ორიგინალური მხატვრული ლიტერატურის სფეროდან და აფასებენ, როგორც შუალედურ ფაქტს. განიხილავენ ავტორის შემოქმედების თავისებურებას და, ვაკვირთ იტყვიან ხოლმე მთარგმნელის ოსტატობაზე. რა თქმა უნდა, დედანი პირველი წყაროა და მისა უგულებელყოფა არც შეიძლება, მაგრამ კემპარიტი შემოქმედებითი თარგმანი ყოველთვის უნდა განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი, ინდივიდუალური შემოქმედების ნიმუში. კარგ მწერალსა და კარგ მთარგმნელს თანაბარი მხატვრული სიმდიდრე შეაქვთ ლიტერატურაში.

მთარგმნელი, როგორც დამოუკიდებელი შემოქმედი სწორედ თარგმანის (ამ ცნობის ვიწრო გაგებით) იქით არსებობს. მას ფოტოგრაფიულად, მექანიკურად არ გადმოაქვს დედნის ფორმა თუ შინაარსი, მის თავისებურებას იგი უხამებს იმ ენის თვისებას, რომელზედაც თარგმნის, და ამჟღავნებს ინდივიდუალურ მხატვრულ ხერხებს, რომლებიც პირდაპირ თუ არა პირდაპირ შესაბამისობაშია ავტორის მხატვრულ მეთოდთან. ავტორისეული სტილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი ყალიბია მთარგმნელისათვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მას არ შეეძლოს საკუთარი მხატვრული ხერხების ცხადყოფა. შეიძლება ვინმეს პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ მაინც ვიტყვი: თარგმანს არ უნდა ეტყობოდეს თარგმანი რომაა. იგი სტილის უშუალოებით, სილამითა და თავისუფალი დინებით ორიგინალური ქმნილების შთაბეჭდილებას უნდა სტოვებდეს. სწორედ ასეთი ხარისხის თარგმანი შედის ლიტერატურაში, როგორც ორიგინალური მხატვრული ნიმუში.

ყოველი ქანრიის ნაწარმოებს აქვს თავისი მკვეთრი სპეციფიკა, რომელიც მჟღავნდება მთლიან სტილში და ცალკეული ნიშნების მიხედვითაც. მთარგმნელი უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ სპეციფიკას უნდა ჩააწვდეს და მო-

ნახოს ავტორის მხატვრული ხერხების ადექვატური საშუალებანი იმ ენაში, რა ენაზედაც თარგმნის. უამისოდ თარგმანი ვერ გადმოსცემს დედნის სიღუმლოებას. ეს პრინციპი თავისთავად მოითხოვს ორი ენის შესაძლებლობათა ცოდნას. რაც უფრო ფართოდ და ღრმად არის დაუფლებული მთარგმნელი ამ პირობას, მით უფრო მეტი თავისუფალი მოქმედების ასპარეზს იძენს და მით უფრო შემოქმედებითია თარგმანი.

სათავგადასავლო ქანრი თავისებური ფორმით შედის ლიტერატურაში — სიტყვების ლოგიკური განვითარება, დეტალების სწორახლოვანი განლაგება, დახვეწილი, მარტივი (ამ ცნების კარგი გაგებით) სტილი, ფრაზის, მხატვრული სახის უბრალოება — ეს ნიშნები განსაზღვრავს ძირითადად სათავგადასავლო ნაწარმოების ხასიათს. სხვა ქანრის ნაწარმოებისათვისაც აუცილებელია ეს კომპონენტები, მაგრამ სათავგადასავლო ქანრი ერთერთი მთავანის გარეშეც კარავს ესთეტიკურ და შემეცნებით ღირებულებას.

თომას მაინ რიდს დამსახურებულად თვლიან სათავგადასავლო ქანრის დიდოსტატად. განსაკუთრებით „უთავო მხედარმა“ გაუთქვა მას სახელი. მსოფლიო ლიტერატურაში „უთავო მხედარი“ დამკვიდრდა, როგორც სათავგადასავლო ქანრის ერთერთი სრულქმნილი მხატვრული შედეგები. მაინ რიდმა სწორედ ამ ნაწარმოებში აჩვენა სტილის უბრალოებისა და სისადავის დიდი ზელოვნება, ინგლისური ენის სილადე და ელასტიურობა, ფრაზის სიწმინდე, სინატიფე და, რაც მთავარია, ადამიანის ფსიქიკის ღრმა ცოდნა.

ნაწარმოების ეს მხატვრული ნიშნები ქართულ ენაზე ღირსეულად გადმოსცა ელვაჯუა მარაძემ. მის მიერ თარგმნილი „უთავო მხედარი“ ორიგინალური ნაწარმოებისათვის დამახასიათებ-



ბელი უშუალობით იკითხება. ნათელი მხატვრული აზროვნების, ქართული ენის მდიდარი ლექსიკური მარაგის და ენერგიული შრომის წყალობით მთარგმნელმა ბოლო სტრუქტურამდე შეუძნარხუნა ნაწარმოებს სილამდე და თავისუფალი დინება, რაც ხაზგასმით ჩანს დედანში.

აეცილოთ მაგალითად ახლგაზრდა ლედის და მორისის დიალოგი.

— მეც მინდოდა მესწავლა ლაზოს სროლა, — თქვა ახლგაზრდა ლედიმ, — მაგრამ მითხრეს, ეს ქალების საქმე არააო. ჩემის აზრით, იგი სრულიად უენებელი რამაა და ადამიანს სიამოვნების მეტს არაფერს მიანიჭებს.

— ქალების საქმე არააო! ჭეშმარიტად, ისრით სროლა და ციგურებით სრიალზე უწყინარი გასართობია. მე ვიციანო ერთ ქალს, რომელიც ლაზოს სროლაში დიდადაა დახელოვებული.

— ამერიკელია?

— არა, მექსიკელია და რიო გრანდეში ცხოვრობს. ხანდახან ესტუმრება ხოლმე ლეონას ნაპირებს; აქ მისი ნათესავებიც ცხოვრობენ.

— ახლგაზრდაა?

— დიახ, თქვენი ხნისა იქნება, მისს პოინდექსტერ.

— მაღალია?

— თქვენზე დაბალია.

— მაგრამ, რა თქმა უნდა, უფრო ლამაზი იქნება... გამიგონია, მექსიკელი ქალები ძალიან ლამაზები არიან და ჩვენ, ამერიკელებს, ბევრად გვეჯობიანო*.

ამ ეპიზოდში აშკარად ჩანს, რომ მთარგმნელი გაბედულად მისდევს დედანს, თამამად გადმოსცემს ყოველ ნაუხანს. რა თქმა უნდა ეს სითამამე არ არის თვითნებობა, რომელიც იწირავს ხოლმე დედნის მადლს, იგი არის ავტორისეული თხრობის ხერხისა და ქართული მეტყველების ერთმანეთან შეხამება.

ელგუჯა მალრამე თანაბარი მხატვრული ექსპრესიით ვადმოსცემს ზოგად აღწერებს, კონკრეტულ დეტალებს და დიალოგებს არ დალატობს არც ქართული სინტაქსის, საერთოდ ქართული ენის ბუნებას და არც დედანს. ეს ეგრეთწოდებული „ორ ცეცხლში“ შემოქმედებითი წვა უენებლად ვადაიტანა მთარგმნელმა.

მან რიღს აქვს დამაჯერებელი, შთამაგონებელი თხრობის უნარი, რომელსაც ფრაზების რთულ, ხელოვნურ წყობაში კი არ ავლენს, არამედ უბრალო, სასაუბრო ენაში. ელგუჯა მალრამემ ზუსტად გაუგო ავტორს. იგი სადა, გამართული ქართულით მისდევს დედანს.

ქეტის თავისებურება, ერთი სიტყვით, როცა ნაწარმოებს ყველა ხილულ თუ უხილავ წერტილს ფლობს, ეს ცოდნა მას საშუალებას აძლევს უკანა დეტალის ნუანსი წინაში გადმოიტანოს და პირუტყვ, რაც კი არ არღვევს დეტალების ლოგიკურ კავშირს, ნაწარმოების კომპოზიციის ან ავტორის კონცეპციებს, არამედ პირიქით, ავსებს და აცოცხლებს ეპიზოდებს, ამძაფრებს, თხრობის ტონს და თვითმყოფადობას უნარჩუნებს დედანს.

ელგუჯა მალრამეს ესმის ნაწარმოების პერსონაჟთა ფსიქოლოგია და ხასიათები, იცის თვითეული დეტალის მიზანი და დანიშნულება და ბოლოს ავტორის პოზიცია. ისე ნუ კი გავიგებთ, თითქოს სათვგადასავლო ფანრის რაღაც რთულ და ძნელად ამოსახსნელ მხატვრულ პრობლემების სფეროდ ვთვლიდეთ.

ზემოთ აღნიშნული საკითხების ცოდნა აუცილებელ წინაწარ პირობად მიგვჩანია იმისათვის, რომ თარგმანი ორიგინალური ქმნილების ნიშნებსაც მოიცავდეს.

დედანთან შემოქმედებითი სიზუსტე შემთხვევით არ გვიხსენებია. რა დასამალა და, ხშირად ეხედებით წმინდა მექანიკურ თარგმანებს, რაც მხოლოდ ერთი ან ორივე ენის უტოლინარობით არ აიხსნება. არიან პიროვნებები, რომელთაც არც თუ ისე ცუდად იციან ის ენა, რომელზედანიც თარგმნიან და ის ენა რომელზედაც თარგმნიან, მაგრამ ამო შრომა გამოუღიბთ. მათ, ჯერ ერთი, ავტორის შემოქმედების საერთო ბუნებისა არა გაეგებათ რა და, მეორეც, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ნაწარმოები წაიკითხულიც არა აქვთ, ისე იწყებენ თარგმანს. რაღა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში შემოქმედებით თარგმანზე ზედმეტია ლაპარაკი.

ელგუჯა მალრამემ მიაღწია უშუალობასა და ბუნებრივი თხრობის თანმიმდევრულ განვითარებას. ნაწარმოების ყოველი მომდევნო თავი უფრო და უფრო თავისუფლად იკითხება. მან რიდიც ძირითადი მოქმედების ცენტრთან უფრო ლაღი და დინამიურია. მთარგმნელმა აითვისა ავტორის საიდუმლოება და კვალდაკვალ გაკვირა მას. დედანთან შესაბამისად გადმოსცა ავტორისეული აღმავალი დინამიკა. დაბეჭდვით შვიდლება ითქვას, რომ მან რიღს არცერთი ძირითადი თუ შემადგენელი დეტალი არ დაუქარავს ქართულ თარგმანში, მთარგმნელმა ავტორის ყოველ ფრაზას თუ მხატვრულ სახეს ქართული შესატყვისი მოუწახა.

პოინდექსტერისა და მორის მუსტანგერის გვამების ძიების ერთერთ ეპიზოდს მან რიდი ასე გადმოგვცემს:

„What is it?“ demanded the major, spurring ahead of the others, and riding up to the tracker.

„Sign?“

„Aye, that there is, major; and plenty of it look there! In that bit of softish ground you see“.

„The tracks of a hozse“.

ქართულად:

— „რა ამბავია? — იკითხა მაიორმა, რომელმაც დანარჩენ მდევრებს წინ გაუსწრო.

— კვალია?“

— და შერე რამდენი. აი, ნახეთ! აქ მიწა რბილია და ხედავთ?..

— ცხენის კვალია“.

ეს და ამის მსგავსი სხვა დეტალები შესაძლოა მწელად სათარგმნელი არ ჩანდეს, მაგრამ იმდენად რამდენადაც კვლევით და ძიებით

პროცესზე გადის ნაწარმოების ძირითადი ხაზი, მთარგმნელს ღიდი სიფრთხილე მართებდა, რომ არცერთი ნიუანსი არ დაეკარგა და ავტორის მიზნისათვის სრულყოფილი სახე მიეცა, რომ მკითხველს მთლიანობაში აღეჭვა მიწის რიდის მორალურ-დიდაქტიკური დასკვნები.

მთარგმნელი გულგრილად, ფლეგმატურად კი არ უდევდა ნაწარმოების დრამატიზმს, არამედ ღრმად და ორგანულად ითვისებს ყოველ ეპიზოდს და დედნისეული სიმძაფრით განაცდევინებს მკითხველსაც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ელგუჯა მალრაძეს აქვს ავტორის მხატვრული ქვეტექსტის შეცნობის უტყუარი აღლო. მან ზუსტად და ღირსეულად გაიგო ნაწარმოების იდეური ხაზი, მისი ფორმის თავისებურება და ორიგინალის ხარისხი მიანიჭა თარგმანს,



ზოთა ბარჩიძე

„ქართლის ცხოვრების“ უძველესი სარედაქციო შენიშვნის შესახებ

„ქართლის ცხოვრება“ საშუალო საუკუნეთა საქართველოში „წმინდა“ და „ბატოსან“ წიგნად იყო ცნობილი. ამიტომაცაა, რომ ამ წიგნის შესწავლის ისტორიას საუკუნეთა სიღრმეში შევეყვართ.

უძველეს ხანაშივე, მაშინ როცა „ქართლის ცხოვრების“ კრებულში „მატიანე ქართლისა“ შეუტანიათ, ამ თხზულების შეტანის დროს აღნიშნულ კრებულში უკვე მოიპოვებოდა ორი სარედაქციო შენიშვნა:

1) „ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება, და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“¹.

2) „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა აღიწერებოდა ეპითი-ეამად ვიდრე ვახტანგისამდებოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან...“².

განსვენებული ივანე ჯავახიშვილის აზრით, რომელიც ამ მინაწერებს ეყრდნობოდა, „ქართლის ცხოვრება“, თავიდან დაწყებული და ვახტანგ გორგასალის მეფობის ისტორიამდე დაწერილია მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევრის მწერლის ლეონტი მროველის მიერ, ხოლო მისი გაგრძელება, ვახტანგ გორგასალიდან არჩილ მეფის წამებამდე, ეკუთვნის იმავე საუკუნის მეორე ნახევრის მწერალს ჯუანშერიანს³.

მისი განსაზღვრით აღნიშნულ მინაწერში „ჯუანშერი იწოდება წა“ არჩილის ძმისწულის ქმარად, მაშასადამე, დაახლოებით ვითომც VIII საუკ. უნდა ეცხოვრა. რასაკვირველია, ეს ცნობა მისი ვინაობის შესახებ მერმინდელი გადამ-

წერის მიმატებული უნდა იყოს და ამის მიხედვით ზემოთდასახელებულ ჯუანშერს, რომელსაც ვახტანგ გორგასალის ცა უნდა დაეწერა, სრულებით არ შეესაბამება, რადგან „ცხოვრებას“ ზღაპრული ელფერი ადევს და თვით თხზულებაშიც აქა-იქ იშვავარი ცნობები მოიპოვება, და ისეთი წყაროებია მოხსენებული, რომელნიც VIII საუკ. ჯერ არ არსებობდნენ⁴.

„ქართლის ცხოვრების“ ავტორთა და თხზულებათა ამგვარ განრიგს იძლეოდა სარგის კაკაბაძეც, იმ განსხვავებით, რომ მას უფრო მოზრდილად წარმოედგინა ჯუანშერის შრომის ფარგლები...².

კ. კეკელიძის აზრით, საეკვოა დავეყრდნოთ მხოლოდ ზემოთმოყვანილ მინაწერებს; მისი დაკვირვებით ორთავე ცნობა, რომელსაც ლეონტი მროველი აქვთ მხედველობაში, საწინააღმდეგო ჩვენებებს შეიცავს, რადგანაც „პირველში ნათქვამია, რომ ქართლის ცხოვრება „ვახტანგისამდე“ ლეონტი მროველმა აღწერაო, ხოლო მეორე გეარქმუნებს, რომ ის აღიწერებოდა „ეპითი ეამად“, ესე იგი სხვადასხვა დროს, მაშასადამე, სხვადასხვა პირთა მიერ³.

აღნიშნული ორი მინაწერიდან მეორე კ. კეკელიძეს საკამათოდ აქვს ვახლილი. მისი თქმით გატეხბარია თავად მინაწერის შინაარსის იშვავარი ინტერპრეტაცია, რომლითაც ის აზრია გამოთქმული, ვითომც რაც ვახტანგ გორგასლის მეფობას მიუძღვის წინ ჩვენს მატიანეში, ეკუთვნის ერთს მწერალს, ხოლო ვახტანგიდან არჩილამდე — მეორეს. კ. კეკელიძეს საცილობლად აქვს მიჩნეული, თუ რას ნიშნავს მინაწერის სიტყვები „ვიდრე ვახტანგისამდე“. ვახტანგის ისტორიის ჩართვით, თუ მის გამოკლებით. თუ „ვიდრე ვახტანგისამდე“ შეიცავს ვახტან-

¹ „ქართლის ცხოვრება“, ტ. 1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 244, სტრ. 20-21.

² დასახელებული გამოცემა, გვ. 248, სტრ. 12-14.

³ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 185.

¹ Op, cit., გვ. 185.

² С. Какабадзе, О древнегрузинских летописях XI столетия, 1912, стр. 21—27.

³ კ. კეკელიძე, ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი, ეტიუდები ძველი ქართული ლატერატურის ისტორიიდან, IV, 1957, გვ. 189. გადმოზევდილია ორგანოდან „ჩვენი მეცნიერება“, № 4, 1923.



ვის ისტორიასაც, მაშინ ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ უნდა ვივარაუდოთ ვახტანგ გორგასლის მეფობის ისტორიაც. კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ ამ საკითხის გარკვევისათვის გადაწყვეტია ლიტერატურული მსგავსება ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებასა“ და ვახტანგ გორგასლის ისტორიას შორის. პატრიკეუმული მეცნიერის აზრით: „ორივე ამ ნაწილში („მეფეთა“ და „ვახტანგის“ ცხოვრებანი, შ. ბ.) მოთხრობას ერთნაირი ხასიათი აქვს, ენაც მათი თავიდან ბოლომდე ერთგვარია; აქ ჩვენ გვხვდება ერთი და იგივე აზრები, ერთი და იგივე სტერეოტიპული წინააღმდეგობი და ფრაზები, ერთი და იგივე სურათები და სახეები; ამასვე გვიკარნახებს ერთობა ლიტერატურული წყაროებისა ორივე ნაწილში და მათი ერთი და იმავე მეთოდით გამოყენება“¹.

ამას გარდა, ვახტანგ გორგასლის ისტორიას შემდეგი გარემოებებითაც მიაკეთებენ კ. კეკელიძე ლეონტი მროველს: გამოთქმა „ვახტანგისამდე“ და „ვახტანგისითგან“ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში შემდეგნაირად აწერება:.. სახელდობრ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში ასე იწერება: „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღწერა ჯუანშერ ეპიოქოპიდ, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან“ (მარამისეული ნუსხა, 437, გვ. 215). კ. კეკელიძეს „ქართლის ცხოვრებიდან“, ჯუანშერისავე შრომიდან, იმის მაგალითები მოჰყავს, რომ გამოთქმა „ვახტანგისითგან“ გაგებულა. exclusive და, ეს იმის საბუთებია, რომ სარედაქციო ანდერძში „ვახტანგ მეფისითგან“ ნიშნავს „ვახტანგის შემდეგ“ და; ამრიგად, ვახტანგ გორგასლის ისტორია უკვე წინა თხზულებას, ლეონტი მროველის შრომას ეკუთვნის და არა ჯუანშერისას.

ბოლო წლებში კ. კეკელიძე დაყენებით აღარ იცავდა ამ არგუმენტის ვარგისიანობას და პირდაპირ წერდა „ფრაზები — ვახტანგისამდე და ვახტანგისითგან — იმდენად ბუნდოვანი და გაურკვეველია, რომ იმათგან რაიმე გადამწყვეტი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ამასთან მატინის სხვა ანალოგიურ და პარალელურ ადგილებთან დაკავშირებით არც შეიძლება იმ აზრს, ვითომც ვახტანგის ისტორია უთუოდ ჯუანშერს ეკუთვნის“². „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ უკანასკნელ გამოცემაში, სადაც ამ საკითხებზეა მსჯელობა,

აღნიშნული არგუმენტის მიმართ აღარაფერია ნათქვამი¹.

უკანასკნელად ამ საკითხს ვრცელად შეეხოს. ყაუხჩიშვილი „ქართლის ცხოვრების“ იმ გამოცემის ვრცელ წინასიტყვაობაში, რომელიც მის მიერაა დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით.

ს. ყაუხჩიშვილი ეკამათება კ. კეკელიძეს და სათანადო, მოყვანილ არგუმენტებზე მითითებით ამბობს: „ჩვენ არაფერს ვიტყვით კ. კეკელიძის პირველ საბუთზე, „მეფეთა ცხოვრებასა“ და „ვახტანგის ისტორიას“ შორის არსებულ ლიტერატურულ მსგავსებაზე. ამგვარი მსგავსება, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, შესაძლებელია არა მარტო ერთი მწერლის თხზულებებს შორის, არამედ სხვადასხვა მწერლის ნაწარმოებებს შორისაც. ამ საბუთის ძალა მეტი იქნებოდა, რომ მეორე საბუთიც ურყევი იყოს და რომ „ბუნდოვანი“ არ იყოს გამოთქმა „ვახტანგისამდე“ და „ვახტანგისითგან“. ამ საბუთის შესახებ კი შემდეგი უნდა ითქვას. გამოთქმა „ითგან“ ქართულში, რასაკვირველია, ჰგულისხმობს inclusive“².

ს. ყაუხჩიშვილი სავსებით იზიარებს ივ. ჯავახიშვილის აზრს ზემოთაღნიშნულ საკითხზე. „მით უმეტეს, რომ მას (ივ. ჯავახიშვილს, შ. ბ.) ხელთ ჰქონდა ის მკვეთრი ნიშანი, რომ ვახტანგ გორგასლის ისტორია „ქართლის ცხოვრებაში“ ცალკე სათაურით იწყება“².

როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო მეთოდი შენიშნა ფრიად მნიშვნელოვანი არგუმენტია კვლევადებისას, ამიტომ, ჩვენი დაკვირვებით, თუ ქართული ნუსხების მინაწერები ერთგვარად ძნელი გასაგებია, აუცილებელი ხდება მივმართოთ „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანს, რომელსაც დაცული აქვს. ჩვენი აზრით, სხენებული მინაწერის უძველესი ფორმა.

სავსებით დასაბუთებულად გამოიყურება აზრი, რომ XII საუკუნის შუაწლებში, არაუგვიანეს მაინც ამ საუკუნის დასასრულისა, „ქართლის ცხოვრება“ სომხურად უთარგმნია ვიღაცას, ეროვნებით სომეხს, მონოფიზიტს, თარგმანისა და მისი დედნის შედარება, რომელიც გვიანდელი ხანებიდან შემოგვრჩა ჩვენ, გვირკვევს, რომ სომხურ თარგმანში, რომელიც ქართული დედნის შემოკლებულ თარგმანს წარმო-

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ. 1958, გვ. 253.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I², 1941, გვ. 214; I³, 1951, გვ. 217.

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 022.

² ibid., გვ. 023.



ადგენს, შედარებით ვრცელადაა დაიკული „ვახტანგ გორგასალის ცხოვრება“ და მისი წიხა ოხზულება¹.

სომხურ თარგმანში, „არჩილის წამების“ ბოლოს, ქართული დედნის შესაბამის ადგილას ასეა წარმოდგენილი მინაწერი: იშოვა ესე ჯუანბერმა, დაწერილი ვახტანგ მეფემდის, ხოლო აქამდის ოღით შემატა ჯუანბერმა, მერმისი კი მინადო [თავის] დროზე მხილველთა და დამხედურთა².

ამგვარად, სავსებით ნათელია, რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველეს, ჩვენთვის კონკრეტულად წარმოსადგენ ნუსხაში, ე. ი. იმ დედანში, რომელიც XII საუკუნის სომეხ მთარგმნელსა ქეონია ხელთ, სავსებით ვასაგვები ყოფილა, რომ ჯუანბერს დაუწერია ვახტანგის ცხოვრება, ხოლო ის, რაც წინ უძღვის ვახტანგის ცხოვრებას, უკვე დაწერილი ყოფილა მასზე აღრე და სხვის მიერ. ნათელია, რომ ქართული ნუსხების „ვახტანგისთვან“ ნიშნავს შინაარსობლივად — „ვახტანგის ცხოვრების ჩათვლით“.

„ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში დაიკულია უაღრესად სწორი და ყველაზე არქაული ფორმა მინაწერისა, რომელიც, ამჟამად, უცვლელადაა გადმოსული დედნიდან. იგი შეიცავს „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკისათვის მეტად ძვირფას კონკრეტულ ცნობას, რომ ჯუანბერი შემდეგი დროის ქართულ ნუსხათა მინაწერების დარად მოხსენებულთა არაა, როგორც არჩილის მძისწულის ქმარი... „ჩვენს წინაშეა კონკრეტული ჩვენება, რომ, როგორც ეს უკვე ცნობილია, ჯუანშერის არჩილის მძისწულის ქმრად გამოცხადება შემდგომი დროის გადაწვერთა მიერ ჩადენილი საქმეა.

რამდენადაც ცნობილია ის დრო, როდესაც სომხურად ითარგმნებოდა „ქართლის ცხოვრება“, ე. ი. XII საუკუნის შუაწლები, არაუგვიანეს მაინც ამ საუკუნის დასასრულისა, შეიძლება ვახვეთო terminus ante quem non როცა ჯუანშერის წმ. არჩილის ახლობლად გაფორმება მოხდა მინაწერში. ამ ფაქტს ადგილი არ ექნებოდა XIII საუკუნის წინა ხანებში.

რაც შეეხება საკუთარ სახელს ჯუანბერს, როგორც უკვე ამოწურავად არის ჩაჩვენები

ძველი სომხური თარგმანის ტექსტის ზით³, ეს სახელი იგივეა რაც ჯუანშერი. ასო შინის ვადსვლა ბასიძე ჩვეულებრივ მოვლენაა „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში.

რომ „ვახტანგ გორგასალის“ ისტორია სავსებით გამოცალკევებულია ლეონტი მროველის ოხზულებისაგან, ამას შემდეგი გარემოებაც უნდა მოწმობდეს... ვარდა სავანგებოდ დაიკული სათაურისა ვახტანგ გორგასალის ისტორიის შესახებ⁴, ყურადღება შემდეგ გარემოებასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებით...

ლეონტი მროველის ნაშრომში, ვიდრე ვახტანგ გორგასალის ისტორია დაიწყება, მოთხრობილია, რომ სპარსელები „მოვიდეს ქართლად, დაიპყრეს ქართლი და განრყუნეს ეკლესიანი — ხოლო ნათესავნი მეფეთანი დარჩეს ქვესა კახეთისასა...“ და ა. შ.⁵

ვახტანგ გორგასალის ცხოვრება კი თავიდანვე იშავება იშავებს და ვრცელად გვიამბობს, რომ „დაიპყრეს ქართლი სპარსთა, და განრყუნეს ეკლესიანი, და დამალეს ჯუღარები ქართველთა... ხოლო ნათესავნი ქართველთა მეფეთანი დარჩეს ქვეს კახეთისასა...“ და ა. შ.⁶

უკვე განსვენებულმა ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა ეს, რომ „ჯუანშერის ისტორიას“ უკვეელია თავი და შესავალი უნდა აკლდეს: ასე ერთბაშად, როგორც იგი ახლა იწყება სიტყვებით „ვითარ იგი შეიპყრეს ქართველთა მეფე ძირდატი“ (294, გვ. 117), შეუძლებელია რომელმამე მემბტიანემ დაიწყოს ოხზულების წერა. ამას ვარდა ის, რაც ახლა ვახტანგ მეფის „ცხოვრების“ თავშია, ლეონტი მროველის ისტორიის ბოლოს განმეორებაა⁷.

მართლაც და ვახტანგის ცხოვრება ლეონტი მროველს რომ ეკუთვნოდაც, სრულიად აუხსნელი დარჩებოდა ეს ფაქტი: რატომ დასჭირდებოდა ლეონტი მროველს თავიდან დაეწყო ამ ამბის განმეორება?⁸

ყოველივე ზემონათქვამიდან ერთხელ კიდევ ჩანს სიმავრე დებულებისა, რომლითაც ჯუანშერი ავტორია მფლიანად ვახტანგ გორგასალის ცხოვრებისა, ხოლო დინარჩენი, რაც ვახტანგის ცხოვრებას უძღვის წინ, სხვა ნაწარმოებია.

¹ ი. აბულაძე, ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, თბ. 1953, გვ. 019-020, 016.

² ი. აბულაძე, op. cit., გვ. 208.

³ ივ. ჯავახიშვილი, op. cit., გვ. 185. С. Какабадзе... стр. 22—24. კ. კეკელიძე, ეტიუდები, №V, გვ. 188.

⁴ ი. აბულაძე, დასახ. გამოცემა, 021-022.

⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 139 (სათაური ნაჩვენებია ყველა ძირითადი ვარიანტის მიხედვით).

⁶ იქვე, გვ. 138.

⁷ იქვე, გვ. 139.

⁸ ივ. ჯავახიშვილი, op. cit., გვ. 185.



გენერალ ჯაფარიძე

ქართული ზღაპრების შესანიშნავი დამსურათეგები

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სოსო გაბაშვილის მადლიანი ხელით შემკული საბავშვო წიგნები, მდიდარი ფანტაზიით აღსავსე ილუსტრაციები და ფანტასიკულები, განსაკუთრებით კი ქართული ფოლკლორის ტრადიციებზე შექმნილი ნახატები, მკვეთრად დახასიათებული და აღამიანური თვისებებით დაჯილდოებული ცხოველებისა თუ ფრინველთა სამყარო ვისაც უნახავს, სამედლოდ ჩარჩენია მესხიერებაში. მიუხედავად ამისა, ამ მეტად თავმდაბალ, მორიდებულ და ბავშვების გულის მესაიდუმლე მხატვარს, რომლის კალამმა და ფუნჯმა არაერთ თაობას განუმტკიცა სიყვარული დედაენისა, განუერთარა მხატვრული გემოვნება, ავარგაიანობის განსჯისა და სილამაზის შეგრძნების უნარი, ჯერ კიდევ სათანადო აღვლი არა აქვს მიჩენილი ქართულ სახვით ხელოვნების განვითარების ისტორიაში.

ეს არ ნიშნავს, თითქმის მხატვარი უყურადღებოდ იყოს დატოვებული მკვლევართა თუ ხელოვნების მცოდნეთა მიერ. სოსო გაბაშვილის შემოქმედებაზე უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში სხვადასხვა ქურნალ-გაზთებსა თუ წიგნებში, მრავალი საყურადღებო და მართებული აზრი გამოითქვა. მაგრამ ბოლომდე მაინც არ არის გამოაშკარავებული მხატვრის მთავარი დამსახურება ქართული საბჭოთა ხელოვნების წინაშე, მისი შემოქმედების დედა-არსი.

თუ მოკლედ მაინც გავეცნობით მხატვრის ბიოგრაფიას და ამასთან შეძლებისდაგვარად განვკვერტო როგორც ქართული გრაფიკის მიერ განვიღო გზას 1930-იან წლებამდე, ისე სოსო გაბაშვილის შემოქმედების ტრამებს, ნათელი გახდება, რომ მხატვარს ამა თუ იმ მიღწევების მოსაპოვებლად არც თუ ისე ცოტა სიმძლის ვადალაზა დასჭირდა. ეს მით უფრო ხაზგასასმელია, რომ გრაფიკის მეტად მნიშვნელო-

ვანი დარგი — საბავშვო მხატვრობა, რომელსაც სოსო გაბაშვილი წლების განმავლობაში პირნათლად ენსახურება, სახვითი ხელოვნების ზოგიერთ დარგთან ერთად, საქართველოში მხოლოდ საბჭოთა პერიოდში პოვეს თავის ნამდვილ განვითარებას და მისი წინ წაწევა მხატვრისაგან, გარდა ნიჭისა, დიდ შემოქმედებითს ენერჯის, შრომისა და საქმისადმი სიყვარულს მოითხოვდა.

იოსებ (სოსო) გაბაშვილი დაიბადა 1908 წლის 28 თებერვალს, ქალაქ ვლადიკავკავეში. აქვე გაატარა მან ბავშვობის პირველი წლები იმ დრომდე, ვიდრე მისი მამა, აგრანოში ილია გაბაშვილი, სამუშაოდ არ გადავიდა კახეთში; სოფელ ბაკურციხეში, თავისი დის მეუღლისა და ვაწო სარაჯიშვილის ძმის — ალექსანდრე სარაჯიშვილის ვრცელსა და ლამაზ მამულში.

როგორც კახეთის ბუნების თავისებურება გარემოში, ისე იმ დროის ერთ-ერთი განათლებული პიროვნების, ხელოვნების საკმაოდ კარგი მცოდნისა და მხატვარ-მოყვარულის — ალ. სარაჯიშვილის გავლენამ მეტად დადებითი როლი შეასრულა მომავალი მხატვრის ცხოვრებაში, რომელიც, შინაურების გადმოცემით, ჯერ კიდევ 4-5 წლიდან იჩენდა მისწრაფებას მხატვრობისადმი. სოსო გაბაშვილი დღესაც მადლიერებით იგონებს ამ ნათელ პიროვნებას, რომელიც გულმოდგინედ და მეტად დროულად ეცადა ყოველმხრივ განვითარებინა ბავშვის ბუნებრივი მონაცემები, გამოეცინა და გაეღრმავებინა მისი ნიჭი და გემოვნება.

სოსო გაბაშვილის ცხოვრებაში გარკვეული როლი ითამაშა აგრეთვე მისი მამის შორეულმა ნათესავმა და მეგობარმა, იმ ხანად უკვე სახელმწიფოებრივად გამოჩენილმა ქართველმა მხატვარმა გიგო გაბაშვილმა, რომელმაც ბავშვის უშუალო ნიჭის თავისუფლად განვითარების მიზნით შინაურებს ურჩია არ შეეზღუდათ



პატარა მხატვრის მისწრაფებები, არ დეტანგინათ ძალა თემის, ხატვის ტექნიკისა თუ მანერის შერჩევასი და უფლება მიეცათ ეხატა ნებისმიერად ყველაფერი ის, რაც მისი მოწონებისა და ყურადღების ღირსი გახდებოდა.

საყურადღებოა, რომ სოსო გაბაშვილი ბავშვობაში გატაცებული იყო ქალაქებიდან სხვადასხვა ფიგურების გამოქრით, რომელთა შორის იგი უპირატესობას ცხოველების გამოსახულებებს ანიჭებდა. საგულსხმოა ისიც, რომ გიგო გაბაშვილის ყურადღება პატარა სოსომ მიიპყრო სოკოს ვარშევი მოცეკვავე, ხელი-ხელჩაყიდებული ჭიანჭველების ფერებში შესრულებული ნახატით, კომპოზიციით, რომელიც უკვე იმთავითვე ააშკარავეს მხატვრის შემოქმედების თავისებურ ხასიათსა და მიდრეკილებას. შემდეგში ეს საწყისები მხატვრისათვის მეტად დამახასიათებელ ფაქტორებად იქცა, რის გამოც დღისათვის სრული უფლება გვეძლევა გრაფიკის თვალსაჩინო ოსტატს სოსო გაბაშვილი დამსახურებულად ჩაეაყენოთ საბჭოთა საბავშვო მხატვარ-ანტიმალისტთა მოწინავე რიგებში.

საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამხატვრო აკადემიაში შესვლამდე 1926 წელს სოსო გაბაშვილი კერძო პირთა თუ საზოგადოების ცალკეულ შეკვეთებზე მუშაობს, მაგრამ მისი შემოქმედებითი წინსვლა მინც აკადემიის სწავლის წლებიდან იწყება.

იმ ხანად თბილისის სამხატვრო აკადემიის პედაგოგებად იყვნენ ცნობილი მხატვრები გიგო გაბაშვილი, ევგენი ლანსერე, იაკობ ნიკოლაძე, მოსე თოიძე, იოსებ შარლემანი და სხვ. ყველა ესენი სტუდენტებს კალმისა და ფუნჯის სწორად ხმარებისათვის ერთად უნერგავდნენ გარემოს, სინამდვილის სწორი აღქმის პრინციპებს, აღქმულის მხატვრულად განსახიკრების აუცილებელ პირობას და მხატვრულ ნაწარმოებში შინაარსისა და ფორმის შერწყმის გარდუვალ კანონებს, რაც თავისთავად აკადემიაში რეალისტური მხატვრული პრინციპების დამყარებას ნიშნავდა.

აკადემიაში სოსო გაბაშვილმა პირველ გაცეთილზევე მიიპყრო ხელმძღვანელის — მეტად დაკვირვებული და გამოცდილი პედაგოგის პროფ. ი. შარლემანის ყურადღება. ამ უქანასკნელს ურჩია მეტი ყურადღება მიექცია გრაფიკისათვის (ი. გაბაშვილი აკადემიაში თვითპირველად ფერწერის ფაკულტეტის სტუდენტად ითვლებოდა). სოსო გაბაშვილმა გრაფიკის კლასშიც დაიწყო მეთადინეობა და 1930 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერისა და გრაფიკის ფაკულტეტი.

წარდა ი. შარლემანისა, აკადემიაში სოსო გაბაშვილს ასწავლიდნენ გიგო გაბაშვილი და ევგენი ლანსერე. ამ უქანასკნელთან სოსო

გაბაშვილი ახლად ჩამოყალიბებულ ოფერტის კლასშიც მუშაობდა. ე. ლანსერემ მეტად დაიახლოვა ნიჭიერი მოწაფე და ამის შემდეგ სოსო გაბაშვილს ე. ლანსერესთან ერთად არაერთ საპასუხისმგებლო სამუშაოზე ვხვდებით. ამთავან უმთავრესად აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი კედლის მხატვრობა — პასო რევოლუციურ თემაზე და ყახანის სადგურის ფერწერა, რომლისთვისაც მხატვარი დამხმარე ეტიუდებს ქმნიდა ნატურიდან.

ზემოხსენებულ თვითუღ პედაგოგს თავისი გარკვეული წვლილი მიუძღვის სოსო გაბაშვილის შემოქმედების განვითარებაში. თუ ი. შარლემანი მას უმთავრესად ნახატში უწევდა ხელმძღვანელობას, ე. ლანსერე და გ. გაბაშვილი ფერებსა და კოლორიტზე ახდენდნენ გავლენას. მიუხედავად ამისა, მხატვარი მალე პოულტს საკუთარ დამოუკიდებელ გზას. თანამიმდევრობით იწყებს რა მუშაობას მხატვრობის სხვადასხვა დარგებში (წიგნის გრაფიკა, თეატრი, პლაკატი, ფერწერა და სხვ.), იგი თანდათან უფრო და უფრო უფრდება ინდივიდუალურ შემოქმედების მინერას და აკადემიაში შესწავლისა და შეთვისებულის რაციონალურად გამოყენების საფუძველზე გვერდს უხვევს მასწავლებელთა გავლენას.

აკადემიის დამთავრების შემდეგ სოსო გაბაშვილს 1941 წლამდე, ე. ი. სამაშულო ომის დაწყებამდე, თითქმის არ უმუშავნია დაზღვრულ ფერწერაში. ამ ენარში შესრულებულ მის პირველ საფუძვლიან ნაშუშევარს მიეკუთვნება პატრიოტული გრძნობებით ნაკარნახევი სურათი „საჩუქრები ფრონტს“ — დინამიურობით აღსავსე და ფერწერულად სასიამოვნოდ გადაწყვეტილი კომპოზიცია.

სამაშულო ომის პერიოდში, სოსო გაბაშვილი ნაყოფიერად მუშაობდა პოლიტიკური პლაკატის დარგში. უნდა ითქვას, რომ იმ ხანად პლაკატი საქართველოში ჯერ კიდევ ვერ იღდა სათანადო მხატვრულ დონეზე და ერთგვარი პრიმიტიულობითაც ხასიათდებოდა. მხატვრების უმრავლესობა ხშირად უგულვებელყოფდა პლაკატის მნიშვნელობას და მისი შესრულებისას ნაკლებად იყენებდა თავის მხატვრულ შესაძლებლობას. სოსო გაბაშვილის კეთილსინდისიერად შესრულებული პლაკატები შინაარსისა თუ მხატვრული ხერხების საშუალებით ხაზს უსვამდნენ მათში ჩაჭსოვილ მთავარ ფაბულას — მოწოდებას. ფრონტსა თუ ზურგში მყოფ იდამიანებში სამშობლოს სიყვარულის უწმინდესი გრძნობების უფრო მძაფრად გამოვლენას. ტექნიკურად ყარვად შესრულებულმა პლაკატებმა „პარტიზანი“, „მესაზღვრე“ და „ფაშისმი“ თავის დროზე დიდი მოწონება დაიმსახურა და სოსო გაბაშვილი საზოგადოებას გონებამახვილ



სატირის მხატვრად წარმოუდგინა. ბუნებრივია, რომ შედეგში სოსო გაბაშვილის მუშაობა ყურნალ „ნიანგში“ სწორედ ამ თვისებებით არის განპირობებული — სატირული იუმორისა და კარკატურისათვის აუცილებელი მკვეთრი ნახატი და ყოველთვის ფხიზელი, სპეციფიური სიმახვილით აღსავსე თვლით.

სოსო გაბაშვილს კინოსა და თეატრის მხატვრობის დარგშიაც საკმაოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის. იგი 1935 წლიდან საქართველოს სახკინო მრეწველს თანამშრომელია და მისი ერთ-ერთი საუკეთესო მხატვარია. იგი კინოში სამუშაოდ მიიწვია ნიკოლოზ შენგულიამ „ნარიჯის ველის“ გადაღებისას. ამ ნიჭურ შემოქმედთან მუშაობამ მხატვარს ახალ დარგში მუშაობა გუაადვილა.

უნდა ითქვას, რომ სოსო გაბაშვილს კინოში ბედი საკმაოდ ხშირად დალატობდა. მან მეტად საინტერესოდ გააფორმა რამდენიმე ისეთი კინოფილმი, რომლებიც აღარ დადგებოდა. ასეთთა რიცხვიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა კინოფილმების „სამშობლოსა“ და „ნაიარქქიასთვის“ შესრულებული ვსკივები, რომლებიც გამოირჩევა კომპოზიციური გადაწყვეტით, სუტ-ჩრდილის სითამამითა და ფერთა გამის სიფაქიზით.

სოსო გაბაშვილი არც კინოსა და თეატრში ტოვებს უყურადღებოდ ბავშვებს. პირიქით, „ნაიარქქიას“ გარდა, რომელშიაც თანაბრად ვაკვირვებთ თანამედროვე ცხოვრებისა თუ ქართული ზღაპრების მიდარა სიამყარის საოცარი ცოდნა. სოსო გაბაშვილს ეკუთვნის მულტიპლიკაციური ფილმის „სამი მეგობრის“ გაფორმება-მხატვრობაც. დაკვირვებულმა მხატვარმა კარგად იცის, რა გაახარებს და დაინტერესებს პატარებს და მოხერხებულად აწოდებს მათ ფანტაზიას და ცხოვრების სინამდვილის ორგანულად შერწყმის ნიადაგზე შექმნილ ეოცხალ, იუმორით სავსე დამაჯერებელ სახეებს. განა მნახველმა შეიძლება ოდესმე დაივიწყოს ორთქლმავლის სახით გამოსახული ხოქო, უხეშ ფეხსაცმელებში „ჩამჯდარი“ სწრაფად მორბენალი ბუზი, ქართულად თავდახურული ნაზი მუხლუხო თუ მხატვრულად ამეტყველებული სხვა სულდგმულები?

დიდი წარმატება ხვდა სოსო გაბაშვილის მიერ გაფორმებულ საბავშვო სპექტაკლებს — ქ. ქუჩუაშვილის „ნაშობის ზღაპრს“ (1945), კ. გოგიშვილის „ფარავნელ ქაბუტს“ (1944-45), ვ. ჯავახიძის „ლაშარს“ (1945), რ. ქორქიას „მართალ კაცს“ (1947), გ. ბერძენიშვილის „მთის ბიჭებს“, ს. მიხალკოვის „წითელ ყელსავეს“ და სხვ.

შემთხვევითი არ არის, რომ მხატვარი თეატრშიაც უმთავრესად საბავშვო პიესებს აფორმებს. აქაც ყურადსაღებია, რომ მხატვარს მოს-

წონს იმ სპექტაკლების გაფორმება, რომელთა პერსონაჟების უმრავლესობა ცხოველთა თუ ზღაპრული სამყაროს წარმომადგენლები არიან. საინტერესოა მის მიერ შექმნილ სახეთა სიმრავლე და ნაირსახეობა — ქართული ზღაპრებიდან და ხალხური წარმოდგენებიდან მოტანილი, შეიქმნა ითქვას „გაღმობახტული“, საოცრად დამანტული კინკები და ნაზი, პეროვანი ფერიები, ხის დაკორმებულ ტოტის სილუეტით შთაგონებული „ტყის დედა“ და დამიანის თვისებების მქონე ცალთვალა, მოლაპარაკე ლევის ხე, უღვაშბავწყეპილი, ქართულად გამოწყობილი მელა „ხელხე“ ამაყად გადგადებული კლდით და მოხუცი ქალის მსგავსი ბუკეთილი დათვი, ყურტყეობა კურდღელი, ოფოფი, ზღარბი, კოლოები, ბავაყი, შველი, ნუკრი; და ვინ მოთვლის რამდენი სხვა ცხოველისა თუ ფრინველის, სულეირი თუ უსულო საგნის გაცოცხლება შექლო მხატვარმა, რამდენ მთაგნის მთაბერა სული და ამით რამდენ მაყურებელს — ბავშვსა თუ დიდს მიანიჭა კემშარტი სიმამინება, აღუძრა სიყვარული თუ სიძულვილი კეთილი თუ ბოროტი მოვლენისადმი და ყველაფერი ეს — პიესის ავტორის, რეჟისორისა და თავისი საკუთარი წარმოდგენების მოხერხებული შერწყმით.

სოსო გაბაშვილი თვალსაჩინო ქართველი გრაფიკოსი მხატვარია, გრაფიკული ტექნიკის სხვადასხვა ხერხების ცოდნით, ცხოვრებაზე დაკვირვების უნარიანთა და დიდი გეოვრებით აღჭურვილი. მისი ნახატი უმეტესად ძალაფრტანებული და მსუბუქია, კომპოზიცია — მოფიქრებული, ნათელი და კანონზომიერი, ხოლო ფერთა შეხამება თუ კოლორიტი — კეთილშობილი. მხატვრისათვის უტყობა ყველაფერი საგანგებო — მყვირალა ლაქა თუ სხვა ზარი ეფექტური. მისი გულწრფელი გრძობით გამოთბარი კალო უმთავრესად თბრობითია, წყნარი, მაგრამ ხალისიანი, მშობლოური და გულში ჩამწვლამი.

სოსო გაბაშვილის გრაფიკული ნამუშევრებიდან შესრულების თაისებური ხასიათითა და მანერით განცალკევებით დგას ფირდოუსის საიუბილეო გამოცემა „შა-ნამე“ (1935 წ.), რომლის შემკობა-დასურათებას მხატვარი ერთ გარკვეულ ამოცანას უქმედებდავებს — შექმნას წიგნის ავტორისა და სიუჟეტის შესაბამისი სტილი, მისი მხატვრული ენის შესაბამისი ნახატები. მართლაც, როგორც ილუსტრაციები, ისე წიგნის საერთო გაფორმებაც — უდა, ტიტული, წარწერები და სხვ. ირანულ მინიატიურას უახლოვდება, მისი ტრადიციული პრინციპებიდან გამოდის, მისთვის დამახასიათებელ პირობობობასა და დეკორატიულობას იცავს.

მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ „შა-ნამეს“ სოსო გაბაშვილისეული ილუსტრა-



ციები XVII საუკუნის ქართველი მინიატურისტი მხატვრის მამუკა თავაქარაშვილის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებს უფრო ენათესავენ, მათსავეთ ააშკარავენ მისთვის ორგანულად ახლო მდგომ ნაციონალურ მხატვრულ ტრადიციებს.

სრულიად საწინააღმდეგო მხატვრულ სტილს მიმართავს მხატვარი ილია ჭავჭავაძის „კაცია აღამიანი“ (1952 წ.) დასურათებისას და ამ განსხვავებას ნაწარმოებთა შესრულების სხვადასხვა პერიოდით ვერ განვსაზღვრავთ.

მხატვარი კარგად შეიგრძნობს ილიას იუმორით გამსჭვალულ გულისტიციულს, მის მამხილებელ „კამა-შვილურ“ ტონს და ყოველგვარი სტირის გარეშე მსუბუქი სევდით მოცული იუმორით მოსავს ილიას გმირებს, მათს გარემოს. ლუარსაბის, დარეჯანის, ლამასხიულის ტაპაე მკეპორია, დამაჯერებელი და ღიმილის მომგვრელიც, ნახატი — გამართული, ზოლოფერები — სუფთა და გამკვირვალე, რის გამოც ეს ნამუშევრები დამახატებულად სარგებლობს პოპულარობით და ილიას ნაწარმოებთა დასურათების ერთ-ერთ ხალხეთსოვლად წარმოადგენს. მაგრამ დასაინანი, რომ სოსო გაბაშვილი მხოლოდ ორი ილუსტრაციით შემოიფარგლა და არ შექმნა მოთხრობის საკვანძო მომენტების ამსახველ ილუსტრაციათა მოსალოდნელი თანამიმდევრული ციკლი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ნახატებში სოსო გაბაშვილი თავისუფალი არ არის ილიას ერთ-ერთი პირველი დამსურათებლის, შესანიშნავ აქვარლისტი მხატვრის ჰ. გრინეესკის გავლენიანად, რომელსაც ილია ჭავჭავაძის ჯერ კიდევ 1914 წ. გამოხსულ თხზულებათა პირველ ტომში მოთავსებული „კაცია, აღამიანი“ დაასურათა.

სოსო გაბაშვილის შემოქმედებითი მონაბოვრის მთლიანი გადანიშნავა ნათელყოფს, რომ მხატვრის მთავარ დამახატებელს საბავშვო მხატვრობის დარგში მუშაობა წარმოადგენს, მით უფრო, რომ ამ ასპარეზზე იგი ქართველ მხატვართა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი გამოდის.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, ისევე როგორც შემდეგ (თითქმის 30-იან წლებამდე), საბავშვო მხატვრობაში მომუშავე უცხო ეროვნებისა თუ საყუთრივ აღგილობრივი ქართველი მხატვრები არ გაიზარდნენ არც პროფესიონალური მაღალი დონით და არც სათანადო ცოდნითა და მისწრაფებით ამ დარგისადმი. მართალია, საბავშვო მხატვრობაში თავისი უნაგარი წყლიანი შეიტანეს საბავშვო წიგნის პირველმა ქართველმა დამსურათებელმა გრ. ტატიშვილმა, ალ. ბერიძემ, ოსკარ შმერლინგმა, შ. ქიქოძემ და სხვებმა, მაგრამ მათ საქმისადმი მიანიც ერთგვარი პასიური დამოკიდებულება ახასია-

ვებდათ, რადგან არც ერთ მათგანს მიზნად არ დაუსახავს გაეკვლია ინდივიდუალური მხატვრული გზა, დავმსახტრებინა საბავშვო მხატვრის საბატიო სახელი. პირიქით, შეიძლება ამას ზოგიერთ ერთგვარ შეურაცხყოფად, ე. წ. „ღილი“ ხელშეწყობის დღეაღტავი მიიჩნევა. სოსო გაბაშვილამდე საქართველოში სათანადო ნიჭით დაჯილდოებული, მომზადებული და მიზანდასახული საბავშვო მხატვარი ჯერჯერობით არ გვეგულება.

ამასთან, ერთიორად ფასს დავუვებთ მხატვარს, თუ ხაზი გაესმება მის ღვაწლს ქართული წიგნის ვრადიკის ისტორიაში.

დასაყლეთ ვერობისა და რუსული მხატვრული ნიმუშების მიბაძვით შექმნილი მოტკბო, გაუბედავი ხელთა და, შეიძლება ითქვას, შინა-არსობლივად პრიმიტიულად გადაწყვეტილი ზერცლე ილუსტრაციების გვერდით, სოსო გაბაშვილის პროფესიონალურად მაღალ დონეზე შესრულებული საბავშვო მხატვრობა გამოირჩევა როგორც მახვილგონიერებით აღსაცე შემოქმედებითი მონაცემებით, ისე გამართული ნახატითა და რთული, მაგრამ ბავშვისათვის აღვილად შესაცნობი კომპოზიციებით. მაგრამ მთავარი მიანიც არის, რომ სწორედ სოსო გაბაშვილიდან დაწყებული შეიძლება ვილაპარაკოთ ქართულ ნაციონალურ საბავშვო მხატვრობაზე, რომ ამ მხატვრის ინდივიდუალური მუშეუთრი ნაციონალური ელფერით სანიათდება, მან თანამედროვე მხატვრული კულტურისა და ქართული მხატვრული ტრადიციების საფუძველზე ხელი შეუწყო ჩვენში საბავშვო მხატვრობის ნაციონალური ენის ჩამოყალიბებას.

სოსო გაბაშვილმა აყადემის დამთავრების შემდეგ სახელგამში დაიწყო მუშაობა მხატვრად (1931 წ.) და სწორედ ამ ხანიდან იწყება მისი მოღვაწეობა საბავშვო წიგნების გაფორმების დარგში. მან, როგორც წიგნის ილუსტრატორმა, პირველად პარმენ ქანიშვილის მიერ სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის დაწერილი ნაწარმოების — „ბუს“ დასურათებით მიიპყრო საზოგადოების ყურადღება (მანამდე მის მიერ დასურათებული გ. კაქაბიძის „ორი ძმა“ შედარებით უფერული იყო). 1934 წელს დაბეჭდილი პირველი ფერადი ილუსტრაციებიანი წიგნი სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის საქართველოში დღევანდლამდე, როგორც ბავშვთა, ისე მოზრდილთა საყვარელ წიგნად დარჩა.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში საბავშვო მხატვრობის აღმავლობა 1930-იანი წლებიდან იწყება, თუმცა კი თითოთორლამ ამ დარგის საყურადღებო მხატვარი რუსეთში მანამდე მოიპოვება. ამას მიეწერება ალბათ, რომ ახალ დარგში მომუშავე მხატვარი „ბუს“ დასურათებისას რამდენადმე რუსი მხატვრის



ა. კომაროვის ანალოგიური საბავშვო წიგნის — „წითელგულას“ (1923 წ.) გაფორმებიდან გამოდის (იხ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 5), რაც განსაკუთრებით იგრძნობა ილუსტრაციათა შედარებითი ანალიზით, თუმცა ა. კომაროვის ზოგადად დახასიათებულ ფრინველთა მშრალ ნახატებთან შედარებით სოსო გაბაშვილის ილუსტრაციები უფრო ცხოველი, კოლორიტული და შთაბეჭადველია.

„ბუს“ ილუსტრაციების დედნების დაკარგვის გამო მათი შეფასება პოლოგრაფიულად შედარებით დაბალ დონეზე დაბეჭდილი ილუსტრაციებით გვიხდება, მაგრამ ისინიც თვალნათლივ მეთყველენ მხატვრის გემოვნებაზე და, რაც მთავარია, ფრინველთა ხასიათების გამოვლენისა და მათი „გაადამიანების“ უნარზე.

უკვე ამ ილუსტრაციებში გარკვევით ძახება სოსო გაბაშვილის საყუთარი მხატვრული გზა, მისი მიდრეკილება კონკრეტული აზროვნებისაკენ, რაც მხატვრის შესაძლებლობას აღლევს ამომწურავად დასტურათოს ბატონყმური ჟრთი. ერთობის დამგობი წიგნის მეტად ტუნწი ტექსტი. ამიტომ ნახატებზე თვალის ერთი გადავლევაც კი კმარა იმისათვის, რომ ბავშვი თანაგრძნობითა და სიყვარულით განიშკვალოს კოჭია ოფოფის, ძიძა-პოლურის, „ქორიკანა“ კაჭკაჭების, ცაში „წყრილა-წკრილით“ მგალობელ ტორილას, ჩონგურზე მომდერალი ბულბულისა თუ სხვათა მიმართ, ხოლო გაბლენძილი, ზარმაცი და უსამართლო ბატონის — ბუს წინააღმდეგ გამოცხადებული ომი სამართლიანად ჩათვალოს.

სოსო გაბაშვილის შემდგომ გამარჯვებებს მიეკუთვნება ხალხური ლექსის „თხა და ვენახის“ დასურათება (1936 წ.), რომელშიაც მხატვარი კარვად ახერხებს ენისა და გონების ამ სავარჯიშოს, მის თავისებურ ხალხურ თქმას მიუსადაგოს სადა, ყაველგვარ ეფექტს მოკლებული ნახატი. წიგნის დედაზრის აქცენტორება, ფერთა სიძუნწე და კეთილშობილება, თვითელი კადრის კონკრეტულობა და კომპოზიციითა კლასიკური სიმშვიდე, ისევე როგორც დეკორატიული ელემენტების მოხერხებელი გამოყენება, მხატვრის წიგნის საქმის კარგ მკოდნედ წარმოგედგება და მის მაღალ-მხატვრულ კულტურაზე მეტყველებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მხატვარს წიგნი იმდენად კარვად აქვს გააზრებული, მასში ნახატი, წარწერა თუ ორნამენტი ერთიმეორეს ავსებს და ძნელი ხდება წიგნის წმინდა გაფორმების თუ ილუსტრაციების გათიშვა, მათზე თავისთავადი, დამოუკიდებელი ლაპარაკი.

ზღაპრის დამსურამთბელს დიდი სიძნელები ელოდება წინ: მან კონკრეტული სახეების საშუალებით უნდა წარმოასახოს ხალხის ფანტა-

ზით ხორცშეხმული უცხო, ხშირად ფეხქვეშა ტიკური სამყარო და სხვადასხვა არსებანი. ამავე დროს, მხატვრის „ილუსტრაციამ“ უნდა შეეცა-ტყვისებოდეს თვითონი ჩვენთაგანის წარმოდგენას ამა თუ იმ მოვლენაზე, გმირზე, პერსონაჟზე, და ყოველი მისი მოქმედება, ტანსაცმელი, ავეჯი თუ სხვა გარემო დამაჯერებელი და შეუთავებლად მისაღები უნდა გახდეს მნახველისათვის.

სოსო გაბაშვილმა ნახატების საშუალებით ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაგვანახა ქართული ხალხური ზღაპრის თავისებური ხასიათი, მისთვის დამახასიათებელი ოპტიმიზმი და იუმორი, ამასთან, სოსო გაბაშვილი რეალიზმის მყარ საფუძველზე მდგომი, ნამდვილი თანამედროვე საბჭოთა მხატვარია და ამიტომ ახალი ელფერით შემოსილი მისი „ზღაპარიც“ თანამედროვედ და დამაჯერებლად ელერს.

არსებობს ზღაპრები პეროიკული, იუმორისტული, საყოფაცხოვრებო, ჯადოსნური და აგრეთვე ზღაპრები, სადაც მთავარ გმირებად ცხოველები გვევლინებიან. სოსო გაბაშვილს თავის შემოქმედებაში (როგორც გრაფიკაში, ისე თეატრსა და კინოში) უფრო ისეთი ზღაპრები მოსწონს, სადაც მეტად არის გამოვლენილი იუმორი, სკარბობს ჯადოსნურ-ფანტასტიკური ელემენტები და მთავარი პერსონაჟები ცხოველები და ფრინველებია.

ამ მხრივ საკვირველი არ არის, რომ მხატვარმა, უწინარესყოვლისა, საქართველოში ესოდენ პოპულარული ზღაპარი „ნაცარქექია“ დაასურათა (1943 წ.).

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ბავშვებისათვის კარვად დასურათებული წიგნი, მათთვის შესატყვისი დახვეწილი კონკრეტული ტექსტითა და კარვ ჭალაღზე დაბეჭდილი დიდი ზომის ფერადი ილუსტრაციებით, დღევანდლამდე არ მოგვევობება, ხოლო როგორც დანარჩენი მხატვრების, ისე სოსო გაბაშვილის ნიჭი და უნარი ამ დარგში მხოლოდ ცალკეული ნაყვესების სახით მიმოხვეულა.

„ნაცარქექიაში“ მხატვრის მიერ ყველაფერი გააზრებული და წესრიგზე მოყვანილია — ნახატი და კომპოზიციები, სავანებო დეკორატიულობა და პირობითი პერსპექტივა, ფერთა გამა და ტიპაჟი, რაც ბავშვს უადვილებს ილუსტრაციების აღქმას, მათს წაიკითხვას. მხატვრის მიერ ამბის ლაკონური თხრობა ზღაპრს უტექსტოდ გასაგებს ხდის, ხოლო თვითელი დეტალი, ბუნარი თუ თიხის ჭურჭელი, პეიზაჟი თუ აღმანიანი, ბავშვს შინაარს, მეტად ახლობელ ამბად ევლინება, მის წარმოდგენაში ზღაპარს სინამდვილესთან აერთებს. მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ მხატვარი დევებსაც თან სიცოცხლის ანიჭებს, ქართველ მკურნებელთან „ანათესავენს“. უკუ-



რებთ და იცით, რომ ეს „ქართულ“ დევიზი, ქართული ხალხის მიერ ხორცშესხული, ერთი შეხედვით უძლეველი, ბოროტი ფიზიკური ძალა, რომლის დაძლევაც არამც თუ ხალხის სახეურა ოცნებას, არამედ რეალურ შესაძლებლობასაც წარმოადგენს, მათი პრიმიტიულობისა და გონების სიჩუქნის გამო. ამიტომ სოსო გაბაშვილი სმართლიანად აღნიშნავს, რომ დღეი მის წარმოდგენაში ბავშვობიდანვე დონიერი, მაგრამ ბრავი პიროვნება იყო, რომელსაც გონებამახვილი ნაყარქვეთი კი იოლად ამარცხებს.

სოსო გაბაშვილის დევისი გამოსახულება სავებით შეესატყვისება არა მარტო მხატვრის, არამედ, საერთოდ, ქართველი ხალხის წარმოდგენას მათზე. ამიტომ, მიუხედავად მათი სიმაზნავისა და გლლიათური აღნაგობისა (რის გამოც ისინი თითქოს წიგნის ფარგლებში ვერ ეტყვიან, აბრისებს გარეთ გამოსვლას ლამობენ), დევიები ბავშვში უფრო თანაგრძნობას იწვევენ, ვიდრე შიშს და მათდამი მფარველობის განძნობითაც კი იმსკვალებიან.

„ნაყარქვეთი“ ილუსტრაციებში დევიებთან შედარებით ნაკლებად საინტერესონი არიან აღმანიები, რომელთაც მხატვარი ნაკლები სიმკვეთრით გამოხატავს. ბოლოდღე დამაჯერებელი არ არის აგრეთვე თვით ნაყარქვეთის სახეც. მისი ერთგვარი უტრირება სატირულ-იუმორისტული წარმოსახვის გზით.

უნდა ითქვას, რომ გაბაშვილის შემდეგ „ნაყარქვეთი“ არაერთმა მხატვარმა დაასურათა, მაგრამ მათში მერ-ნაკლებად იგრძნობა პირვანდელი ილუსტრაციების გავლენა, ამასთან ეს ილუსტრაციები არც თუ სრულყოფილინი არიან პირველთან შედარებით.

ხალხური ზეპირსიტყვიერების სათავეები ღრმად შეჭრილა ქართულ ლიტერატურაში. ფოლკლორი არაერთი ქართველი მწერლისათვის ყოფილა შემოქმედების წყარო. განსაკუთრებით ითქმის ეს საბას-სულხანსა და ვეფხე შესახებ. რომელთაც ხალხური მახვილსიტყვიერების მაგალითისამებრ ცხოველთა და ფრინველთა სამყარო აღმანიანს ყველა თვისებით დააჯილდოვეს, ალეგორიულ ტიპებად წარმოვედგინეს. აბ. ცანავას აზრით („სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში“ 1960 წ.) ცხოველებისა და ფრინველების სახით ხალხური ზეპირსიტყვიერება სხვადასხვა კლასის წარმომადგენლებს ასახავს. „...ცხოველთა ზღაპრებში პერსონაჟი ცხოველები აღმანიანს ორეულენბა...“ ალეგორიის თვალსაზრისით მტაცებელი მხეცები — ლომი, ვეფხე, დათვი, მგელი და სხვ. გამატონებელი კლასის წარმომადგენელთა ოფისებებს განასახიერებენ: ოფოფი, მწყერჩიტა, ერკემლო, მამალი, ბატკანი და სხვა კი დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელთა თვისე-

ბებს. მელას სატირულ-იუმორისტულ მიქმედება შეპირობებულია იმისდა მიხედვით, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს მას აღნიშნულ ცხოველებთან და ფრინველებთან“.

ზემოაღნიშნულის გამო ადვილი ვასაგებია, რატომ აირჩია სოსო გაბაშვილმა დასასურათებლად ვეფხე „ჩხიკეთა ქორწილი“ (1948 წ.), ნაწარმოები, რომელშიაც დიდმა პოეტმა თავი მოუყარა მრავალფეროვან ფრინველთა კრებულს, რითაც მან მხატვრის შემოქმედებით ფანტაზიას უხევი საზარღო გაუჩინა.

მოთხრობის საყენარო ადგილებს მიხედვით შერჩეულ, ხალისიან ფერებში შესრულებული დეკორატიულად ლამაზი კომპოზიციებზე იმთავითვე მოწონების ღირსი ხდება. მართალია, ილუსტრაციებში, მხატვრის მიერ თანაბარი სიძლიერით არ არის დახასიათებული თვითეული ფრინველი, მაგრამ ძირითადში ისინი ცხოვრებად ოსტატურად აღქმულ ტიპებს წარმოადგენენ.

სოსო გაბაშვილის ფრინველები „ეროვნულ“ ხასიათს ჯერ კიდევ „ზუს“ ილუსტრაციებში ავლენენ, მაგრამ, თუ ამ პირველ ნაწარმოებში მხატვარს ამისათვის უშთავრესად ტანსაცმელი აქვს გამოყენებული, „ჩხიკეთა ქორწილი“ მხატვარი ამ დამახასიათებელ ქართულ ატრიბუტს თითქმის მთლიანად უარყოფს, მას მოძრაობათა და მოქმედებათა თავისებურებით წყვეტს. ამიტომ მეტად შთამბეჭდავია მეფთური სიღრეით აღსავსე არწივი, სახასიათო მოძრაობების მქონე მკვირცხლი თავუნა (ხან „ბუქნაში“ ამოშავალი, ხან სერიის მყურებელი და ხან კი განცხრომით მიძინებული ფოთლის საბანს ქვეშ) და სხვ.

არანაკლებ საინტერესოა ვეფ-ფშეველას „სათავრის“ ილუსტრაციები „ღიღ ვაებში და საგონებელში“ ჩაერდნლი თაგების გუნდით და „შელის ნუჯრის ნაამობი“ (1951 წ.), რომელშიაც ავტორი ლირიულ ფერებში მოკვიტხრობს ვეფხე მიერ მოწოდებულ გულსაკლავ ამბავს. თქმა არ უნდა, ცხოველებისადმი ადამიანური თანაგრძნობის გამობატულებას თვით მოთხრობის ავტორი, მისი მსოფლმხედველობა ქადაგებს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი მხატვრის გრძნობათა უშუალო გამობატულებასაც წარმოადგენს. ამითვე იხსნება ალბათ ამ ნაწარმოებში შესრულების მანერის შეცვლა, მხატვრის მიერ პირობითი, დეკორატიული კომპოზიციებისა და „გაადამიანურებული“ ფრინველ-ცხოველების ნაცვლად რეალური სამყაროს წარმოსახვა. მართალია, ამ ნაწარმოებში ნაკლებად ჩანს სოსო გაბაშვილის განსხვავებული, ორიგინალური მანერა, მაგრამ განწყობით სავსე ილუსტრაციები ბავშვებში სათუთ გრძნობებს იწვევს.



თუ რაოდენ ანგარიშს უწყევს ბავშვებს მხატვარი ნახატების შესრულებისას, ამაზე ნათლად მეტყველებს ერთი დეტალი, „შელის ნუკრის ნაამბობიდან“. მხატვარმა არ დახატა შელის სიკვდილის სცენა, ვინაიდან აღნიშნული ამბის უბრალო ხსენებაააც კი აღაშფოთა მისი პატარა გოგონა.

ჩვენ მიზნად არ დავგვისახავს სოსო გაბაშვილის ყველა საყურადღებო ნაშუშევრის განხილვა; მათი რიცხვი დიდია და აქ ჩამოთვლის შესაძლებლობას აღემატება. მაგრამ არ შეიძლება არ ვახსენოთ მის მიერ სხვადასხვა დროს დიდი სიყვარულით დასურათებული ხალხური ზღაპარი „ჩაწვილი და კიანჭველა“ (1934-35 წწ.), მარიჯანის „ზერა ატმის ქალაქში“, როდიონ ქორჭიას „ოთხი ზღაპარი“ (1941 წ.), ი. გრიშაშვილის „ანბანთ-ქება“ (1941 წ.), ალ. სანიშოელის „გამოცანები“ (1943 წ.), მკეველა მრეველიშვილის „ყოყლოჩინა მამალი და ცრუბენტელა შელია“ (1955 წ.), ამავე ავტორის „სტუმარ-მასპინძელი“ (1956 წ.), გიორგი ნატროშვილის „კაფანდარა“ (1956 წ.), გრ. აბაშიძის „რუსთავეის მერცხლები“ (1948 წ.) და სხვები, რომელთა ილუსტრაციებზეც, ლიტერატურულ ნაწარმოებთან გვერდით, დიდი როლი შეასრულა ჩვენი ბავშვების სტლიერი სამყაროს ფორმირებაში.

სოსო გაბაშვილი ბავშვებთან უხილავი ძაფებით არის დაკავშირებული. იგი ჩახედულია ბავშვების გულს კუნძულის ყველა არეში, იცის — რა გაახარებს, რა დაალონებს, ჩააფიქრებს თუ გულაინად გააცინებს პატარებს.

მხატვრის ნახატები — გულბრწყვილო შელის ნუკრი თუ მოხერხებული ნაცარქექია, ბრავი დღეები თუ ეშმაკობათ სავსე ფლიდი მელა.

ვაბლენძილი „ბატონი“ ბუ თუ კაფანდარა თაგუნია — არამც თუ ავსებენ და ამღიდრებენ ბავშვის ფანტასტიკურ სამყაროს, არამედ აცნობენ მის ვარემო რეალურ ცხოვრებას, მის კონიებს, მის აესა და კარგს.

თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის გვერდით სოსო გაბაშვილი სისტემატურად ასურათებს რუს მწერალთა ნაწარმოებებს, ამოგან გამოირჩევა ა. პუშკინის „მებადურისა და ოქროს თევზის“ ზღაპრისა და კრილოვის იგავარაყების ილუსტრაციებში, რომლებშიაც მხატვარმა შეძლო გადმოეცა რუსული ზღაპრებისა და იგავების ეროვნული ელფერი, მათი აღმოცენების ადგილსამყოფელის შესატყვისი მხატვრული ინტერპრეტაცია.

თუ რა დიდი როლი ენიჭება წიგნის გამფორმებელ მხატვარს, — პატარების ხატოვანი სამყაროს შემქმნელს, — ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენს. არც თუ საბავშვო მხატვრობის დარგში არსებულ მიღწევებსა და ნაკლებზე გვაქვს აქ უფლება ვილაპარაკოთ (თუმცა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ გამოცემლობა „ნაყადელმა“ ამ ბოლო ხანებში ძირეულად გარდაქმნა თავისი მუშაობა და არაერთი პოლიგრაფიულად საკმაოდ დამაკმაყოფილებელი და კარგად გაფორმებული წიგნი მიაწოდა ქართველ მკითხველს), მაგრამ ის კი უნდა ვთქვათ, რომ, როგორც უნდა წარმოართოს საბავშვო მხატვრობის გზა, ამ დარგის რაგინდ დიდი მხატვრებიც უნდა მოგვევლინონ მომავალში, სოსო გაბაშვილის, ქართული საბავშვო მხატვრობის ამ ერთგვარი ბიონერისა და ამაგდარის სახელი წარუშლელი დარჩება ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში.





აშშ

ჰემინგუეის ხელნაწერები

როგორც ამერიკული უფრო-ნალი „სატრადი რევიუ“ იუწყება, ჰემინგუეის ქვრივმა ხუთი კვირა დაჰყო კუბაში და, მწერლის უკანასკნელი ნება-სურვილის თანახმად, მოაწყო ჰემინგუეის მუზეუმი. მან მოსპო ზოგი წერილი და დოკუმენტი, დანარჩენი კი ამერიკაში ჩაიტანა.

ჰემინგუეის ლიტერატურული მემკვიდრეობის მოწესრიგებისას აღმოჩნდა რამდენიმე გამოუქვეყნებელი და ნაწილობრივ უცნობი ხელნაწერები კი. მათ შორისაა სრული ხელნაწერი რომანისა — „სახიფათო ზაფხული“, რომლის რამდენიმე თავი გამოქვეყნებული იყო; მემუარები 20-იანი წლების პარიზის შესახებ; ხელნაწერი რომანისა — „მიწა ზღვა ჰაერი“, რომლის შესახებაც ჰემინგუეი ამ რამდენიმე წლის უკან დაწვრილებით სწერდა ცოლსა და მეგობრებს, მაგრამ შემდეგ, გაურკვეველი მიზეზების გამო, განწე გადასდო; და, დასასრულ, ნოველები და მოთხრობა, რომლებსაც ავტორმა მისცა საერთო სათაური — „ზღვის დაბადება“. ჩანაწერების მიხედვით, მწერალს განზრახული ჰქონია ამ კრებულში შეეტანა თავისი მოთხრობაც — „მოხუცი და ზღვა“.

უფრონაღისტიების შეითხვავზე — ჰემინგუეის ხელნაწერთაგან, რომლის გამოქვეყნებას უნდა ველოდეთ უმოკლეს დროში, მწერლის ქვრივს არ

გაუცია კონკრეტული პასუხი. მან, მხოლოდ ზაზგასმით აღნიშნა: ყოველმხრივ მიიღა შევასრულო განსვენებულის ნება-სურვილი.

თერმობატომგულის ეპოქის ხელოვნება

სამხატვრო გალერეაში გამოფენის დახურვის შემდეგ, როცა უფრომ გადაწვეტილება მიიღო, შევიცარიელმა „მხატვრმა“ უან ტენგელიმ ხელი გაიქნია და მისი „სკულპტურული კომპოზიცია“, რომელიც ბორბლების, როიალის ნაწილებისა და ბლაზის დერობისაგან შედგებოდა, ერთბაშად აფეთქდა. „მოქანდაკე“ ახსნა: ესაა „თერმობატომგულის ეპოქის ხელოვნება“, და როცა ამ ქანდაკებას ექმნიდა, მხედველობაში მქონდა მისი აფეთქებაცო. უფრონალი „ლაიფი“ სტატიას მიუძღვნის ამ „მოქანდაკეს“; ასახელებს აგრეთვე რიჩარდ სტანკევიჩის ნაწარმოებს — „საპატარძლო“, რომლის თავი გაკეთებულია მაცივრის სათადარიგო ნაწილებისაგან, თვლები — ქანკიებისაგან, ხოლო საქორწინო კაბა — საწოლის ფარდისაგან. „ეს თითქმის ნამდვილი ადამიანის სახეა, რემბრანდტი-სებური სახე“, — განაცხადა ავტორმა.

უნდა აღინიშნოს, რომ რემბრანდტის სურათი — „არისტოტელი და პომპროსი“, ვიდრე ამახ წინათ აუქციონით გაიყიდებოდა, გამოფენილი იყო საზოგადოების საჩვენებლად და 82.000-დე კაცმა ნახა. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუ-

ნის“ რეპორტიორი, რომელსაც აინტერესებდა საზოგადოების აზრი, განაცვიფრა უამრავი მნახველის ერთმა დამივე შევითხვამ: „ამ სურათის გარდა კიდევ თუ არის სურათები მუზეუმში?“ და ძალიან გაჰკვირვებით, როცა შეუტყვათ, მუზეუმში რამდენიმე ათასი სურათია, ვინაიდან ამ ადამიანთა უმეტესობამ თავის სიცოცხლეში პირველად ნახა ნამდვილი ხელოვნება.

აგონია ბროდუიჩე

„ბროდუი აგონიაში“, — ასეთი სიტყვებით იწყება ფრანგულ უფრონალ „ფრანს-ობსერვატივიში“ ამერიკის თეატრალური ცხოვრებისადმი მიძღვნილი სტატია. შარშანდელ სეზონში, როგორც იუწყება სტატია, 49 დადგმიდან მხოლოდ ხუთმა გამარჯვდა ათასგვარი გეგმა მუშავდნა საბოლოო კრახის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ერთერთი თეატრის დირექტორმა წინასწარმეტყველურად განაცხადა: „სამი წელიც არ გავა, რომ ბროდუიჩე არც ერთ სერიოზულ პიესას აღარ დადგამენო“.

ამ კრიზისის მიუხედავად, ამერიკულ დრამატურგიაში გამოჩნდნენ ახალი, ცოტად თუ ბევრად ნიუიერი ახალგაზრდა მწერლები. კორესპოდენტი უწინარეს ყოვლისა ასახელებს ალბერტ ოლბის; მართალია მის პიესებსა და ლიტერატურულ ნაწარმოებებზე ვერ ითქმის, შეადევრებიაო — ნი-ნიარ.

სიუჟეტის ქარგასთან სრულიად დაუკავშირებელ „აკრობატულ ტრიუკებს“ მწერალი თავსამტრევს გზაზე მიჰყავს, მაგრამ მის პიესებში გამოსჭვივის ჰუმანიზმი, თუმცა რამდენადმე თავისებური, ამერიკული ჰუმანიზმი. ოლბის პირველი პიესა — „ამაზი ზოპარკში“ ანალიზს უკეთებს ადამიანთა ურთიერთობას, ერთმანეთისადმი მეტად ტლანქ გულგრობობას. მეორე პიესა — „ბეის სმიტის სიკვდილი“ ცდელია გაარკვიოს, რატომ კვდება სახელგანთქმული ზანგი მომდგრადი ქალი მარტოდ-მარტო და ყველასგან შიშოვებული.

მეორე ახალი მწერალი, რომელიც ღირსია მოხსენიებისა, არის არტურ კოპიტი. მის პიესაში — „ო, მამილო, საბრალო მამილო, დედამ კედლის კარაღში ჩაგამწყვდია და ჯვარით აღარ ვარ!“ — საშუკარაოზეა გამოყვანილი მილიონერი ქალი, ქმრის მოღალატე ქვრივი. მოქმედება პიესისა, რომელიც ჯერ პროცენტაში დაიდგა, ხოლო შემდეგ ლონდონშიც, წარმოებს პანახის სასტუმროში, სადაც ქვრივს მოუთავსებია თავისი მარკების, ფულისა და სხვ. კოლექციები და თავისი კარგა მოკეთილად აღზრდილი 17 წლის ვაჟი. კოპიტი ხატავს საშინელ კარიკატურას ამერიკელ ქალზე, რომელიც ქმრებზე ნაიდრობს.

ნ. ფ. სიმსონის სახით გაჩნდა კომედიების ავტორიც, რომლის პოეტური ფანტაზია — „ქანქარა, რომელიც ერთ მხარეს ქანაობს“ — დაიდგა პროდუქცი.

**რატომ პრ იყიდება
რომანები**

ეს კითხვა აწუხებთ ამერიკაში არა მხოლოდ წიგნის გამომცემლობებსა და გამყიდველებს, არამედ მწერლებსაც. ყოველკვირიული „ნიუ-იორკ ტაიმს რევიუ“ ამას წინათ

ჩიოდა, კარგი რომანები ძალზე ძვირი ღირსო. ზოგი უზრუნალ-გაზეთის აზრით, არავინ ზრუნავს მკითხველთა ფართო მასის ლიტერატურული გემოვნების აღზრდაზე და ხალხს სწირად იაფფასიანი სატრფიალო რომანები და დეტექტივები ურჩევნია ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებს. განსაკუთრებით სახიფათოა ის, რომ საშუალო მწერლები, წიგნის ბაზრის საამებლად, ძალზე სწირად ამღიერებენ თავიანთი წიგნების „მიმოიღველობას“ ე. წ. „სასიუვარულო ეპიზოდებით“. სტატიის ავტორის კენიგსბერგის აზრით, საჭიროა ლიტერატურულმა კრიტიკამ სწორი ორიენტაცია მისცეს მკითხველს. მაგრამ კრიტიკა, ჩვეულებრივად, ხაზს უსვამს ხოლმე ფაბულას, სენსაციურობას და თემატიკის აქტუალობას, რათა საქონელი უკეთ გაიყიდოს და ავიწყდება აღნიშნის ნაწარმოების ემოციური სიმდიდრე, გმირთა ფსიქოლოგია და იდეოლოგიური მხარე.

**ინგლისური ენის ახალი
ლექსიკონი**

10 წელიწადი მზადდებოდა ამერიკაში ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც ახლახან გამოვიდა და მოიცავს 450.000 სტატის. ლექსიკონის რედაქციას ხელმძღვანელობდნენ 70 ფილოლოგი და 200 სხვადასხვა კონსულტანტი. ლექსიკონში შეტანილია პრესაში, რადიოსა და ტელევიდეოში გამოყენებული ეურნალისტური ენის ახალი გამოთქმებიც, ესაა ყველაზე უფრო სრული კრებული იმ სიტყვებისა და გამოთქმებისა, რომლებსაც ხმარობენ დღევანდელ ამერიკაში. ლექსიკონის შემდეგი გამოცემა ნავარაუდევია 1980 წელს.

შემოსავლიანი სინტიპლამ

ამ ბოლო დროს პოლივულში კვლავ მძაფრად გაიზარდა

წარმოება კინოფილმების, რომლებიც ტიტველი ქალების ჩვენება უფროა, ვიდრე მხატვრული ფილმი. მ თვეზე ნაკლებ დროში გადაღებული იქნა მან ფილმი, რომლის მიზანია სექსუალური აღგზნება. ამ ფილმებში მთავარ როლებს ასრულებენ მოცეკვავე, პროსტიტუტკა ან ფტომენატურე ქალები. პოლივულში ამჟამად მოქმედებს 30 სტუდია, რომლებიც ამზადებენ და ფილმის შემქმნელებს აწვდიან ამ ფტომენატურეებს. წნეობის დაძვეული პოლიცია არ ილაშქრებს ვაქრობის ამ შემოსავლიანი დარგის წინააღმდეგ, ვინაიდან პროდუსერები არ ააღვებენ კანონსო. ამ ჯურის ფილმების გადაღება ხდება ან იჯარით აღებულ სტუდიაში, ან, თუ სტუდია ძვირია, ცარიელ საწყობებსა და სახელოსნოებში, ხოლო ხან კალათბურთის მოედნებზეც. სულ უფრო და უფრო მატულობს რიცხვი პროდიუსერებისა, რომლებიც ისწრაფვიან ამ იოლი და ხელსაყრელი პროდუქციის გამომშვებით გამდიდრებას.

უიტიმენის ავტოპორტრამტი

უიტიმენი წლების მანძილზე ყველაზე უფრო საინტერესო მხატვრული მონაპოვარია ერთ-ერთ ნიუ-იორკელ ანტიკვართან აღმოჩენილი სურათი, რომელზეც გამოსახულია მოხუცი უოლტ უიტიმენი პოეტისავე ხელმოწერით. ხანგრძლივი გამოკვლევის შემდეგ მუზეოლოგები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შესაძლოა ეს იყო მწერლის ავტოპორტრეტო, როგორც ცნობილია, ხანდაზმულმა უიტიმენმა მრავალ სახელგანთქმულ მხატვარს დაუკვეთა თავისი ავტორტრეტო. მაგრამ არც ერთი არ მოსწონდა. შინაურებმა იცოდნენ, რომ მწერალს უყვარდა ხატვა, ანე რომ გასაოცარი არ იქნებოდა, თუ მან თვითონ დახატა საკუთარი ავტორტრეტო.



ზანაზური ლიტერატურის ანთოლოგია

ცნობილი ზანგი პოეტის ლენგსტონ მიუსის რედაქციით გამოვიდა იმ თანამედროვე ზანგ მწერალთა ნაწარმოებების ანთოლოგია, რომლებიც ინგლისურად წერენ. ანთოლოგიის სახელწოდებაა „აფრიკის საუნჯე“. აქ თავმოყრილია ნაწარმოებები, რომლებიც წარმოვადგენენ თანამედროვე აფრიკული ლიტერატურის განვითარების სამ მიმართულებას ინგლისურ ენაზე. ისაა, უწინარეს ყოვლისა, ზანგური ზღაპრები, მერე მოსდევს ნაწარმოებები დასავლეთის ყაიდაზე მომუშავე მწერლებისა და, დასასრულს, ნაწარმოებები იმ მწერლებისა, რომლებიც ინგლისური ენის საფუძველზე ჰქმნიან ანგლოაფრიკული ენის მსგავს რადაცას.

ბრაზილია

საბამოთა ლიტერატურა გამოცემილია „გრადიკა ლოკის“ შეუდგა საბჭოთა ლიტერატურის გამოცემას პორტუგალიურ ენაზე. ანთოლოგიაში შევა რუსული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები. უკვე გამოვიდა ორი ტომი, რომლებშიც დაბეჭდილია პუსკინის, გოგოლის, ლერმონტოვის, ტურგენევისა და დოსტოევსკის ნაწარმოებები. ანთოლოგიაში დიდი ადგილი დაეთმოა საბჭოთა მწერლების — შოლოხოვის, ლიონოვისა და სხვათა ნაწარმოებებს.

ბრაზილიური ფოლკლორი დაიწყო ჟურნალ „ფოლკლორული მიმოხილვის“ გამოცემა, რომლის მიზანია — როგორც ვადაცხადა პირველ ნომერში მისმა მთავარმა რედაქტორმა ა. სმიტმა — ისაა, რომ ვადაცხოს მკითხველებს

ხალხური მხატვრული შემოქმედების დღემდე უცნობი სამყარო, განსაკუთრებით ხალხური სიმღერები, ზღაპრები, ლეგენდები. ამავე დროს ხანპაულუს ერთ-ერთი გამოცემილობა შეუდგა ბრაზილიური ფოლკლორის ენციკლოპედიის გამოცემას. ახლახან გამოსულ პირველ ტომში მოთავსებულია ბრაზილიაში მცხოვრებ ინდიელთა ზღაპრები და ლეგენდები.

ბულგარეთი

ხალხური შემოქმედება ბულგარეთის მწერალთა კავშირი ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად გამოცემად აწარმოებს ხალხური ზეპირსიტყვაობის კრებულს, რომელიც მოიცავს ვრცელ ოცტომიან ციკლს — „ბულგარული ხალხური შემოქმედება“. პირველი ორი ტომი, სადაც მოთავსებულია იუნატებისა და მაიდუების სიმღერები, უკვე გამოვიდა. დასაბეჭდად მზადდება მესამე ტომი — ისტორიული ხალხური სიმღერები. ტომებთან მივიღი ციკლი დაგვირგვინდება ერთი ტომით, სადაც შევა ყველაზე უფრო პოპულარული ხალხური სიმღერების მუსიკა და ტექსტი.

ბერმანი

ბერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ფაშინტაში უკავაზიფილნი პირინ ამერიკული პოლიტიკური ბესტსელერი, უ. შირერის წიგნი — „მესამე რიხის აღწევება და დაცემა“ გფრ-ში შედარებით მცირე ტირაჟით — 30.000 ეგზ. გამოვიდა. ამ წიგნმა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ყურადღება დაიმსახურა ერთის მხრივ იმით, რომ მრავალადა დღემდე გამოუქვეყნებელი საიდუმლო დოკუმენტ-

ბი ნაცისტების ბატონობის ხანისა, ხოლო მეორე მხრივ — პირადი შთაბეჭდილებანი ავტორისა, რომელიც პიტლერის დროს ამერიკის კორესპონდენტად მუშაობდა გერმანიაში. ამ წიგნის გერმანული თარგმანის გამოცემა გფრ-ში მაშინვე გააფორმებით დაეხსენ თავს კრიტიკოსები, აგრეთვე ის ჟურნალისტები, რომლებიც თავიანთ თავს „ოპოზიციონერებს“ და „ლიბერალებს“ უწოდებენ. წიგნის ავტორს უკუინებენ არაობიექტურობას და აცხადებენ, არ იციან ფაქტების გამოყენება და ვერ უპოვნია მათთვის ადგილი ნაციზმის ისტორიაში, აუბრალოებს მათ და „სახევისმართლეს“ ამბობს. ცნობილმა დასავლეთგერმანელმა კომენტატორმა პაულ სატემ ისიც კი განაცხადა, რომ შირერის წიგნმა „დიდი გავლენა იქონია ამერიკის სექტატურ და მოკიდებულებაზე გფრ-სადმი ამ ბოლო დროს“.

კომპოზიტორ ძალთა

კომპოზირი

მანჟიშიში ჩატარდა ქალ კომპოზიტორთა მესამე საერთაშორისო კონკურსი. 31 ქვეყნის 170 კომპოზიტორმა ქალმა წარადგინა თავისი ნაწარმოებები კონკურსზე. ჟურნალი „ნეივ კალტურე ფიორ მიუზიკი“ აღნიშნავს წარდგინილ ნაწარმოებთა მაღალ დონეს. კონკურსში პრემია მიიღო ივონა დეპორტმა, პარიზის კონსერვატორიის სტუდენტმა. ვოკალურ ნაწარმოებთა კლასში მან პირველი პრემია მიიპოვა.

დანია

საბამოთა ფილმები დანიაში დანიის კომუნისტური პარტიის ინიციატივით კომენაგენში მოეწყო საბჭოთა ფილმების კვირეული სახელწოდებით — „ოქტომბრის რევო-

ლუციიდან ხკპ XXII ყრილობამდე“. ამ კვირეულის დროს ნაჩვენები იქნა ფილმები: „ლინინი ოქტომბერში“, „ლინინი 1918 წელს“, „გატეხილი ყამირი“, საბჭოთა დოკუმენტური ფილმები თანამგზავრებზე და ატომურ ყინულშპირელ „ლინინზე“, გაგარინისა და ტიტოვის კოსმოხურ გაფრენზე და სხვ.; საბჭოთა ფილმებმა დანიის მასურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ერაყი

მაკედონელი დროინდელი
ერაყის ჩრდილოეთით, ხატრში, აღმოჩნდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნის დროინდელი მარმარილოს 9 ქანდაკება. ქანდაკებანი მშვენივრადაა შენახული და, მცოდნეთა აზრით, აღექვანდრე მაკედონელის სამეფო კარის მოქანდაკეთა მიერაა შექმნილი.

ინდოეთი

ლიტერატურით
დანიტარქსება
ხაგანგებოდ შექმნილმა კომინიამ დაადგინა, თუ როგორ იკითხება დღეს ინდოეთში მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებები. კომიტეტმა უფრნად „მინდუ რევიუში“ გამოაქვეყნა თავისი გამოკვლევის შედეგები, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ მხატვრულ ლიტერატურას კითხულობს სოფლის მცხოვრებთა 40% და ქალაქელთა 61%. ეს იმას მოწმობს. რომ ჯერ კიდევ სულ ცოტანის წინათ წერაკითხვის უცოდინარ ხალხთა მასებში არგაგონილად გაიზარდა ინტერესი მხატვრული ლიტერატურისადმი. განხაკუთრებით ბევრს კითხულობს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ბენგალიურ და მალაიურ ენებზე ლაპარაკობს.

„სიმღარა მოსახლისა“
კალკუტაში გამოვიდა ბენგალიელი მწერალი ქალის სავიტრა რეის ახალი ნაწარმოები — „სიმღერა მოსახლისა“; ესაა ტრილოგია „აღამიანზე, რომლებმაც შეიგნეს თავიანთი ძალა და ებმებიან ტირანისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლაში“, — წერს „ნიუ ეიჯის“ კრიტიკოსი. რომანში ასახულია ბენგალიაში 80 — 40-იან წლებში მომხდარი ბოხოქარი ამბები და ამ წლების ისტორიულ მოვლენათა ფონზე ფართო მანების მზარდი აქტიურობა. მწერალს ფართო პოლიტიკური პორიზონტი აქვს და ინდოელი ხალხის ბრძოლას ხატავს არა იზოლირებულად, არამედ ბუნებრივად უკავშირებს მძლავრ ხალხურ მოძრაობას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ინდოეთში და მის საზღვრებს გარეთ. კრიტიკოსი ამ რომანს ახასიათებს, როგორც „ფრიალკარგ ნაწარმოებს, სადაც მართლად და საყურადღებოდაა მოცემული ბენგალიელი ხალხის ბრძოლის ერთი ეტაპის სურათი“.

იტალია

ხალკონების მოღვაწეთა გაფიცვა
ამას წინათ იტალიის კინემატოგრაფიის მუშაკებმა—რეჟისორებმა, ოპერატორებმა, მემონტაჟებებმა, დეკორატორებმა და ტექნიკოსებმა — გაფიცვა მოაწყვეს ნიშნად პროტესტისა, რადგან იტალიის ცენზურამ აკრძალა დემონსტრაცია ფრანგი რეჟისორის ოტან-ლარას ანტისაოპორი ფილმისა — „არაკაც ჰკლავ“, და აგრეთვე დაამტკიცა კანონი კინოცენზურის შესახებ. გაფიცვაში მონაწილეობდნენ ისეთი გამოჩენილი კინომოღვაწეები, როგორცაა ვისკონტი, როსელინი, ალბერტო მორავია და სხვები. რომის კინოთეატრ „ელიზეში“

მოეწყო მიტინგი, რომელზეც იტალიის პროგრესულმა ძალებმა ერთსულოვნად გაიტაცეს იტალიის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ.

საზრანგბეთის მთავრობის პროტესტი

იტალიის ერთ-ერთმა თეატრმა პონტე დერის ეფეტვილისთვის მოაშალა მ. სარტარელის პიესა — „ხალხის შვილი ჯოვანა“; პიესაში გათანამედროვებულია საფრანგეთის ეროვნული გმირის უანა ღარკის ძველი ამბავი. ამბავი ხდება დღევანდელ ალჟირში, გმირი ქალია ფრანგი პოლკოვნიკის ქალიშვილი; ის გადაწყვეტს იბრძოლოს ალჟირელი ხალხის მხარეზე იმ არმიის წინააღმდეგ, რომელსაც მამამისი მეთაურობს. ქალიშვილს დაიჭერენ იარაღით ხელში და სიყვდილს მიუხეჯიან. საფრანგეთის მთავრობამ ოფიციალურად პროტესტი განაცხადა ამ პიესის დადგმის გამო და მოითხოვა თეატრის რეპერტუარიდან მისი ამოღება.

ახალი ტალანტი

მილანის ლა ხალას თეატრში დონიცეტისა და ბელინის ოპერებში გამოვიდა ახალი მომღერალი ქალი, კალარატურული სოპრანო ჯანა დ'ანჯერო, რომელიც მცოდნეთა აზრით, უთუოდ მარია კალასის ოდნეა მომღერალი გახდება.

იუგოსლავია

ლესკოვი პარანა
პოლონელი რეჟისორი ანჯეი ვიდა იუგოსლავიაში იღებს ფილმს ლესკოვის რომანის — „მცენსკის მარხის ლედი მაკბეტის“ მიხედვით. მთავარ როლს ასრულებს ბელგარდის ნაციონალური თეატრის მსახიობი ოლივერა მარკოვიჩი.



მემსიბა

პოლონეთი

ლებას ახდენს და ნათქმისაა
 მოღვენას იძლევა იმაზე, თუ
 რა შეუწელებლად იბრძვიან
 პოლონელი ანტიფაშისტები
 ხალხთა თავისუფლებისათვის.

4.000 წლის არქიტექტურა
 მექსიკის რევოლუციის 50
 წლისთავის გამო მექსიკელ
 არქიტექტორთა კავშირმა შექ-
 მნა ფოტოგრაფიების მონუ-
 მენტური ალბომი — „მექსი-
 კის 4.000 წლის არქიტექტუ-
 რა“, რომელიც დაუგზავნა
 მთელი მსოფლიოს ქვეყნებს.
 ალბომში მოთავსებულია ქვეყ-
 ნის უძველეს მკვიდრთა არქი-
 ტექტურული შედეგების სა-
 ერთო ხედვები და დეტალები,
 აგრეთვე თანამედროვე მექსი-
 კური არქიტექტურის ვრცელი
 მიმოხილვა. გადაღებულია
 მსხვილი საზოგადოებრივი შე-
 ნობები, საცხოვრებელი სახ-
 ლები და დღევანდელი საუნი-
 ვერსიტეტო ქალაქი სან ანხე-
 ლი. თანამედროვე მექსიკური
 არქიტექტურა დაფუძნებულია
 მდიდარ ეროვნულ არქიტექ-
 ტურულ ტრადიციებზე, მისი
 ორგანული ნაწილია ფერწერა,
 ქანდაკება და, განსაკუთრე-
 ბით, მონუმენტური მოზაიკა
 და კედლის მხატვრობა. შე-
 ნობები საინტერესოა აგრეთ-
 ვე თავისი ფერადოვნებითა
 და საერთო პეიზაჟთან გერე-
 ნებითა შეხამებით. მთელს ამ
 სილამაზეს აქვს ერთი ნაკლი:
 ალბომში მოთავსებულია მხო-
 ლოდ მთავრობის ობიექტები
 და მდიდართა დიდებული საც-
 ხოვრებელი სახლები.

„თქვენი და ჩვენი თავისუფლებისათვის“

ასე ეწოდება გამოფენას,
 რომელიც მოაწყო პოლონე-
 ნის რევოლუციური მოძრაო-
 ბის ისტორიის მუზეუმმა ვარ-
 შავაში. გამოფენა მიეძღვნა
 ესპანეთის თავისუფლებისათვის
 გამართული ბრძოლის 25 წლის-
 თავს. აქ ექსპონირებულია
 უამრავი დოკუმენტი — წერი-
 ლები, ფოტოები და ნახატები,
 საიდანაც მკაფიოდ ჩანს ესპა-
 ნური ფაშისმის წინააღმდეგ
 ბრძოლებში პოლონელების —
 ნებაყოფლობით წასული მებ-
 რძოლების მონაწილეობა. დო-
 ლორეს იბარურის მოწოდე-
 ბამ — „სხვათს ფეხზე მდგარ-
 ნი დავიხოცნოთ, ვიდრე და-
 მსოქილებმა ვიცოცხლოთ“ —
 მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყ-
 ნიდან დასტარა 5.000 პოლონე-
 ლი ესპანეთში რესპუბლიკე-
 ლების დასახმარებლად. ასე
 შეიქმნა პარიზის კომუნის გმი-
 რის, გამოჩენილი პოლონელი
 რევოლუციონერის იაროსლავ
 დომბროვსკის სახელობის გან-
 თქმული ბრიგადა. „დომბრო-
 ველები“, როგორც უწოდებ-
 დნენ ამ ბრიგადის მებრძო-
 ლებს, ორი წლის მანძილზე
 შედგარად იცავდნენ მადრიდს
 და გმირულად იგერიებდნენ
 თავითფხვამდე შეიარაღებული
 ფრანკისტების იერიშებს. ისი-
 ნი იბრძოდნენ ებროს ნაპირე-
 ბზე, სარაგოსის კარბუქთან,
 გვადალახარის ველზე. ბრი-
 გადის მებრძოლთა დიდმა ნა-
 წილმა — 3.000 კაცმა თავი
 დასდო ესპანეთის თავისუფ-
 ლებისათვის. გამოფენის მასა-
 ლები ასახავენ აგრეთვე ყოფი-
 ლი „დომბროველების“ მონა-
 წილეობას მეორე მსოფლიო
 ომის დროს გერმანულ ფაშის-
 მთან „საფრანგეთის წინააღ-
 მდეგობის მოძრაობის“ მებრ-
 ძოლობა რიგებში, პოლონელი
 პარტიზანების რიგებში.
 გამოფენა ძლიერ შთაბეჭდი-

შპველესი სლავური ძალაში
 სტარგრადში ჩატარებულმა
 არქეოლოგიურმა ვაობრებმა
 დაადასტურეს ფაქტი, რომ ამ
 რაიონში 12 ს-ნის უკან არსე-
 ბულა უძველესი სლავური ქა-
 ლაქი. ჩვენი წელთაღრიცხვის
 X ს-ნეში სტარგრადმა მიიღო
 ქალაქის სტატუსი და, პო-
 ლონეთთან პომორიეს შემო-
 ერთების წყალობით, ძალზე
 აყვავდა და გაიფურჩქნა. გათხ-
 რების დროს აღმოჩენილი,
 სლავური ტომებისთვის დამა-
 ხასიათებელი რქის სავარცხ-
 ლები, ტყუიის ნაკეთობების
 ნარჩენები, ქარაშხები და კე-
 რამიკა მოწმობენ, რომ იქ ჯერ
 კიდევ VIII—IX ს-ნეებში ყო-
 ფილა დასახლება.

„ამბავი მოაზროვნა აღამიანისა“

ამას წინათ გამოვიდა ცნო-
 ბილი პოლონელი მწერალი
 ქალის მარია დომბროვსკაის
 ახალი რომანი — „ამბავი მო-
 აზროვნე აღამიანისა“. დო-
 მბროვსკაის ქალამს ეკუთვნის
 ფართოდ ცნობილი რეალის-
 ტურ-სოციალური რომანი —
 „დღეები და ღამეები“. ახალი
 რომანის თემამ ჯერ კიდევ
 ომამდე დაინტერესა ავტორი.
 ახალმა ამბებმა გარკვეული
 გავლენა იქონიეს უკვე ჩაფიქ-
 რებული რომანის ხორცშესხ-
 მაზე, რომლის თემაა რამდე-
 ნიმე აღამიანის ბედი. რომანის
 მიზანია გვაჩვენოს მოაზროვნე
 აღამიანის ღრმა.

„ფარანო“ მარანში

ამჟამად მიმდინარეობს ცნო-
 ბილი პოლონელი მწერლის
 ბოლესლავ პრუსის რომანის
 „ფარანის“ ეკრანიზაცია. ამ
 ფართოკრანთან ფერად ფილმს
 იღებენ პოლონეთის იმ რაიონ-

მონღოლეთი

სოფელი მთავრს სწავლობს
 ამჟამად მონღოლეთის სა-
 ხალხო რესპუბლიკაში არას-
 რულსა და სრულ საშუალო
 სკოლებში ასწავლის 112.000
 პედაგოგი. წელს გაიხსნა კი-
 დევ 420 ახალი სკოლა, ახე
 რომ ახლა მონღოლეთში სწავ-
 ლას ეწაფება ყოველი მეექვსე
 კაცი.

ნებში, რომლებიც ევგვიტის პეიზაჟებს წააგავს. ფრანგმა კინემატოგრაფისტებმა უკვე გამოთქვეს სურვილი მონაწილეობა მიიღონ ამ ევება ფილმის შექმნაში.

მეორევი თეატრი

პოლონეთში უკვე ორი წელიწადია მუშაობს მცურავი თეატრი. მისი ადგილიანი გემით თეატრი ემსახურება მდინარე ვისლას გაყოლებით მდებარე სოფლებისა და ქალაქების მცხოვრებლებს. კარგი მუშაობისთვის ამ თეატრმა მიიღო კულტურის სამინისტროს ჯილდო.

საბმრძნობი

სინამარცხე აღმოჩენა

დიდი სენსაცია გამოიწვია ათენის ქუჩებში ათენელ არქიტექტორთა ჯგუფის მიერ ჩატარებულმა გათხრების დროს მოხდარა აღმოჩენა. აქ მიგვეღებოდა იქნა 100 მ სიგრძისა და 40 მ სიგანის სამარხი, რომელიც, მეცნიერთა აზრით, მიეკუთვნება V ს-ნის ჩვენს წელთაღრიცხვამდე. აქ იკრძალებოდნენ მხოლოდ გამოჩენილი ადამიანები და ვარაუდობენ, რომ აქნა დაკრძალული პერსიკლე. ბერძენი არქეოლოგები საფუძვლიანად სწავლობენ მთელს ამ რაიონს, რათა კიდევ ახალი ცნობებით გაამდიდრონ თავიანთი აღმოჩენა.

კინოფსტივალე

სალონიკში გამართულ კინოფსტივალეზე პირველი ადგილი მიეკუთვნა იტალიურ ფილმს, ანტონიონის „თავგადასავალს“, მეორე ადგილი — საბჭოთა ფილმ „სერიოუს“, ხოლო მესამე — ფილმებტრაციან პოლონურ ფილმს — „როგორ კეთდება გემები“.

საფრანგეთი

ახალი ლაურეატები

გონკურების პრემიის მინიჭებასთან ერთად მოხდა რენდოს პრემიის მინიჭებაც. ეს პრემია, რომელიც ატარებს პირველი ფრანგი ჟურნალისტი-მწერლის სახელს და მიეკუთვნება ხოლმე ჟურნალისტთა კომიტეტის მიერ, წელს მიეკუთვნება როჟე ბორდიეს რომანისათვის — „პური“. ამ რომანის გმირი გლეხი, რომელიც ზოლას რომანების ფიგურებს მოგვაგონებს, კაპიტალიზმის ჩარჩოებში იბრძვის აგრარული რეფორმისათვის, და ფიქრობს, რომ აგრარული კოოპერატივების მეშვეობით შესაძლებელია რევოლუციის თავიდან აცილება.

მეორე პრემია „ფემინა“, რომელიც 1904 წელსაა დაარსებული და მწერალ ქალთა კომიტეტი მიაკუთვნებს ხოლმე, მიენიჭა ანრი ტომის რომანისათვის — „მთის წვერო“. ანრი ტომის რომანმა „ჯონ პერკინსმა“ ამას წინათ სენსაცია მოახდინა, მაგრამ პრემიებული რომანი, რომელშიც მოქმედება ხდება კორსიკის ერთ პატარა სოფელში და აწერილია სათარგმნელად აქ გამოცემული მწერლის ცხოვრება, მოდური ბურჟუაზია მოცული და, „ლეტრ ფრანსეზის“ კრიტიკოსის გამოთქმით, გველთევწასავით გისხლებტება თითქმის ისე, რომ არავითარ ინტერესს არ აღვიძრავთ.

მედიის პრემია, რომელიც ამ რამდენიმე წლის უკან დათვის, მიიღო ფილიპ სოლერმა, რომლის რომანს — „უცნობი სიმარტოვე“ (გამოვიდა 1958 წ.) ადრე მოწონებით შეხვდნენ მორიაკი და არაგონი. მაგრამ ახალგაზრდა მწერლის ახალი რომანი „პარკი“ განიცდიდა ახტარქტული მიმართულების გავლენას, ასე რომ ეს ახალი რომანი, როგორც „წი-

ნი და რიგია“, აბნულად ნული, ბუნდოვანი და ბურუსით მოცულია. რომანის გმირი ერთი დღე-ღამის განმავლობაში წარმოთქვამს მონოლოგებს, თითქოს ძილვედილშიაო, და იღვთა ფრიალ გავედული ასოციაციების მეშვეობით, ლაპარაკობს თავის ნაღველსა, შიშსა და ათასგვარ კვიატზე.

„ღმთის მოწყალეა“

გონკურების პრემიით დაჯილდოებული უკანასკნელი ნაწარმოებია უან კოს რომანი — „ღვთის მოწყალეა“, რომელსაც გააფრთხილ დებს-ხნენ თავს როგორც ფრანგული პროგრესული პრესა, აგრეთვე უკიდურესი მემარჯვენეიც. ესაა ტიპური აბსტრაქტული ნაწარმოები, სადაც ასახულია ბურჟუაზიული საზოგადოების დევანდელი დაცემული სულისკვეთებით აღსავსე ყოფა. დროისა და სივრცის გარეშე არსებულ რომელიც საპატრიარქოში მეოფი „გმირები“ რომანისა ჰყვებიან, ან, უკეთ, წარმოთქვამენ მონოლოგებს თაიის ბინძური დანაშაულობების შესახებ. ერთ-ერთ მათგანს, მოკრივეს, როგორც ჩანს, მოუტყაობს თავისი მოწინააღმდეგე რინგზე, აგრეთვე მემკვი ქალი და მისი საყვარელი; მეორე, ეპილეპსიით დაავადებული ექიმი, მგონი ფეხით ზედ შემდგარა და ისე მოუტყაობს თავისი ფეხმძიმე ცოლი; მესამეს, ამწეზე მომუშავეს, „უცაბედად“ რკინის რამდენიმე ზოდი დაუშვია ოსტატზე, რომელიც მის ცოლს ეკურკურებოდა; დასასრულ, მეოფის, ერთ უცნაურ ინტელიგენტს, როგორც ჩანს, სამარის კარამდე მიუყვანია დედამისი.

მაგრამ ყოველივე ეს დაბეჯითებით არაა ნათქვამი, ვინაიდან სიკვდილმისჯილები უთავბოლოდ, არეულ-დარეულად ლაპარაკობენ და ავტორ-



მათს სიტყვებს ხევის ბურუს-ფიცი, ასე რომ იქნებ არც არა-ფიცი ყოფილა, იქნებ არ ყოფილა არც ეს საკანი, ყოველივე ეს მხოლოდ ეზმანა ავტორის და მოქმედი პირნი იქნებ მხოლოდ სიმბოლოებია, რომლებმაც მოჰკლეს მეგობრობა, სიყვარული, დედისადმი გრძნობა და ა. შ.; ახალგაზრდა მწერალმა, სარტრის მოწაფემ და მისმა ყოფილმა მდივანმა, თავისი მასწავლებლების ეკსისტენციალისტური რეცეპტით შექმნა თავისი „საკმაოდ შემწარავი“ — როგორც უწოდა მას „ლექტრ ფრანსეზ-მა“ — მაგრამ ნიჭიერი და ოსტატურად დაწერილი რომანია. მეორე მხრივ, „ულტრაც“ ძალზე გაღიზიანებულთა გონკურების აკადემიის გადაწყვეტილებით, რადგან უან კო, როგორც ყოველკვირეული „ექსპრესის“ რეპორტიორი, თავის გაბედულ, მკვირცხ და ზატოვან სტატიებში ამხელდა საფრანგეთის მხეცობას ალჟირში და არაბ პატიმართა წამებას პარიზისა და საფრანგეთის სხვა ქალაქების ციხეებში.

ცუდი დასაწყისი

ფრანგული გაზეთების აზრით პარიზის თეატრალური ხელოვნის დასაწყისი კატასტროფული გახდა. უან ვოტივი პიესა — „ოცნება“ და ანდრე რუსენის „ქუჩის გოგონა“ მაყურებელმა და კრიტიკამ ცივად მიიღო, ხოლო მესამე პრემიერამ — მარსელ ეიმეს პიესა „ლუიზიანამ“, რომელიც ამერიკული უაილის ცხოვრების ამსახველი სატირაა, გაზეთების სიტყვით, თავი მოსჭრამის ავტორს. სელონის ერთადერთი იმედია უკ ანდლიის ახალი პიესები — „გამოქვაბული“ და „მკვლელთა ბაზრობა“, რომლებსაც დასადგმელად ამზადებენ.

მარსელ მარსონ გეგმები
მსოფლიოში სახელმწიფო-ქოლი პანტომიმის ოსტატი მარსელ მარსონ, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთში მოგზაურობიდან, აწვადებს ახალ პროგრამას, რომლითაც შემოვილის სახმრეთ აფრიკასა და ავსტრალიას. 1963 წელს მას განზრახული აქვს თავის დასთან ერთად პარიზში დადგას „ფაუსტის“ პანტომიმური ვარიანტი.

პიპასონს ახალი ნამუშევარი
დადის ხმები, რომ 80 წლის პიკასომ დაიწყო ვიებერთელა პანოს ზატვა მშვიდობის თემაზე. მხატვარს სურს ეს გიგანტური სურათი აჩუქოს საფრანგეთის ერთ ქალაქს, რომლის სახელსაც ჯერ არ ამხელს. ცნობილია მხოლოდ, რომ ეს ქალაქი საფრანგეთის პანეთის საზღვარზე მდებარეობს.

უნბრეთი

დისნერტატია ზიჩიზე
ილონა ბერკოვიჩმა, უნგრელმა ხელოვნებათმცოდნემ, დაიცვა დისერტაცია თემაზე — „მიხაი ზიჩის ცხოვრება და ეპოქა“. ბერკოვიჩმა მიმართა ქართველ კოლეგებსაც საქართველოში ზიჩის ყოფნისა და რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების მიხედვით მისი შემოქმედების ამსახველი მასალებისათვის.

დიდი გეგმები
უნგრეთის გამოცემლობის ხუთწლიანი გეგმა ბერკოვიჩმა

მხრივთა საყურადღებო შედეგად შედის ახალი გამოკვლევები პროგრესული უნგრული ლიტერატურის შესახებ პირველ მსოფლიო ომამდე და მის შემდგომ, აგრეთვე ხორტიული რევოლუციის ბატონობის დროს გერმანიის, ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის მცხოვრები უნგრული ემიგრაციის შემოქმედება. ამ წლის ბოლომდე გამოვა უნგრელი კლასიკოსების შემოქმედების 20 ახალი ტომი, 3 ტომად გამოვა უნგრული მოთხრობები, გამოვა აგრეთვე ახალი ანთოლოგია — „უნგრული პოეზიის 700 წელი“. მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა გამოცემლობა უანლოეს ნ წელიწადში გამოსცემს 178 ტომს, მათ შორისაა ტოლსტოის ნაწარმოებთა 12 და გორკის ნაწარმოებთა 22 ტომი; გარდა ამისა გამოცემლობა „ევროპა“ იწყებს კარელ ჩაპეკის თხზულებათა გამოცემას.

ნაციონალური ხელოვნების გამომყვანი
მთელს უნგრეთში დიდ მზადებას ქვეყნის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამბოსათვის — სურათების IX ნაციონალური გამოფენისათვის, რომელიც გაიხსნება 1962 წლის გაზაფხულს. ნაწარმულდევია, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება თანამედროვე უნგრელი მხატვრების რამდენიმე ასეული ნამუშევარი. უიური უკვე შეუდგა წარმოდგენილი სურათების შერჩევა-შეფასებას.



ՅՅԵՆ ԵՕ ԿԿԶ.

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ
ՔՈՆԱՐՏՐԱԿՆԵՐԻ
ԿԵՆՏՐՈՆ

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ**

„ՇԻՏԲԱՐԻ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„ՏԱԲՇՈՒՄ ՄՇԵՐԱԼԻ“